




# საქართველოს ბიბლიოთეკა



„ჩემი ძივლია ცხოვრებისეული მიზანია: ჩაიკვდი კარგად და  
ჩაიყარა იმდენი, რამდენი რამეა ადამიანის.“

ზვიად გამსახურდია





საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: [sakartvelosbiblioteka@gmail.com](mailto:sakartvelosbiblioteka@gmail.com)

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	<b>მაია მიქაბერიძე</b>
საკატიო რედაქტორი:	<b>ალექსანდრე ლორია</b>
სარედაქციო კოლეგია:	<b>გულნარა სტურუა რუსუდან ასათიანი დალი მაჩაიძე მირიან ხოსიტაშვილი</b>
ტექნიკური რედაქტორი:	<b>ლოლა სანაია</b>
დიზაინი:	<b>გიგი გელაშვილი</b>

საქართველოს ბიბლიოთეკა №1-4 (94-97) – 2024; გამოიცემა 2000 წლიდან.  
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ლოგოში გამოყენებულია გრავიორ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შესრულებული ქართული ანბანის ასოთა ბმული.

ISSN 1512-0880  
[www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)  
[www.gela.org.ge](http://www.gela.org.ge)



[www.fb.com/magazineLibraryofGeorgia](https://www.facebook.com/magazineLibraryofGeorgia)



# შინაარსი

- 3** — *ჩუკაჩუკისთვის*  
**მაია მიქაბერიძე**  
ყველაფერი რომ ნორმალურად განვითარებულიყო...
- 4** — *ბიუტო გამსახურდია*  
**ზვიად გამსახურდია**  
წამებუდ ძმისადმი (ეძღვნება მერაბ კოსტავას): დეჟნი
- 5** — **ნუგზარ პაპუაშვილი**  
წინამდებარე კუბიკაციების ისტორიისათვის ანუ:  
მცირე მოგონება ზვიად გამსახურდიანზე
- 7** — **ზვიად გამსახურდია**  
წერილები: ერთწინდობა; წმინდა მოწამენი შავვა,  
ედიზბარ და ბიძინა; გრიგორ ხანძთაძის დღე
- 12** — **მამუკა ნიკლაური**  
დექანები: ტრიკატი: I-თბილისი; II-სიმღერა;  
III-უკვდავება (ზვიად გამსახურდიას)
- 14** — **მარიამ მარჯანიშვილი**  
უკანასკნელი შეხვედრის მარადიული კვადი  
[ვიტორ კანინაშვილის მოგონებებიდან]
- 18** — **ნანა ფირცხალავა**  
მეორე მსოფლიო ომი და ნაადარარი  
გერმანული წიგნები საქართველოში
- 20** — **ჟაკლინ სირაძე**  
ერთი კლიშეს დანგრევით  
(ორივე სიგყვა ზვიად გამსახურდიას შესახებ)
- 24** — **მაია მიქაბერიძე**  
ზვიად გამსახურდიას მხაგრული შემოქმედება, თარგმანები,  
სამეცნიერო ნაშრომები: ბიბლიოგრაფიული სია 1959-1993
- 30** — *სბიბლიოთეკის საქონლის სტრუქტურა*  
ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთა ვიზიტი თურქეთსა  
და საბერძნეთში
- 32** — *საქართველოს სბიბლიოთეკის პლანები*  
**რუსუდან ასათიანი**  
ძვირფასო მკითხველებო
- 33** — **მარიამ ახვლედიანი**  
საბიბლიოთეკო ასოციაციის ახალი სიცოცხლე
- 35** — *სბიბლიოთეკის საქონლის ანგარიშის მკვლევარები: ალექსანდრე ლეონი - 90*  
**მაია მიქაბერიძე**  
მეცნიერი, მწერალი, ჟურნალისტი
- 38** — *ქართული ლიტერატურა*  
**კოსტანტინე ზვ. გამსახურდია**  
გოგა სხიდაძის კოფინი



- 40** — *ქათამციხის რეკონსტრუქცია*  
**გონი სხილაძე**  
დექანები
- 42** — **ნათია სიხარულიძე**  
გადაკვირების „გარნიჰიანი“ ნიშნი
- 45** — *საქართველოს ბიბლიოლოგიები: რაჩხუბის ისტორია და კოლუნიკაციები*  
**ნინო ჯანელიძე**  
მუთაისის იდენტიფიკაციის სიმბოლო - საჯარო ბიბლიოთეკა
- 48** — **აზიზ აბაშვილი**  
ნარკოტიკების ყარაჯადის სასოფლო  
ბიბლიოთეკების ისტორიები
- 49** — *საქართველოს წიგნთმწიფის ქსენოლოგიური ბიბლიოლოგიის 2023 წლის გამსწავლებელი*
- 59** — *ქათამციხის კაფე*  
**რუსუდან მიქელაძე**  
მუდის მრავალფეროვნება მხარგრობაში,  
არქაული და ქართული ანბანური დამხარობები
- 72** — **ხვთისო მამისიმედიშვილი**  
ჩრდილოეთ კავკასიაში მოგზაურობის დღიურები
- 81** — *სტრატეგიის წყობილობა*  
**მანია ცერცვაძე**  
ნინო კანდიდატის მოგონება
- 84** — *ბიბლიოლოგია და სემიოტიკა*  
**ლევან ბრეგვაძე**  
„ბიბლიოლოგიის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა!..“: ინტერვიუ
- 86** — **ნატო ყრუაშვილი**  
ეღენე დიდობაშიშვილი და ქადაქ ახადციხის ცენტრალური ბიბლიოთეკა
- 89** — *საბიბლიოლოგიის საფუძვლები: ქართული ტრადიციები*  
**გიორგი კილაძე**  
ციფრული სასოფლო დეკორაციები: ციფრული საგანმანათლებლო  
რესურსი თანამედროვე სასოფლოში
- 94** — *წიგნის ისტორია*  
**ნინო ხვედელიძე**  
ბერი მაკარის გამოცემები
- 98** — 2025- წლის კონსტრუქციის კოლონიკაციები





**მაია მიქაბერიძე**

# ნოხმადუხად ხომ განვითარდებიან მოვლენები...

31 მარტი განსაკუთრებული დღეა საქართველოს უახლეს ისტორიაში არა მარტო იმიტომ, რომ ამ დღეს საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი - საერთო-სახალხო კენჭისყრა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე, არამედ იმიტომაც, რომ ეს არის საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე.

წელს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდებოდა!

ჩემი წარმოდგენით, ნორმალურად რომ განვითარებულიყო მოვლენები, დღეს ზვიად გამსახურდია ცოცხალი იქნებოდა და აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით თუ არა, ისევ თავისი საყვარელი საქმით - ლიტერატურული შემოქმედებით იქნებოდა დაკავებული და, ალბათ, მემუარებზეც იმუშავებდა. ოჯახს არ მოაკლდებოდა მოყვარული მეუღლე, მზრუნველი მამა; შვილიშვილებს ეყოლებოდათ ბაბუა, რომელთან ერთადაც გატარებულ თითოეულ წამს დროთა განმავლობაში ოქროს ფასი დაედებოდა მათთვის; საქართველოს პირველი პრეზიდენტის სათაყვანებელი სამშობლო - საქართველო, განვითარებული და წარმატებული ქვეყანა გახდებოდა... ნორმალურად რომ განვითარებულიყო მოვლენები!...

დღეს, მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად ჩვენს თავზე დატრიალებული ათასგვარი უბედურებისა, საქართველო თავისუფალ ქვეყანათა რიგში დგას და ეს ფაქტი, უპირველესად, ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება. 2024 წელი მისი საიუბილეო წელია და ჩვენც გადავწყვიტეთ, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე სათანადოდ აღვვინიშნა ეს თარიღი.

ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ზვიად გამსახურდია, პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებამდე და მის შემდეგაც, ლიტერატურულსა და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. მან ჯერ კიდევ 1959 წელს, 20 წლის ასაკში გამოაქვეყნა თავისი პირველი თარგმანები. იმ დროიდან მოყოლებული, ზვიად გამსახურდია სისტემატურად ბეჭდავდა როგორც ინგლისური და ფრანგული პოეზიის თარგმანებს, ასევე საკუთარ ლექსებსა და იგავებს; მუშაობდა სამეცნიერო სფეროში - დაიცვა დისერტაცია რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხებზე...

წინამდებარე ნომერში ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი სტატიების გარდა, იბეჭდება ბიბლიოგრაფიული სია, რომელშიც შევიდა სიცოცხლის პერიოდში გამოქვეყნებული მისი მხატვრული შემოქმედება, თარგმანები და სამეცნიერო ნაშრომები. ვფიქრობთ, ამით სასარგებლო ინფორმაციას მივანვდით შესაბამისი თემებით დაინტერესებულ ჩვენს მკითხველს.

ძირითადი თემის პარალელურად, ჟურნალში იხილავთ სხვა, არაერთ საინტერესო პუბლიკაციას, რომლებიც შეეხება: ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხებს; ქართველ მეცნიერთა მოგზაურობას ჩრდილო კავკასიაში, სადაც საუკუნეთა სიღრმიდან დღემდეა შემორჩენილი ქართული კულტურის გავლენა და კვალი; ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის 150 წლისთავს; ბიბლიოთეკისადმი ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებასა და სხვა.





ზვიად გამსახურია

## ნამებურ ძმისადმი (ედღვნება მეჩაბ კოსტავას)

ეჩზე მჭმუნვაჲი ძმათა კიებური  
ეჩის საფიცაჲი ჰაინდს გიწოდებს,  
უკვდავ საქმისთვის ჯვახზე ვნებული  
სასუფეველი შეხვად, იცოდე!

ქჩისცემ მოგმადლა ცის გასაღები  
და სეჲაფიძთა ჰაეჲოვნება,  
აჲ გწამს მონღოლის ნაგჲაბახები  
და აჲც მაჲღოხეს ყადბი ცხოვრება.

გვეტანებოდნენ ძაღნი და ლოჲნი,  
შემუსვჲა სუჲდათ ეღვაჲე ჭალის,  
მაგჲამ ხომ დავჩრით მაინც ჩვენ ოჲნი,  
მკითაღნი ჰაინდნი მწუხაჲე სახის.


კვდავაც დავუდგეთ დაჲაჯად საფდავს,  
ყველა ცოცხადთა მიზანს და მიზეზს,  
ამგვაჲ წამებს ხომ შვებაც ახდავს,  
ხვადეც იმედის თვადებით გვიმზეჲს.

ცხოვედმყოფელი თვადები იგი  
გვიწამებია ცხოვრების წყაჲოდ,  
დაგვცქეჲის თვადი აჲსთაგამჲივის,  
ის აგვაჲიდებს ბედის შავ ტაჲოსს.

და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი,  
ცა გაჲდაგვეხსნა მაჲაღჲამური,  
ხედთუქმნედ ხატის დიდებით მშვენი  
ღვთის წიდხვდომილი ჩვენი მამური.

დე, ეღვაჲებდეს ივეჲთა ცაზე  
მზე შუალამის, ბაჲდიმი წმინდა,  
გვწყადოდეს, ვინაც გვიკუჲთხა ვაზი  
და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა.

ვაშენოთ ჩვენი ტაძაჲი ქვაზე,  
ბნელში მსხდომთ კვდავაც ავუნთოთ კვაჲი  
და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე  
წმინდა გიოჲგი და ნინოს ჯვაჲი!



## ზვიად გამსახურია და მეჩაბ კოსტავა





**ნურბარ კაკუშვილი**  
ფილოლოგიის დოქტორი

## წინამდებარე პუბლიკაციების ისტორიისათვის ანუ: მცირე მოგონება ზვიად გამსახურიაზე

აბიტურიენტი ვიყავი (1972-1973 წლები), როდესაც მოვისმინე (უფროსი მეგობრებისაგან), კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი, ზვიადი, თურმე მორწმუნეა, ეკლესიაში დადის და კომუნისტების არაფერი სჯერაო. გუნებაში ვთქვი, რა კარგი კაცი ყოფილა მეთქი, და მისი გაცნობის სურვილი დამეუფლა. ეს ინტერესი უნივერსიტეტის პირველი კურსის პირველ სემესტრში საქართველოს ისტორიის ლექტორს, პროფ. შოთა ბადრიძეს, გავუზიარე და მან მითხრა, ამ დღეებში ზვიადი დისერტაციას იცავს და, თუ გინდა, დაესწარიო. დავესწარი. პირველად ვნახე დისერტაციის დაცვა. გრანდიოზულად ჩატარდა: დამსწრე საზოგადოება უნივერსიტეტის სააქტო დარბაზშიც კი ძლივს დაეტია. თითქმის ყველა სიტყვა დავიმახსოვრე; ჩემთვის ყველაფერი ახალი იყო (პაექრობა „ვეფხისტყაოსნის“ საღვთისმეტყველო საკითხებს შეეხებოდა): ღმერთი და მისი სიტყვა, ეკლესია და ეკლესიის მამები, შოთა რუსთველი და მისი თეოლოგია... მომეჩვენა, რომ იმ დროს და იმ სივრცეში საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა! მეორე თუ მესამე დღეს დისერტანტს დერეფანში შევხვდი; გავბედე, თავი გავაცანი და სადისერტაციო ნაშრომის წაკითხვის დიდი სურვილი გამოვთქვი. მან „კოლხურ კოშკში“ დამიბარა, ნაშრომის „მესამე პირი“ მათხოვა და ბოდიში მომიხადა, პირველ და მეორე პირების თხოვება არ შემძლიაო. ტექსტი რამდენჯერმე წავიკითხე და ლამის ზეპირად ვისწავლე.

ასე დაიწყო ჩემი ნაცნობობა ზვიად გამსახურ-

დიასთან. ხშირად არა, მაგრამ სტუდენტობის დროს მას გზადაგზა ვხვდებოდი და ვესაუბრებოდი. ისეც მოხდა, რომ მასთან, მერაბ კოსტავასთან და ომარ ციკოლიასთან ერთად სამების სამრევლო საბჭოშიც გავერთიანდი, რაც სპეცსამსახურებს შემჩნეველი არ დარჩენია. ამის გამო ჩემი (ფილოლოგიის) ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ და კათედრის (კავკასიური ენების) წარმომადგენლებმა საგანგებო გაკვეთილები ჩამიტარეს. ცოტა შევშინდი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემთხვევას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია...

ჩემი და ზვიად გამსახურდიას ურთიერთობა ისევ გაგრძელდა, თუმცა ამ ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი ცვალებადი იყო.

ეს ურთიერთობა ზვიადის პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ თანამშრომლობაში გადაიზარდა. 1979 წლის ზაფხულსა თუ შემოდგომაზე ცნობილი მთარგმნელისა და კრიტიკოსის (განათლებით ფსიქოლოგის) ედიშერ გიორგაძის ინიციატივით, - კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევისა და მთავრობის ჩუმი ნებართვის შემდეგ, - ჩამოყალიბდა „საღვთისმეტყველო კრებულის“ სარედაქციო ჯგუფი, რომლის წევრობის პატივი მეც მხვდა. მალე ცნობილი გახდა, რომ ზვიად გამსახურდია გადასახლებიდან დაბრუნდა და ჩვეულ მოღვაწეობასაც შეუდგა. ის კათალიკოს-პატრიარქსა და საპატრიარქოს ხშირად სტუმრობდა; იქ კი, მოლოდინისამებრ, შეხვდა აღნიშნული კრებულის რედაქტორს, ედიშერ გიორგაძეს, და სარედაქციო



ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი გამოხატა. ეს სურვილი ჯგუფმა, რა თქმა უნდა, მოიწონა და ასე ჩაება საქვეყნოდ ცნობილი საბჭოთა დისიდენტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე „საღვთისმეტყველო კრებულის“ მუშაობაში. რედაქციის ოფისის ფუნქციას ედიშერ გიორგაძის ბინა ასრულებდა. ამ ბინას ის თითქმის ყოველ დღე აკითხავდა და მეც ხშირად ვხვდებოდი მას იქ 1980 წელს. თუ როგორ წარიმართა „საღვთისმეტყველო კრებულის“ ბედი მომდევნო წლებში, ანდა - ზვიად გამსახურდიას ურთიერთობა საპატრიარქოსთან, ცალკე თემა და დამოუკიდებელი თხრობის საგანია. ამჯერად, ვფიქრობ, საკმარისია, აღვნიშნო შემდეგი:

„საღვთისმეტყველო კრებულის“ გახლდათ ნახევრად ლეგალური, ნახევრად არალეგალური ორგანო, რომელიც საქმიანობდა საპატრიარქოს „შიდა მოხმარებისათვის“ ანუ ტირაჟირებისა და მასალის გავრცელების უფლება არ არსებობდა. მასალა კი ხელით საბეჭდ მანქანაზე (რემინგტონზე) იბეჭდებოდა და კრებული რამდენიმე ცალად იკინძებოდა. ასე რომ, ამ კრებულის ტირაჟი მაშინ, 1981 წლის დასაწყისამდე, ერთ ათეულს არ აღემატებოდა და ეგზემპლარები ახლა, ცხადია, სანთლით საძებარია. 1980 წელს ექვსი ნომრის მომზადება და გამოცემა მოესწრო (თუკი ამ გამოცემას შეიძლება გამოცემა ეწოდოს ტექნიკური მხარის მოუნესრიგებლობის, უკიდურესი კუსტარულობისა და უსისტემობის გამო).

ზვიად გამსახურდია რედაქციის ველზე ერთობ აქტიურად მოღვაწეობდა როგორც კონსულტანტი, როგორც სამეცნიერო-ლიტერატურული რედაქტორი და როგორც ავტორი. მისი ავტორობით კრებულის სხვადასხვა ნომერში სამი სტატია დაიბეჭდა. ესენია (ქრონოლოგიურად): „ერთანმინდობა“ (1980, № 2, გვ. 91-94), „წმიდა მონამენი შალვა, ელიზბარ და ბიძინა“ (1980 № 3, გვ. 86-87) და „გრეგოლ ხანძთელის დღე“ (1980 № 6(2), გვ. [39-44]). არც ერთი პუბლიკაცია ხელმოწერილი არ არის. მიზეზი ძნელად ამოსაცნობი არ უნდა იყოს: როგორც რედაქცია, ისე ავტორები, განსაკუთრებით კი ეს ავტორი, იმდროინდელი პოლიტიკური გარემოსა და შიდა საეკლესიო ნიუანსების გამო, რიგ შემთხვევაში ანონიმურობას ამჯობინებდა. ერთ-ერთი, ვისაც ამ საიდუმლოს ამოხსნა შეუძლია და იმ ჯგუფის წევრებიდან ჯერაც ცოცხალია, ვარ მე - ამ სტრიქონების ავტორი.

ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრისა და გასაუბრების შესაძლებლობა ბოლოს 1987 წლის გაზაფხულსა თუ ზაფხულზე მომეცა. ამ დროს დაიბეჭდა და გამოქვეყნდა (უკვე გაზრდილი ტირაჟით) „სა-

ღვთისმეტყველო კრებულის“ სპეციალური ნომერი (1987, № 3), მიძღვნილი კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის დაბადების 120 წლისთავისადმი, ჩემ მიერ შედგენილი და გამოსაცემად მომზადებული. მასში (გვ. 58-131) წარმოდგენილია კალისტრატე ცინცაძის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი, რომლის თარგმანაც ჩემი მიზნობილობითა და თანამშრომლობით შეასრულა ზვიად გამსახურდიას ვაჟმა - კონსტანტინემ (კოკომ). მან, ეჭვი არაა, ეს გამოცემა დროულად გააცნო მამას და არ გამკვირვებია, რომ მან, როდესაც კი ზემოთ აღნიშნულ დროს სიონის ტაძარში შემნიშნა, ეს სიახლე მომილოცა, შემაქო და „საღვთისმეტყველო კრებულის“ მომდევნო ნომრების წარმატებულად მომზადება მისურვა.

ჩვენი ურთიერთობის ეს ეპიზოდიც ცხადყოფს, რომ საქართველოს მომავალი პრეზიდენტი „საღვთისმეტყველო კრებულის“ მიმართ მკაფიო ყურადღებასა და პატივისცემას იჩენდა. ამის გამოც მე სიამოვნებით დავთანხმდი ჩემი თანაკურსელისა და კოლეგის, წინამდებარე ჟურნალის მთავარი რედაქტორის წინადადებას ზვიად გამსახურდიას „საღვთისმეტყველო კრებულში“ შესული სამივე ზემოთ ჩამოთვლილი სტატიის ახალი პუბლიკაციისათვის მომზადების შესახებ. გადავწყვიტეთ, რომ ფართო საზოგადოებას წარვუდგინოთ ეს სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები, რომელთაგან პირველი პასუხს სცემს მნიშვნელოვან და უმრავლესობისათვის გაურკვეველ კითხვას: რას ნიშნავს „ერთანმინდა“ და რა კავშირი აქვს მას წმინდა ევსტათესთან? დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ „ერთანმინდა“ // „ერთანმიდა“ არის სახეცვლილი ფორმა ეკლესიისა და დღესასწაულის ძველი სახელისა „ევსტათმინდა“, რაც ენათმეცნიერულად აკაკი შანიძემაც დაასაბუთა. მიუკერძოებელი მკითხველი აქ იმ კითხვაზეც იპოვის პასუხს: შაჰ-აბასი, ნადირ-შაჰი და მუსლიმი ლეკები ქრისტეს ეკლესიას ყოველთვის მტრობდნენ, თუ საღვთო გამოცხადება მათ სულშიც, ამ შემთხვევაში წმ. ევსტათეს მადლით, გაიელვებდა ხოლმე? მოკლედ: ზვიად გამსახურდიას მოცემული თხზულების იდეური ფონიც მიმზიდველია, დამაფიქრებელია და მას საგანმანათლებლო მისია აქვს. ასეთივე მისია აქვს დანარჩენ ორ სტატიასაც; ისინიც მკითხველების საეკლესიო-საღვთისმეტყველო ცოდნისა და შემეცნების დონის ამაღლების მიზნითაა დაწერილი. ვფიქრობთ, რომ ამ სტატიების ჩრდილში დატოვება უსამართლობა იქნება და მათი პუბლიკაცია დღესაც სასურველია.



## ზვიად გამსახურდია

### ერთანმინლობა

მეორე საუკუნეში, რომში, იმპერატორ ადრიანეს დროს სახლობდა ქრისტიანული ოჯახი ევსტათე პლაკიდასა და მისი მეუღლის თეოპისტასი, რომელთაც ჰყავდათ ძენი ალაპი და თეოპისტე. ქრისტიანთა დევნის დროს ისინი შეიპყრეს და აწამეს, მიუხედავად იმისა, რომ წმ. ევსტათე რომში სახელგანთქმული კაცი, სახელოვანი მხედართმთავარი და დიდებული იყო / იგი რომაელთა მიერ იერუსალიმის აღების დროს ერთ-ერთ ფალანგას სარდლობდა /.

იმპერატორის ბძანებით ევსტათე და მისი ოჯახი მხეცებს მიუგდეს საჯიჯნად, მაგრამ უფლის სასწაულით ისინი გადარჩნენ. შემდეგ სპილენძის გახურებულ ღუმელში ჩააგდეს, მაგრამ აქაც დაიფარა ისინი უფლის ძალამ. უფალმა სიკვდილის შემდგომაც არ დაივიწყა თავისი რჩეული და მოჰმადლა ძალი სასწაულთმოქმედებისა მის ეკლესიას, რომელიც აღშენებულია ქართლში კასპის რაიონის სოფ. ერთანმინდაში.



### ერთანმინდის ჭაპარი

ამ ტაძარზე ჯერ კიდევ ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ვახტანგ VI-ის ძე ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „თეძამზედ არის ახალ-ქალაქი. ამის ზეით ეკლესია გუმბათიანი ერთანმინდისა, სასწაულთმოქმედი; თლილი ქვით ნაშენი, კეთილოვანი, სარქიმანდრიტო, არამედ კათოლიკოსს უპყრია ტახტად თავისად“ [„ერთანმინდა“ იგივე სახეცვლილი „ევსტათმინდა“ (ნ.პ.)].

ტაძარს, გადმოცემით, ვახტანგ პირველმა ჩაუყარა საფუძველი V საუკუნეში. გვიან ხანებში იგი რამდენჯერმე განაახლეს. ფრანგი არქიტექტორი ლიპარდი აღტაცებული იყო ერთანმინდით და ამ-

ბობდა: ეს ტაძარი მოწმობს იმას, რომ ქართული არქიტექტურა ყოველთვის როდი ბაძავდა ბერძნულს, იგი ორიგინალური და დამოუკიდებელი იყო.

მაგრამ მთავარია მაინც ამ ტაძრის სასწაულთმოქმედებანი.

როგორც ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი გვაცნობებს თავის „გიორგი სააკაძის ცხოვრებაში“, შაჰ-აბასი ქართლში ლაშქრობისას ერთანმინდას მისდგომია და მისი დანგრევა უბრძანებია. ქრისტიანული სალოცავის სიძულვილით გამსჭვალულ შაჰს მხედველობის თანდათანობით დასუსტება უგრძნია. იმ დროს შაჰ-აბასი ხანში შესული როდი იყო. ამ ჯანითა და ღონით აღსავსე კაცს ვერაფრით აეხსნა ყოველთვის უტკივარ და მახვილ თვალთა კლება.

იმ ღამეს სიზმარში შუბიანი ბუმბერაზი გამოეცხადა, რომელიც დაემუქრა, განგმირავო. დაშინებულმა შაჰმა თავისი ვარსკვლავთმრიცხველებიც კი მოიწვია, მაგრამ ვერავინ აუხსნა სიზმრის მნიშვნელობა. მაშინ მის წინაშე წარსდგა სააკაძის ამაღლაში მყოფი ერთანმინდის მკვიდრი თეთრწვერა მოხუცი, დაუჩოქა და შეჰბედა: დიდო მბრძანებელო, თუ სასწაულთმოქმედი ტაძრის ნგრევას შეაჩერებ, მხედველობა დაგიბრუნდება. ის ბუმბერაზი, სიზმარში რომ გამოგეცხადა, წმინდა ევსტათე არისო.

შაჰს შეუჩერებია ტაძრის ნგრევა და მხედველობა მაშინვე დაბრუნებია. მოხუცს შეუყვანია იგი ეკლესიაში და უჩვენებია კედელზე დახატული წმ. ევსტათე. „აი, სწორედ ეს გამოემეცხადა სიზმარში, - შეჰყვირა შემკრთალმა შაჰმა, - დიდია თქვენი წინასწარმეტყველის ძალა. აჰა, ჩემი ხმალი შემინირავსო მისთვის“ და ამ სიტყვებით შაჰმა მოიხსნა თავისი ძვირფასი, თვალ-მარგალიტით შემკული ხმალი და ტაძარს შესწირა, ხოლო მოხუცი ქართველი ვარსკვლავთმრიცხველი უხვად დააჯილდოვა. ამ ხმლის ვადას, ძვირფასი თვლებით შემკულს, დიდი ხნის მანძილზე ჰკიდებდნენ ტაძრის იმ ადგილას, სადაც ინახებოდა წმ. ევსტათეს მკლავის ძვალი და ცერი.

1735 წელს ნადირ-შაჰმა მოისურვა ნახვა ზემოაღნიშნული წმინდა ნაწილების და სამკაულებისა და თავადაც შესწირა სამასამდე მარგალიტი ამ დიდებულ ტაძარს, რომლის სასწაულთმოქმედება მანაც ირწმუნა.

სასწაულთან არის დაკავშირებული აგრეთვე წმ. ევსტათეს სახელობის, ანუ ირმის რქებშუა მოვლენილი ჯვრის სახელობის ზედა ჯვრის ეკლესია / წმ. ევსტათეს ნადირობისას გამოეცხადა იესო ქრისტე



ირმის რქებშუა, რის მერმეც მან ხელი აიღო ნადირობაზე / უწინ ერთანმინდის გუმბათი მთლიანად ირმის რქებით იყო დაფარული ამ სასწაულის აღსანიშნავად. ეს ზედა ჯვრის ეკლესია, გადმოცემით, ლეკებმა ააშენეს, რომელთაც, გადმოცემის თანახმად, გაძარცვეს ერთანმინდის ტაძარი და გაიტაცეს დიდძალი სიმდიდრე. ისინი ღამის გასათევად ტაძრიდან მცირე მანძილით დაშორებულ გორაკზე შეჩერდნენ და იგრძნეს, რომ თვალთ აკლდებოდათ. გზა რომ ვეღარ გაიგნეს, ირწმუნეს ტაძრის სასწაულებრივი ძალა. აღუთქვეს ტაძარს, რომ მის მრევლს შეუერთდებოდნენ. შემდეგ კი ააშენეს პატარა საყდარი, რომელსაც დღეს ზედა ჯვრის ეკლესია ეწოდება.

როგორც ვხედავთ, ამ ტაძრის სასწაულმოქმედი ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ურჯულოთაც კი შთაუნერგავდა ქრისტეს რჯულის პატივისცემას. იქ არის დაკრძალული შაჰ-აბასის მიერ წამებული პაატა სააკაძე.

მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაწესებული დღეობა წმინდა ევსტათესი 20 სექტემბერს / ძვ. სტილით / საღამოს იწყებოდა და დილამდე გრძელდებოდა. მთელ ღამეს ლოცულობდნენ და მერმე იტყოდნენ: „წმინდა ღამისთევებით ღამე დღედ ვაქციეთ“.

შეგვენიოს მსოფლიო ეკლესიის დიდი მოძღვრის, დიდმონაზმის, დღესაც სასწაულმოქმედი წმ. ევსტათესა და მისი სახელობის დიდებული ტაძრის მადლი.

**საღვთისმეტყველო კრებული, 1980, N2**



**წმინდა მონაშენი შალვა, ელიზბარ და ბიძინა**

მეჩვიდმეტე საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი ხანაა საქართველოს ისტორიაში. მტარვალმა შაჰ-აბას დიდმა არაერთხელ დაარბია და დალაშქრა საქართველო. ასეთივე მტარვალი იყო შაჰ-აბას მე-2, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა საქართველოში მაჰმადიანობის გავრცელებას, ქართველთა შემუსვრასა და თურქმანების ჩამოსახლებას ქართლ-კახეთში. სწორედ ამ დროს, მოუვლინა უფალმა საქართველოს წმიდა დიდმონაშენი და იხსნა ქრისტეს რჯული.

ეს ის დრო იყო, რომელიც აღწერა ვაჟა-ფშაველამ თავის უკვდავ „ბახტრიონში“ და რომელზედაც იტყოდა ჩვენი მემკვიდრე: „ხოლო თათართა ეპყრა მონასტერი ალავერდი ციხედ და იყვნენ შიგა და სხუაცა მრავალი ადგილი დაეპყრათ კახეთში და თვალსა ბოროტსა ჰყოფდნენ მკვიდრთა კახეთისათა, რამეთუ ენებათ კახეთი სრულიად გასათათრებლად ელის [უცხო ტომი] დასახლება“.

„ბახტრიონს სხედან თათრები  
სიტყვას ამბობენ ძნელსაო,  
ახმეტას ჩავჭრით ვენახსა  
ჩამოვასახლებთ ელსაო“.

გვაუწყებს იმჟამინდელი ქართული ხალხური ლექსი.

საქართველო დრტვინავდა, მაგრამ იმ ხანებში მოხდა კიდევ ერთი საზარელი ამბავი, რამაც დააჩქარა აჯანყების დაწყება. თათრებმა შეიპყრეს ერთი გზადმიმავალი ქართველი მღვდელი, ფეხი შეუკრეს და შეამთხვიეს საქმე სიბილწისა, რომელ არს ცოდვა სოდომური და გაუშვეს.

შერცხვენილი მღვდელი მივიდა ზაალ არაგვის ერისთავთან და შესჩივლა თავისი უბედურება. ზაალმა შემოიფიცა ქსნის ერისთავები შალვა და ელიზბარი და კახეთის მეფის სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი. აჯანყებულებს თუმ-ფშავ-ხევსურნიც შემოუერთდნენ, ბახტრიონი აიღეს და კახეთი განმინდეს თათრებისაგან.

მაგრამ მტარვალმა შაჰ-აბასმა ლალათით მოაკვლევინა ზაალ ერისთავი, ხოლო შალვა, ელიზბარი და ბიძინა ხელში ჩაიგდო და ჯერ თავისი ჩვეულებებისამებრ, რჯულის გადაგდება და მაჰმადიანობის მიღება შესთავაზა. მაგრამ სულით ძლიერი ადამიანები ვერ გატეხა სიკვდილის შიშმა, მათ განკიცხეს და გაამასხარავეს მაჰმადის რჯული და მტკიცედ იდგნენ ქრისტეს რჯულზე. ბიძინა ჩოლოყაშვილი



ამხნევებდა შალვას და ელიზბარს და ეუბნებოდა: „ნუ შევუშინდებით, არამედ მივცეთ თავი ჩვენი ქრისტესთვის სიკვდილსა. რამეთუ სიკვდილი თანა გვაც და ვერვინ აღუდგების წინ სიკვდილსა. აჰა, ჟამი ესე არს შესვლად სასუფეველსა შინა“.

ისინი დახოცეს და აკუნეს მახვილებით, რამეთუ მტკიცედ იდგნენ მამა-პაპათა რჯულზე, ისევე როგორც წმინდა დიდმონაშენი ქეთევანი და ლუარსაბ მეფე, და ან „გვირგვინოსან არიან და იხარებენ ზეცისა სასუფეველსა შინა“, როგორც ამბობს მემადიანე.



**ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ  
ჯანის ერისთავები**

დაე, მარადის გზა უნათებდეს ქართველ ერს შალვა, ელიზბარ და ბიძინას გმირობა, როგორც რჯულისა და ერისათვის თავგანწირვის დიადი მაგალითი. ამინ.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესია წმიდა მონაშენებს შალვას, ელიზბარს და ბიძინას იხსენიებს 18 სექტემბერს /ძვ. სტ. /. იკორთის ტაძარში, სადაც ისინი არიან დაკრძალულნი, აღესრულება საღმრთო ლიტურგია და სავედრებელ-სამადლობელი პარაკლისი.

**საღვთისმეტყველო კრებული, 1980, №3**

**გრიგოლ ხანძთელის ღვა**

VII-IX საუკუნეებში საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა სამონასტრო მოძრაობა. მესხეთის იმ ნაწილებში, რომელთაც კლარჯეთი, შევშეთი და ტაო ეწოდებოდა, ამ მოძრაობის მოთავე და სულისჩამდგმელი იყო დიდი მნათობი საქართველოს ეკლესიისა, წმიდა მამა, დიდებული ქართველი მწერალი და განმანათლებელი გრიგოლ ხანძთელი. გრიგოლ ხანძთელის ღვაწლი უზომოა ქართული კულტურის განვითარებაში. მან დააარსა ქართული მნიგნობრობის და კულტურის დიდებული კერები: შატბერდის, გუნათლეს, მერის და უბეს მონასტრები, ააყვავა და ქალაქ-ჰყო უდაბნონი, მტრისაგან განადგურებულ ადგილებში კვლავ შექმნა სიცოცხლისა და კულტურის კერები, უღრან ადგილებში გაიყვანა გზები, გაუვალ ტყეებში ააგებინა შენობები.

გრიგოლ ხანძთელი ეკუთვნის პლეადას იმ დიდი წმიდა მამებისას, რომელთაც შექმნეს ქართული სამონასტრო და სამწერლო კულტურა, განადიდეს, განამდიდრეს ქართული ენა და საბოლოოდ აქციეს იგი წირვა-ლოცვის ენად მთელს საქართველოში (ამ დრომდე დასავლეთ საქართველოში ხშირად ჟამი ბერძნულ ენაზე შეინიშნებოდა).

იმჟამინდელ კლარჯეთში იყო თორმეტი სავანე, რომელთა კედლებშიც შეიქმნა კლარჯეთის სალიტურატურო სკოლა. ამ მხარეს საქართველოს სინაი ანუ სინას მთა ეწოდებოდა, ვინაიდან ისევე, როგორც მოსეს სინას მთაზე გამოეცხადა ღმერთი, საქართველოს წმიდა მამებს აქ ეცხადებოდა უფალი. აქვე მოღვაწეობდა ავტორი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“, დიდი ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე / სჯულისმოდგარი

გრიგოლ ხანძთელი იყო შვილი წარჩინებულ-დიდებულთა, მართლმორწმუნე ქრისტიანთა და აღზრდილი იყო წერსე ერისთავის კარზე. ყმაწვილი ბავშვობიდანვე ეტანებოდა მარხვას, უყვარდა მარტობა, გაურბოდა ხალხმრავალ შეკრებებს. მსგავსად სამოელ წინასწარმეტყველისა, ბავშვობიდანვე იყო დედის მიერ ღვთისადმი შეწირული და ხალხიც დაყუდებულს უწოდებდა მას სიყრმიდანვე. ყველას აცვიფრებდა აგრეთვე მისი ნიჭი და გულმოდგინება სწავლაში, ჭაბუკისათვის უჩვეულოდ ღრმა და ფართო განათლება როგორც სასულიერო, ისე საერო დარგებში. „ხოლო იყო ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბინო...“, როგორც იტყოდა გიორგი მერჩულე მის შესახებ.



გრიგოლის აღმზრდელებმა, ნერსე ერისთავმა და მისმა მეუღლემ, მისმა მშობლებმა და სიმრავლემ ერისამ მოინდომეს მისი მღვდლად კურთხევა. მაგრამ გრიგოლი შიშობდა ფრიად, ვაი თუ არ ვიყო ღირსი ესეოდენ პატივისა და მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიყვარული ჰქონდა მღვდლობისა, მაინც უარზე იდგა და ეუბნებოდა თავის აღმზრდელთ: მე ჯერ ახალგაზრდა ვარ. თქვენ იცით საღმრთო წიგნთაგან, ნეტარ მღვდელ-მოძღვართა მიერ განსაზღვრულ საეკლესიო კანონთაგან, თუ რაოდენ დიდი კრძალვა უნდა მღვდლობას და რაოდენ დიდი უცოდველობა არა მარტო საქმით, არამედ გონებითა და სიტყვითა. მართალია, სულგრძელი ღმერთი მომთმენია, მაგრამ უნესო კაცის მღვდლობას სჯობდა იგი საერთოდ არ დაბადებულიყო და არ შერთვოდა კაცთა რიცხვს, ვიდრე დაუსრულებელი საუკუნო სასჯელისათვის მიეცა თავი. ხოლო რაც შეეხება ნამდვილ, სარწმუნო მღვდლებს, იცოდეთ, რომ ეს არის ყოველგვარ სულიერ და ხორციელ დიდებაზე აღმატებული რამ, ვინაიდან ეს ჭეშმარიტება ღვთის, ქრისტეს ნაცვალობაა. ბოლოს მან უთხრა თავის მვედრებელთ: მღვდლების პატივს ვხედავ, მაგრამ სასჯელისა მეშინისო.

ბევრი ვედრების მერმე დაიყოლიეს იგი მღვდლობაზე და რა ნახა ერმა, თუ რარიც დიდებულად ასრულებდა იგი საღმრთო წირვას, და რა

დიდი მადლი ჰქონდა მისი ხელიდან მიღებულ წმიდა ზიარებას, მისმა აღმზრდელებმა და ერმა განიზრახა მისი ეპისკოპოსად კურთხევა.

მაგრამ ნეტარი გრიგოლი შეაკრთო ამსოფლიურმა დიდებამ და, რა იხილა თავი თავისი „ხორციელად დიდებასა შინა“, ფრიად ნუხდა გული მისი და განიზრახა გაპარვა უდაბნოში ღვთის მოწოდებით, რათა უდაბნონი აეყვავებინა და გაბრწყინებულიყო ვითარცა „სანთელი დაუვსებელი ბრწყინვალე ზედა სასანთლესა მას მაღალსა.“ ქრისტეს მადლის შეწევნით ჰპოვა თანამზრახველნი: საბა იშხნელი ეპისკოპოსი, თევდორე ნექვის მაშენებელი და მამა, და ქრისტეფორე, კვირიკეთის მაშენებელი და მამა.


მაშინ „აღიბეჭდნეს თავნი თვისნი ძლიერებისა ბეჭდითა მით ნიშნსა საუფლოისა ჯვარისათა“ და გაუდგნენ გზას.

პირველად დაემკვიდრნენ ოპიზას, სადაც ისინი დიდის პატივით მიიღო წინამძღვარმა მამა გიორგიმ. მაგრამ მამა გრიგოლს განმარტოება სწადა. ვინაიდან უწყოდა რა იყო „ანგელოსებრივი ცხოვრება მარტოდმყოფთა მათ სივრცესა შინა უდაბნოსასა“. ამ დროს ხანძთის უდაბნოში იყო ერთი ბერი, სახელად ხვედიოს, რომელმაც იხილა ხილვა ცხადად და არა სიზმრად: მან დაინახა, რომ ნათლის ღრუბელი ადგას იმ ალაგსა, სადაც შემდეგ ხანძთის ეკლესია აშენდა. ამ ღრუბელს ეკლესიის ფორმა ჰქონდა და ენით უთქმელი სურნელება იკმეოდა მისგან. და ესმა ხმა ნეტარ ბერს, ამ ადგილას უნდა აშენდესო ეკლესია ღმერთის კაცის, გრიგოლ მღვდლის მიერ, ხოლო თვით გრიგოლს გამოეცხადა მაცხოვარი და მიასწავლა იმ ბერის ადგილსამყოფელი, რომელმაც მოუთხრო გრიგოლს თავისი ხილვა.

ამის შემდეგ მამა გრიგოლმა და მისმა მოწაფეებმა ოპიზელ ძმათა დახმარებით ააშენეს ხანძთის ეკლესია და სენაკები.

გრიგოლ ხანძთელს მხარში ამოუდგნენ ღმერთის მსახური მეფე აშოტ კურაპალატი და გაბრიელ ერისმთავარი, მისი დიდებული. მათი დახმარებით განამშვენა და ააყვავა ბანა გრიგოლმა, ხანძთისა და შატბერდის უდაბნონი, ხოლო წმ. გრიგოლის მიმდევრები სულ უფრო და უფრო მრავლდებოდნენ.

გრიგოლ ხანძთელისა და სხვა ქართველი ბერების სულიერი ძლიერება იმდენად დიდი იყო, რომ მათ წინაშე საერო ხელისუფლებაც კი ქედს იხრიდა. ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისა ხელმწიფებასა ქუეშე არიანო, ამბობდნენ ღირსი მამები, ისინი ხელმწიფეს ეუბნებოდნენ,



**წმინდა გრიგოლ ხანძთელი**





„შენ ქვეყანასა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე - ზეცისა და ქვეყნისა და ქვესკნელთა. შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე - საუკუნო მეფე.“ ხოლო ვინაიდან ვერვის ხელმწიფეობის მონება ორთა უფალთა, ამის გამო მე შენს ბრძანებას არ ვემორჩილებიო. უფრო მეტიც, მამა გრიგოლმა ამხილა ხელმწიფე აშოტ კურაპალატი, რომელსაც კანონიერი მეუღლის გარდა ხასა ჰყავდა, მოაცილა იგი და მონასტერში აღკვეცა მონაზვნად. ამაზე იტყოდა გიორგი მერჩულე: ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულიერად ძლიერთა კაცთა სძლიესო“. აი, რაოდენ დიდი ძალა ჰქონდა იმჟამად საქართველოს ეკლესიას.

გრიგოლ ხანძთელის დიდებული სალიტერატურო მემკვიდრეობიდან ბევრ რამეს ჩვენამდე არ

მოუღწევია. მისი მთავარი ნაწარმოებია საგალობელთა კრებული „სანელინდო იადგარი“, შესანიშნავი პოეტური ძეგლი „ქებად კლარჯეთისა უდაბნოთა“, ჰიმნების კრებული, „წესი და განგება ხანძთის სავანისა“, „შესხმა ქებისა ბაგრატ ხელმწიფისა“ და სხვანი.

გრიგოლ ხანძთელი იყო ერთ-ერთი უდიდესი სასწაულომქმედი ქართველ წმიდათა შორის, მასთან მოჰყავდათ უამრავი სნეული და არანმიდასულითა მიერ შეპყრობილნი, რომელნიც მისი ლოცვითა და ცრემლით იკურნებოდნენ „თხოვისაებრ სარწმუნოებით მვედრებელთაისა“. არა მხოლოდ ადამიანებს მიაჩნდათ იგი ნავთსაყუდებელად, არამედ ცხოველებსაც. არაერთხელ გადაურჩენია მას ირმები და გარეული თხები, რომელნიც, მონადირეთაგან ლტოლვილნი, მასთან მოისწრაფოდნენ საშველად. გიორგი მერჩულე აღწერს აგრეთვე, თუ როგორ განკურნა მან ბასილი მღვდელი ხელის დადებით ავთვისებიანი სიმსივნისაგან / „მჯდომისაგან“/.

აღსანიშნავია ასეთი სასწაულიც: წმიდა მამათა კრებულში გამოერია ერთი უწმინდური დიაკონი, ვინმე ცქირი, რომელიც ტფილისში საჰაკ ამირას მიერ იყო აღზრდილი. მას სურდა ანჩის საყდრის ხელში ჩაგდება და გადაემტერა მამა გრიგოლს, შემდეგ მოისყიდა ერთი მკვლეელი და მიუგზავნა მას. და რა მივიდა მკვლეელი მის სავანეში, იხილა ვეება სვეტი ნათლისა, რომელიც ადგა მამა გრიგოლს ლოცვად დამდგარს, დაეცა პირქვე და გონდაკარგული დიდხანს ეგდო მიწაზე. მამა გრიგოლმა განკურნა იგი, შეუნდო და განუტევა, მაგრამ ცქირმა მაინც არ მოისვენა, შეკრიბა ანჩის ერი და წარავლინა ხანძთის ეკლესიის დასანგრევად. მაშინ მამა გრიგოლმა შეჰვედრა ქრისტეს და წმიდა გიორგის. მეორე დღეს მოვიდა ამბავი, რომ ცქირი მოულოდნელად მოკვდა იმ დროს, როცა მამა გრიგოლი უფალს ევედრებოდა.

წმ. გრიგოლმა 102 წელი იცოცხლა და მიიცვალა არქიმანდრიტის პატივით მოსილი ხანძთის სავანეში 861 წელს. მაშინ ნათლითა მიუწოდმელთა შეიმკო ხილვად შუენიერი მისი ბრწყინვალედ ქრისტეს მიერ, რამეთუ ბანაკი ანგელოზთა უფლისათა გარე მოადგა მას და პატიოსანთა საკუმეველითა სულნელებამმან ადავსო ყოველი იგი ერი და კრებული მამათა.

დაე, უფალმა მოჰმადლოს მადლი და ნათელი სარწმუნოებისა მის მშობელ ერს დღეს, მის მშობელ კუთხეს - მესხეთს და განადიდოს უკუნისამდე. ამინ!

საღვთისმეტყველო კრებული, 1980, №6







**მამუკა ნიკაიშვილი**  
პოეტი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი

**გრივობი**

I

**თბილისი**

ღამეა. მკვდარი ღამე წევს  
მკვდარი ქალაქის მკერდზედა,  
ცას შეჰყინვია მთვარე და  
მტკვრის გულისცემაც ჩერდება,  
სისხლში იხრჩობა ქალაქი -  
ჩემი ტანჯული ბერდედა.

წევს ჩემი დედაქალაქი  
სისხლით გაჟღენთილ ჭილობზე,  
ნაცემი, ძეძვზე ნათრევი,  
წევს და ილოკავს ჭრილობებს  
და... კაცისმკვლეელი ლაჩრები  
თავის მართლებას ცდილობენ.

ფურთხს ლოკვენ მაცილისასა  
მუხლს მაცილის წინ იყრიან,  
ისევ ასტკივდა გორგასალს  
ისრით გაჭრილი იღლია,  
მთვარე გაფითრდა - ეს სისხლი,  
ძმისგან მოკლულის სისხლია!..

ხმალი ქარქაშში ჩამხრჩვალა,  
მაჯა მიმკვდარა ქარქაშზე,  
ხელს იწვდის მთვარე, სისხლიან  
ღრუბლებს ცაცხახით გადასწევს:  
არც სპარსთ, არც არაბთ... თბილისი  
თბილისელებმა გადანვეს!

ეს მერამდენედ დასცეს და  
ეს მერამდენედ გადანვეს  
და მთვარე - ჟამთაღმწერელი  
საუკუნეებს გადასცემს:  
ჯაბამ, კიტოვან-სიგუამ  
და მხედრიონმა გადანვეს.

II

**სიბლერა**

ჯერ სული მიდგას, არ ვკვდები,  
ღმერთს მინდობილი მწირი ვარ,  
მუმლი რომ ეტევებოდა,  
იმ მუხის ძირის ძირი ვარ,  
უთანასწორო ბრძოლაში  
დამარცხებული გმირი ვარ!

ჯერ ისევ ღვივის ცეცხლივით  
ქედზე გადასვლის მიზანი!  
ამიტომ ვერ მკლავს გველგესლას  
ორკაპიანი ფინალი,  
არ იშრიტება სისხლი და  
არ ტყდება გულისფიცარი!

ჯერ მე ვარ, მე უნდა ვზიდო  
ჩემი ჯავრი და იარა!  
ხვალ ჩემი შვილი გამოვა  
და ის აღმართავს იარაღს!  
მერე სხვა მოვა და მახვილს  
არც ის დააგდებს ტიალად...

ჯერ სული მიდგას, არ ვკვდები,  
ღმერთს მინდობილი მწირი ვარ,  
მუმლი რომ ეტევებოდა  
იმ მუხის ძირის ძირი ვარ,  
უთანასწორო ბრძოლაში  
დამარცხებული გმირი ვარ!

1992 წ. 22 დეკემბერი





**რუსთაველის გამზირი თბილისის ომის შემდეგ**



**თბილისის ვიზნაზია ომის შემდეგ**



**ზვიად გამსახურდია**

**III**

**უკვდავება**

**ზვიად გამსახურდიას**

ეს შენა ხარ – ისარივით მზერა,  
არწივივით ავარდნილი წარბი,  
ბრძოლა იყო შენი ბედისწერა  
და დაეცი ბედისწერის ზალპით,  
შენ ვერ იტყვი – ჩამომავდო ცხენმა  
შენ ვერ იტყვი – დრო უჩემოდ გარბის...

შენი ხსოვნა ქრილობაა ღია,  
პირს არ იკრავს ეროვნული წყლული,  
შენს საფლავზე მარადისი დღეა,  
გადმოგყურებს მთვარე სრულზე სრული,  
შენ ვერ იტყვი – დამანის ტყვია,  
შენ ვერ იტყვი – ამომხადეს სული.



# უკანასკნელი შეხვედრის მახადიუდი კვალი

ისტორია, იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსათვის, რამეთუ ყოველ ადამიანს თავისი ისტორია აქვს მისი ქვეყნის წარსულით, აწმყოსა და მომავლით ნასაზრდოები.

ბუნებრივია, რომ წარსულის ხსოვნის არდაკარგვა ამიტომაც გახდა თაობის ვალი. მწერალი, გერმანისტი, გოეთესა (გერმანია) და ფრანც გრილპარცერის (ავსტრია) საერთაშორისო საზოგადოებების წევრი, ქალაქ ვენის „ლიტერატურ-ჰაუსის“ საპატიო დოქტორი ვიქტორ კახნიაშვილი თავის მოგონებაში - „გულთამხილავი“ მამულზე უზუმოდ შეყვარებულ, ღვთისგან გამორჩეულ და ქედმოუდრეკელ საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შესახებ წერდა: „განათლებლით, ინტუიციით, მეცნიერული გაქანებით, მწერლური შემოქმედებით, დაუოკებელი ტემპერამენტით, მრწამსით და, რაც მთავარია, ნარეკლიან გზებზე გაბედული სიარულით ზვიად გამსახურდიამ თავის დროს გაუსწრო და იმ მცირე დროის მანძილზე, როგორც მამულიშვილმა და პრეზიდენტმა ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის კეთილდღეობისათვის“.



**მარიამ მარჯანიშვილი**  
ფილოლოგიის დოქტორი

საქართველოს ისტორიაში მისი ღვაწლის ბრწყინვალე გაელვებად დარჩება - 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის გამო დაკარგული დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენა.

ვიქტორ კახნიაშვილი თავის მოთხრობების, ნოველების, პუბლიცისტიკის, პიესებისა და ეპიგრამებით დატვირთულ წიგნში „ელირსებაო...“ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საქართველოს პირველ პრეზიდენტთან მისი ურთიერთობის ეპიზოდებს: „ზვიად გამსახურდია გავიცანი 1958 წელს მის ოჯახში სტუმრობისას. ეს ასეთნაირად მოხდა: თბილისში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა შემდგომში ცნობილი გერმანელი ქართველოლოგი, შესანიშნავი მკვლევარი, ქართული ენათმეცნიერების, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული ნარკვევების, წერილებისა და რეცენზიების ავტორი, „მოქცევაი ქართლისაის“ მშობლიურ ენაზე მთარგმნელი, პროფესორი გერტრუდ პეჩი. [ფოტო N1, 2]

მე წინასწარ ტელეფონით ვესაუბრე ბატონ კონსტანტინეს, გავანდე ქალბატონ პეჩის წადილი და ვეწვიეთ დათქმულ დროს. ქალბატონი მირანდა დიდებულად გაგვიმასპინძლდა, ბატონმა კონსტანტინემ ერთობ მოილხინა, გაიხსენა გერმანიაში გატარებული ახალგაზრდობის წლები და შინაურული კახური ღვინით დასამახსოვრებელი სადღეგრძელოები წარმოთქვა ქართველი და გერმანელი ხალხების უძველეს კულტურაზე.

საქმიანი საუბარი, რა თქმა უნდა, სუფრასთანაც გრძელდებოდა და ბატონი კონსტანტინე დათანხმდა, რომ ქალბატონი პეჩი შესდგომოდა „დიდოსტატის მარჯვენის“ უშუალოდ დედნიდან თარგმნას (იგი ბერლინის გამომცემლობა „კულტურ უნდ ფორტშრიტმა“ გამოსცა 1969 წელს). გამომ-



**გერტრუდ პეჩი**  
გერმანელი ქართველოლოგი



შვიდობებისას ბატონმა კონსტანტინემ თავისი ქალ-ვაჟი გაგვაცნო...

როცა თარგმანი მოიწონეს და გამომცემლობამ ბოლოსიტყვაობის დაწერა სთხოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იმ დროს საკმაოდ გავლენიან პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, გურამ რჩეულიშვილის მოთხოვნის - „სიკვდილი მთებში“ მთავარ პერსონაჟს ალფრედ კურელას, ბატონ კონსტანტინეს სასიკეთო შეწუხება შედარებით გამიიოლდა. მით უმეტეს, გამომცემლობა იტყობინებოდა, წარმოებაში წიგნის ჩაშვებისას ავტორთან და მთარგმნელთან ხელშეკრულება გაფორმდება და ორივეს ჰონორარი სათანადოდ აუნაზღაურდებაო. მე რომ ეს ამბავი სიტყვასიტყვით გადავეცი, ბატონმა კონსტანტინემ გაიღიმა და ასე მომმართა: „ჭაბუკო, მთავარია, წიგნი დროულად გამოიცეს, რათა ევროპამ უკეთესად გავიცნოს. რაც შეეხება ჰონორარს, აგრე რომ ფული მესაჭიროებოდეს, აგერ არა მყვანან ჩემი კეთილის მსურველნი მჟავანაძე და ჯავახიშვილიო?“

ზვიად გამსახურდიასთან ჩემ დაახლოებას შემდგომში იმანაც შეუწყო ხელი, რომ ორივემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დავამთავრეთ, მე გერმანული, ხოლო მან ინგლისური ენის განხრით.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში უცხოეთთან კავშირის განყოფილების გამგედ მუშაობისას წამდაუნუმ მიწვედა სტუმრობა ბევრ ქართველ გამოჩენილ მოღვაწესთან და მათ შორის, ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან. გერმანულ მწერლებს, მთარგმნელებს, კავკასიოლოგებსა და ქართველოლოგებს განსაკუთრებით აინტერესებდათ დიდებულ შემოქმედთან შეხვედრა და „დიდოსტატის“ ავტორიც იძულებული ხდებოდა, ხანდახან გამოენახა დრო.

1967 წელს დიდი ინგლისელი პოეტის პერსი ბიში შელლის დაბადების 175 წლისთავის გამო მეგობრობის საზოგადოებაში მომხსენებლად სწორედ ზვიად გამსახურდია მოვიწვიეთ, რადგან მას უკვე შესრულებული ჰქონდა შესანიშნავი თარგმანები. 1969 წელს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეების გამართვისას, მე და ზვიადს ერთად მოგვიხდა ყოფნა ბერლინსა და გდრ-ის სხვა ქალაქებში. 1970 წლის ზაფხულში საქართველოში სტუმრად იყვნენ ბერლინის გამომცემლობა „ფოლკ ენდ ველტის“ მთავარი რედაქტორი, ქართული ლიტერატურის უანგარო პროპაგანდისტი ლეონჰარდ კოშუტი და რედაქტორი

უტა პაპენდიკი. ზვიადმა შინ გამასპინძლება არ გვაკმარა, თვითონ მიუჯდა მანქანის საჭეს, აგვიყვანა კომკავშირის ხეივანში, კარგად გვაქეიფა და სასტუმროსთან გამომშვიდობებისას ცოტა შექეიფიანებულმა სხვათა შორის მითხრა, გერმანიიდან თუ ამნაირი მოხდენილი გოგოები მალიმალ ჩამოგდიან, შიგადაშიგ მეც არ დამივიწყო ხოლმეო...



**ზვიად გამსახურდია, ლეონჰარდ კოშუტი და ვიქტორ კახნიაშვილი**



**ზვიად გამსახურდია, უტა პაპენდიკი და ვიქტორ კახნიაშვილი**

ჩვენი მეგობრული და შემოქმედებითი თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიაში მოღვაწეობისას, სადაც მე მისი დაარსების დღიდან თავმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობდი. კოლეგიამ 1987 წელს გამოსცა ლეონარდ კოტრელის „ანტიკურობის საოცრებანის“ და შარლ ბოდლერის „ლექსები პროზად“ - ზვიად გამსახურდიასეული ქართული თარგმანები, შესრულებული ინგლისური და ფრანგული ენებიდან.

1989 წლის 9 აპრილიდან მოყოლებული, მწერალთა კავშირი, რომელსაც მაშინ მუხრან მაჭავარიანი თავკაცობდა, ქართული ეროვნული ძალების,



ძირითად გამაერთიანებელ კერპად იქცა. მართალია, 1990 წლის არჩევნებში გაიმარჯვა სამართლიანობამ, ხალხმა შვებით ამოისუნთქა და ზვიად გამსახურდი საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა, მაგრამ შინაური მოლაპატეებისა და რუსეთის სპეცსამსახურების ერთობლივი მოქმედებით საქართველოს ცა დღითიდღე შავი ღრუბლებით იფარებოდა.

ერთ დღეს მუხრან მაჭავარიანი, ან განსვენებული ამირან კალაძე და მე საგამომცემლო საქმიანობის მოსაგვარებლად ჩვენს კოლეგა პრეზიდენტს ვენვით და შემწეობა ვთხოვეთ. მან გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი და დახმარება აღვითქვა. მერე ბოლოდროინდელ მოვლენებზე გავაგრძელეთ საუბარი და მისთვის ჩვენი შეშფოთება არ დაგვიმალავს. ზვიადმა დარბაზში ბოლთის ცემა დაიწყო, უცებ შედგა და გვითხრა: მავანი და მავანი ძალისმიერი მოქმედებისკენ რომ მომინოდებენ, ეს ჩემნაირი რწმენის ადამიანისთვის ყოვლად მიუღებელია, რადგან მე მინდა, ხალხმა გვინამოს. გონებით ჩასწვდეს, გაიცნობიეროს, რომ ჩემი მიზანია, მხოლოდ და მხოლოდ მაპატმა განდის მშვიდობიანი გზით სიარული, თუ გვსურს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მცხოვრებთა, არამედ მსოფლიოს ხალხთა სრული ნდობა დავიმსახუროთ და მტერს დავუმტკიცოთ ჩვენი ერთიანობა...

1991 წლის 10 დეკემბერს წარვუდგინე მის მიერ შესრულებულ რჩეულ თარგმანთა სია (მასში თავმოყრილი იყო თითქმის ყველა ჟანრის ნაწარმოები: ძველევგვიპტური „მკვდართა წიგნიდან“, პერსი ბიში შელლის „ღრუბელი“ და „განთავისუფლებული პრომეთე“, „ამერიკელი პოეტები“, შარლ ბოდლერის „ლექსები პროზად“, რუდოლფ შტაინერის „მედიტაციები“, ოსკარ უაილდის „ზღაპრები“, ნიკოლაი გოგოლის „საშინელი შურისგება“, შექსპირის „მეფე ლირი“ (I და II აქტი) და „ზამთრის ზღაპარი“, ლეონარდ კოტრელის „ანტიკურობის საოცრებანი“), რომელიც მხატვრული თარგმანის საგამომცემლო ცენტრმა ჩემი რედაქტორობით შეადგინა და ვუთხარი, დავაარსეთ სერია - „მხატვრული თარგმანის ოსტატები“, სადაც შენ ერთ-ერთი პირველი ავტორთაგანი იქნები, ოღონდ ამ ოცდაათ თაბახიან წიგნს, ჩემი აზრით, თვით მთარგმნელის წინასიტყვაობა ესაჭიროება - მეთქი. მადლობა გადამიხადა, შევატყვე, რომ ესიამოვნა, მაგრამ შორს დაიჭირა. ძალიან დატვირთული ვარ, ღამეში სამ-ოთხ საათზე მეტი არ მძინავსო. ყველაფერს ვითვალისწინებ, მაგრამ უმაგისობა არ ეგების, რადგან, დარწმუნებული ვარ, შენი წინასიტყვაობა კიდევ უფრო დაამშვენებს ასეთ კრებულს-თქო. რაკილა

აღარ მოვეშვი, ცოტა ხანს დაფიქრდა და მითხრა, მაშ, ოთხ-ხუთ დღეში შემომიარე-ო.

მართლაც, მიუხედავად მოუცლელობისა და ქვეყანაში შექმნილი ურთულესი მდგომარეობისა, ხუთიოდე დღეში ზვიადმა გადმომცა მანქანაზე დაბეჭდილი, საკუთარი ხელით ჩასწორებული ოთხგვერდიანი „წინასიტყვა“, თან გამაფრთხილა, რედაქტორობა შენთვის მომინდვია, ოღონდ ბოლო კორექტურა აუცილებლად წამაკითხეო. ეს მოხდა 1991 წლის 15 დეკემბერს. მას შემდეგ ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ...

მაშინ რას წარმოიდგენდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის შვილი, უკეთური ცხოვრების დინების სანინააღმდეგოდ მავალი და მუდამ ხმალშემართული საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომ სულ მოკლე ხანში მოლაპატეების, ფარისევლების, შურით აღვსილ შეზღუდული გონების ე.წ ინტელიგენტთა და ფარულ მტერთა ძალის გამოყენებით მშობლიური მიწიდან განიდევნებოდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, ღვთისგან გამორჩეული ქართველი მამულიშვილი.“

დღეს, ვიქტორ კახნიაშვილის პირად არქივში ინახება ზვიად გამსახურდიას „წინასიტყვა“ (აქვე ვთავაზობთ მკითხველს) და მისი ხელით ჩასწორებული თარგმანები, რომელიც ოჯახის რელიქვიას წარმოადგენს:

„ზამთრის ზღაპარი“ მიეკუთვნება შექსპირის შემოქმედების მონიჭულ პერიოდს, ე.წ. „რომანტიკულ“ პერიოდს. ამ პერიოდის შექსპირის შემოქმედებითი კონცეფციები რადიკალურად განსხვავდებიან ადრეული პერიოდისაგან. შეიძლება ითქვას, რომ შექსპირმა ამ დროს ძირეულად გარდაქმნა ჟანრის სპეციფიკა. მისი დრამები: „ციმბელინი“, „ქარიშხალი“ და „ზამთრის ზღაპარი“ მიეკუთვნებიან ახალ, შექსპირისეულ ჟანრს, რომელიც რაღაც საშუალოა ტრაგედიას, კომედიასა და ფეერიას შორის. „ზამთრის ზღაპარზე“ მართლდება უაილდის თქმა: „დიდი ხელოვანი, დანყებული ჰომეროსითა და ესქილეთი და დამთავრებული შექსპირითა და კიტსით, უშუალო სინამდვილეს როდი მიმართავდნენ თემის ძიებისას, არამედ ეძებდნენ თემებს მითებში, ლეგენდებში და ზღაპრებში“.

„ზამთრის ზღაპარში“ საუკეთესოდ მოსჩანს, როგორ არღვევს გენიოსი საყოველთაოდ დადგენილ კანონებს, აქ დარღვეულია ყველა მანამდის არსებული დოგმა დრამატული ნაწარმოების ფორმის აგებისას. ამ მხრივ ეს ნაწარმოები შეიძლება დავუპირისპიროთ ფსევდოკლასიციზმისეულ გაგებას ლიტერატურისას, რომელიც მოითხოვდა





მწერლისაგან ერთგულებას სამუდამო დოგმებად ქცეული კანონებისას. ურიცხვი ანაქრონიზმი და ანატოპიზმი, პირობითობის როლის გაზრდა, - აი, რა იყო დამახასიათებელი ამ პერიოდის შექსპირისათვის. თუმც უნდა ითქვას, რომ მის ადრეულ ნაწარმოებებშიც ხშირად შეხვდებით მსგავს ამბებს. რაც შეეხება სტილს, ძნელია ისეთი ზოგადი განსაზღვრების მოძებნა, რომელიც წარმოდგენას მოგვცემდა შექსპირის სტილთან დამოკიდებულებაზე. შექსპირს მუდამ სჩვევია, არნახულად ლაკონური, ტევადი ფრაზა, რომელიც, სიტუაციებისდა მიხედვით ან რბილია და სურნელოვანი, ან მოქმედი სატევარივით ბასრი, - თავად ჰამლეტის გამოთქმა რომ ვიხმაროთ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ შექსპირის პერსონაჟთა მეტყველება განირჩევა იმის მიხედვით, თუ რომელ ფენას, რომელ წოდებას, ან ადამიანური ტემპერამენტის რომელ ტიპს მიეკუთვნებიან ისინი. არსებობს ნიუანსები, რომელნიც განასხვავებენ მამაკაცთა მეტყველებას ქალთა მეტყველებისაგან, აზნაურთა მეტყველებას მეფეთა მეტყველებისაგან, არისტოკრატთა მეტყველებას მდაბიოთა მეტყველებისაგან და სხვა. თვით მდაბიოთა შორის განსხვავებაა ამ მხრივ: მაგალითად, ქურდი ავტოლიკე სრულიად სხვაგვარად მეტყველებს, სხვაგვარ ქცევებსა და ჟარგონს ხმარობს ვიდრე, მაგალითად, მიაშიტი მწყემსი, მისი ანტიპოდი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: შექსპირი ჰქმნიდა თავის ხასიათებს მეტყველების საშუალებით, ვინაიდან მას არ ჰქონდა ხელთ დესკრიპტიული საშუალებები, როგორც, მაგალითად, რომელიმე რომანისტს. შექსპირის სტილის მცოდნეთათვის, მაგალითად დიდი განსხვავებაა ლაერტესისა და ჰამლეტის მეტყველებას შორის, კლავდიუსისა და პოლონიუსის მეტყველებას შორის. თვით ისეთი მსგავსი პიროვნებები, როგორიც არიან ფოლსტაფი და ავტოლიკე, სხვადასხვაგვარად მეტყველებენ. ფოლსტაფის ენა მუდამ დაკავშირებულია კულინარულ ასოციაციებთან, ავტოლიკე კი უფრო თაღლითებისა და ავაზაკებისთვის დამახასიათებელ იდიომებს ხმარობს.

ჰამლეტის სიტყვა ლავის მდულარე ღვარცობს გაგონებთ, ხოლო კლავდიუსის ენის ცივი მაღალფარდოვნება უპირისპირდება პოლონიუსის ღვარცნილ-ქარაგმულ საუბარს, რომელიც ნაძალადევი იუმორისა და საკარისკაცო ფარისევლობის ელფერს გადაიკრავს. ამიტომ შექსპირის მთარგმნელის წინაშე დგას ურთულესი ამოცანა. მან უნდა მოუძებნოს ექვივალენტები თავის ენაში იმ მრავალფეროვან სტილისტურ ნიუანსებს, რომელთა დაკარგვაც ნიშნავს თავად შექსპირის სპეციფი-

კის დაკარგვას. ერთფეროვანი, ენობრივ - სტილისტური კლიშე გამოუსადეგარია ამ შემთხვევაში. უნდა შევისწავლოთ შინაგანი „სმენით“ ამა თუ იმ გმირისათვის დამახასიათებელი ინტონაცია, ფრაზეოლოგია და წარმოიდგინეთ, სინტაქსური წყობაც! ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ იამბურ პენტამეტრსაც, უნდა გვახსოვდეს, რომ შექსპირთან იამბური პენტამეტრი მუდამ როდია სქემატური, სტატიური ფორმით მოცემული. სცენის ცოცხალი მეტყველება ვერც მოითმენდა ამას. ეს იქნებოდა უაღრესად მონოტონური, მოსაწყენი მიმდინარეობა პიესისა. გარდა იმისა, რომ ხშირად პროზა ენაცვლება იამბურ პენტამეტრს, მეტრული სქემის დარღვევაც ხდება, ალაგ-ალაგ შეიძლება დაკვირვებულმა თვალმა შეამჩნიოს vers libre-ის ჩანასახებიც, ვინაიდან ხშირად ზედმეტად სასაუბრო ინტონაციაც იჭრება ლექსში. ამიტომ საჭიროდ ვცანით ბესიკური თოხმეტმარცვლიანი ლექსის სქემაში ალაგ-ალაგ შეგვეტანა შინაგანი გადაადგილება მახვილებისა, რათა მთელი დრამის მანძილზე მონოტონური არ ყოფილიყო ჟღერადობა ლექსისა“.

შექსპირის ენის ღრმა მეცნიერულ ანალიზს აკეთებდა ზვიად გამსახვილი მაშინ, როცა „დრო იყო შესაბამის, გარემოება ვერაგი“. დრო ნამებს უთვლიდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს, რომელსაც გაანალიზებული ჰქონდა, არამართო შორეული წარსული, არამედ მსოფლიო ომები, რევოლუციები, აჯანყებები, სისხლიანი გადატრიალებები, ამიტომაც იგი მშვიდად შეეგება მის გადადგომას, რადგან „ის იყო გმირული, ძლიერი, ნიჭიერებით თვით ღმერთისა და ბუნების მიერ ცხებული ადამიანი“. ასეთ ადამიანს კი შეუძლებელია, გაუთვითცნობიერებლად გადაედგა თუნდაც ერთი ნაბიჯი და გადადგა კიდევ ეს ნაბიჯი, რათა კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი თავისი ერთგულებისა და სიყვარულისთვის საქართველოსა და მისი ხალხისადმი. და, როგორც რომენ როლანი ამბობდა „დამარცხებით გამარჯვებულმა“ პრეზიდენტმა კარგად უნყოდა „ვინც კაცთა კვლას ზეიმობს, ვერ ეღირსება ქვეყნად სიკეთეს.“

დიახ, ზვიად გამსახვილი ითვალისწინებდა იმ წინაპართა გმირულ სულისკეთებას, სიმამაცესა და რაინდულ შემართებას, რომლებიც არ ეგუებოდნენ უსამართლობას, დამცირებას, სააშკარაოზე გამოჰქონდათ უკეთური საქმენი. გარდა ამისა, მისი, როგორც შემოქმედისა და ხელოვანის უპირველესი მიზანიც ხომ თავისუფლებისთვის ბრძოლა იყო.

ასეთი იყო მთანმინდელობამდე მთანმინდელობის უკანასკნელი შემოქმედებითი კვალი.

# მეორე მსოფლიო ომი და ნააღაფარი გერმანული წიგნები საქართველოში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1948 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ქ. ლენინგრადში (სანკტ-პეტერბურგში) მეცნიერ-მუშაკთა დიდი ჯგუფი მიავლინეს, რომელმაც საქართველოს ახალდაარსებული მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის ძველი გერმანული წიგნები ჩამოიტანა. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ჯარების მიერ გერმანიის ბიბლიოთეკებიდან დატაცებული, ე.წ. ნააღაფარი, ნადავლი ლიტერატურა, რომელიც თავდაპირველად საიდუმლოდ ინახებოდა ავლაბარში, საბჭოთა კავშირის დროს საპყრობილედ გადაკეთებულ მეტეხის ტაძარში. იგი გუმბათამდე ამ წიგნებით ყოფილა სავსე - ასე მაქვს გაგონილი.

მოგვიანებით, დასტებად შეკრული ეს წიგნები ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გადმოუტანიათ ძერჟინსკის ქ. N8-ში (ამჟამად, პ. ინგოროყვას ქუჩა), სადაც იმ დროს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკაც იყო განთავსებული.

მალევე დაიწყო ნადავლი წიგნების საინვენტარო დავთრებში გატარება, აღწერა და ბარათების კატალოგში ჩართვა. წიგნები ძველგერმანულ ენაზე იყო დაბეჭდილი, გოთური შრიფტით, რაც მუშაობას აფერხებდა. კონსულტანტად მოწვეული იყო გერმანელი ქალბატონი, რომელსაც ჩვენთან დიდხანს არ უმუშავია. მეცნიერებს კი, რომელთა შორის ბევრი კარგად ფლობდა გერმანულ ენას და ჩვენს ბიბლიოთეკაში ამ წიგნების არსებობის შესახებაც იცოდნენ, საიდუმლო განკარგულებით, წიგნებს ახლოს არ აკარებდნენ, რის გამოც ბევრი მათგანი ჩვენზე განაწყენებული იყო.

მახსოვს, გასული საუკუნის სამოციან წლებში, მე მაშინ ბიბლიოთეკის თანამშრომელი ვიყავი, მეცნიერებათა აკადემიის გერმანელი სტუმარი ეწვია. მას ბიბლიოთეკის დათვალიერება მოუნდომებია (შესაძლოა, ინფორმაცია ჰქონდა აღნიშნული წიგნების თაობაზე და სპეციალური დავალებითაც იყო ჩამოსული). ბიბლიოთეკის მაშინდელმა დირექტორმა, ბატონმა ვლადიმერ უ-



**ნანა ფირცხავა**  
ბიბლიოგრაფი, მანუაჩიკა აკადემიის ბიბლიოთეკის თანამშრომელი 1962-2006 წლებში

ნაძემ, უცხოურ ლიტერატურაზე მომუშავე ჯგუფი დაიბარა და ნადავლი წიგნების ბარათების კატალოგებიდან სასწრაფოდ ამოღება დაავალა. იმ დროისათვის საინვენტარო წიგნში გატარებული გერმანული წიგნების რაოდენობა დიდი არ იყო და კატალოგებიდან ბარათები მომენტალურად გაქრა. ასე რომ, ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ნადავლი წიგნების არსებობის თაობაზე მაშინ გერმანელმა სტუმარმა ვერაფერი შეიტყო.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილი იყო, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და აკადემიის სისტემის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ბიბლიოთეკებში 80 ათასამდე ასეთი წიგნი იყო წიგნსაცავებში „საიმედოდ“ დაცული. ეს იყო XV-XVI საუკუნეებში გერმანიაში დაბეჭდილი უნიკალური წიგნები რელიგიის, სამართლის, ისტორიის, ლიტერატურის ... სფეროში.

1991 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გადაწყვიტა, გერმანიის იმდროინდელი ხელისუფლებისათვის შეეტყობინებინა ჩვენი რესპუბლიკის ბიბლიოთეკებში გერმანული წიგნების არსებობის შესახებ და მისი ურყევი გადაწყვეტილება ამ წიგნების გერმანელი ერისთვის დაბრუნების თაობაზე.

ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტი მაგონდება: ჩვენი ბიბლიოთეკის მკითხველს, ეროვნული ხელისუფლების ცნობილ მხარდამჭერს, ბატონ ირაკლი კენჭოშვილს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თანხმობით გატანილი ორი გერმანული წიგნის დაბრუნება და-





აგვიანდა. როცა წიგნების სასწრაფოდ დაბრუნება მოვთხოვეთ, პასუხად ასეთი განცხადება გამოგვიგზავნა:

„1991 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს ინიციატივით, მე დამევალა გერმანიისათვის იმ ფაქტის შეტყობინება, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ინახებოდა გერმანიიდან წამოღებული ე.წ. ტროფეული წიგნების ფონდი. ბიბლიოთეკის ფონდიდან ამოვიღე ორი განსაკუთრებით ძველი და ძვირფასად მოცემული წიგნი, რომლებიც ბრემენის ბიბლიოთეკის საკუთრებას წარმოადგენდა და გადავცე უზენაესი საბჭოს დეპუტატ თედო პაატაშვილს. მან ეს წიგნები ევროპაში ჩატარებულ ერთ-ერთ საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარადგინა და გადასცა გერმანიის დელეგაციას, რომელსაც ამასთანავე შეატყობინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გერმანული წიგნების ფონდის არსებობის შესახებ“.

ასე დაედო სათავე გერმანული ხალხისათვის ნადავლი გერმანული წიგნების დაბრუნებას.

მალე გერმანიიდან პირველი დელეგაცია ჩამოვიდა. როცა დელეგატები წიგნსაცავში შევიყვანეთ და იქ თაროებზე დალაგებული გერმანული წიგნები ვაჩვენეთ, ერთ-ერთ მათგანს ცნობისმოყვარეობამ სძლია, თაროდან წიგნი გადმოიღო, გადაშალა, თვალცრემლიანმა გულში ჩაიკრა და დაიჩოქა... წიგნს ქალაქ ბრემენის ბიბლიოთეკის ბეჭედი ერტყა.

1996 წლის 18 სექტემბერს გერმანიისთვის აღნიშნული წიგნების დაბრუნებასთან დაკავშირებით საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ე. შევარდნაძის ბრძანებულება გამოქვეყნდა და გერმანელ ხალხს დაუბრუნდა თავისი ეროვნული საუნჯე.

ასე დასრულდა საქართველოს უზენაესი საბჭოსა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახვილის მიერ წამოწყებული ეს დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, რომლის დაგვირგვინებასაც, სამწუხაროდ, საქართველოში იმ დროს დატრიალებული ტრაგედიის გამო, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ვერ მოესწრო...

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რუსეთმა უარი განაცხადა გერმანიისათვის ნადავლი წიგნების დაბრუნებაზე, სხვა რესპუბლიკებმა კი საერთოდ იუარეს - ასეთი წიგნების შესახებ არაფერი გვსმენიაო...

დამოუკიდებელი საქართველო იყო იმ დროს ერთადერთი რესპუბლიკა, რომელმაც ასეთი გონივრული და კეთილშობილური აქტი განახორციელა.



**ბრემენის ბიბლიოთეკის დირექტორი გერმანული წიგნების თაროებთან**



# ერთი კლიმენს ღანბრევიტი

(ორიოდ სიფყვა ზვიად გამსახურდიას შესახებ)

## 1-არაორდინალური აზროვნების დასაცავად

ჩემი მოსაზრებით, მყარად დამკვიდრებულია ერთი კლიმენსი:

ეროვნული გმირი, პატრიოტულ მუხტს რომ აღვივებს, მხოლოდ და მხოლოდ თავისი სამშობლოს ნაციონალური კულტურითაა მოზღუდული, და ამას, მისი ტრაფარეტული აზროვნება განაპირობებს. და სწორედ ეს შეზღუდულობა, ტრაფარეტული აზროვნება წარმართავს მას ერთი გზით - ეროვნულ გზას რომ უწოდებენ.

არადა ამ კლიმენსს არსებობას არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

სწორედ მისი დანგრევით მიიწია ავადგომი ჩემი საუბარი ჩვენი დროის ეროვნულ გმირზე - ზვიად გამსახურდიასზე.

ის არა მარტო უაღრესად განათლებული ადამიანი იყო, არამედ მას ჰქონდა არაორდინალური აზროვნება, და ამ არაორდინალურთან შეუთავსებელი - ზუსტი აზროვნებაც.

ეს მიბიძგებს, უფრო სწორედ კი შთამაგონებს არა დამკვიდრებული კლიმენსებით, არა მატარებლის სწორხაზოვან ლიანდაგზე მკითხველის მოგზაურობით ვისაუბრო, არამედ თავისუფალი ასოციაციებითა და იგავით, წარმოსახვითა და ანალოგიით, რათა შეძლებისდაგვარად, უფრო ნათლად გამოვხატო მისი სულიერი გზის არსი.

## 2- პლატონის გამოქვაბული და საბჭოთა სისტემის აბსურდი

და მე შევეცდები პლატონის ცნობილ დიალოგ „სახელმწიფოს“ მე-7 წიგნის დასაწყისში აღწერილი გამოქვაბულის მცხოვრებნი მივუსადაგო საბჭოთა სისტემაში მცხოვრებთა ტრაგიკულ ბედს. როგორც ბერძენი ფილოსოფოსი განმარტავს, გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანები აქ ცხოვრობენ ბავშვობიდან. ისინი დაბმულნი არიან ფეხებითა და კისრით ისე, რომ ზურგშექცეულები არიან გასასვლელისაკენ, საიდანაც სინათლე შემოდის.

და ჩვენ შეიძლება (ცხადია თვითნებურად) ეს აღვიქვათ, როგორც ბოლშევიკების სასტიკი რეპ-



**ჟაკაინ სირაძე**  
მწერალი, ღიგურაგურათმცოდნე

რესიების შედეგი. უკვე ყოველგვარი გასამართლების გარეშე დახვრეტილია მილიონობით ადამიანი, რომელთა შთამომავლობა ერთ დროს კითხულობდა:

- რატომ? როგორ? რისთვის?

ბოლშევიკები ცდილობდნენ, გაერიყათ ისინი საზოგადოებისაგან და დაეთრგუნათ „ხალხის მტრის“ იარლიყით. დროთა განმავლობაში დამთრგუნველმა, შიშზე დაფუძნებულმა აღზრდის სისტემამ მთლიანად წაშალა საზოგადოების ნაწილში რეპრესიების ხსოვნა.

და, როცა პლატონთან ვკითხულობთ, რომ გამოქვაბულის მკვიდრნი ზურგშექცეულნი სინათლეს ვერ ხედავენ, ეს შეიძლება საბჭოთა სისტემაში მყოფ ადამიანთა მეხსიერებას, რეალობის აღქმას მივუსადაგოთ. მათ აღარ ახსოვთ ნამდვილი, ნორმალური ყოფა - ის ცხოვრება, რომელიც სახელმწიფოს რეპრესიული მანქანით არ იმართება. ისინი დაბმულნი არიან ჯაჭვებით, რაც საბჭოთა მოძალადე ხელისუფლების ქმედების სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც არა პიროვნებაზე მორგებული, მისადაგებული წესებითა და კანონებით მართავს ადამიანებს, და ასე ქმნის სახელმწიფოს იმიტაციას.

გამოქვაბულში მცხოვრებნი ნამდვილი საგნების ნაცვლად ხედავენ ჩრდილებს, თუმცა მათ სწორედ ისინი მიაჩნიათ ნამდვილ საგნებად.

საბჭოთა სისტემაში ყველა ღირებულება ერთადერთი იდეოლოგიის ყაიდაზე იყო გამოჭრილი - ეს





იყო მარქსიზმ-ლენინიზმი, ანუ ერთგვარად „ჩრდილების“ გამოყვანილი სწავლებანი. შესაბამისად, ლიტერატურისა თუ ხელოვნებისადმი მიდგომა პრიმიტიული იყო. გაგაკვირვებდათ მათი კატეგორიული ტონი:

- დოსტოევსკიმ ვერ დაინახა, ბულგაკოვმა ვერ გაიგო, კანტმა ვერ გაიაზრა და ა.შ. და ა.შ.

და, თუ საზოგადოდ საბჭოთა კავშირში, ამ შემთხვევაში საბჭოთა საქართველოში მცხოვრებთა უმრავლესობა ვერ აცნობიერებდა საბჭოურ ტრაგედიას, ზვიად გამსახურდია პირიქით, ბავშვობაშიც კი ამ იდეით იყო შეპყრობილი. ოღონდ დემურია-კოსტავას მოგონებებიდან: მას არასოდეს უთამაშია ბავშვებთან, რადგან სულ პატარაც კი, სულ პოლიტიკაზე საუბრობდა: „მერაბ, საქართველო დაპყრობილია, ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ!“ -

და თითქოს პლატონის გამოქვაბულის ასოციაციითაა დაწერილი მისი ეს ლექსი:

„[\*\*\*]“

**ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე ნმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“**

(ზ. გამსახურდია. „წამებულ ძმისადმი“)

ან სხვაგან:

„[\*\*\*]“

**როდის დადგება ის დღე დიადი როს ბორკილს შევხსნით ერს დამცირებულს“**

(ზ. გამსახურდია. „მერაბ კოსტავას“)

**3- გაცნობიერების მცდელობანი**

ერთი წუთით დავუშვათ, რომ პლატონის გამოქვაბული (ინტერპრეტირებული, როგორც საბჭოთა სისტემა) ის ფსიქიატრიული საავადმყოფოა, რომელშიც მილოშ ფორმანის ფილმის - „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ ამბები გათამაშდება (რომელიც გადაღებულია კენ კიზის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით), ხოლო მასში მცხოვრები ადამიანები კი სასტიკი რეჟიმის - საბჭოეთის მსხვერპლნი. მოძალადე რეჟიმის სახეს განასახიერებს ვინმე მის გნუსენი - მტკიცე ხასიათის მედდა, რომელიც თავისი ზედმინვენითი გულგრილობით, სულიერი სიბეცით ადამიანებს რეჟიმის ისეთ გაუსაძლის ჩარჩოებში აქცევს, რომლის მეოხებით პაციენტის პირადი ცხოვრება აღარ არსებობს, არათუ პრაქტიკაში, არამედ იდეაშიც კი. ის უგულებელჰყოფს პაციენტის პიროვნულობას, მაშასადამე, მის უმთავრეს მახასიათებელს - არჩე-

ვანის უფლებას, მის თავისუფალ ნებას.

ფილმის დასაწყისში ყველა პაციენტი მორჩილია, უფრო მეტიც კი, როგორც საბჭოთა სისტემაში მცხოვრებთა უმრავლესობას, მათაც ვერ წარმოდგენიათ, თუ შეიძლება ამ სისტემისათვის წინააღმდეგობის განწევა.

მაგრამ არენაზე ჩნდება გმირი - 35 წლის რენდელი პატრიკ მაკმერფი. მილოშ ფორმანს, რომელსაც მთავარი გმირის იდეალიზება არ უყვარს, ის ერთდროულად გამოყვანილი ჰყავს, როგორც სიმართლისათვის მებრძოლი, უაღრესად გულისხმიერი ადამიანი და ასევე, როგორც მოთამაშე-თაღლითი (ჩემი აზრით, ამ როლში ჯეკ ნიკოლსონი შეუდარებელია). ამიტომაც, გარკვეული თვალსაზრისით უხერხულიც კია პირდაპირი პარალელი გავავლოთ ზვიად გამსახურდიასთან.

მაგრამ, ჩემი აზრით, გმირს - რენდელი პატრიკ მაკმერფის, აქვს ის მთავარი, ის თვისება, რამაც ზვიად გამსახურდიას უბიძგა ბრძოლა გაეჩაღებინა რეჟიმთან.

- ეს არის უსამართლობასთან შეურიგებლობა, ის ძრწოლა, რომელიც ადამიანს განასხვავებს ყველა სხვა ქმნილებისაგან. ეს სულის ის მღვიძარე მდგომარეობაა, რომელზედაც ფილოსოფოსები ამბობენ, რომ ის ადამიანის რაღაც უფრო მაღალ დანიშნულებაზე მიუთითებს, მიანიშნებს.

გმირის პროტესტი და ბრძოლა იწყება მაშინ, როცა ის ხედავს, თუ როგორ იღუპებიან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ადამიანები და ამის მიზეზი კი სულიერად მკვდარი მედდაა.

ეს ბრძოლა სახიფათოა, რადგან აქ, ამ საავადმყოფოში, როგორც საბჭოთა ქვეყნებში, ხალხის ისეთი „დამუშავება“ მიმდინარეობს, რომლის დროსაც ადამიანი სამუდამოდ კარგავს პიროვნულობის შეგრძნებას. და სამაგიეროდ, ისეთ ჭკუასუსტ, უნებისყოფო არსებად იქცევა, რომელიც ყველაფერს „ხალისით“, წინააღმდეგობის გარეშე იღებს. მას აღარ აქვს პიროვნების მთავარი მახასიათებელი - კრიტიკული გონება.

მაკმერფის მოსვლის წუთიდან მოაქვს არა მართო იდეა, არამედ ის მოქმედებს კიდევც. ის თვითნებურად ცვლის საავადმყოფოში დამკვიდრებულ „მკვლელ“ თერაპიას, რის შემდგომაც ყველა პაციენტი მას აღიარებს თავის ლიდერად, ადამიანად, რომელმაც გადაწყვიტა, მათი თავისუფლებისათვის იბრძოლოს.

მას სურვილი უჩნდება ამ „დაპატიმრებულ“ პაციენტებს სიცოცხლის სიხარული დაუბრუნოს; სიცოცხლის, სილამაზისა და სიამოვნების განცდის გამოცდილება შესძინოს. ამიტომაცაა, რომ მან



ყველა პაციენტში უპირობო ავტორიტეტი მოიპოვა, რადგან მათ შეასუნთქა თავისუფლების ჰაერი, განაცდევინა პიროვნებად ყოფნის ბედნიერება.

მაკმერფის შეუძლია გაიქცეს საავადმყოფოდან, მაგრამ გაქცევა გადაიდო. რადგან ის აღმოაჩენს, რომ ერთ-ერთ პაციენტს, ბავშვივით უმწეო, კეთილშობილ არსებას დახმარება სჭირდება. და ამ თავგანწირულ ქმედებას ის ეწირება კიდეც. მას უკეთებენ ლობოტომიის ოპერაციას, რომელიც მედდა გნუსენის იდეა იყო. საბოლოოდ მაკმერფი აღარ არსებობს, როგორც პიროვნება. თუმცა საბოლოოდ მისი იდეა იმარჯვებს - რომელსაც ვინმე ინდიელი ბრომდენი ახორციელებს.

ამით იმის თქმა მიიწინააღმდეგება, რომ ზვიად გამსახურდიასაც შეეძლო თავი დაეღწია ფსიქიატრიული საავადმყოფოდან - საბჭოთა კავშირიდან. შეეძლო უზრუნველი, წარმატებული და დაცული ცხოვრებით ეცხოვრა - მშვიდად გაეგრძელებინა თავისი ლიტერატურული საქმიანობა. ის, როგორც მისი შვილი, კონსტანტინე ზვ. გამსახურდია აღნიშნავს, სტუდენტობიდან მოყოლებული მუშაობდა ძველ საკრალურ ტექსტებზე, თარგმნიდა სახარებას, ილიადას, ძველევგვიპტურ „მკვდართა წიგნს“, შეისწავლიდა ფსალმუნებს, რიგვედას, უპანიშადებს.

ის თავისუფლად თარგმნიდა როგორც ინგლისურიდან, ასევე ფრანგულიდან. მას თარგმნილი აქვს ამერიკელი პოეტები: ტომას სტერნზ ელიოტი, ეზრა პაუნდი, რობინსონ ჯეფერსი, კარლ სენდბერგი, ემილი დიკინსონი, უოლტ უიტმანი და სხვა. ამ კრებულს „ამერიკელი პოეტები“ დართული აქვს

მეცნიერული სიზუსტით გამორჩეული ესსეი, რომლის სიღრმე და დიაპაზონი უფრო მეტად გვაოცებს, როცა გავიხსენებთ საბჭოთა კავშირის დაშტამპული აზროვნებით დამუხტულ სივრცეს:

**„მაშინ როდესაც ევროპა დეკადანსის მწუხრით იბურებოდა, ამერიკაში აღმოცენდა ახალი უიტმანისებური ტიპი პოეტისა, ცხოვრებასთან ნილნაყარი, მინიერი განცდებით დატვირთული.“**

ან,

**„ვეება ახალშენების, მძიმე ინდუსტრიის ფენომენალური ტექნიკის ქვეყანაში გრანდიოზული სოციალური ძვრებისა და შეჯახების ეპოქაში, უკმარი აღმოჩნდა კამერული ლირიკა ზემოხსენებული პოეტებისა. ახალ თემებს, ახალ კილოებს მოითხოვდა განახლებული ცხოვრება. ამიტომაც შეცვალა „წმინდა ხელოვნების“ იდეალები უხეშმა ჟურნალიზმმა, ხოლო ედგარ პოს რაფინირებული სალექსო სტრიქონი უიტმანის თავისუფალმა ლექსმა, რომლის ინტონაციები ხშირად „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნს“ აგონებდა მკითხველს“**

(ზ. გამსახურდია. „XX საუკუნის ამერიკული პოეზია“).

#### 4- იდეა - ეროვნული მოძრაობის ღერძი

ივანე ამირხანაშვილმა ქართული აზროვნების შენობას ახალი „აგური“, ახალი სიტყვა შეჰმატა, როცა დაწერა:

**„... მარტო მამული, ენა და სარწმუნოება არ არის საკმარისი, რომ ერმა იარსებოს, მონოლითურობა შეინარჩუნოს და ქვეყნად იქცეს. ამისთვის საჭიროა იდეა, იდეის ქონა. იდეა მარტო ცნება, მეტაფიზიკური წარმოდგენა, ან ფილოსოფიური ტერმინი არ არის. ეს არის მსოფლმხედველობა, გარე მოვლენებისადმი ადამიანის დამოკიდებულება. საერთოდ, იდეა არის ყველაზე არსებითი რამ, რაც ადამიანს, ერს, ქვეყანას აარსებებს (ხაზგასმა - ჟ.ს.)“**

ზვიად გამსახურდიამ სწორედ იდეის ხორცშესხმით დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, ეროვნული მოძრაობა. ამისათვის მან ნაბიჯ-ნაბიჯ განამზადა ამ ბრძოლის არა შენობა, არამედ საძირკველი. საძირკველი - ეს იყო იდეის განმარტება, ინტერპრეტაცია და მისი პროპაგანდა. თავდაპირველად ქართველს უნდა გაეხსენებინა, შეემეცნებინა თავისი ისტორია, თავისი წარსული და თავისი ფუნქცია მსოფლიო კონტექსტში. ილიას სიცოცხლის მაფუნდებელი ქართული საზრისი - მამული, ენა, სარწმუნოება - უნდა გააზრებელიყო, იდეით შემოსილიყო, და თანამედროვეობის სუნთქვა მისცემოდა.





ზვიად გამსახურდიას თანახმად, ქართული კულტურის ისტორია საბჭოთა მეცნიერების მიერ იყო უზურპირებული, თავისივე ინტერესებისადმი დაქვემდებარებული. მაგ., მარქსისტული თეორიის მოხმობით, ქართველი ერი ერთად ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში და, რომ მანამდე იგი თურმე არც ერთი ყოფილა და არც არსებობდა. თურმე მეცხრამეტე საუკუნეში შემოვიდა კაპიტალიზმი და ამან განაპირობა ქართველი ერის ერთად ქცევა.

ზვიად გამსახურდიას ლექციები ქართველთა ეთნოგენეზისზე იმ მიზნით შეიქმნა, რათა ქართველს აღედგინა თავისი წარსული, გაეხსენებინა თავისი ისტორია, რომელიც უმთავრესად ეფუძნებოდა გერმანელი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევებს.

ამას მოჰყვა ასევე გამოკვლევა „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“, სადაც ის აცხადებს, რომ „...იოანე ზოსიმეს „ქებაჲ“ ეხება არა მხოლოდ ქართულ ენას, როგორც ასეთს, არამედ ქართველ ერს, ქართულ ეთნოსს, მის კულტურულ მისსიას, როგორც ეს ესმოდათ საქართველოს ენოტერულ-ქრისტიანულ წრეებში (რომელნიც ეკლესიისგან განცალკევებით როდი არსებობდნენ)“ (ხაზგასმა -ჟ.ს).“

ზვიად გამსახურდიამ ასევე გამოკვლეა ქართველი ერის მისია, როცა იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება ასე განმარტა:

„...ქართული ენა, ქართული მოდგმა, [...] მისი მისსია იგივე სულიწმიდის მისსიაა, ე.ი. სულიწმიდა ქართული ენის, ანუ ქართული მოდგმის მეშვეობით განახორციელებს თავის მისსიას, როდესაც ამხელს კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს“ (ზ. გამსახურდია. „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“) (ხაზგასმა -ჟ.ს).“

თავის ნაშრომში კი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“ გაითვალისწინა ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებანი და პიროვნულად ისე გააფართოვა „ვეფხისტყაოსნის“ ნაკითხვის დიაპაზონი, რომ თითქოს ქართულ საზოგადოებას „თვალი აეხილა“ და სულ თავიდან წაიკითხა ის წიგნი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ლამის ზეპირად იცოდა; წიგნი, რითაც სულს იამებდა, სიბრძნეს იუნჯებდა და მოაზროვნეთა თანახმად, წიგნი, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში სპარსულ ენას თავისი არსებობით გადაულახავი ჯებირები აღუმართა.

ზვიად გამსახურდიამ შექმნა პოეზია, რომელიც მისი პიროვნების, მისი სამყაროს ამხსნელი გასაღებია, და როგორც კონსტანტინე ზვ. გამსახურდია განმარტავს, მის პოეზიაში: **„[...] ტაძარი თითქოს კარიბჭეა მისტერიებს დამონაფებელი პოეტის გზაზე, ან, უფრო სწორად, ამ გზის დასაწყისია. [...] კითხვა შესაქმნის მაკროსამყაროული ანბანისა, რომლის ასოებიც ტაძრის მონაკვეთლობებში, ორნამენტებსა და კედელთმხატვრობაშია განივთებული [...]“** (კ.ზვ. გამსახურდია. „ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფია და შემოქმედება“).

ამ ნაშრომების, ამ პოეზიის, ამ თარგმანების მიღმა იმ დროის ქართველმა საზოგადოებამ შეიცნო და აღიარა ის პიროვნება, რომლის ბრძოლის შინაარსი განსაცვიფრებელია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ის უაღრესად განათლებული ადამიანი იყო და შესაბამისად, კარგად იცნობდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, მაშასადამე ნაკითხული ჰქონდა ნიცშეს, ფროიდის, მარქსის, დარვინის ნაშრომები, რომელნიც თანამედროვე სამყაროს იმ მოთამაშე ფიგურებად იქცნენ, ბერნი საუკუნის ყველა ცთომილებას გზა რომ გაუხსნეს, ფასეულობათა იერარქია ამოაყირავეს და ქეზმარიტება სისულელით ან, უკეთეს შემთხვევაში, გულწრფელობით შეცვალეს.

და იმ დროის მსოფლიოში, როდესაც ადამიანში გაუქმებული იყო „შერყეული ღვთის ხატება და მსგავსება“, ის შეეცადა, ისევ და ისევ ძველი დროების შესაბამისად, ქრისტიანული რწმენით აღენთო ქართველი საზოგადოება.

ზვიად გამსახურდია თავისი ღვთისმოსაობით იმ დროში ბევრს აოცებდა. მაგალითად, ჯერ კიდევ ათეისტურ საბჭოთა კავშირში 1980 წლის აპრილში სამების ეკლესიაში, როგორც თემურ ცერცვაძე იხსენებს, ნათლობის რიტუალის დროს მან მღვდელი შეაჩერა და ნათლის ლოცვა წარმოთქვა, რითაც დამსწრე საზოგადოება განაცვიფრა. არა და, მან ყველა საეკლესიო რიტუალი ზედმიწევნით იცოდა. ისიც ცნობილი იყო, რომ ზვიად გამსახურდია და მისი მეგობრები ჩუმად შედიოდნენ თითქმის გაუქმებულ ტაძრებში და იქ საგალობლებს ასრულებდნენ, ლოცვებს ალაველდნენ.

ამ ღრმადმორწმუნე კაცის საჯარო ლექციებმა თუ მისმა გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა ქართველ ერში თავისი არსებობის მნიშვნელობის რწმენა აღაზვეა და, როცა ეროვნული მოძრაობა დაიწყო, ეს არ იყო სტიქიური, აფექტური მოვლენა, არამედ ილიას „სიცოცხლის მაფუძნებელი“ - ცენტრალური ბგერის“ - მამული, ენა, სარწმუნოება - იდეის თანამედროვე შინაარსით გაცოცხლება. და ასე იქცა ქართველი ერის ეროვნული მოძრაობა შეგნებულ, გაცნობიერებულ პროტესტად.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ამერიკელი პოეტები. - თბ.: საბჭ. საქართველო, 1971
2. გამსახურდია, ზვიად. წერილები, ესსეები. - თბ.: ხელოვნება, 1991
3. გამსახურდია, ზვიად. „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“. - თბ.: მეცნიერება, 1991
4. გამსახურდია, ზვიად. კოსმიური წირვა. - თბ.: ხომლი ენ, 2014
5. გამსახურდია, კონსტანტინე ზვ. ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფია და შემოქმედება // კოსმიური წირვა / ზ. გამსახურდია. - თბ., 2014. - გვ.3-22.
6. ზვიად გამსახურდია. 79 ამბავი. - თბ.: არტანუჯი, 2018



# ზვიად გამსახურდიას მხატვრული შემოქმედება, თარგმანები, სამეცნიერო ნაშრომები

## ბიბლიოგრაფიული სია 1959-1993

**1961-ერთი ლექსიკონის გამო** / ზვიად გამსახურდია // ლიტ. გაზეთი. - 1961. - 1 სექტ. (N36). - გვ. 3. - რეცენზია წიგნზე: ქართულ სინონიმთა ლექსიკონი / ალ. ნეიმანი. - თბ., 1961.

**1963-რობერტ ფროსტი** / ზვიად გამსახურდია // მნათობი. - 1963. - N4. - გვ.113-118. - ამერიკელი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

**1966-ულიამ მორისი** / ზვიად გამსახურდია // პირველი სხივი. - 1966. - N7. - გვ. 315-332. - ინგლისელი პოეტის შესახებ.

**1967-თარგმნითი ლიტერატურის საჭიროება** / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1967. - 5 მაისი (N19). - გვ. 2.

**1968-ა. თაყაიშვილის „ენა ძველი, ენა ახალი“** / ზვიად გამსახურდია // ცისკარი. - 1968. - N12. - გვ.119-124.

**1969-მე, უოლტ უიტმანი, კოსმოსი** / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1969. - 13 ივნ. (N24). - გვ. 3-4.

**შენიშვნები XX საუკუნის ამერიკულ პოეზიაზე** / ზვიად გამსახურდია // ხომლი. - 1969. - N2. - გვ. 289-297.

**1970-ილუზიები და სინამდვილე** / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1970. - 10 ივლ. (N28). - გვ. 3-4. - გამომხატურება შურნალ „ცისკრის“ მე-12 ნომერში დაბეჭდილ რ. თვარაძის წერილზე „მთლიანი საქართველოს მესიტყვე“, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებას ეძღვნება.

**1971-ამერიკის სახალხო პოეზია [ კ. სენდბერგი ]** / ზვიად გამსახურდია // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1971. - 25 დეკ. (N52). - გვ. 3.

**[იგავები]:** უნდობლობის მსხვერპლი; ღამის მგოსანი; სიარულის თეორეტიკოსი / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1971. - 5 ნოემბ. (N45). - გვ. 2.

**[ლექსები]:** ქვაბთახევის ელეგია; დრომან ისტორიის დაზიდა სათავე; ვაჟა საავადმყოფოში / ზვიად გამსახურდია // მნათობი. - 1971. - N12. - გვ. 105-107.

**მცირე განმარტება** / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1971. - 12 თებ. (N11). - გამომხატურება „ლიტ. საქართველოს“ 1970 წ. 18 სექტ. ნომერში დაბეჭდილ ვ. ბაკაშვილის წერილზე „მხოლოდ სინამდვილე“ და გ. ასათიანის წერილზე „მეტი სინათლე“ (1970 2, 9 ოქტ.).

**ტრადიციის გაგება ო. ს. ელიოტის შემოქმედებაში** / ზვიად გამსახურდია // ცისკარი. - 1971. - N4. - გვ.127-133.

**[წინასიტყვა]** / ზვიად გამსახურდია // ირლანდიური საგები / თარგმნა შ. ჩანტლაძემ. - 1971. - გვ. 5-12.

**1972-განთიადი არმაზისხვეში: [ლექსი]** / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1972. - 18 თებ. (N7). - გვ. 2.

**ენათმეცნიერის დღიურიდან : იუმორესკა** / ზვი-

ად გამსახურდია // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1972. - 15 ივნ. (N72). - გვ. 4.

**„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე** / ზვიად გამსახურდია // საქ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. - 1972. - N2. - გვ.33-56; N4. - გვ.89-108. - მარჯორი სკოტ უორდროპისა და ვენერა ურუშაძის თარგმანების შესახებ.

**[იგავები]:** არწივი და თხუნელა; ხე და ნაცარი; ფარშავანგი და გველი; სიხარბის მსხვერპლი; სასანთლე და სანთელი / ზვიად გამსახურდია // დროშა. - 1972. - N7. - გვ. 20.

**XX საუკუნის ამერიკული პოეზია:** [ლიტერატურული მიმოხილვა] / ზვიად გამსახურდია. - თბ.: განათლება, 1972. - 143 გვ.; 14 სმ. - (სტუდენტის ბიბლიოთეკა).

**ცრამლნარავი ღიმილი: იგავ-არაკი** / ზვიად გამსახურდია // კომუნიზმის მშენებელი. - ხობი, 1972. - 25 აპრ. (N50). - გვ. 4.

**1973-დავით გარეჯი ვეღარ მოიცილს** / კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1973. - 2 მარტი (N9). - გვ. 2. - მონასტრის დაცვის შესახებ.

**ერთი უმართაბულო რეცენზიის გამო** / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1973. - 27 ივლ. (N30). - პასუხი ალ. ქინჭარაულის წერილზე „ილიადას“ პირველი ქების თარგმანის გამო“ (ცისკარი, 1973. - N3).

**პარსი ბიჭი შელის ლირიკა** / ზვიად გამსახურდია // ცისკარი. - 1973. - N2. - გვ.132-141

**რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები** („ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებთან დაკავშირებით): დისერტაცია ფილოლოგ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად / ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია; თსუ. - თბ., 1963. - გვ. 189. - ბიბლიოგრ.: გვ. 178-189. - დისერტაცია დაცულია: 14.12.1973. **ГАМСАХУРДИА, З.К.** (Звиад Константинович). Вопросы мировоззрения Руставели (в связи с английскими переводами “Вепхисткаосани”) : Автореферат дис. на соиск. учен. степ. канд. филол. Наук 10.01.03 / З.К. Гамсахурдия ; ТГУ. - Тбилиси : Изд-во Тбил. ун-та, 1973. - 22с.

**1974-[ლექსები]:** დაღუპული კომუნისტების ხსოვნას; გალაკტიონ ტაბიძისადმი; მიძღვნა; ღამე კახეთში; წრომი; ბოდლერი / ზვიად გამსახურდია // მნათობი. - 1974. - N5. - გვ. 113-115.

**[იგავები]:** არწივი და თხუნელა; ხე და ნაცარი; ფარშავანგი და გველი; სასანთლე და სანთელი / ზვიად გამსახურდია // დროშა. - შუახევი, 1974. - 28 მარტი (N37). - გვ. 4.

**მთელი სოფლის საზრუნავი** / ზვიად გამსახურდია // სოფლის ცხოვრება. - 1974. - 15 ნოემბ. (N265). - გვ. 3. - საქართველოში ძველთა დაცვის გამო.

**ქაგლაბი უჩვიან სოფლის გულგრილობას** / ზ. გამსახურდია, ნ. სივსივაძე // ახალგაზრდა კომუ-





ნისტი. - 1974. - 19 ოქტ. (N126). - გვ. 4. - სოფელ პატარძელის ისტორიული ძეგლების დაცვის გამო.

**1975-[თხზულებაანი]:** პოემა. ლექსები: იოანე ოქროპირის წირვა; დიდება; სულეთის ცისარტყელა; მელქისედეკი; ლოცვა; უძღები შვილი; საიქიო; სამება; გველის ამაღლება; გალაკტიონ ტაბიძისადმი; \*\*\* (ლამე იღვენთება); გროტესკი; აპოკალიპსური ელდა; საავადმყოფოში (დავით კაკაბაძისადმი); მოგონება; ღამე; შეღლის სტანსები; \*\*\* (ღამეა მსგავსება ედემის); ზღაპარი: მგელთავა და ცეცხლის გასაღები / ზვიად გამსახურდია // ოქროს საწმისი / თსუ. - 1975. - N3. - გვ. 8-26, 35-49.

**[ლაქსები]:** ქაშვეთი; მწუხრის პეიზაჟი / ზვიად გამსახურდია // ოქროს საწმისი. მასალები ახალგაზრდა მწერალთა წრისათვის (ფილოლოგიური ფაკულტეტი) / თსუ. - 1975. - N1. - გვ. 60-61.

**განთოლებაანი: [ლაქსი]** / ზვიად გამსახურდია // ოქროს საწმისი / თსუ. - 1975. - N2. - გვ. 30-34.

**ვეფხისტყაოსნის „ერთარსება“ და „მზა ხატი“** / ზვიად გამსახურდია // საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე. - თბილისი, 1975. - N3. - გვ. 5-29. (ენისა და ლიტერატურის სერია).

**მოსაგონარი** (გურამ რჩეულიშვილის დაბადების 40 წლისთავის გამო): სიტყვა წარმოთქმული გურამ რჩეულიშვილის საღამოზე მწერალთა კავშირში 1971 წ. / ზვიად გამსახურდია // ოქროს საწმისი. მასალები ახალგაზრდა მწერალთა წრისათვის (ფილოლოგიური ფაკულტეტი) / თსუ. - 1975. - N1. - გვ. 113-119.

**საწმისი, საწმისი ღრუბელს ნიშნავს ქართულად...** : [ჟურნალის სარედაქციო წერილი] / ზვიად გამსახურდია // ოქროს საწმისი. მასალები ახალგაზრდა მწერალთა წრისათვის (ფილოლოგიური ფაკულტეტი) / თსუ. - 1975. - N1. - გვ. 1-2.

**„ლია ბარათის“ პასუხი** / ზვიად გამსახურდია // ცისკარი. - 1975. - N3. - გვ.150-157. - გამოხმაურება აღ. ჟინჭარაულის წერილზე „ლია ბარათი ზვიად გამსახურდიას“, ჰომეროსის „ილიადას“ გამსახურდიასეული თარგმანის გამო (ცისკარი. 1974, N4).

**1976-ლიტერატურული წერილები** / ზვიად გამსახურდია; რედ.: ლ. ნანიტაშვილი; მხატვ.: ლ. გრიგოლია. - თბ. : საბჭ. საქართველო, 1976. - 188გვ. ; 20სმ.

**შინაარსი:** COR CORDIUM (პერსი ბიში შელის ლირიკა); ტრადიციის გაგება ტ.ს. ელიოტის შემოქმედებაში; მე - უოლტ უიტმანი, კოსმოსი; კარლ სენდბერგი - ამერიკის სახალხო პოეტი; რობერტ ფროსტი; ედვინ არლინგტონ რობინსონი; ვილიამ მორრისი; პრერაფაელიზმი და უაილდის ზღაპრები; სვიფტის „გულივერის მოგზაურობანი“ ქართულ ენაზე; ძველირლანდიური საგა და მითოსი; თარგმნითი ლიტერატურის საჭიროებანი; ერთი ლექსიკონის გამო; „ცისკრის“ 1959 წ. ნოემბერში მოთავსებულ თარგმანთა მიმოხილვა; გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი; რუსთაველის ანთროპოლოგიის ერთი პრობლემა.

**1979-მეყვანი კათილი** / ზვიად გამსახურდია // სოფლის ცხოვრება. - 1979. - 21, 22, 24 ივლისი (N168-170). - ნარკვევი ქართველ მეცხვარეებზე.

**1980-ერთანინდობა** / ზვიად გამსახურდია // საღვთისმეტყველო კრებული / საქართველოს საპატრიარქო. - 1980. - N2. - გვ. 91-94.

**წიდა მონაჟანი შალვა, ელიზბარ და ბიძინა** / ზვიად გამსახურდია // საღვთისმეტყველო კრებული / საქართველოს საპატრიარქო. - 1980. - N2 3. - გვ. 89-90

**ბრიგოლ ხანძთლის დღე** / ზვიად გამსახურდია // საღვთისმეტყველო კრებული / საქართველოს საპატრიარქო. - 1980. - N2 6. - [39-44].

**1982-„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სტიქონის ნიშნული თარგმანი** / ზვიად გამსახურდია // საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია. - 1982. - N2. - გვ.137-149. - N4. - გვ.157-167.

**1984-გოეთეს მსოფლმხედველობა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით** / ზვიად გამსახურდია // ცისკარი. - 1984. - N5. - გვ.149-157.

**„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე** / ზვიად გამსახურდია; რედ.: ს. ცაიშვილი; შოთა რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ-რის ისტორიის ინ-ტი. - თბ. : მეცნიერება, 1984. - 221 გვ. ; 21 სმ. - რეზ. რუს. და ინგლ. - „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანების მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზი.

**რუსთაველი და ანთონი I** / ზვიად გამსახურდია // საქ. მეცნ. აკად. მაცნე: ენისა და ლიტერატურის სერია. - 1984. - N1. - გვ.75-87; N3. - გვ.95-107; N4. - გვ.42-51.

**1985-ქალის კული „თამარინა“ და „ვეფხისტყაოსანში“** / ზვიად გამსახურდია // საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე. - 1985. - ტ.119, N2. - გვ.429-431. - რეზ. რუს. და ინგლ. ენ.

**ძირითადი დასკვნები** / ზვიად გამსახურდია // წიგნის სამყარო. - 1985. - N23. - გვ. 3. - ავტორს ჩამოყალიბებული აქვს ძირითადი დასკვნები მონოგრაფიისა - „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“ (თბ., 1984).

**1986-მისხეთისადმი** : [ლექსი] / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1986. - 24 ოქტ. (N43). - გვ.7; წითელი დროშა. - ახალციხე, 1989. - 7 ნომბ. (N130). - გვ. 1; სამთო ქიმიკა. - თბილისი, 1990. - 13 ივნ. (N20). - გვ. 4.

**1987-იგავები და ზღაპრები** / ზვიად გამსახურდია; რედ.: ნანა გოგოძე; მხატვ.: ს. ცინცაძე. - პირველი გამოცემა. - თბ. : ნაკადული, 1987. - 71 გვ. ; 17 სმ.

**შინაარსი:** იგავები: ღამის მგოსანი; თვალხილული და ბრმადშობილი; ბრმების ქალაქი; ფარშავანი და გველი; ფუტკარი და პეპელა; ხე და ნაცარი; მფრინავი და პოეტი; უნდობლობის მსხვერპლი; ორი ღომის ამბავი; სიხარბის მსხვერპლი; ცრემლწარვეი ღიმი; სიარულის თეორეტიკოსი; თეთრი ყორანი; ღორი და მარგალიტი; ცვარი და მზე; მფრინავი თევზი და თოლია; არწივი და ბაყაყები; ადამიანი და სარკე; თოფი და დურბინი; გველის სიბერე; მორიელი და ფუტკარი; გადამწყვეტი არგუმენტი; კრეისერი და წყალქვეშა ნავი; პატივმოყვარე ზღარბი; კოვზი და ზღვა; ია და მზე; სირაქლემა და გველი; მიწის მოვალენი; სასანთლე და სანთელი; არწივი და თხუნელა; ფუტკრების კონკურსი; სახე და ნილაბი; თვითმფრინავის „გამომგონებელი“; თევზები და გველთევზა; ხეობების გუნდი; მწყემსი და მგლები; კაცი და მზე; შევარდენი და ყორანი; მელას დისერტაცია; თერსიტეს გაცოცხლება; თვითმარქვია მაიმუნი; გულმონყალე კატა; აქლემი და კვერნა; ხელმოცარული მოგზაური; კეთილგონიერი ექიმი; არწივი და ბუზები; ბრმების ქვეყანა. ზღაპრები: მგელთავა და ამაღლების ციხე; „იუპიტერის“ საიდუმლო; სასწორთვალა და უწონადო ხმის ქაბუკი.

**„ვეფხისტყაოსანი“ და წმინდა გიორგის კული** / ზვიად გამსახურდია // ლიტერატურული ძიებანი. - 1987. - ტ. II (XVII). - გვ.212-249. - რეზ. რუს. ენაზე.

**„ვეფხისტყაოსნის“ სიბოლოური ონოგოლოგი-**



**გიო / ზვიად გამსახურდია** // საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე. - 1987. - ტ.127, N3. - გვ.657-660. - რეზ. რუს. და ინგლ. ენ.

**„თაპარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“** / ზვიად გამსახურდია // საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე. - 1987. - N4. - გვ.62-88. - (ენისა და ლიტერატურის სერია). - რეზ. რუს. ენ.

**[ლექსები]:** პალადიუმის რაინდისადმი / ბაირონისადმი; კაპრიჩიო / ე. ვირსალაძეს / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1987. - 13 თებ. (N7). - გვ. 7.

**„ქაბად და დიდებად ქართულისა ენისად“**: [მეცნიერული გამოკვლევა] / ზვიად გამსახურდია // ცისკარი. - 1987. - N3. - გვ.130-148.

**1989-მთვარის ნიშნობა** : ლექსები / ზვიად გამსახურდია; რედ.: ლეილა მესხი. - თბ. : მერანი, 1989. - 85 გვ.; 17 სმ.

**შინაარსი**: მიძღვნა (სონეტი); განთიადი არმაზისხევში; მესხეთისადმი; წრომი; ვეფხისტყაოსნის სიმღერისა; სიონის ელეგია; მოგონება; წამთა წამება; ქვაბთახევის ელეგია; ბოდლერი; მთვარის ნიშნობა (გალაკტიონ ტაბიძისადმი); თრთვილი; ღამე იღვენთება; მთვარიანი მთა; საღამო; რობინსონ ჯეფერსი; BAGATELLE; კონსტანტინე ჭიჭინაძისადმი; მარაბდა; ქაშვეთი; ქართველი ჯარისკაცი კიევთან (ზურაბ ფალავანდიშვილის ხსოვნას); პოეტი და მუზა; ლაშარის ხატი (ვახტანგ რაზიკაშვილისადმი); CAPRICCIO (ელისო ვირსალაძის კონცერტზე); აქა ამბავი სცილასი; WIR PHILOLOGEN; პალადიუმის რაინდისადმი (ბაირონისადმი); ციურიხის „ამირანის“ გამომცემლობის მესვეურებს; მთაწმინდა; შენი ღიმილი (სონეტი მანანასადმი); დავით კაკაბაძე; L'IMPRESSIONISME; SACRA STELLA (გრიუნვალდის მადონას სურათზე); საუკუნე უახლესი; შელოის მოტივებზე (სტანსები); ციკლი - „კოსმიური წირვა“; ციკლიდან - „ტერენტი გრანელი“.

**ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი გამოცემისთვის** / ზვიად გამსახურდია // საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე. - 1989. - N4. - გვ.39-55. - (ენისა და ლიტ-რის სერია). - რეზ. რუს. ენ. - ტექსტოლოგიური პრობლემები ვახტანგისეულ, საიუბილეო და 1957 წლის გამომცემბთან დაკავშირებით.

**[ლექსები]:** მესხეთისადმი; საუკუნე უახლესი / ზვიად გამსახურდია // წიგნის სამყარო. - 1989. - 25 ოქტ. (N20). - გვ. 3.

**„სამეგრელოს საკითხი“** ისაკი ჟვანია და სამეგრელოს ავტონომია / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1989. - 3 ნოემბ. (N44). - გვ.6-7, 11; რინა. - 1989. - N3. - გვ.126-136.

**სამეგრელოს საკითხი** : [წერილი მეორე] / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1989. - 22 დეკ. (N51). - გვ. 5-6.

**საქართველოს სსრ** ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობის პრეზიდიუმისადმი (1980 წ.) / ზვიად გამსახურდია, საქართველოს სსრ ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მუშაკი, საზოგადოებრივ საწყისებზე // მატინე / საქ. პელსინკის ჯგუფისა და წმინდა ილია მართლის საზ-ბის საინფორმაციო ჟურნალი. - თბილისი, 1989. - N4. - გვ. 24-26; მატინე. - თბილისი, 1990. - N4. - გვ. 48-50. - აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული კულტურის ძეგლების სავალალო მდგომარეობის შესახებ.

**ნამეპულ ძმისადმი**: [ლექსი] / ზვიად გამსახურდია // ახალგაზრდა კომუნისტი. - 1989. - 17 ოქტ. (N123). - გვ. 3; განახლებული მესხეთი. - ადიგენი,

1989. - 21 ოქტ. (N122). - გვ. 2; ელმავალშენებელი. - თბილისი, 1990. - 23 მაისი (N19). - გვ. 3; საბჭოთა აფხაზეთი. - სოხუმი, 1990. - 13 ოქტ. (N198). - გვ. 3; იმედი. - ქედა, 1991. - 25 მაისი (N52). - გვ. 2; ახალი კოლხეთი. - ფოთი, 1991. - 25 მაისი (N63). - გვ. 1; გურჯაანი. - გურჯაანი, 1991. - 25 მაისი (N60). - გვ. 3; რესპუბლიკა. - თბილისი, 1991. - 21 მაისი (N19). - გვ. 10.

**1990-საქართველოს სულიერი მისია** / ზვიად გამსახურდია; რედ.: ვახტანგ ბახტაძე; ახალგ. შემოქმედთა ექსპერიმ. ცენტრი. - თბ. : განათლება, 1990. - 112 გვ.; 20 სმ.

**ალღოგოა** : [ლექსი] / ზვიად გამსახურდია // სარანგი. - 1990. - 22 აპრ. (N2). - გვ. 1.

**„ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილი გამოცემისთვის** / ზვიად გამსახურდია // ქართული მწერლობა. - 1990. - N3. - გვ. 99-115. - საუბარია პოემის ზოგიერთ ტექსტოლოგიურ პრობლემებზე, „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილების წაკითხვასა და ინტერპრეტაციაზე, აგრეთვე რუსთველოლოგიური კვლევის საკითხებზე ვახტანგ მეექვსის დროიდან დღემდე.

**ზვიად გამსახურდია**: რუსთაველი ბურჯია ქართული პატრიოტიზმისა : [ინტერვიუ] / საუბარი მიჰყავდა ო. გოლიაძეს // სახალხო განათლება. - 1990. - 29 მარტი (N13). - გვ.4. - საუბარი მეცნიერთან მის სადისერტაციო სფეროსთან დაკავშირებით.

**ირლანდიური საგები** / ზვიად გამსახურდია // სოფლის ცხოვრება. - 1990. - 14 ნოემბ. (N130). - გვ. 6. - შ. ჩანტლაძის მიერ ქართულად გადმოღებული გმირული ეპოსის წინათქმის ფრაგმენტი.

**[ლექსები]:** მიძღვნა; მთვარის ნიშნობა; ციურიხის „ამირანის“ გამომცემლობის მესვეურებს; პოეტი და მუზა / ზვიად გამსახურდია // აბაშა. - აბაშა, 1990. - 12 მაისი (N57). - გვ. 3.

**[ლექსები]:** მთვარის ნიშნობა / გ. ტაბიძეს; მიძღვნა; მოგონება; საუკუნე უახლესი // ქიზიყი. - სიღნაღი, 1990. - 3 ივლ. (N80). - გვ. 3.

**ძე ქარიშხლისა** // ლექსები / მერაბ კოსტავა. - თბ., 1990. - გვ. 3-10; ლიტ. საქართველო. - თბილისი, 1990. - 25 მაისი (N21). - გვ. 4. - მერაბ კოსტავას ლექსების კრებულის წინასიტყვაობა.

**საქართველოს სულიერი მისია** : [ერთი ლექცია კრებულიდან „საქართველოს სულიერი მისია“] / ზვიად გამსახურდია // სამშობლო. - 1990. - ნოემბ. (N22). - გვ. 4-6.

**ქართული მიწის ძალა** / ზვიად გამსახურდია // ახალგაზრდა ივერიელი. - 1990. - 31 მარტი (N35). - გვ. - მოგონებები ციხეში გატარებული მძიმე დღეებისა.

**ЗВИАД ГАМСАХУРДИЯ**: Руставели-вдохновитель грузинского патриотизма : [интервью] / 3. Гамсахурдия ; Записал О. Голиадзе // Народное образование. - 1990. - 1 апр. (№13). - с.4.

**НАЦИОНАЛЬНОМУ ДВИЖЕНИЮ НУЖНЫ ВСЕСТОРОННЕ** образованные, культурные люди / 3. Гамсахурдия ; Пер. Т. Калатозишвили // Народное образование. - 1990. - 8 апр. (№13). - с.3

**1991-ვეფხისტყაოსნის სახისმთქველვა** / ზვიად გამსახურდია; რედ.: სარგის ცაიშვილი; საქ. მეცნ. აკად., რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინ-ტი. - თბ. : მეცნიერება, 1991. - 356 გვ.

**წერილები, ესეები** / ზვიად გამსახურდია. - თბ. : ხელოვნება, 1991. - 572 გვ.; 20 სმ.

**შინაარსი**: ქება და დიდება ქართულისა ენი-





სად; რუსთაველი და ანტონი I; თამარიანი და ვეფხისტყაოსანი; რუსთაველის ანთროპოლოგიის ერთი პრობლემა; ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი გამოცემისათვის; საქართველოს სულიერი მისია; COR CORDIUM; ტრადიციის გაგება ტ.ს. ელიოტის შემოქმედებაში; მე - უოლტ უიტმანი, კოსმოსი; კარლ სენდბერგი - ამერიკის სახალხო პოეტი; რობერტ ფროსტი; ედვინ არლინგტონ რობინსონი; ვილიამ მორისი; პრერაფაელიზმი და უაილდის ზღაპრები; სვიფტის „გულივერის მოგზაურობანი“ ქართულ ენაზე; ძველირლანდიური საგა და მითოსი; შექსპირის ისტორიული ქრონიკა „ჰენრი IV“; თარგმნითი ლიტერატურის საჭიროებანი; ერთი ლექსიკონის გამო; კონსტანტინე გამსახურდია და ქრისტიანობა; შენიშვნები შ. იუნგერისა და ა. სოტოვარის წიგნზე კ. გამსახურდია და დასავლეთ ევროპული კულტურა; პასუხის პასუხი, ანუ აუცილებელი განმარტება რ. სტივენსონს; პოეტური მეტყველებითათვის; „ცისკრის“ 1959 წ. ნოემბერში მოთავსებულ თარგმანთა მიმოხილვა; ილუზიები და სინამდვილე; განმარტების სიტყვა; რეცენზია თუ პასქვილი; მტყუანს კარამდე მიჰყვანენ; თ. ფანჯიკიძის ტრაგედია; კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის გამო ღია წერილი კ. გამსახურდიას სახელობის თეატრის მთავარ რეჟისორ ბ-ნ გოგი ქავთვრადქსთან; ა. თაყაიშვილის „ენა ძველი, ენა ახალი“; გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი; რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსადმი; „მკვახე შეძახილის“ ექმ.

**გრიგოლ რობაქიძის უცნობი წერილი** / ზვიად გამსახურდია // ლიტ. საქართველო. - 1991. - 4 იანვ. (N1). - გვ. 3-5. - ზვიად გამსახურდია აქვეყნებს კ. გამსახურდიასადმი მიწერილ გრიგოლ რობაქიძის უცნობ წერილს, რომელიც წლების განმავლობაში სუკ-ის არქივში ინახებოდა. ზ. გამსახურდია მოკლედ აცნობს საზოგადოებას ამ წერილის შინაარსსა და მიზანს.

**გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი** / ზვიად გამსახურდია // შანსი. - 1991. - 25 მაისი (N 21). - გვ. 6. **„და ელვარებადს ივართა ზეცა...“**: [ფრაგმენტი ლექსისა „წამებულ ძმისადმი“] / ზვიად გამსახურდია // ენგური. - ზუგდიდი. - 1991. - N1. - გვ. 7.

**ზვიად გამსახურდია. პრეზიდენტი პოლიტიკის გარეშე**: [ინტერვიუ] / ინტერვიუ ჩამოართვა გურამ პეტრიაშვილმა // შანსი. - 1991. - 25 მაისი (N 21). - გვ. 2. - საქართველოს ტელევიზიით გადაცემული ინტერვიუს შემოკლებული ვერსია.

**წინასიტყვა** // ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად: (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის, ვენის, კოპენჰაგენისა და პარიზის თათბირების დასკვნითი აქტები და მასალები) / ზვიად გამსახურდია; რედ.: თ. ქორიძე; საქ. რესპ. ი. ჭავჭავაძის სახ. საზ-ბა „ცოდნა“. - თბ. 1991. - გვ. 3-8.

**THE SPIRITUAL MISSION OF GEORGIA** = საქართველოს სულიერი მისია / Zviad Gamsakhurdia ; [transl. by Arrian Tchanturia ; ed. by William Safranek ; des. by Vakhtang Rurua, Giorgi Kakabadze]. - Tb. : Ganatleba, 1991. - 94 p. ; 21 cm.. - Bibliogr. in the text notes.

**ДА ИМЕННО МУЧЕНИЦА! (ЕДИНСТВЕННАЯ АРАГВИНКА)** / ზვიად გამსახურდია // Вечерний Тбилиси. - 1991. - 14 фев. (N 29). - ჟურნალისტ ნაზი შამანაურის სიკვდილიდან 7 წლისთავის გამო.

**1993-МЕЖДУ ПУСТЫНЕЙ И ПУСТЫНЬЮ** / ზვიად გამსახურდია // Литературная Газета. - М., 1993. - 14

апр. (T15). - ст. 3. - [გაზეთის რედაქციის მინანქრიდან]: ლევ ტოლსტოისადმი მიძღვნილი ეს წერილი ინერებოდა 1977-1978 წლებში მოსკოვში, ლეფორტოვოს ციხეში. იგი ავტორის მიერ თავდაპირველად წიგნად იყო ჩაფიქრებული. ციხეში დამკვიდრებული წესების მიხედვით, იკძალებოდა რაიმე ნაწერის გამოტანა ციხიდან, ამიტომ გათავისუფლების შემდეგ, ზ. გამსახურდიამ იგი მესხიერებით აღადგინა და წარუდგინა მკითხველს.

**ЧЕЛОВЕЧЕСТВО ПЕРЕД ДИЛЕММОЙ**: Сборник статей / Звиад Гамсахурдия; Ред.: Ираклий Кенчовшили - М. : Актриса Маргарита, 1993.- 82 ст.

**შინაარსი**: Человечество перед дилеммой; Борьба Толстого (Между пустыней и пустынью); Константин Гамсахурдия и Христианство; Я - Уолт уйтмен - Космос; Понимание традиции в творчестве Т.С. Элиота; О подпольном издании «Архипелаг Гулаг» в Грузии; Огон Алаверди (Воспоминание о Гургаме Рчеулишвили); COR CORDIUM (Лирика Перси Биши Шелли).

## თარგმანები

**გოგოლი, ნიკოლაი. საპინელი შურისგება** : [მოთხრობა] / თარგმნა ზვიად გამსახურდიამ // საუნჯე. - 1983. - N3. - გვ.48-78.

**ძველევნიკობური „გვადართა წიგნიდან“** / თარგმნა ზვიად გამსახურდიამ // ცისკარი. - 1985. - N7. - გვ.97-104.

**ჰოპაროსი. ილიადა** : [ქება პირველი] / თარგმნა ზვიად გამსახურდიამ // ცისკარი. - 1972. - N8. - გვ. 89-102.

## ინგლისური ენიდან

**ამერიკელი კოთახი** / ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. გამსახურდიამ ; რედ.: ნ. ყიასაშვილი; მხატვ.: ს. გირკელიძე. - თბ. : საბჭ. საქართველო, 1971. - 103გვ.; 16სმ.

**შინაარსი**: უოლტ უიტმანი: გემების ქალაქი; კოსმოსი; უბრალო მეძავისადმი; რა ვარ, ნეტავი; მანაჰატა; ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო! შეკითხვები ჩემი სამოცდაათი წლისთავისადმი; ახლა, როცა ვწერ. ემილი დიკინსონი: გაზაფხულს სჩვევია ნათელი; ჩიტი გადმოფრინდა ბილიკზე. ედვინ არლინგტონ რობინსონი: მინევერ ჩივი. ედგარ ლი მასტერსი: გორაკი; ენ რუტლეჯი. რობერტ ფროსტი: ნოემბრის სტუმარი; ცეცხლი და ყინული; გართხმულნი; Pertinax; ოქტომბრის დილა; მშვენიერი იქნენ შემოჩვენი; დასავლეთისკენ მიმდინარე ნაკადული; კარლ სენდბერგი: არჩევანი; ბალახი; ცივ სამარეში; ჩიკაგო; ჯალათი თავის ცოლ-შვილში; რიცხვების კაცი; სიკვდილი ცხვირში ხელს მოავლავებს გულამაყ კაცს; ფსალმუნი უთენია გამოსულთათვის; პირველი კლასის ექსპრესი; უდაბნო; „შეიძლება“. ვეიჩელ ლინდბი: ზანგური ქადაგება - საიმონ ლეგრი. უოლეს სტივენსი: პიტერ კვინსი კლავიატურასთან; შეტქმულება გოლიათის წინააღმდეგ. ეზრა პაუნდი: მწუხრის ლიტანია; კუნძული ტბაზე; პაპირუსი; ძველებური სიბრძნე, უმაღ კოსმიური; ეპიტაფიები; პაგანი, ნოემბრის 8; მოდი დავდოთ პაქტი, უოლტ უიტმანი; De Aegypto. რობინსონ ჯეფერსი: ცუდი სიზმრების აპოლოგია; დაჭრილი ქორი; თვალი. D (ჰილდა დულიტლი): ელენე. ტომას



სტერნზ ელიოტი: ქარიანი ღამის რაფსოდია; კაცის ფიტულები; ჰიპოპოტამი; „ბოსტონ ივინგ ტრანსკრიპტი“; პოემიდან „ოთხი კვარტეტი“; პოემიდან „ივარქმნილი მინა“; წყალში სიკვდილი; მუხის ნათქვამი. ჯონ პილ ბიშოპი: საუბარი პოეზიაზე.

**ამერიკელი პოეტები.** [ლექსები]: ბალახი / კარლ სენდბერგი (1878); ცუდი სიზმრების აპოლოგია; დაჭრილი ქორი / რობინსონ ჯეფერსი (1887); ზანგური ქადაგება: სიმონ ლეგრი / ვეიჩელ ლინდბი (1879-1931); მნუხრის ლიტანია / ეზრა პაუნდი; ქარიანი ღამის რაფსოდია / ტ.ს. ელიოტი (1888-1965) / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // მნათობი. - 1965. - N7. - გვ. 54-62.

**ამერიკელი პოეტები:** [ლექსები]: კაცის ფიტულები / ტომას სტერნზ ელიოტი; ჩიკაგო / კარლ სენდბერგი; მინევერ ჩივი / ედვინ არლინგტონ რობინსონი / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ხომლი. - 1969. - N2. - გვ.182-187.

**ამერიკელი პოეტები:** [ლექსები]: ლექსები მთვარეზე; რა სთქვა ჟღალფრთიანმა ფერიამ; რა სთქვა ჯამბაზმა; რა სთქვა ბოსტონის საფრთხობელამ; რა სთქვა მემალარომე უდაბნოში; რა სთქვა აფთარმა; მთვარე-საცეცხლური; რა სთქვა განდევილმა / ვეიჩელ ლინდბი. - ეპილოგი; იესოს ფერხითი; ცეცხლი; ცოდვილი; ანგელოსთა ფრთები; ერთობლივი დაღადა; ტამბურინ / ლენგსტონ ჰაუზ. - წიგნიდან „თვალღიად გულღიად“. აეროპორტის მანტრა; ღამის ნათელი; სპონტანურ-ანარქისტულ-პაციფისტურ-ბუდისტური სიმღერა; მზის დიდი სურთა; სინათლის მანტრათა დედა / ლორენს ფერლი-ნგეტტი. - ღმუილის სქოლიო / ალფრედ გინზბერგ / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // საუნჯე. - 1985. - N1. - გვ.193-194

**ელიოტი, ტომას სტერნზ.** კრიტიკის დანიშნულება / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ლიტ. საქართველო. - 1970. - 21 აგვ. (N34). - გვ. 3.

**[თარგმნილი ლექსები]** ჰიპოპოტამი / ტომას სტერნზ ელიოტი; გაზაფხულს სჩვევია ნათელი / ემილი დიკინსონი; ელენე / H.D. / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ლიტ. საქართველო. - 1970. - 30 იანვ. (N5). - გვ. 4.

**კოტრალი, ლეონარდ.** ანტიკურობის საოცრებანი = Wonders of Antiquity / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი; საქ. მწერალთა კავშ. არსებ. მხატვრ. თარგმნ. და ლიტ. ურთიერთ. მთ. სარედ. კოლეგია. - თბ.: განათლება, 1987. - 158გვ.

**მასტარსი, ედგარ ლი. გორაკი :** [ლექსი] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ლიტ. საქართველო. - 1967. - 29 სექტ. (N39).

**რობინსონი, ედვინ არლინგტონ.** მინევერ ჩივი : [ლექსი] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ხომლი. - 1969. - N2. - გვ.186-187.

**სანდბერგი, კარლ.** ჯალათი თავის ცოლშვილში: [ლექსი] // ლიტ. საქართველო. - 1967. - 29 სექტ. (N39). - გვ. 3.

**სანდბერგი, კარლ.** სიკვდილი ცხვირში ხელს წაავლებს გულამაყ კაცს; პირველი კლასის ექსპრესი; უდაბნო : [პატარა მოთხრობები] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ცისკარი. - 1969. - N9. - გვ.112-113.

**სანდბერგი, კარლ. ჩიკაგო :** [ლექსი] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ხომლი. - 1969. - N2. - გვ.185-186.

**სტივენსი, უოლეს.** პიტერ კვინსი კლავიატურასთან : [ლექსი] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // საბჭოთა ხელოვნება. - 1963. - N9. - გვ.55.

**უაილდი, ოსკარ.** ვარდი და ბუღბუღი : [ზღაპრი] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ლიტ. გაზეთი. - 1959. - 4 დეკ. (N49). - გვ.3-4.

**უაილდი, ოსკარ.** თავკერძა გოლიათი : [ზღაპარი] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ლიტ. გაზეთი. - 1960. - 15 ივლ. (N29). - გვ. 3.

**უაილდი, ოსკარ.** მებადური და მისი სული : [მოთხრობა] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // მნათობი. - 1960. - N2. - გვ. 59-81.

**უიბანი, უოლტ.** [ლექსები]: გემების ქალაქი; კოსმოსი; რა ვარ ნეტავი; მანნაჰატა; ახლა, როცა ვნერ / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ბალახის ფოთლები. - თბ.: ნაკადული, 1966. - გვ. 83-90. - მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკა.

**უიბანი, უოლტ.** ო, კაპიტანო! ჩემო კაპიტანო! : [ლექსი] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ლიტ. საქართველო. - 1969. - 13 ივნ. (N24). - გვ. 4.

**ფროსტი, რობერტ.** ნოემბრის სტუმარი; გართხმული : [ლექსები] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ლიტ. გაზეთი. - 1962. - 2 ნოემბ. (N45). - გვ. 4.

**ფროსტი, რობერტ.** [ლექსები]: ცეცხლი და ყინული; Pertinax; სიფრთხილე; წუთისოფელი; ოქტომბრის დილა; მშვენიერნი იქნენ შემრჩენი / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // მნათობი. - 1962. - N12. - გვ. 86-88.

**ფროსტი, რობერტ.** დასავლეთისკენ მიმდინარე ნაკადული / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ლიტ. საქართველო. - 1963. - 2 აგვ. (N34). - გვ. 4.

**შალლი, პარსი-ბიში.** ღრუბელი : [ლექსი] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ლიტ. გაზეთი. - 1962. - 24 აგვ. (N35). - გვ. 4.

**შალი, პარსი-ბიში.** განთავისუფლებული პრომეთე : [ოთხ მოქმედებიანი ლირიკული დრამა. აქტი I] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // ცისკარი. - 1962. - N1. - გვ. 90-100.

**შამსპირი, უილიამ.** ზამთრის ზღაპარი : [რომანტიკული დრამა] / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // საბჭოთა ხელოვნება. - 1965. - N1. - გვ. 24-27; N3. - გვ. 54-56; N12. - გვ.55-58; 1967. - N6. - გვ. 77-80; 1968. - N1. - გვ. 77-80; 1969. - N6. - გვ.60-63; 1969. - N7. - გვ.43-45.

**შამსპირი, უილიამ.** მეფე ლირი: [პიესა] აქტი I / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი // მნათობი. - 1969. - N8. - გვ.63-84; აქტი II // მნათობი. - თბილისი, 1970. - N9. - გვ.54-56.

**ფრანგული ენიდან**

**ბოდლერი, შარლ.** ლექსები პროზად : (პარიზის სპილინი) / თარგმნა ზვიად გამსახურდიანი; საქ. მწერ. კავშ. არსებ. მხატვრ. თარგმ. და ლიტ. ურთიერთ. მთ. სარედ. კოლეგია. - თბ.: საქართველო, 1991. - 171 გვ.; 17 სმ.

**მინარსი:** არსენ ჰუსესადმი; უცხო; დედაბრის ვარამი; მხატვრის აღსარება; ტაკიმასხარა; ორმაგი ოთახი; ყველას თავისი ქიმერა ჰყავს; ვენერა და მასხარა; ძალი და ფლაკონი; ცუდი მეშუშე; ღამის პირველი საათი; ველური ქალი და პრანჭია საყვარელი; ბრბო; ქვრივები; ბებერი ჯამბაზი; ნამცხვარი; საათი; ნახევარი სამყარო თმაში; მიპატივება სამოგზაუროდ; ღარიბის სათამაშო; ფერიების ძღვენი; ცდუნებანი, ანუ ეროსი, პლუტოსი და დიდება; მიმწუნრი; მარტოობა; გეგმები; კვლავი დროითა; ღარიბთა თვალები; გმირული სიკვდილი; ყალბი ფული; თოკი; მოწოდება; თირბუსი; თრობა; უკვე! ფანჯრები; გამოსახვის წყურვილი;





მთვარის ქვემოქმედებანი; რომელია ორთაგან ნამდვილი? ჯიშინი ცხენი; სარკე; ნავსადგური; საყვარლების პორტრეტები; გალანტური მსროლე-ლი; სუპი და ღრუბლები; ტირი და სასაფლაო; შარავანდის დაკარგვა; მადმუაზელ ბისტური; ANYWHERE OUT OF THE WORLD - საითაც გსურს გავეშუროთ, ოღონდ გავეცალოთ ამ სამყაროს; მივასიკვდილოთ უპოვარნი! საბრალო ძაღლები; ეპილოგი.

**ბოდლარი, შარლ.** ლექსები პროზად: ორმაგი ოთახი; ღამის პირველი საათი; ბრბო; მთვარის ქველმოქმედებანი; ტირი და სასაფლაო; თირბუსი; სუპი და ღრუბლები; ANY WHERE OUT OF THE WORLD საითაც გსურს გავეშუროთ, ოღონდ გავეცალოთ ამ სამყაროს; მარტოობა; ცდუნებანი, ანუ ეროსი, პლუტოსი და დიდება; დიდსულოვანი მოთამაშე; მხატვრის აღსარება; რომელია ქეშმარიტი? / თარგმნა ზვიად გამსახურდიამ // საუნჯე. - 1984. - N2. - გვ.270-285.

**ბოდლარი, შარლ.** [ლექსები პროზად]: უცხოელი,




დედაბრის ვარამი, ქვრივები, ბებერი ჯამბაზი, ღარიბის სათამაშო, ღარიბთა თვალები / თარგმნა ზვიად გამსახურდიამ // ლიტ. საქართველო. - 1985. - 11 იანვ. (N2) - გვ. 15.

**ბოდლარი, შარლ.** [ლექსები პროზად]: ვენერა და მასხარა; გამოსახვის წყურვილი; ტაკიმასხარა; ნახევარი სამყარო - თამაში; ჯიშინი ცხენი; უკვე; ნავსადგური; ნამცხვარი / თარგმნა ზვიად გამსახურდიამ // ლიტ. საქართველო. - თბილისი, 1985. - 6 დეკ. (N49). - გვ.14.

**ბოდლარი, შარლ.** [ლექსები პროზად]: საათი; ფანჯრები / თარგმნა ზვიად გამსახურდიამ // წიგნის სამყარო. - 1986. - N1. - გვ.8.

**ბოდლარი, შარლ.** ლექსები პროზად : თოკი; გმირული სიკვდილი; ცუდი მეშუშე; საყვარლების პორტრეტები; მადმუაზელ ბისტური; მოწოდებანი; საბრძოლო ძაღლები / თარგმნა ზვიად გამსახურდიამ // საუნჯე. - 1987. - N1. - გვ.68-88.

ბიბლიოგრაფიული სია შეადგინა მაია მიქაბერიძემ









## თანამშრომლობის მემორანდუმი საბერძნეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების მნიშვნელოვანი გაგრძელება გახდა 13 სექტემბერს ათენში საბერძნეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინე გამსახურდიამ და საბერძნეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ხრისა ნიკოლაუმ. საბერძნეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული შეხვედრებისას ქართველმა და ბერძენმა კოლეგებმა მომავალი თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს. წარმომადგენლები საბიბლიოთეკო საქმეში ბერძნული მხარის გამოცდილებასაც გაეცნენ. მემორანდუმის მიხედვით ბევრი მიმართულებით დაიგეგმა თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

საბერძნეთში ვიზიტის დროს, 14-15 სექტემბე-

რს, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებმა შეხვედრები გამართეს ათენის კულტურის ცენტრ „კავკასიაში“ შეკრებილ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან. შეხვედრებს ესწრებოდნენ საქართველოს ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში ლევან ბერიძე და დესპანი ვარლამ ბაძაღუა. სტუმრებს უმასპინძლა ათენის კულტურის ცენტრ „კავკასიას“ დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა, ბატონმა ავთანდილ მიქაბერიძემ


კონსტანტინე გამსახურდიამ ჩაატარა საჯარო ლექცია და დისკუსია აქტუალურ საკითხებზე. დიასპორასთან შეხვედრისას ასევე გაიმართა მისი წიგნების, „სამშობლოსა და ერი-სახელმწიფოსთვის“ და „ისტორიულ-ლიტერატურული ათინათების“ წარდგენა.

ათენის კულტურის ცენტრ „კავკასიას“ გადაეცა უახლესი ქართული გამოცემები აქ მოქმედი ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული ბიბლიოთეკისათვის.



სტუმრად ათენის ქართული კულტურის ცენტრ „კავკასიაში“

# ძვირფასო მკითხველო,



**რუსუფან ასათიანი**  
საქართველოს საბიბლიოთეკო-ინფორმაციის კრეატივი



ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერი საქართველოს საგანმანათლებლო სფეროში განუვლი უდიდესი ღვაწლისთვის ეძღვნება საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხსოვნას.

მოგეხსენებათ, 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ, როდესაც ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ქვეყნის მართვა გადაიბარა ეროვნულმა ხელისუფლებამ, საქართველოსთვის ახალი ეპოქა დაიწყო.


ზვიად გამსახურდია გახლდათ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფუძემდებელი და წინამძღოლი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი-რეფორმატორი, რომელსაც კომუნისტური რეჟიმის მიერ დატოვებულ მძიმე ვითარებაში ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი და ურთულესი მისია - საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ხვდა წილად.

ზვიად გამსახურდიას ბრძოლის შედეგად საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული არჩევნები და დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, აღდგა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები, განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმები და გაღრმავდა ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან. აღნიშნული რეფორმების შედეგია მაშინდელი მარქსის სახელობის ყოფილი რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის სტატუსის შეცვლა - მისი გარდაქმნა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკად და უმაღლესი საბიბლიოთეკო სტატუსის მინიჭება.

მოგეხსენებათ, საბჭოთა პერიოდში, დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით არ არსებობდა ტერმინი „ეროვნული ბიბლიოთეკა“, რომელიც მხოლოდ დამოუკიდებელი ქვეყნის ატრიბუტია. ამასთან, საბჭოთა კავშირში ფუნქციონირებდა მხოლოდ სხვადასხვა კატეგორიის საჯარო ბიბლიოთეკები და არ არსებობდა ეროვნული ბიბლიოთეკა, რომელიც ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ თბილისის მარქსის სახელობის რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკას ზვიად გამსახურდიას ინიციატივით 1990 წელს მიენიჭა ეროვნული ბიბლიოთეკის სტატუსი და ეწოდა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. ამასთან, 1991 წელს მისივე ინიციატივით საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის ეროვნული ბიბლიოთეკა, გახდა საბიბლიოთეკო სფეროში უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფედერაციის IFLA-ს (საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და ინსტიტუციების საერთაშორისო ფედერაცია) წევრი.

ჩვენ დიდი მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ ზვიად გამსახურდიას მიერ განხორციელებულ ფასდაუდებელ რეფორმებს საბიბლიოთეკო სფეროში. აღნიშნული რეფორმების შედეგია ჩვენი მოკრძალებული ადგილი და საქმიანობა მსოფლიო საბიბლიოთეკო ქსელში და თანასწორი ურთიერთობა მსოფლიოს წამყვან საბიბლიოთეკო ორგანიზაციებთან.





# საბიბლიოთეკო ასოციაციის ახალი სივრცე

**მარიკა ახვლედიანი**  
საბიბლიოთეკო ასოციაციის  
აღმასრულებელი დირექტორი



მთელს მსოფლიოში ბიბლიოთეკა საზოგადოების საუკეთესო მიზნებს ემსახურება, ინახავს ინდივიდების და ჯგუფების ისტორიულ გამოცდილებას, შემოქმედებას.

ბიბლიოთეკის და მასში დაცული მხატვრული, სამეცნიერო თუ სხვა ტიპის ლიტერატურის დირექტორება და მნიშვნელობა საზოგადოებისთვის ნაწილობრივ ცნობილია, თუმცა მას ბევრად მეტი შესაძლებლობა აქვს როგორც ინსტრუმენტს საზოგადოების ცხოვრებაში. მისი ადამიანური და არამატერიალური რესურსი პიროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება გახდეს ინდივიდის სოციალიზაციის მნიშვნელოვანი აქტორი, სოციალიზაცია თავის მხრივ ადამიანის გზაა მუდმივად მიიღოს გარემოდან იმპულსები და მასზე რეაგირების გზით თავი დაიმკვიდროს საზოგადოების ცხოვრებაში როგორც ინდივიდმა ან ჯგუფის ნაწილმა. ძლიერი პიროვნებები კი ქმნიან ჯანსაღ საზოგადოებას, რომლის მთავარ ინტერესსაც ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს.

სამოქალაქო საზოგადოების შენების პროცესი სოციალიზაციაში მონაწილე აქტორების შეთანხმებულ ქმედებებზეა დამოკიდებული, ძირითადი მაინც სკოლა, ოჯახი და ის მიკრო გარემოა, სადაც მოზარდი ფსიქო-ემოციურად ყალიბდება. საგულისხმოა, რომ ზემოთ ნახსენებ სოციალიზაციაში

მონაწილე უმნიშვნელოვანესი აქტორებისთვის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საერთო ნიშანია. ოჯახში ბიბლიოთეკა მისი განათლებისკენ სწრაფვის სიმბოლოა, სკოლებში აუცილებლობა და გარემოში (უბანი, დაბა, ქალაქი) განათლების ხელმისაწვდომობის წინაპირობა.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიზანი მუდმივად ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკარების საუკეთესო მიზნების დაცვას ემსახურებოდა. ეს არასდროს შეიცვლება, თუმცა, ასოციაციის ამბიციია, მოიცვას უფრო მეტი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საბიბლიოთეკო სივრცე, მზარდია.

საბიბლიოთეკო ასოციაციის 2024 წლის 15 თებერვლის პირველ შეკრებას ასზე მეტი მონაწილე ესწრებოდა. ასოციაციის პრეზიდენტმა, რუსუდან ასათიანმა ახალი აღმასრულებელი დირექტორი - მარიკა ახვლედიანი წარადგინა, რომელმაც თავის მხრივ ის იდეები და გეგმები გააცნო დამსწრე საზოგადოებას, რომელთა განხორციელებასაც მიმდინარე წელს გეგმავს ასოციაცია. საგულისხმოა, რომ საბიბლიოთეკო ასოციაციის დაგეგმილ ღონისძიებებში უმნიშვნელოვანესი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობის გაგრძელებაა.

შეხვედრამ მრავალი ახალი გამოწვევა და მიზანი გააჩინა, მათ შორის უმნიშვნელოვანესი

ბიბლიოთეკარების მხარდაჭერა, საქართველოს კანონმდებლობაში ბიბლიოთეკარის პროფესიის სტანდარტის რეგულირება და სტატუსის ცვლილების ადვოკატირება იყო, რასაც თავის მხრივ შეუძლია პოზიტიური გავლენა იქონიოს ბიბლიოთეკართა მოტივაციაზე, საშუალო ანაზღაურებაზე და პროფესიით დაინტერესებული ადამიანების რაოდენობის ზრდაზე.

ბიბლიოთეკართა მხრიდან ასევე გაუღერდა მოძველებული ფონდების ჩამოწმის და ფონდიდან გარიცხვის საკითხი, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან აქტიური თანამშრომლობით პროცედურათა გაზიარება და შემდგომ მოდიფიკაცია დაიგეგმა.

ბიბლიოთეკარებისთვის სენსიტიური იყო საქალაქო და მუნიციპალური ბიბლიოთეკების დახურვის პრობლემები. მათი აზრით, აღნიშნულ საკითხზე ერთპიროვნული უფლება სასურველია კულტურის სამინისტროს ჰქონდეს.

გამონწვევათა კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, დაიგეგმა სამომავლო ვიწრო ჯგუფური შეხვედრები საკითხის უკეთ შესწავლის, შემდგომი ადვოკატირების მიზნით.

შეკრების მომდევნო მნიშვნელოვანი თემა შეეხო სასკოლო და მუნიციპალური ბიბლიოთეკების როლის მოდერნიზებას, მათ სოციალურ სივრცეებად გადაქცევის შესაძლებლობას, სადაც მთავარი აქტორი ბიბლიოთეკარი იქნება. საბიბლიოთეკო სივრცე და მოტივირებული ბიბლიოთეკარი ბიბლიოთეკაპიის განხორციელების იდეალური წინაპირობაა, განსაკუთრებით ლიტერატურის მოყვარული ახალგაზრდებისთვის, მათი ფსიქო-ემოციური და სოციალური როლის ზრდისთვის.

ბიბლიოთეკაპია ხორციელდება ლიტერატურის ჯგუფური კითხვის და განხილვის საშუალებით. მისი ამოცანაა – ადამიანის, პიროვნების ახლებურად აღზრდა მწერლის მხატვრული, ემოციური და ფსიქოლოგიური ოსტატობის ზემოქმედებით; მას შეუძლია, დაანახოს ახალგაზრდას არსებული კონფლიქტური, რთული სიტუაციების გადაჭრის გზები.

შემდეგი პროექტის მონახაზი შეეხებოდა საბიბლიოთეკო სივრცის ისეთ სივრცედ გადაქცევას, სადაც ახალგაზრდას საშუალება მიეცემა, მიიღოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, ასევე გაზარდოს პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაცია, ბიბლიოთეკარის მხრიდან წინასწარ და სწორად შერჩეული ლიტერატურის მიწოდებით. ბიბლიოთეკის სივრცეში რომელიმე წინასწარ შერჩეული კუთხის დათმობა ფლავრებისთვის, ბროშურებისთვის და სხვა საინფორმაციო ფურცლებისთვის, ამას დამატებული შეხვედრების და სამოქალაქო განათლების გაკვეთილების კოლაბორაცია, ბიბლიოთეკას უსაფრთხო სამოქალაქო განათლების კუთხედ გადააქცევს.

15 თებერვლის შეხვედრაზე ბიბლიოთეკარებმა ერთმანეთს გაუზიარეს სფეროს მიღწევები და გამონწვევები, მიიღეს ინფორმაცია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის კვირეულის თარიღების შესახებ რომელიც 30 აპრილს გაიხსნება. კვირეულზე წარმოდგენილი თემების და მონაწილეების შესახებ ინფორმაცია სხვა და სხვა დამხმარე პლატფორმების საშუალებით გახდება საჯარო.



# ალექსანდრე ლორია-90 მწერალი, მეცნიერი, ჟურნალისტი

მაია მიქაბერიძე

წელს მწერალს, მეცნიერსა და ჟურნალისტს, ალექსანდრე ლორიას, შეუსრულდა დაბადებიდან 90 წლისთავი. ალ. ლორია ქართველ ინტელექტუალთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც მთელ თავიანთ ნიჭსა და ენერჯიას ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარების საპასუხისმგებლო საქმეში ხარჯავენ. იგი მრავალმხრივი მოღვაწეა, თუმცა ძნელია, გამოარჩიო, რომელი სფეროა მისთვის უმთავრესი: ლიტერატურული შექმნა, სამეცნიერო შრომა თუ ჟურნალისტიკა.

ალექსანდრე ლორია - მწერალი. ალ. ლორია ყოველთვის ირჩევდა გაუკვალავ გზას და იწყებდა იმ მიმართულებით მუშაობას, რომელიც ქართული კულტურის განვითარების უწყვეტ ჯაჭვში ყველაზე

სუსტ რგოლად მიაჩნდა. ასე მოხდა, თუნდაც, მისი სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისში, ლიტერატურული ჟანრის შერჩევას. ალ. ლორიამ ახალგაზრდობიდანვე დაიწყო საყმაწვილო მოთხრობების წერა. როგორც აღნიშნავს თავის მოგონებათა წიგნში „წარსულის ექო“, მან შეგნებულად აირჩია საყმაწვილო ლიტერატურა, რადგან იმ პერიოდში ამ მიმართულების ნაწარმოებები თითო-ორიოდა თუ იწერებოდა. არა და, ადამიანის პიროვნული განვითარების გზაზე ერთ-ერთი, თუ ყველაზე მეტად არა, ურთულესი პერიოდი სწორედ ყმაწვილობის ასაკია. ყმაწვილის ხასიათის სწორად ჩამოყალიბებაზე, სხვა აღმზრდელით საშუალებებთან ერთად, მხატვრული სიტყვა ახდენს უმნიშვნელოვანეს გავლენას.



ვლენას. ალ. ლორიას საყმაწვილო მოთხრობებს, რომლებიც დრო და დრო იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალებში, მრავალი მკითხველი ჰყავდა სწორედ მოზარდ თაობაში, ხოლო ორმა მათგანმა - „კვამლი მთაში“ და „ეს დაუდგარი არდადეგები“, ლიტერატურულ კონკურსებშიც გაიმარჯვა.

საყმაწვილო მოთხრობების გარდა, ალ. ლორია არის აგრეთვე ავტორი ლექსებისა და დრამატული ნაწარმოებებისა. და მაინც, მის ლიტერატურულ შემოქმედებაში, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ადგილზე სწორედ საყმაწვილო მოთხრობებია მათი მხატვრული ღირებულებებისა და აღმზრდელობითი დატვირთვის გამო.

ალექსანდრე ლორია - მეცნიერი. მეცნიერულ მუშაობა ალ. ლორიამ დაიწყო იმ პერიოდისათვის ახლად ჩამოყალიბებულ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში. იგი წლების განმავლობაში იყო მაშინდელი ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა საქართველოს საბიბლიოთეკო დარგის პროფესიონალთა მრავალი თაობა. ალ. ლორია ხედავდა, რომ ქართულ ენაზე ცოტა იყო საბიბლიოთეკო პროფესიული ლიტერატურა, რაც საქართველოში ამ დარგის განვითარების პერსპექტივას სერიოზულად უშლიდა ხელს. მეცნიერმა დიდი მუშაობა ჩაატარა ამ მიმართულებით და თანამოაზრეებთან ერთად შექმნა საბიბლიოთეკო დარგობრივი ნაშრომები, როგორც სახელმძღვანელოები მომავალი სპეციალისტებისათვის, ასევე მეთოდოლოგიური ხასიათის ლიტერატურა მოქმედი ბიბლიოთეკარებისათვის. მიზანმიმართული მუშაობის შედეგად ქართული სამეცნიერო ლიტერატურა გამდიდრდა საბიბლიოთეკო პროფესიული წიგნებით, რამაც საფუძველი გაუყარა კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს რგოლს საქართველოში.

ალ. ლორიას სამეცნიერო სტატიები დაბეჭდილია ქართულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში. მისი ავტორობით გამცემულ წიგნებში მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავებულია საბიბლიოთეკო საქმის ისტორიისა და კითხვის მართვის პრობლემები. მან ჩამოაყალიბა ახალი სამეცნიერო სისტემა - ლექტოლოგია, რომელსაც განვითარების საინტერესო პერსპექტივები აქვს წინ.

დღეისათვის ალ. ლორია არის სამეცნიერო და პუბლიცისტური ხასიათის 170-მდე სტატიის ავტორი. ასევე, მისი ავტორობით გამოცემულია 23 წიგნი, რომელთაგან 17 მხატვრული ლიტერატურაა (რომანები, მოთხრობები, პიესები, ლექსები), ხოლო 6 - სამეცნიერო ნაშრომი.

ალექსანდრე ლორია - ჟურნალისტი. საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულებში მომხდარმა სოციალ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად დააზარა-

ლა ქვეყნის საბიბლიოთეკო სისტემა. განადგურდა საბიბლიოთეკო ფონდები, ბევრი ბიბლიოთეკა დაიხურა. ხელისუფლების მხრიდან სრული უყურადღებობის პირობებში თვითონ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებმა გადანყვიტეს ეზრუნათ ამ საქმეზე. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი წამოწყება იყო საბიბლიოთეკო პროფესიული ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, რომელიც ალ. ლორიასა და მისი თანამოაზრეების ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსდა 2000 წელს. ალ. ლორია სათავეში ჩაუდგა ჟურნალს და 20 წლის განმავლობაში იყო მისი უცვლელი მთავარი რედაქტორი. ალ. ლორია ამ სფეროშიც მოწოდების სიმალეზე აღმოჩნდა. ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ წელიწადში ოთხჯერ გამოდის და წარმოადგენს ყველაზე დღეგრძელ და ყველაზე პოპულარულ საბიბლიოთეკო პერიოდულ გამოცემას, რომლებიც კი ოდესმე გამოსულა საქართველოში დღემდე. ჟურნალის ასეთი წარმატება განაპირობა იმან, რომ მას რედაქტორობდა ჟურნალისტური ნიჭით დაჯილდოვებული მწერალი და პროფესიონალი ბიბლიოთეკათმცოდნე. მაგრამ უმთავრესი მიზეზი კი მაინც ის იყო, რომ ალ. ლორია ამ საქმეს აკეთებდა მთელი სულითა და გულით, დიდი სიყვარულით თავისი პროფესიისადმი. დღეს იგი „საქართველოს ბიბლიოთეკის“ საპატიო რედაქტორია და ჟურნალის შემოქმედებით კოლექტივს აქტიურად გვეხმარება როგორც რჩევა-დარიგებებით, ასევე საინტერესო პუბლიკაციებით.

ალექსანდრე ლორია - ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე. მწერალი, მეცნიერი და ჟურნალისტი ალექსანდრე ლორია, ამავე დროს, არის უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, სამშობლო ქვეყნის მოყვარე ადამიანი. მისი ხასიათზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში ჟურნალის მთავარი რედაქტორის უაღრესად შრომატევად და საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებდა უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ასეთი ენთუზიაზმის გამოვლენა კი მხოლოდ ერთეულებს შეუძლია ჩვენს პრაგმატიზმით გაჯერებულ დროში.

ალექსანდრე ლორიას არასოდეს უცდია ესარგებლა თავისი სახელოვანი მამის, მწერალ ჰარმენ ლორიას, ავტორიტეტით. ფუტკარივით მშრომელი, მუდამ ირჩევდა თავის საკუთარ გასაკვალავ გზას და წარმატებითაც მიდიოდა ფინიშამდე.

მიმდინარე წლის 22 აპრილს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა ალექსანდრე ლორიასადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო საღამო, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს როგორც დედაქალაქის საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენლებმა, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. აქვე



მოწყობილი იყო ალ. ლორიას წიგნების გამოფენა. ენეოდა და დღესაც ეწევა ქართული კულტურისა და ეს საღამო იყო ერთგარი შეჯამება იმ მრავალმეცნიერების საკეთილდღეოდ. ლიანი დაუღალავი შრომისა, რასაც ალ. ლორია



# გოჩა სხილაძის პოეზია

ვედანტას ფილოსოფიაში არის ასეთი ტერმინი „თატჰატა“ - ანუ საგანთა ასეთნაირი ყოფიერება; იგი ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მდგომარეობაა, მასში არაფერია განსაკუთრებული, წონასწორობათა და კანონთა რიგი ჩვეულ მოდუსშია მოქცეული. მაგრამ პოეტის თვალი ამ ყოველივეს ისეთ რეგისტრში ხედავს, ისეთ რაკურსში, რომ პოეტური მაგიურობის რაღაც სხვა სამყაროს გადახსნის. პოეზიის ენაც ხომ სულ სხვაა - ეს არ არის ჩვეულებრივი, ყოველდღიური მეტყველება და არც მნიშვნობრივი ან მეცნიერული რეზონირობაა. პოეტური მეტყველება თან ხელოვნურია, მას არაბუნებრიობის ნიშანი დაჰყვება, მაგრამ ამავე დროს „სხვა-ყოფიერების“ კუთხიდან დანახული სწორედაც რომ ბუნებრივი, მისი ხელახალქმნაა ენათა საუფლოში, სადაც აზრთასხმულები გადმოიცემიან ადამიანური სუნთქვით და პირ-ბაგეთა მიერ გამოცემული ბგერებით, ხატებებით და გლოსოლოალიური ჟღერადობებით. პოეზია თითქოს ამბობს, მე არაფერზე არ ვსაუბრობ, რამდენადაც ყველაფრის მოჭადოება მსურსო ჩემს ქმნადობაში.

ერთხელ მეცნიერების და კულტურის საკითხში „მაღლადმხედმა“ ზურაბ კიკნაძემ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გოჩა სხილაძის პოეზიაზე თქვა, იგი არაფერს არ ქადაგებს, არაფრისკენ არ მოუწოდებს, იგი ხელოვნებაა ხელოვნებისთვის. გოჩას პოეზია სინთეზურია, მასში არის საგნები, რომლებიც მის ბავშვობის და მოწიფულობის ასაკში გარემოიცავდნენ, ზემო იმერეთის თუ საქართველოს სხვა ლანდშაფტებში; ხეები, რომელთა ინდივიდუალობასაც იგი პოეტური ქვრეტით განიცდის და ჩიტები, ძირულას ხეობა და გლოვასთან შეერთული ელმავლის კვილი, საყვარელი სოფლები და ზარი ხმა, ბავშვის ხატება და მზესუმზირები, ვარსკვლავების და მზის გაელვება ....

მრავლადაა ასევე ასოციაციები განვლილი ცხოვრებიდან, მოგონებებიდან და ნაკითხული ნიგნებიდან. ეს სინთეზურობაც იგივე ყოფიერების წესებით ეწყობა ერთმანეთს, შეხებაში მოდის, ან ვითომდაც ისე, შემთხვევით მოჰყვება ჩამონათვალში ერთმანეთს, თუმცა მთლიანობაში რაღაც ისეთ სურათ-ხატს ქმნის, რომელიც მკითხველს აფიქრებს, ან სევდაში ჩასძირავს; აღძრავს ისეთ აზრებს, რომლებიც ადრე არ მოსვლია. მთელის პროსოდია თითქოს გაბზარულია. იგი ემსგავსება ინსტრუმენტს, რომელიც ამავედროულად ყველა ბგერას სუფთად არ იღებს, მაგრამ ამასაც თავისებური ხიბლი აქვს. პოეტმა იცის, რომ ადამიანი, რომელსაც განკერძოებული ყოფიერება გააჩნია თავის „მე“-სთან ერთად, დანარჩენ სამყაროსთან მიმართებაში უცხო და ჩაკეტილი სისტემა არ არის.



**კოსტანტინე ზვ. გამსახურდია**

იგი ამ „მე“-ს მეტყველებას, მისი მოქმედების კვალს ეძებს ყველაფერში, რაც ირგვლივია. ეს უკვე მაკროკოსმური პოეზიაა, როდესაც „მე“ გვესაუბრება არა ჩვენი შინაგანიდან, არამედ გარედან, სხვადასხვა საგნებიდან. თითქოს იმ კანონს მიჰყვებოდეს, რომელიც ოდესღაც ჰერმეს ტრისმეგისტოსმა უბრალოდ გამოთქვა - ის რაც შინაგანადაა, გარეთაც იგივეა, ის რაც ზენა რეალობაშია, ქვედაშიც მისი იგივეობრივია. რა თქმა უნდა, დიდი პოეზია შესაძლოა სხვა, სრულიად კონკრეტულ, დიად ან ბედით მოვლენაზეც იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში შემოქმედი თითქოს პარალელურ რეალობას ქმნის, იგი მომხდარს ასახავს და თან მაინც სხვაა.

ქართული პოეზიის რომელ ხაზს შეიძლება დავუკავშიროთ გოჩა სხილაძე? „ხაზი“ ძნელი მოსაძებნი იქნება, ალბათ ისეთი თვითმყოფადი ინდივიდუალური მოვლენები შეიძლება მოინახონ, ნიშანსვეტის გამოყოფის პრინციპით, ვისთანაც მისი ნათესაობა შედარებით გამოიკვეთება. ასეთია ნიკო სამადაშვილი, გამორჩეული ხმა პოეზიაში, ისეთი პოეტური ხელწერით, რომ მის აღსაქმელად მართლაც გნობისით ელიტას უნდა ეკუთვნოდე. „ის ხომ ლექსს გარდა არაფერს ქმნიდა, თვალნაცემივით შფოთავდა ხშირად“ - ეს გოჩა სხილაძის შინაგანი პორტრეტიც არის. ეს პოეზიაც, ნიკოსი არ იყოს, რაღაცნაირი იმპრესიონისტული ნეოსიურეალიზმია, ყოფიერების ტრაგიკულობის თანმდევი განცდით. გაგახსენდება ასევე გიორგი კორნაპელი, რომლის ელვარე ინდივიდუალობა და პოეტური ფანტასმაგორიები ასეთივე მაკროკოსმიულობით სუნთქავენ, სადაც დროსა და სამგანზომილებიან






სივრცეში ჩვენი სიგრძე-განის განცდა სულ სხვა-ნაირია. და პლატონის ბნელი მღვიმის პარადიგმა რომ გავიხსენოთ, სადაც ადამიანი ზურგშეკცევით დამდგარა სინათლის წყაროსთან და კედელზე შეჰყურებს იქიდან არეკლილ ლანდების რიალს, ზემოთ ჩამოთვლილთა სულით მონათესავე პოეტი როგორ იქნებოდა აქ? ის ამ ლანდებში კიდევ რაღაცას შეამჩნევდა. ეს „რაღაცა“ ფილოსოფიურ ენაზე რომ ვთარგმნოთ, ალბათ ჰოლისტური აღნაგის იდეალური განცდაა და ობიექტებში „გასიტყვებელი საკუთარი თავის“ ძებნა.

საინტერესოა გოჩა სხილაძის ენა. იგი იმერულ დიალექტს არც თუ იშვიათად იყენებს და საკმაოდ თამამია ამ ლექსიკური ერთეულების შერჩევისას. ეს მის პოეზიას არ აკნინებს, მათ როდი შეაქვთ დისონანსი იმ საერთო ესთეტიკურ განწყობაში, რომელიც იქმნება კითხვისას. ასეთი რამ არაერთ ქა-

რთველ შემოქმედთან შეგვხვედრია, მათ შორის კლასიკოსებთანაც. ისინი ისეა გამოყენებული, რომ მათ საზრისს და მნიშვნელობას მკითხველი ხვდება. ეს კიდევ ერთხელ ამყარებს იმ ძველთაგან გამოთქმულ შეხედულებას, რომ ქართული სალიტერატურო ენა ის ძირითადი ნაკადია, რომელსაც სხვადასხვა ლანქერები და რუები ასაზრდოებენ.

ასეთია გოჩას პოეტური სამზადი, სადაც ახალი ინვარიანტები იკვეთებიან, ფორმას იღებენ, მერე ჩასწორდებიან, ახლიდან ლაგდებიან ვიდრე რაღაც ოპტიმალურში არ ჩამოიქნებიან. მთავარია არა ამ პოეზიის რაღაც ერთი საზრისის „მოხელთება“, როგორც ერთ შეფასებაში იყო თქმული, არამედ სინჯის აღება, რათა მიხვდე - აქ მთავარი კითხვების და მათზე პასუხ-სიმბოლოების მუდმივი მეტამორფოზაა.





### დაბრუნება

შეხედავ ნაძვი, ცად ასვეტილ ნაძვს იქით ვერხვი, მალლა ჩიტების ჟრიაშული, შენება ბუდის, დიდი გულებით დაჩხაპნილი, ხის ძირას მერხი, მერხზე ლოთების ღრიანცელი, ბოთლები ლუდის.

უცებ ნამნამებს დაუშვებ და სიბნელეს უხმობ, გინდა სიბნელე სამუდამოდ დაგედოს ხუფად. გაზაფხულია შენს ჯინაზე, ტკივილებს უღრმეს ზამთრამდე კიდევ ბევრი დარჩათ, მადლობა უფალს,

ძირს თავდახრილი თუ შეამჩნევ ბავშვების კედებს, როგორ თელავენ გვირილებს და სხვა უცნობ ყვავილს, ხედავ ბავშვები მოჰყვებიან ჩრდილივით დედებს, გვერდით კი ქმრები—რომ არ ჩანდნენ ჭიქაში ყავის.

მიხვალ სახლში და კვლავ გადაშლი პლოტინს, ან პროკლეს-ამოდის მატლი ამ ვაშლიდან, უცხო და მსგავსი... უცებ გადაშლი შენს სიცოცხლეს, ისედაც მოკლეს, როგორც გადაშლის ხსოვნის ბილიკს მომავლის ხავსი.

### ხის სიკვდილი

კედარს მოაბეს დიდი საბელი. მოჭრეს. დადუმდა ჩიტთა კაპელა. ხე იწვა მკვდარი როგორც აბელი, თავს ადგა კაცი, ვინც გადაბელა.

დადუმდა შაშვი, დუმდა კოდალა, მინა ვერ იგრძნეს ფესვქვეშ კედრებმა. ჩამოაქციეს ჩიტთა გოდოლი, წყალს გაათანეს ბავშვის ვედრება.

### ჩურჩული

ბევრი ფეხის ხმა მიახლოვდება, გათელეს ვარდი და სამარის მინა დაბლისკენს. გულში გაისმის შენი გოდება-ასე მიდიხარ სიბნელისკენ და სიდაბლისკენ.

თითქოს გადუსვეს შავი გუაში დაბრეცილ სივრცეს, ღვინით სავსე ქვევრი დაგლისენ. მნათი ნურტილი ბნელის შუაში ვარ ისევ მარტო. აქ არავინ მოგისაკლისებს.

### კაცის სიკვდილი

დაგიდგა ჟამი პერანგების სისხლში გავლების-გესმის კივილი მკვდარი დედის და ელმავლების. დაგიტანს დიდი თელის ჩრდილი, დიდი მაგიდა, ბურუსი ბედის, ბავშვის ღიმი ბნელი ბაგიდან,

ბრმის დიდი ცრემლი, ღვინის მზისფრად აკიანთება, ორი გოგონა -შენი ცრემლი და ქრიზანთემა, სახლთან ლელვის ხე ქვესკნელიდან ამოწეული, ღვინით ავსილი შენი ჭიქა, შენი სხეული...

ლაქავენ კუბოს, გაპრიალდა ხე დაკორძილი, გაცმევენ პერანგს, მალალ სერზე არის ქორწილი.

### ზარი

მე ვარ ზარის ხმა რომ ესიზმრათ ვარდებს, ნარგიზებს, შენი გული კი სამრეკლოა, სადაც ვდუმდები, მე ვარ ყვავილი მოულვარე შენს გულსაკიდზე, შენს გაზაფხულში მინდა მოსვლა და ვერ ვბრუნდები.

შენი ცა ასე უძიროა და მოციალე, მე ვარ დაისი, დიდი ზარი ხმაჩანყვეტილი. როცა ნავედი ჩემი სახე შევატრიალე ვარსკვლავებისკენ. ელვარებდა ბნელი ნურტილი.



გიორგი სენიკიძე

ჩემს ხმაში ათას ველის ყვავილს გააქვს დაღანი, მაინც არ გესმის ჩემი ცრემლის დიდი ხარება, ვილაც იზრდება ჩემში წმინდა, ცამდე მალალი და შენს სიზმრებში დაბნეული დაიარება.

### აალბა

დიდ ვარსკვლავებით მოჭედილ ღამეს, შენს ბაგეებზე გამომკრთალ ღიმილს, დილის ვარდებზე დაკიდულ ნამებს, დიდ მარტოობას, სიჩუმეს მღვიმის,

ვარდებს, მის ჯერაც გაუშლელ კოკრებს, დავიწყებისკენ გადახრილ საგნებს, ბავშვს, დაისის წინ სხივებს რომ მოკრებს, მის თითებს, როცა უმატებს, აკლებს,

ხელებს, რომელიც გეძებენ ძილში, აქ რომ ვერაფერს ვერ ეჭიდება, დიდ მატლს, რომელიც ნეტარებს ხილში და გაღვიძება აღარ სჭირდება,

თვალებს, რომელიც გხედავენ მუდამ, ისე შორიდან, თვალმოუკრავად, ოქროსკანიან, მდუმარე ბუდას, სანამ სიყვარულს არ მოვუკლავარ,

თავყანს ვცემ ყველას, უკუნში ნაძერწ პატარა ლეკვსაც, მის კუდის ქიციანს, ნაფეხურს შენსას, ასვეტილ ნაძვებს, ბოლო ნურტილსაც, შენ რომ სვამ, ციმციმ.

### უძილობა

ყვავებს მიჰქონდათ სიყრმის სოფელი, ყვავოდა ვარდი დიდ ხის ნაპობთან, როგორც სიმღერა შეუწყობელი დედა სიზმრებში ლაპარაკობდა.

ვინეჭი ასე ღამით თვალღია, მესმოდა ლესვა დანის პირების,



მამა მეძახდა ამ დროს მალლიდან,  
იმედი ჰქონდა გადაბირების.

### შუაგულში ყოფნა

ვარ ვარსკვლავიდან გადმონავარდნი  
გამდნარი თოვლი, გაშლილი ვარდი,  
ვარ მწუხარება მთვარის ნაბარდნი  
და გარდაცვლილთა დაშლილი კვართი.

ვარ ბავშვის მზერა, მზე ცხრათვალება  
დაუცხრომელი, რომელ არს მნათი,  
ბრმა მეზობელი შავი სათვალით  
და ის უისრო მამის საათი.

მისი თითების უცხო სითეთრე,  
გაშლილი თმების შრიალა ლელი,  
მამლის ყვივლით შეშლილი პეტრე,  
მტრების მტკაველა მახვილით მთლელი.

ვარ სიმჩავარდნილ ხვალის სიმღერა,  
სინაის მთვარის ვარ ვერცხლის სინი,  
ვარ უსინათლო ლომების ბღვერა,  
რომელსაც ჩემში გრძნობენ ისინი!

### ხელოსნის სიკვდილი

შენი ხელები ეძებენ სახეს  
და ეხებიან კედლებს ცარიელს,  
კედლებზე ხედავ სიბნელის ნახევს-  
შენი სიზმრების ცის დასალიერს.  
კართან ბავშვების ხმები შეგათრობს,  
შენ ჯავრობ, კარი რომ არ იღება.  
დიდ გულში მათი სინათლე გათბობს,  
გინდა შეხედო მათ გაღიმებას.  
როგორ სრულდება შენთვის ეს ღამე,  
ეს მოდივილი და მიდივილი,  
გინდა, ჭიქაში ღვინოს გისხამდნენ,  
ისევ მოგესმას მამლის ყვივილი.  
უცებ მეზობლებს ამოაქვთ კუბო  
და შენი კარი უხმოდ იღება,  
თითქოს სხვის, უცხო სახლში შედიხარ.  
გიკვირს უშენოდ კედლებს ღებავენ,  
უყურებ შვილებს ვერავინ გხედავს  
და გიკვირს არვინ არ შემოგხარის,  
თან ეჭვის თვალით გახედავ დედას,  
აი, მისკენაც გადაიხარე.  
მისი თავსაფრის ფერს შეერიე,  
ისევ მიდიხარ ხელში შვეულით.  
მალაზიებში უქმად დადიხარ  
და ნათელ ფერებს ვეღარ შოულობ.  
ებოდიშები სახლის პატრონებს,  
დღესაც ფერები რომ ვერ იშოვე.  
განუხებს მათი ბნელი კედლები,  
გინდა დაფარო მათი სიშავე.

### მართობა

აღარ ჩანს არვინ, ვისაც ვუთხარ სიტყვა მშვიდობით.  
სისინებს ქარი, სიცოცხლეა ბრმა, უყვავილო,  
უკუნი ღამე შავი ღრუბლით და ქარდიდობით  
შემოდის ჩემში ვით ბავშვის ხმა, მისი ალილო.  
ვიღაც ხომ მოდის, აი, მწერი, ჩემსავით თიხით  
გამოძერნილი, გრილ სარკმელში თრთის გაბლესილი.  
ღამეში ვუსმენ წვიმის წვეთებს, ქარების ღიღინს,  
როცა ბაღებში ადრეული ჭკნება ხეხილი.  
ვივინყებ სახეს, დიდ გველივით წინ მოსრიალეს,  
თვით სიცოცხლესაც, რომ გადამცდა ერთხელ სასულეს,  
მაღალი ალვა ამ ღამეში ისე შრიალებს,  
ალბათ ხისმჭრელი მის სინათლეს ხვალ დაასრულებს.

### ღრო

თუ მაღალ ნაძვზე ჩიტი გალობს, ხე იზრდის რგოლებს,  
ვარდი კი თავის წიალიდან მოგრანის ფურცლებს,  
ანათებს ვარდი უცნაურად, თავის ჟამს მოლევს,  
იანვარს ხვდება და მის ფიფქებს იმშვენებს, უძლებს.

ნეტარ არს კაცი, ვინც გაბედა, შეერთო უკუნს,  
ასვეტილ ნაძვებს, მის ჩიტის ხმებს, სიმშვიდეს სუდრის,  
იქ სიზმარიდან გუგულივით იძახის გუგ-გუს,  
სადაც ნათელი და უკუნი ერთმანეთს უდრის.

მიმძიმს სახურავ გადახდილი სახლების სევდა,  
ამოვარდნილი ქარი გულში განაგრძობს წინინს.  
გარეთ ყრუ ქარი ხმაურობდა, ცივ ფოთლებს რევდა,  
სერზე კი ბორცვი ყვავილობდა ქვიანი მინის.

\*\*\*

ასისინდები ლეთით, უნასით,  
კრთება ნაფლეთი ბინდის, წრუნუნა.  
აქ ვარსკვლავებით ასიათასით,  
ბავშვმა სიზმარში დაიწუნუნა.  
ქარში ანათებს სიზმრების მარში:  
მთვარის არშია და ქრიზანთემა,  
ქარი ჩაწყნარდა, ბოლოს სიზმარში,  
მზესუმზირების ჩაქრა ნათება.

### ძილი

აქეთ თვალგახელილი ცრემლიანი ბრმებია,  
აქეთ შენი სიცოცხლე სიკვდილს დაუბრებია,  
მიმოდიან ტალღები-ჩუმი საუბრებია,  
ინთებიან ვარსკვლავნი, ინთებიან, ქრებიან.  
ვარდებისკენ ქარები ისევ გადიხრებიან,  
ვხედავ ბავშვის კულულებს და მის შავტიხრებიან  
ძილში ალვა იჭრება, მყინვარები დნებიან,  
გრიგალი და სინათლე ერთად დაიძვრებიან,  
თითქოს არც კი ყოფილან, არც ვის დასიზმრებიან.

### ასვლა

გეძებდი ყველგან, მტრედის ფრთებში, გაშლილ ვარდებში,  
ვათვალეიერე ვარსკვლავები, ვშალე ქალაქი.  
თვალი მოგკარი სხვის თვალეში, ძველ ბარათებში,  
ვერ მოგიხელეთე და მტრედივით ცაში ამაღლდი.

აღარ სრულდება შენი ბნელში დამალობანა  
და მაღლა ცაში ვარსკვლავებად იქცენენ მდეურები,  
მე უკვე დედამ სისხლიანი სახე მომბანა,  
მამამ აავსო შემოდგომით დიდი ქვევრები.

ბნელის კიდზე კიაფობენ ციცინათლები,  
დღეების კიდეს აწყდებიან ჭრელი პეპლები,  
იბერებიან კვირტები და ყვავილს მატლები  
ელოდებიან ვით დედოფალს მისი მხლებლები.

უცნაურია, ვიცი, აქ ხარ, მე ვაკაკუნებ,  
ყოველ კარს იქით შენ დგახარ და ქარში ყანა ხარ,  
ხელმოცარულთა მეფის გვირგვინს რისთვის მარგუნებ,  
შენმა თვალემა ცის სინათლე რად დამანახა?


იქნებ შენ სახელს ამოთქვამენ მომაკვდავები?  
შენი ელჩები-ეს ჩვილები ამბობენ :“ალუს”.  
მე სურვილების უამრავი ჯაჭვით დავები  
და დაბნეული, ლამპარჩამქრალს ვემსგავსე მსახურს.

ისევ მომელის ჩემი მთები, ჩემი თაბორი,  
მინდა მწვერვალზე ამიყვანონ სუსტმა ფეხებმა.  
მოულოდნელი, სიბნელეში ბავშვის ამბორი-  
ასეთი არის უცნაური შენი შეხება.



# გალაკტიონის „ზარნიშიანი“ ნიგნი

1920-იან წლებს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ოქროს ხანას უწოდებენ: 1922-1923 წლებში მისი „ეფემერების“ ციკლი დაიბეჭდა, 1925 წელს ჟურნალ „მნათობის“ ერთ ნომერში პოეტმა ასი ახალი, ახლებური ლექსი გამოაქვეყნა, 1927 წელს კი – პირველი „რჩეული“, როგორც თვითონ ავტორი უწოდებდა – „ზარნიშიანი“ ნიგნი გამოსცა.



„რჩეულში“ მკითხველისათვის უკვე ნაცნობ ტექსტებთან ერთად ორ ასეულამდე ახალი ლექსიც გამოქვეყნდა. ის ლექსები, რომლებიც „რჩეულში“ პირველად დაიბეჭდა, ყურადღებას იქცევს როგორც განსხვავებული შინაარსით, ისე უჩვეულო, ქართული პოეზიისათვის ნაკლებად დამახასიათებელი, ზოგჯერ უცნობი ფორმებითაც კი.

დღეს, თითქმის ასწლოვანი დისტანციიდან, შეიძლება ითქვას, რომ 1927 წლის „რჩეულმა“ შეაჯამა და სრულყოფილად წარმოაჩინა ის თემატური თუ პოეტიკურ-ვერსიფიკაციული ნოვაციები, რომლებიც გალაკტიონმა მოიტანა და დაამკვიდრა 1910-1920-იანი წლების ქართულ ლირიკაში.

საინტერესოა, როგორ აღიქვას თანამედროვეებმა გალაკტიონის პირველი „რჩეული“, როგორ შეაფასეს ნიგნი, რომლითაც პოეტის შემოქმედების „ოქროს ხანა“ დაგვირგვინდა.

„ლექსთა კრებული მომძიმო ტანის“ (ვახილ ბარნოვი) მაშინვე მოექცა ლიტერატურის კრი-



## ნათია სიხარულიძე ფილოლოგიის დოქტორი

ტიკოსთა და მკითხველის ყურადღების ცენტრში: გალაკტიონს ქართული ლირიკის მშვენება და სიამაყე უწოდეს, დაინყეს საუბარი მის ღვთიურ ნიჭზე, კლასიკოსების – რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის – გვერდით მოიხსენიეს, როგორც ამ უკვდავ პოეტთა თანავარსკვლავედის სრულყოფილი წევრი.







1927 წელს დაიბეჭდა სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“. აქ გამოქვეყნებული ესეებისა და წერილების უმრავლესობა სწორედ პოეტის პირველ „რჩეულს“ შეეხება.

დავით კლდიაშვილი წერილში „შვენება და სიამაყე ქართული ლირიული პოეზიის“ აღნიშნავს, რომ გალაკტიონი მისი თანამედროვეების „სულიერი ცხოვრების გამომსახველია“, პოეტის განცდები მხოლოდ მას კი არ ეკუთვნის, არამედ – თითოეული მკითხველის კუთვნილებაა. მწერლის აზრით, სწორედ ამგვარი სულიერი სიახლოვის განცდა განაპირობებს გალაკტიონისადმი საზოგადოების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, წრფელ სიყვარულს.


ვასილ ბარნოვმა გალაკტიონის „რჩეულით“ გამონვეულ შთაბეჭდილებებს მცირე ესეის ფორმა მისცა და მკითხველს საკუთარი ემოციები ასე გაუზიარა: „ლექსთა კრებული მომძიმო ტანის. ჰაეროვანი ციაგი ნაზთა გრძნობათა. განცდათ წალკოტი პირადპირად ყვავილით სავსე. მგრძნობიარე ქართველთ სული შუქთა მფენელი. ქართული ტკბილი... მთელი ლაშქარი საარაკო სახეებისა. უღეველი სხვადასხვაობა. მიჰნიჭებით ლექსებში მათ სიცოცხლის ძალა: გიღიმიან, გეხვევიან, ალერსს გეტყვიან“.

ია ეკალაძის აზრით, გალაკტიონის შემოქმედების უნიკალურობა თანამედროვე ლირიკის ფონზე კიდევ უფრო მკვეთრად აღიქმება. ამიტომაც ურჩევს იგი მკითხველს: „როდესაც დღევანდელი ჩიქორთული პროზისა თუ პოეზიის კითხვით თა-

ვმოებრებულებს მოგინდეთ წმინდა ქართული მეტყველებისა და განცდის გემება, ან მოგესურვოთ „ოცნების მთაზე“ შედგომა, გადაიკითხეთ ხოლმე ლექსთა კრებული გალაკტიონ ტაბიძისა“. მწერლის აზრით, „წმინდა ქართული, წკრიალა ლექსები, უაღრესად მხატვრული მოსმა კალმისა, სისადავე და ბუნებრივობა აზრთა გამოთქმისა ნათლად მოწმობენ, რომ იგი ნათლულია თვით პოეზიის ღმერთისა“.

„გალაკტიონ ტაბიძის სახით დადის საქართველოში პოეტი, რომელშიც მაღლი ქართული მიწის და ცისფერი ცის გადმოსულა. ეს სახე გალაკტიონ ტაბიძეში გამოქანდაკებულია უდიდესი ლირიკოსის ხელით“, – ვკითხულობთ გაიოზ იმედაშვილის ესეში. ავტორის მიიჩნევს, რომ გალაკტიონის თითოეული ლექსის გაგებისათვის საჭიროა „განსაკუთრებული გრძნობა და განსაკუთრებული ბუნება“. იგი ყურადღებას ამახვილებს პოეტის შემოქმედების ნოვატორულ ბუნებაზე და ასევე იმ ფაქტზეც, თუ რაოდენ მასშტაბურია გალაკტიონის გავლენა მის თანამედროვეებსა თუ ახალი თაობის ლირიკოსებზე; გ. იმედაშვილი მკითხველს შეახსენებს, რომ „გალაკტიონ ტაბიძე შექმნა ფორმები, რომლებიდანაც სკოლები და მიმართულებები უნდა გამომდინარეობდეს. ვერც ერთი სინდისიერი ქართველი პოეტი ვერ იტყვის, რომ გალაკტიონ ტაბიძის გავლენა აეცილებინოს. გალაკტიონ ტაბიძის სტილისა და ფორმის ექსპლოატაცია ხდება ქართულ პოეზიაში ყოველ ნაბიჯზე“.

განსაკუთრებული ემოციურობით გამოირჩევა ალექსანდრე შანშიაშვილის გამოხმაურება „დიდი ლირიკი“. ავტორი აღფრთოვანებით მიმართავს გალაკტიონს: „შენმა პოეზიამ დაჩრდილა ძველი და ახალი ლირიკოსები. სადღაა ბესიკი ან ალექსანდრე? სადღაა ილია ან აკაკი? ან და ახლები? გადაღმა დარჩნენ და შენ წინ მიდიხარ...“.



1927 წლის „რჩეულმა“, როგორც ითქვა, სალიტერატურო კრიტიკისა და მკითხველის საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია. მრავალრიცხოვან გამოხმაურებათაგან გალაკტიონისთვის, ვფიქრობ, ძალიან ძვირფასი და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მისი უახლოესი მეგობრის – მხატვრისა და პოეტის – ირაკლი ტოფაძის პირადი წერილი, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ლექსების ფორმისეულ სიახლეზე:



„გალაკტიონ, რამდენიმეჯერ გადავიკითხე გულდასმით თქვენი ახალი წიგნი და ყოველთვის აღტაცებაში მოვედი... ეს წიგნი, უეჭველია, არის ქართული პოეზიის ძვირფასი საუნჯე უნაზესი ფერებით სავსე. ამ წიგნში ჩანს თქვენ გენიასთან თქვენი დიდი ლაბორატორიული მუშაობა. დღემდის უმაგალითოა ქართულ ლიტერატურაში ლექსის ამდენი ფორმების მოძებნა და ვფიქრობ, აწიცი ვერავინ მონახოს იგი“...

საკუთარი და, საზოგადოდ, თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევად გალაკტიონს სწორედ ლექსის ფორმის განახლება ესახებოდა. წერდა კიდევ ათნაწილების შემდეგ: „მეოცე ქართული საუკუნის პოეზია მოვიდა და დამკვიდრდა სრულიად ახალი რითმებითა და ასსონანსებით, ახალი ლექსთა წყობით, ახალი ხმოვანებით, შემოტანილი იქნა ახალი ფორმები \_ შემოვიდა ბალადა, გაზელა, სონეტი, ოკტავა, ტერცინები, ტრიოლეტები, სექსტინა, რონდო, კანცონები და სხვ.“

„რჩეულზე“ მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ გალაკტიონის ერთი ჩანაწერი, რომელიც ადასტურებს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი თითოეული წიგნის შედგენის პროცესს:

„სხვადასხვა დროს გამოცემული კრებულიდან ჩემი რჩეული ლექსების ამოკრების დროს ვიგრძენი, რომ ეს, მართლაც, ძნელი საქმეა. ასეთ შემთხვევაში პოეტს წინ ელობება დილემა: როგორ უნდა შეარჩიოს მან თავისი ლექსები ისე, რომ მართლა რჩეული გამოვიდეს?. ხომ ცნობილია, რომ თვითონ პოეტისთვის ბევრ შემთხვევაში თვითეული მისი ლექსი რჩეულია. მეორე საკითხია, თუ როგორ უნდა დააღაგოს მან ეს რჩეული ლექსები? როგორც პირველი, ისე მეორე საკითხის გადაწყვეტა პოეტისაგან მოითხოვს დიდს დაკვირვებასა და სიფრთხილეს“...

„ბარნიშიანი“ წიგნის შემდეგ გალაკტიონმა კიდევ არაერთი „რჩეული“ გამოსცა, თუმცა 1927 წლის წიგნს მაინც განსაკუთრებული ადგილი აქვს, როგორც პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, ისე \_ ქართული ლირიკის ისტორიაში.







# ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

**ნინო ჭავჭავაძე**  
**ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის**  
**საჯარო ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან**  
**ურთიერთობის მენეჯერი**

ქუთაისის ბოლო 150 წლოვან ისტორიას ყველაზე მეტად საჯარო ბიბლიოთეკა, მისი დარბაზები და საცავები მოგვითხრობს აქ გამეფებული სიჩუმისა და სიძველის იდუმალებით. ქალაქის იდენტობასთან ასოცირებული საუკუნუნახევრის ბიბლიოთეკა იუნესკოს მიერ ლიტერატურულ ქალაქად აღიარებული ქუთაისში განათლებისა და შემეცნების დიდი სივრცეა. გზა, ჩვეულებრივი სამკითხველოდან მნიშვნელობის გამორჩეულ ცენტრამდე, სევდიანი წინაისტორიით იწყება...

მას შემდეგ, რაც ქუთაისს რკინიგზამ გვერდი აუარა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და ქალაქის თავის მოადგილემ ანტონ ლორთქიფანიძემ, ქუთაისში სამკითხველო გახსნა. ეს არამარტო უბრალოდ ბიბლიოთეკა, არამედ ქალაქის ახალი ფუქციისა და დატვირთვის ძეგლის გზა იყო.

ამიტომაც გაზეთი „დროება“ წერდა: „ისეთს მიყრუებულს და რკინიგზისაგან დაჩაგრულ ქალაქში, როგორც ქუთაისია, მართლა რომ მოვლინებოდა ჩაითვლება ა. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკის დაბადება“.

ბიბლიოთეკა მალევე იქცა მოწინავე საზოგადოების შეკრების ადგილად. მან თავდაპირველი ფორმით თითქმის ოცი წელი იარსება. 1893 წელს ქალაქის მმართველობამ საჯარო ბიბლიოთეკა დაარსა, ანტონ ლორთქიფანიძემ კი ყოველგვარი საფასურის გარეშე საკუთარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი საჩუქრად გადასცა.

1930 წლიდან სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთე-

კა ეწოდა, ხოლო 1934 წელს მას თავისი არქიტექტურით გამორჩეული შენობა გადაეცა, რომელშიც დღესაცაა განთავსებული. ეს შენობა მანამდე ვაქარ გიორგი აკოფოვის საცხოვრებელი სახლი იყო.

დაარსებიდან დღემდე საჯარო ბიბლიოთეკა ქუთაისლების საყვარელი თავშეყრის ადგილია, სადაც ყოველწლიურად იმართება წიგნის წარდგინებები, კონფერენციები, საჯარო ლექციები, პოეზიის საღამოები, იუბილეები, ავტორებთან შეხვედრები და სხვა საინტერესო და მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკა არის სამხარეთო-საკოორდინაციო მეთოდური ცენტრი და შესაბამისად მეთოდურ დახმარებას უწევს იმერეთის რეგიონულ და ქალაქის ყველა უწყებისა და ტიპის ბიბლიოთეკებს.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი წიგნსაცავია, რომელიც დღეის მგომარეობით ფლობს 1 066 0816 ერთეულ წიგნსა და ჟურნალ-გაზეთს, ელექტრონულ და ხმოვან წიგნებს CD დისკების სახით, იშვიათ და უნიკალურ გამოცემებს, მათ შორის არის: 1498 წელს გამოცემული ინკუნაბულა „დომიციუს კალდერონის „მარციალისის ორიოდე კომენტარისათვის“, დიონისე ლამბინის „ჰორაციუსი“ (1595წ.), „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ (1828წ.) და სხვა მრავალი.

ბიბლიოთეკაში სიძველე და თანამედროვეობა წარმატებით თანაარსებობს, ეს კი ელექტრონული



რესურსების გარეშე წარმოდგენილია. ქართული წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის პროცესი დასასრულს უახლოვდება.

<http://opacqutaisi.gela.org.ge/>,

**ბიბლიოთეკების ნაწილი უკვე შეუდგა უცხო-ენოვანი წიგნადი ფონდის ელკატალოგიზაციას.**

დღემდე ელექტრონულ კატალოგში ატვირთულია 341 818 ეგზემპლარი.

ბიბლიოთეკა 2015 წლიდან ჩართულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და „ჯეოსელის“ ერთობლივ პროექტში „ციფრული ფოტომატიანე“.

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/104502>.

გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება ყველა კატეგორიის მკითხველს, მისი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სამეცნიერო მუშაობაა, ამიტომაც ბიბლიოთეკაში დაფუძნდა სამეცნიერო საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან არა მარტო ბიბლიოთეკის თანამშრომლები, არამედ ქალაქის სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები. საბჭოს უმთავრესი ფუნქციაა, განსაზღვროს ბიბლიოთეკის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

**ბიბლიოთეკაში ხორციელდება შემდეგი საავტორო პროექტები:**

- ყოველწლიურად ტარდება ქართველოლოგიური და ბიბლიოთეკათმცოდნეობითი მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები (დასწრებული და დაუსწრებელი მონაწილეებისა) იბეჭდება ბიბლიოთეკის სამეცნიერო კრებულ „წელიწდეულში“. უკვე გამოცემულია „წელიწდეულის“ 14 ტომი.

- კრებულს აქვს ვებგვერდი: <https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>; ელვერსია ასევე განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა ივერიელშიც: <https://dspace.nplg.gov.ge/Weliwdeuli>

- გამოსაცემად მუშავდება იმერეთის მხარის პერიოდული გამოცემების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიათა შემდეგი კრებულები:

- ჟურნალ „განთიადის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1975-2009), 2012;
- გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1939-1940), წიგნი I, 2017;
- გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1941-1942), წიგნი II, 2020;
- ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი: ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1974-2018), 2020.

- გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (1943-1945), წიგნი III, 2023.

- 2022 წლიდან იბეჭდება ბიბლიოთეკის პერიოდული გამოცემა ჟურნალი „თეთრი ხიდი“

**ბიბლიოთეკაში დაფუძნებულია საავტორო კონკურსები:**

- 2013 წელი - საერთაშორისო ფოტოკონკურსი „წიგნი ობიექტივიდან“ (მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკა);
- 2015 წელი - ლიტერატურული კონკურსი „ჭადრის ოქროსფერი ფოთოლი“.
- 2022 წელი - დაფუძნდა კალიგრაფიის კონკურსი.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრია. ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციები არიან: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მრავალი სხვა სამეცნიერო და კულტურული დაწესებულება.

დღეისათვის ქუთაისში მოქმედებს ქალაქის თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა 12 ფილიალით: 10 საქალაქო და 2 საბავშვო. ბიბლიოთეკასთან ასევე არსებობს ანდრია სინაურის სახელობის ლიტერატურული სახლი და ამერიკული კუთხე, რომელიც ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით 2012 წელს დაარსდა.





ლიოთეკა ცოდნის გაფართოების მუდმივი მასტი-მულირებელი იყოს, რასაც ემსახურება ახალი წიგნების წარდგენა, ჩვენი საავტორო კონკურსები, კონფერენციები.“

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, ვფიქრობთ, რომ ბიბლიოთეკების განვითარების საუკეთესო წინაპირობა გვაქვს, სხვა იმპიათობასთან ერთად მე-15 საუკუნეში დაბეჭდილი წიგნის ხილვა, მართლაც შეუდარებელი ემოციაა მკითხველისთვის.

პირველ რიგში გვინდა, ჩვენი დარბაზები უფრო მიმზიდველი იყოს. მიმდინარე წელს იგეგმება კიდევ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკისა და სამი საქალაქო ფილიალის რეაბილიტაცია.

გასულ წელს შეკეთდა მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკა, ამჟამად კი მე-18 ბიბლიოთეკაში სრულდება სარემონტო სამუშაოები. გსურს, რომ ჩვენს მთავარ განძს - მკითხველებს, ბიბლიოთეკაში სათანადო, მოწესრიგებული გარემო და განახლებული ლიტერატურა დახვდეს. როგორც რეი ბრედბერი იტყოდა:




ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში 17 განყოფილებაა. ბიბლიოთეკის ახლანდელ ისტორიას 135 თნამშრომელი წერს...


ამჯერად საუკუნენახევრის ბიბლიოთეკა, წიგნისმოყვარულების თავშეყრის საყვარელი ადგილი, თავისი ავთენტურობით გამორჩეული, სათანადო აღდგენის მოლოდინშია.

როგორც საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გრიგოლ ქობალიანი აღნიშნავს: „ვცდილობთ, ბიბ-

**„წაკითხვაშია წიგნებმა შუხისძიება იციან, ამი-გომაც ესტუმხეთ ბიბლიოთეკებს!“**



# ნარკვევები ყარაჯალის სასოფლო ბიბლიოთეკების ისტორიიდან



**ჯონ აბაშოვი**  
ყარაჯალის სკოლის  
ისტორიის კვლავი

სოფელ ყარაჯალის სინამდვილეში „ბიბლიოთეკის“ დაარსება, რომელიც თავდაპირველად „ქობ-სამკითხველოდ“ იწოდებოდა, 1928 წლის 7 ნოემბრიდან დასტურდება. ყარაჯალაში ქობ-სამკითხველოს გახსნის ფაქტს თელავის თემსაბჭოს საარქივო მასალებში ვხვდებით. თელავის თემსაბჭოს პრეზიდიუმის 1928 წლის 29 ოქტომბრის სხდომის (ოქმი N48) დღის წესრიგში იყო 19 საკითხი. სხდომას დაესწრნენ: პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ქურდულაშვილი, წევრები: ი. როსტომაშვილი, ვ. ლუარსაბოვი, გიორგაძე, გიორგელაშვილი. სათათბირო ხმის უფლებით ჯავახიშვილი და ბაკურაძე, მდივანი: მთვარელიშვილი. მეცხრე საკითხად მოისმინეს: „ყარაჯალაში და თეთრწყლებში ქობ-სამკითხველოს გახსნის და გამგის დანიშვნის შესახებ“. განხილული მეცხრე საკითხის დადგენილებაში ვკითხულობთ: „სოფელ ყარაჯალაში და თეთრწყლებში ქობ-სამკითხველო გახსნილი იქნეს. ყარაჯალაში გამგედ დაინიშნოს შალვა დიასამიძე, თეთრწყლებში კი გამგედ თებრო ჯავახიშვილი დაინიშნოს. ქობ-სამკითხველოს გახსნა მოხდეს საზეიმოდ - 7 ნოემბერს. ქობ-სამკითხველოს გახსნას, როგორც თემდამასკომის წარმომადგენელი დაესწროს, ყარაჯალაში მუსა ყურბან ოღლი, თეთრწყლებში - ანდლუაძე“

ყარაჯალის ქობ-სამკითხველო გაიხსნა მეჩეთის შენობის ერთ ოთახში. რესპონდენტ ჯაფონ (აზიზ) ლოქა ოღლის გადმოცემით, ქობ-სამკითხველოს გახსნის დროისათვის მეჩეთის შენობა სოფლის სამეურნეო დაწესებულების საწყობად იყო

გამოყენებული.

ქობ-სამკითხველოს გამგედ შალვა დიასამიძე 1928 წლის 07 ნოემბრიდან 1929 წლის 01 თებერვლამდე მუშაობდა. სათანადო ცნობების უქონლობის გამო ქობ-სამკითხველოს წიგნად ფონდზე ვერაფერს ვიტყვი.

თელავის თემსაბჭოს პრეზიდიუმის 1929 წლის 30 იანვრის სხდომაზე მეხუთე საკითხად განხილულა „ყარაჯალის ქობ-სამკითხველოს გამგის დანიშვნის შესახებ“. საკითხის დადგენილებაში ვკითხულობთ: „1929 წლის 01 თებერვლიდან ყარაჯალის ქობ-სამკითხველოს გამგედ დაინიშნოს ქეთო ერთგულაშვილი“. მას ამ თანამდებობაზე უმუშავია 1932 წლის 24 დეკემბრამდე. საარქივო მასალების გაცნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქეთო ერთგულაშვილი დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ართმევდა. ამაზე მეტყველებს თელავის თემდამასკომის საარქივო მასალები, საიდანაც ირკვევა, რომ 1930-1931 სასწავლო წელს თელავის პოლიტგანათლების დაწესებულებათა ქსელში სოფელ ყარაჯალის ქობ-სამკითხველოც ჩართულია.


1933 წლის 02 იანვრიდან - 1934 წლის 18 ნოემბრამდე ქობ-სამკითხველოს გამგედ მუშაობდა სარა მამისთვალოვი. მოძიებული მასალები გვიჩვენებენ, რომ სარა მამისთვალოვი აქტიური მუშაკი იყო. ყარაჯალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1934 წლის 14 მარტის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განხილული იქნა საკითხი „ყარაჯალაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ“ (მომხს. სარა მამისთვალოვი). მომხსენებელი აღ-

გაგრძელება 53-ე გვეხებზე





**აგაბი საქართველო-გერმანიის ურთიერთობებიდან**  
ალბომზე მუშაობდნენ: სალომე ჭანტურიძე, მირიან ხოსიტაშვილი, ოთარ ჯანელიძე [და სხვა]; რედაქტორი: კატო ჯავახიშვილი; მთარგმნელები: მარინე ჭყონია (ინგლისური), მზექალა აჭაიძე (გერმანული), თამარ ნაცვლიშვილი (გერმანული); - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 200 გვ.




**თბილისური რეტროსპექტივა**  
[ალბომი] რუკები, ნახატები, ფოტოები. პროექტის ავტორები: მამუკა სალუქვაძე, მირიან ხოსიტაშვილი; რედაქტორი: მარია დარჩია; მთარგმნელი: ლოლა სანაია; - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 103 გვ.




**გუჯარათის ხეობები, როზაბა; ხუციშვილი ქეთევან; ხოსიტაშვილი მირიან**  
ჯავახეთი: საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების სოციო-კულტურული მახასიათებლები და სასაზღვრო ურთიერთობები. რედაქტორი: ჯაბა სამუშია. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 228 გვ.




**მაგარდაშვილი, გიორგი**  
ლეჩხუმი: ისტორია, ეთნოლოგია. მთხრობლები: კიანო არჯვანიძე, არჩილ ავღუდუანი, გული კალანდია [და სხვა]; რედაქტორი: ელდარ ნადირაძე; წინასიტყვაობა: აკა მორჩილაძე. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 180 გვ.



**ქაბი კიკნაველიძეები**  
რედაქტორი: ნიკოლოზ ნახუციშვილი; წინათქმა: ლევან თაქთაქიშვილი. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 96 [8] გვ.



**კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ოკუპირებულ აფხაზეთში.**  
(მოსწავლეთა ეროვნული კონფერენციის მასალები) შემდგენელი: ირაკლი მიქიანი. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 82 გვ.




**ჰვაჩავა, ლევან**

ფრაგმენტები ბოლნისის ისტორიიდან . რედაქტორი: იზა ჭყავიძე. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 56 გვ.



**უილიამ შექვაძის**

სონეტები . მთარგმნელი: კოტე ყუბანეიშვილი. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 66 გვ.




**ფირალიშვილი, ზაზა**

ჩვენი წახნაგები: [წერილები] თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 214 გვ.




**კვინიტაძე, გიორგი**

ჩემი პასუხი: ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსულის გამო“ საქართველოს ჯარების ყოფილი მთავარსარდალი; ქართულიდან ფრანგულად თარგმნა: ოთარ პატარიძემ. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 79 გვ.



**შვაჩავა, გიორგი**


თხზულებანი [ათ ტომად], ტომი VII. ოფიციალური და საქმიანი წერილები (1829-1859) / შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო: თამაზ ჯოლოგუამ. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 590 გვ.



**შევჩენკო, ტარას**

ფიქრნი ჩემნი: რჩეული ლექსები «Думи мої... : Вибрані поезії» / შეადგინა, უკრაინულად თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო: რაულ ჩილაჩავამ. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 212 გვ.






**იაკობიშვილი-ფირალიშვილი, ლელა**

არის და არა არის რა, ანუ მითიდან მითამდე. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 218 გვ.




**ქართულ-სომხური პოლიტიკური ურთიერთობები ტფილისის სომხურ პრესაში („ორიონისა“ და „ჟოლოვრდი ძინისი“ მიხედვით), 1918 წლის ოქტომბერ-დეკემბერი / სომხურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო: ლია გიგაურმა. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 182 გვ.**




**ივახვიძე, ნანა**

სამყაროს შევცვლი: [ლექსები]. რედაქტორი: ლევან ჟვანია. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 308 გვ.



**ბოცვაძე, ლუარსაბ**

თხზულებანი. ტომი I / ქართული პედაგოგიკის კლასიკოსები; შეადგინა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო: განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, პროფეს. ზურაბ ბოცვაძემ; სახელთა საძიებელი დაურთო: ეთერ შუბითიძემ. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 425 გვ.





**კაკაბაძე, მანანა**

მამაჩემი პოლიკარზე კაკაბაძე - „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორი [მოგონებები]; რედაქტორი: მაია გურაბანიძე; წინათქმა: ლევან თაქთაქიშვილის; ყდის დიზაინერი, ილუსტრატორი: მარი გირკელიძე. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 279 გვ.



**იონაშვილი, იოსებ**

ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი. ტომი 3 / ტექსტს რედაქცია გაუკეთა, ხელნაწერი და მისი ვარიანტები შეადარა და ბიბლიოგრაფია შეავსო: ქეთევან გზირიშვილმა; სარედაქციო კოლეგია: ქეთევან გზირიშვილი, ლევან თაქთაქიშვილი, კობა იმედაშვილი, [თინა ლალიძე]. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023. - 898 გვ.





**შარაძე, გურამ**

ძველი გურია [2 ტომად] / წინათქმა: ლევან თაქთაქიშვილი, რუსუდან კობახიძე; საძიებლები დაურთო: მონაზონმა იოანე-მამუკა ცუხიშვილმა. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2022 - 480 გვ.

**ტომი 1 - 2022 - 480 გვ.**

**ტომი 2 - 2023 - 1032 გვ.**



**ნოზაძე, ვიკტორ**

ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება. ტომი V / მთავარი რედაქტორი: ნესტან სულავა; სარედაქციო კოლეგია: სიმონ ნოზაძე, ლევან თაქთაქიშვილი, რუსუდან კობახიძე; მაია მიქაბერიძე. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023 - 1014 გვ.

**სოსიაშვილი, ღვინტი**

შიდა ქართლის ისტორიის უცნობი ფურცლები = რედაქტორები: მირიან ხოსიტაშვილი, კახა კვაშილავა; ტექსტის ინგლისური თარგმანი: ანა ჩოჩია. - თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2023 - 380 გვ.



**100 წელი აჯანყებიდან: კალენდარი**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია. - თბ., 2023. 12 ფურცელი (24 გვ.).





ნიშნავდა: „სოფელ ყარაჯალაში კულტურულ-მასობრივი მუშაობა მოისუსტებს. იგი აღმასკომის პრეზიდენტს სთხოვს, რომ მოსახლეობისათვის თვეში ერთხელ მაინც კინოსეანის დემონსტრირების შესაძლებლობა შექმნან. ამასთანავე სთხოვს სამკითხველოში დადგმული რადიოს შეკეთებას, ბიუჯეტიდან გარკვეული თანხის გამოყოფას წიგნებისა და ინვენტარის შესაძენად.

განხილული საკითხის დადგენილებაში ვკითხულობთ:

„1.ეთხოვს თელავის რაიადმასკომს, რომ გვიწინოს შუამდგომლობა კინოფიკაციის ხელმძღვანელობასთან მოძრავი კინო დანადგარით სოფლის მოსახლეობის თვეში ერთი კინოსეანის ჩვენების თაობაზე;

2.სამკითხველოს შესაკეთებელი რადიო სასოფლო საბჭოს აღმასკომის ძალებით შეკეთებული იქნეს;

3.ბიუჯეტიდან ფულის გამოყოფაზე უარი ეთქვას ფულის არ ქონის გამო. ქობ-სამკითხველოს გამგის თანამდებობაზე სარა მამისთვალოვი 1934 წლის 25 ნოემბრიდან ომარ მუხტაროვი შეცვალა.

ყარაჯალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1936 წლის 12 მარტის სხდომის (ოქმი N6) მასალებიდან გასაგები ხდება, რომ ბიბლიოთეკარი ომარ მუხტაროვი ქობ-სამკითხველოს გამგეობიდან გაათავისუფლეს და გადაიყვანეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ი. ქურულაშვილის მოადგილედ საფინანსო დარგში. ამის გამო ო. მუხტაროვი სასოფლო საბჭოს აღმასკომმა გაგზავნა მოთხოვნა თელავის განათლების განყოფილების გამგის სახელზე ყარაჯალის სამკითხველოს გამგის თანამდებობაზე საშუალო განათლების მქონე კანდიდატის გამოგზავნის თაობაზე.

თელავის განათლების განყოფილებამ ყარაჯალის სამკითხველოს გამგედ გამოგზავნა ათოევი, რომელიც ამ თანამდებობაზე 1937 წლის 23 მარტამდე მუშაობდა. ათოევი არც ისე კარგი მუშაკი ყოფილა. ყარაჯალის სასოფლო საბჭოს პრეზიდენტის 1937 წლის 12 თებერვლის სხდომაზე ათოევს წვევამდელებთან მუშაობის ჩავარდნის გამო სასტიკი საყვედური დაუმსახურებია. 1937 წლის 30 მარტიდან 1938 წლის 03 თებერვლამდე სამკითხველოს გამგედ ანო ლეგაშვილი მუშაობდა.

იმის გამო, რომ მეჩეთის შენობა ფ. მახარაძის სახელობის ყარაჯალის კოლმეურნეობის ბალანსზე იყო და სამკითხველოც მეჩეთის შენობაში იყო მოთავსებული, ამ ბიბლიოთეკას „საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა“ ეწოდებოდა.

ყარაჯალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1938 წლის 03 თებერვლის სხდომაზე განხილული იქნა სამკითხველოს გამგის საკითხი. სხდომის მასალებიდან ირკვევა, რომ ანო ლეგაშვილმა თურქული (აზერბაიჯანული) ენა არ იცოდა, ამიტომ სოფლის მოსახლეობასთან კომუნიკაცია უჭირდა. ამ თანა-

მდებობაზე განხილული იქნა ადგილობრივი მცხოვრები, 7 წლიანი განათლების მქონე ასტან ხალილოლი მურთუზოვის განცხადება.

ასტან მურთუზოვი სამკითხველოს გამგის თანამდებობაზე დაუნიშნავთ 1938 წლის 03 თებერვალს, თუმცა მას ამ თანამდებობაზე მხოლოდ სამი თვე უმუშავია. ასტან მურთუზოვის მაგივრად 1938 წლის 04 მაისს დაინიშნა ფაშა მუსა ოლი, რომელმაც დაახლოებით 5 თვე იმუშავა. 1938 წლის 02 ოქტომბერს ბიბლიოთეკის გამგედ ისევ ასტან მურთუზოვი დაინიშნა. ამჯერად მან 1941 წლის 10 აგვისტომდე იმუშავა. ყარაჯალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1938 წლის 02 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხად განხილულა საკითხი „ასტან მურთუზოვის ქობ-სამკითხველოს გამგედ დაბრუნების შესახებ“. საკითხის დადგენილებაში ვკითხულობთ: „ვინაიდან სამკითხველოს ყოფილი გამგე ფაშა მუსა ოლი სწავლობს და არ სურს მუშაობა, ამისათვის სამკითხველოს გამგედ დაინიშნოს ასტან მურთუზოვი“

სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1941 წლის 11 აგვისტოს სხდომის (ოქმი N8) დღის წესრიგის მეექვსე საკითხის - „ქობ-სამკითხველოს გამგე ბიბლიოთეკარის გამყოფის შესახებ“. საკითხის დადგენილება ასეა ფორმულირებული: „ქობ-სამკითხველოს გამგე-ბიბლიოთეკარად გამოყოფილი იქნეს ქოვსარ აშიროვა“.

ქოვსარ იბრაგიმ ყიზი აშიროვა (1926-2006) 1941 წლის 11 აგვისტოდან 1943 წლის 14 ივნისამდე სამკითხველოს გამგე-ბიბლიოთეკარად მუშაობდა. მას საშუალო - სპეციალური პედაგოგიური განათლება ჰქონდა. ქ. აშიროვას თბილისის აზერბაიჯანული პედაგოგიური ტექნიკუმი ჰქონდა დამთავრებული. სხვადასხვა დროს მუშაობდა მასწავლებლად, ბიბლიოთეკარად, კლუბის გამგედ და სხვა.

სამკითხველოს გამგე-ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე ქოვსარ აშიროვა 1943 წლის 25 ივნისს მართა ციგროშვილმა შეცვალა. ხუთი წლის შემდეგ, 1948 წლის 06 სექტემბერს ყარაჯალის საკოლმეურნეო ბიბლიოთეკის გამგე-ბიბლიოთეკარად დაინიშნა სოფელ ახატელის მცხოვრები გულო ლაზარიაშვილი. რესპოდენტ ანზორ ყალანდრიშვილის ინფორმაციით, ამ თანამდებობაზე იგი 1952 წლის 16 ოქტომბრამდე ასრულებდა თავის მოვალეობას. ბიბლიოთეკის მომდევნო გამგე გახდა ნეჟრო კენკიშვილი (1953 წლის 25 დეკემბრამდე).

მიმართა, რომ საჭიროა ბიბლიოთეკის ზედწოდებების - „საკოლმეურნეო“ და „საკლუბო“-ს ახსნა-განმარტება. ამისათვის მოგახსენებთ შემდეგს. 1921-1931 წლებში სოფლის მეჩეთი რაიონული და ადგილობრივი კომუნისტი ხელმძღვანელების გადანყვეტილებით კოლმეურნეობამდელი სამეურნეო ორგანიზაცია-დანესებულებების ადმინისტრაციულ შენობად და საწყობად გამოიყენებოდა. ყარაჯალაში 1928 წელს გახსნილი ქობ-სა-

მკითხველოც მეჩეთის შენობაში დააბინავეს.1932 წელს სოფელში ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა შეიქმნა. მეჩეთი კოლმეურნეობის ბალანსზე იქნა აღრიცხული. ამიტომ 1951 წლამდე მეჩეთში ბინადადებული სამკითხველო „საკოლმეურნეო ბიბლიოთეკად“ იწოდებოდა.

1951 წლის 10 აპრილის სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომის (ოქმი N5) დღის წესრიგის მეხუთე საკითხად განხილული იქნა საკითხი - „სასოფლო კლუბის სამშობიაროდ, ხოლო მეჩეთის სასოფლო კლუბად გადაკეთების შესახებ“. საკითხის დადგენილებაში ვკითხულ;ობთ: „ვინაიდან სამშობიარო სახლისათვის და სამედიცინო პუნქტისათვის შესაფერისი შენობა არ მოგვეპოვება და არც არსებობს საშუალება ახალი შენობის აშენებისა, გადაკეთებული იქნეს სასოფლო კლუბის შენობა სამშობიაროდ, ხოლო კლუბს კი გადაეცეს ყოფილი მეჩეთის შენობა“.

1932 წელს სოფელში შექმნილი კოლმეურნეობის ადმინისტრაციაც ყოფილ მეჩეთში განთავსდა. მის აივანზე ამოშენებულ-გამოყოფილი ოთახებიდან ერთში დაბინავებული იყო ქოხ-სამკითხველო. მეჩეთის სამლოცველო დარბაზი სანყობად გამოიყენეს და 1932 წლის შემდეგაც სანყობად დარჩა დიდხანს. 1951 წლის აპრილიდან, მეჩეთში სასოფლო კლუბის დაბინავების შემდეგ, ამავე ტერიტორიაზე იმყოფებოდა ბიბლიოთეკაც. 1932-1951 წლებში „საკოლმეურნეო ბიბლიოთეკად“ რომ იწოდებოდა, ახლა მის დასახელებას „საკლუბოც“ დავამატა. ახალი შენობის აშენების შემდეგ კოლმეურნეობის ადმინისტრაცია გადავიდა მეჩეთიდან. რაკი ბიბლიოთეკა სასოფლო კლუბთან ერთ ქუჩვეშ აღმოჩნდა, ამიტომ 1951 წლიდან ეს ბიბლიოთეკა „საკლუბო ბიბლიოთეკად“ იწოდებოდა.

1954 წლიდან ბიბლიოთეკას რამდენჯერმე გამოეცვალა ხელმძღვანელი: სალომე ფეიქრიშვილი (1954.10.01-1956.02.06); ნინო კენკიშვილი (1956.12.05-1958.01.12); მერი ფეიქრიშვილი (1958.10.12-1959.24.12).

რადგან საკლუბო ბიბლიოთეკა და კლუბი მეჩეთის შენობაში ფუნქციონირებდა და მეჩეთი კოლმეურნეობის ბალანსზე იყო, ბიბლიოთეკარების და კლუბის გამგეების დანიშვნა - მოხსნის საქმეს სა-

სოფლო საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით კოლმეურნეობის გამგეობა არეგულირებდა.

საკოლმეურნეო საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ კოლმეურნეობის გამგეობის 1959 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე საკოლმეურნეო (საკლუბო) ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად არჩეული იქნა ჯავარათ არჩილ ყიზი ახვერდიევა, რომელმაც დაახლოებით თვენახევარი იმუშავა და 1960 წლის 07 თებერვალს გამგეობის სხდომაზე თავისი განცხადებით განთავისუფლდა. მომდევნო ოთხ წელიწადში ასევე მოხდა გამგეების შემდეგი ცვლილებები: ქამალოვი აზრათ მუსტაფა ოლი (1960.07.02-1961.02); გული უნუს ყიზი სივიევა (1961.02-1963.25.03); არიფოვა თამამ ასან ყიზი (1963.30.03-1964.03.05).

ყარაჯლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1964 წლის 28 აპრილის სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხად განხილულა საკითხი - „ყარაჯლის საკოლმეურნეო ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ“ (მომხს. ჰასან აშიროვი). მომხსენებელი აღნიშნავდა: „საკოლმეურნეო ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს არიფოვა თამამ ჰასან ყიზი. სამუშაო გეგმები წესრიგში აქვს. წიგნადი ფონდი 4,480 ერთეულს შეადგენს. ჰყავს 91 მკითხველი, რაც ძალიან ცოტაა.

ყარაჯლის საკლუბო ბიბლიოთეკის გამგედ 1964 წლის 03 მაისიდან დაინიშნა მერი აბრამიშვილი. ერთ წელიწადში იგი შეცვალა დარიკო გოგოჭურმა (1965. 25. 03-დან 1966.01.04-მდე). 1966 წლის 01 აპრილს საკოლმეურნეო ანუ საკლუბო ბიბლიოთეკის მუშაობას სათავეში ჩაუდგა საქმის პროფესიონალი სპეციალისტი თამარ ნარიმანიძე. მან დიდი წვლილი შეიტანა სოფელში კულტურულ-მასობრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

**თამარ ნარიმანიძე** დაიბადა 1932 წელს ახმეტის რაიონის სოფელ მალრაანში. 1940-1944 წლებში სწავლობდა მალრაანის დაწყებით სკოლაში, 1944-1950 წლებში კი - მატნის საშუალო სკოლაში. თამარ ნარიმანიძემ 1950 წელს შრომითი საქმიანობა დაიწყო ახმეტის რაიონის სოფელ დუმასტურის ბიბლიოთეკის გამგედ. მან აქ 1955 წლამდე იმუშავა. შემდეგ გადაიყვანეს სოფელ ფიჩხოვანის ბიბლიოთეკის გამგედ. 1958-1964წლებში თ. ნარიმანიძე თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობდა. 1964 წელს გათხოვდა თელავის რაიონის სოფელ რუისპირში, თ. ნარიმანიძემ 1966 წლის 01 აპრილს მუშაობა დაიწყო სოფელ ყარაჯალის საკლუბო ბიბლიოთეკის გამგედ. იგი 1966-1982 წლებში სოფელ ყარაჯალის N25 უბნის საარჩევნო კომისიის უცვლელი მდივანი იყო.

1966 წელს ყარაჯალის საკლუბო (საკოლმეურ-

**მერი ფეიქრიშვილი (მარჰვინიან ჰირჰვილი) მკითხველებთან ერთად 1959 წ.**







**სასოფლო ბიბლიოთეკის გაგზავნილი მურადოვა (მავიდასთან ზის) და ბიბლიოთეკარი გულფარი შარიალა ყიზი აბდურეჰმანი მონაწილეობისათვის საინტერესო წიგნების შერჩევა-გაცემის პროცესში 1976 წელი**

ნეო) ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 2500 ერთეულს შეადგენდა. 1987 წელს კი, თ. ნარიმანიძის აქტიური საქმიანობის შედეგად, წიგნადი ფონდი 8000-მდე გაიზარდა და მკითხველთა რაოდენობამ 700-ს მიაღწია. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აზერბაიჯანულ, ქართულ და რუსულ ენოვანი მხატვრული, სამეცნიერო, პოლიტიკური და სხვა ხასიათის ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს აერთიანებდა. პროფესიონალი ბიბლიოთეკარი ხშირად აწყობდა მკითხველთა კონფერენციებს, ლიტერატურულ და ინტერნაციონალურ საღამოებს და სხვა საინტერესო ღონისძიებებს. თამარ ნარიმანიძე სასოფლო ბიბლიოთეკის გამგედ 2004 წლამდე, გარდაცვალებამდე მუშაობდა.

საკოლმეურნეო (საკლუბო) ბიბლიოთეკისათვის „სასოფლო ბიბლიოთეკის“ სტატუსის მინიჭებაზე საინტერესო მასალას ვხვდებით სასოფლო საბჭოს საარქივო ჩანაწერებში. მივმართოთ ამ მასალას:

სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1969 წლის 17 ნოემბრის სხდომის (ოქმი N16) დღის წესრიგის პირველი საკითხის - „ყარაჯალის სასოფლო ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ“ (მომხს. უსუფ ისკანდაროვი) - მასალებიდან ირკვევა, რომ 1968 წლის 01 ოქტომბრამდე ბიბლიოთეკა კოლმეურნეობის ბალანსზე იყო და „საკოლმეურნეო ბიბლიოთეკად“ იწოდებოდა. 1968 წლის 01 ოქტომბერს ბიბლიოთეკა სასოფლო საბჭოს ბალანსზე გადმოვიდა და „სასოფლო ბიბლიოთეკად“ იწოდება. ამ დროისათვის (1969 წლის 17 ნოემბრისათვის) ბიბლიოთეკის გამგედ თამარ ნარიმანიძე მუშაობს. ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობა ჯერ კიდევ 1966 წლის 01 აპრილს „საკოლმეურნეო ბიბლიოთეკის“ სტატუსით ფუნქციონირების დროიდან დაუწყია. თავისი საქმის სპეციალისტია და იმედი გვაქვს, თავის საქმეში წარმატებული იქნება“.

ყარაჯალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1973 წლის 10 ივლისის სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხის - „ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის (8,2 ათასი მანეთის) ათვისების შესახებ“ (მომხსენებელი აბდულ კურბანოვი), მასალებში ვკითხულობთ:

„ნარიმანიძე თამარი აღნიშნავს, რომ ყარაჯალის სასოფლო ბიბლიოთეკა 1968 წლის 01 ოქტომბერს გაიხსნა. მანამდე ბიბლიოთეკა ბინის სივნიროვს და ინვენტარის ნაკლებობას განიცდიდა. სასოფლო ბიბლიოთეკად გადაკეთების შემდეგ მდგომარეობა საგრძობლად შეიცვალა. ამჟამად ბიბლიოთეკა სასოფლო საბჭოს კეთილმონყობილ, ფართო და ნათელ ბინაშია მოთავსებული, ყველა საჭირო ინვენტარით. მხოლოდ დიდი მაგიდა და სკამები არ გვაქვს“.

1968 წლის 01 ოქტომბერს საკოლმეურნეო-საკლუბო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაყოფით მოხდა ორი ბიბლიოთეკის შექმნა. ერთი, სასოფლო ბიბლიოთეკა და მეორე - საკლუბო ბიბლიოთეკა, რომელიც ცოტა მოგვიანებით მეორე სასოფლო ბიბლიოთეკა გახდა.

თელავის რაიონის, ქალაქის და სოფლების საბიბლიოთეკო ქსელის ცენტრალიზაციის შემდეგ ყარაჯალის სასოფლო ბიბლიოთეკები ცენტრალური ბიბლიოთეკის N25 და N37 ფილიალებად ჩამოყალიბდნენ. N25 ფილიალის (N1 სასოფლო ბიბლიოთეკა) გამგე ბიბლიოთეკარი თამარი ნარიმანიძე იყო, ხოლო N37 ფილიალის (N2 სასოფლო ბიბლიოთეკა) გამგე - თინა კირვალიძე. თინა კირვალიძის დეკრეტულ შევებულებაში ყოფნის პერიოდში საკლუბო ბიბლიოთეკის ანუ N37 ფილიალის გამგედ იზა კირვალიძე მუშაობდა.

1970-1980-იან წლებში ყარაჯალას სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა შემდეგი კულტმასობრივი დაწესებულებები:

1) თელავის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის ყარაჯალის N25 ფილიალი, რომელიც სასოფლო საბჭოს პირველ სართულზე იყო (N1 სასოფლო ბიბლიოთეკა), ბიბლიოთეკარი თ. ნარიმანიძე. 1982 წლისთვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 6,820 ერთეულ წიგნს. მკითხველთა რაოდენობა კი 560-ს.

2) N37 ფილიალი (N2 სასოფლო ბიბლიოთეკა), რომელიც ნიზამი რასულ ოღლი მურადოვის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე იყო მოთავსებული. ბიბლიოთეკარი თინა კირვალიძე, მოგვიანებით - ნონია მახაროვა, შემდეგ - ელზა ბახტიარ ყიზი. 1982 წლის მონაცემებით, აქ წიგნადი ფონდი იყო 3,994 ერთეული, ბიბლიოთეკას ჰყავდა 520 მკითხველი.

3) 1978 წლის დასაწყისში გაიხსნა საბავშვო ბიბლიოთეკა, რომელიც სოფლის კომუნალურ ბინაში ანუ მასწავლებელთა სახლში იყო მოთავსებული. 1982 წელს იგი მდებარეობდა საბჭოთა მურნეობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (ფოსტის პირისპირ). ჰქონდა 3,147 წიგნადი ფონდი და ჰყავდა 410 მკითხველი. გამგე - მამედოვა ელმირა ასან ყიზი.

4) სასოფლო კლუბი, რომელიც მეჩეთის შენობაში იყო. გამგედ ვალერი ნაბიევი მუშაობდა. შემდეგ

იგი შეცვალა ოთარ აშიროვმა.

სოფელ ყარაჯალის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სხვადასხვა წლებში, ცალ-ცალკე მრავალ მასობრივ ღონისძიებას ატარებდნენ. ეს იყო მკითხველთა კონფერენცია, დიასპუტი, დილა-სადამოები, საიუბილეო სადამოები, შეხვედრები და სხვა. ერთ-ერთი ასეთი დასამახსოვრებელი ღონისძიება ჩატარდა 1987 წლის 29 აპრილს. სასოფლო კულტურის სახლში სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა - N25, N37, და N44 ფილიალების ბიბლიოთეკარებმა კულტსახლის დირექტორის მონაწილეობით ერთობლივი, მასშტაბური ღონისძიება - კულტურის ძველ მუშაკებთან შეხვედრა მოაწყეს, რომელიც ბიბლიოთეკის დღეს მიუძღვნეს. შეხვედრას მრავალრიცხოვანი მკითხველები, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რაიონის კულტურის განყოფილების და ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები, მეზობელი სოფლების ბიბლიოთეკარები ესწრებოდნენ.

განათლების ვეტერანმა, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტივისტმა, სკოლის აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა რასულ მურადოვმა შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა, დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის და ისაუბრა სოფლის მოსახლეობის კულტურის ტრადიციებზე.

აზიზ აბაზოვმა ისაუბრა სოფელში სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიაზე. მან ვეტერანი კლუბის გამგეების და ბიბლიოთეკარების შესახებ საინტერესო ინფორმაცია მიიწვია კლუბის პირველ გამგეებზე - ეიუბ ელჩიეზზე, ჰასან აშიროვზე, ნურმამედ ნასიბოვზე, რაჯაფ ახმედოვზე, ბიბლიოთეკარებზე - ომარ მუხტაროვზე, ასტან მურთუზოვზე, ფაშა მუსა ოლიზზე, თამამ არიფოვზე, გული სივიევაზე და სხვა. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ: ჰასან აშიროვი, რაჯაფ ახმედოვი, თამარ ნარიმანიძე, ლამარა ახვერდიევა, დურსუნ მუსაევი, ქალიმათ აშიროვა, ახმედ მამედოვი, დალი ჯავარაშვილი, ნუნუ ძამუკაშვილი და სხვები. შეხვედრის თითოეულ მონაწილეს ღონისძიებით მიღებული შთაბეჭდილება კეთილ მოგონებად დარჩა.

1987-1988 წლებში საქართველოში ეროვნული მოძრაობამ დიდი გაქანება მიიღო. 1991 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1992-1995 წლებში საქართველოში სამხედრო შეიარაღებული რაზმი - „მხედრიონი“ „ბატონობდა“. მხედრიონელთა არაკანონიერი მოქმედებით დიდი ზარალი მიადგა რესპუბლიკის ეკონომიკას, სოფლის მეურნეობის და კულტურის სფეროს. ამიტომ ბიბლიოთეკები მართლა წიგნების საცავად გიგანტურად გადაიქცა. ზოგადად, ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაკვდა მუშაობა.

1995 წლის შემდეგ ნელ-ნელა აღდგა კულტმა-

სობრივი მუშაობა.

რადგან რესპუბლიკა ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა, მოხდა ბიბლიოთეკების დახურვა-გაერთიანება. N37 და N44 ფილიალების წიგნადი ფონდები N25 ფილიალის წიგნად ფონდს მიუმატეს და გაამსხვილეს. ამგვარად, ერთი სასოფლო ბიბლიოთეკა შეიქმნა, რომელსაც სასოფლო კულტსახლის მეორე სართულზე, დასავლეთის მხარეს, საკმაოდ დიდი ფართობის მქონე და ნათელ ოთახში მიუჩინეს.

სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე - თამარი ნარიმანიძემ ახალ პირობებში (1995 წლიდან) უფრო აქტიურად დაიწყო სოფელში კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების გამრავალფეროვნებისათვის მუშაობა. სამწუხაროდ, მას მრავალი საინტერესო ღონისძიების ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. იგი 2004 წელს გარდაიცვალა. 2004 წელს სასოფლო ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე მისი შვილი, მანანა კუკნიშვილი დაინიშნა.

2011 წელს სოფლის კულტსახლის შენობა შეისყიდა ადგილობრივმა ბიზნესმენმა მაილოვი სევდინ აიბინ ოლიმ. მან თავისი გეგმის შესაბამისად კულტსახლის შენობას კაპიტალური რემონტი ჩაუტარა და საბანკეტო დარბაზად გადააქცია. სოფლის ხელმძღვანელობის თხოვნით სევდინ მაილოვმა ბიბლიოთეკას დაკავებული ფართი არ დაატოვებინა. მაგრამ ბიბლიოთეკა თავისი მოვალეობის შესრულების შესაძლებლობას მოკლებულია.

### ყარაჯალის სასოფლო ბიბლიოთეკები

სოფლის საბიბლიოთეკო ქსელის ისტორიაზე გარკვეული წარმოდგენის შექმნაზე თუ ვსაუბრობთ, ვფიქრობთ ეს სრულყოფილი არ იქნება თუ სასოფლო ბიბლიოთეკის ისტორიასაც არ შევეხეთ.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ სოფელ ყარაჯალის სინამდვილეში საერო დაწყებითი სკოლა 1886 წელს გაიხსნა. სკოლის გაზრდა-გაფართოვების ეტაპები ასეთია:

1. 1886-1932 წლები - დაწყებითი სკოლა
2. 1932-1946 წლები - არასრული შვიდწლიანი სკოლა;
3. 1946-1957 წლები - არასრული 8 წლიანი სკოლა;
4. 1957 წლიდან დღემდე საშუალო ანუ საჯარო სკოლა.

კვლევა-ძიებითი მუშაობის პროცესში მოძიებულ-მოპოვებული მასალების საფუძველზე სასოფლო ბიბლიოთეკის შესახებ შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი: საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების განათლების საკითხების მკვლევარი მეცნიერის გულნარა გოჯაევას ინფორმაციით, 1907 წელს ყარაჯალის დაწყებით სკოლაში ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. მისი წიგნადი ფონდი 210 წიგნს მო-



იცავდა. აქედან 39 წიგნი მოსწავლეთათვის, 41 კი მასწავლებელთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები იყო. დანარჩენი (130) წიგნები მხატვრულ და მასობრივ ლიტერატურაზე მოდიოდა“. 1938-1939 სასწავლო წლის მდგომარეობით ცნობილი ხდება, რომ სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 479 ერთეულს შეადგენდა.

სასკოლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის ვინაობის შესახებ ინფორმაცია 1947 წლიდან მოგვეპოვება. საარქივო მასალებში ყარაჯალის რვანლიანი სკოლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად 1947 წელს მოხსენიებულია თამარი გურგენაშვილი. იგი ბიბლიოთეკარად მუშაობდა 1956 წლამდე. ვფიქრობ, თამარ გურგენაშვილამდე ბიბლიოთეკარის ვინაობა გამოკვეთილად არაა ცნობილი იმიტომ, რომ მანამდე ამ თანამდებობას რომელიმე მასწავლებელი ითავსებდა. ამიტომ მოძიებულ მასალებში ბიბლიოთეკარის გვარი-სახელი გამოკვეთილად არ ფიგურირებს. სასკოლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად თ. გურგენაშვილის შემდეგ, 1956-1965წლებში, ჯამალ ისრაფილოვი მუშაობდა.

1959-1960 სასწავლო წლისათვის სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 3249 ერთეულს შეადგენდა. აქედან აზერბაიჯანულენოვანი ლიტერატურა - 1783, ქართულენოვანი - 1130, ხოლო რუსულენოვანი - 336 ერთეულ წიგნს შეადგენდა.

1964 წლის გაზაფხულზე თელავის განათლების რაიგანყოფილებამ სკოლის ინსპექტირება ჩაატარა. შემოწმებულ იქნა სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობაც. შემოწმების შედეგების განხილვის პროცესში განყოფილების გამგე - ალექსანდრე ნადაშვილი აღნიშნავდა: „ჩემს მიერ დათვალიერებული ბიბლიოთეკა არის მხოლოდ წიგნების სანყოფი. აქ მუშაობა ძალიან ძნელი იქნება, განსაკუთრებით ზამთარში. ოთახში ფეხი არ დგას, წიგნები დამტვერილია, ფანჯრები ჩამტვრეულია, არ გაქვთ კატალოგი და სხვა. უნდა იზრუნოთ ბიბლიოთეკის უკეთესად მოწყობაზე“.

1965 წლის აგვისტოდან ბიბლიოთეკარად დაინიშნა საშუალო განათლების მქონე ჯავაჰირ (ლილი) მურადოვა.

**მურადოვა ჯავაჰირ (ლილი) რასულ ყიზი** დაიბადა 1945 წლის 11 ივნისს თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, პედაგოგის ოჯახში. 1952-1963 წლებში სწავლობდა მშობლიური სოფლის სკოლაში. იგი ყარაჯალის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მესამე გამოშვების წარმომადგენელი იყო. 1962 წელს ლილი მურადოვამ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან, შირვან ალიევთან ქორწინებით ღირსეული ოჯახი შექმნა.

1965 წლის აგვისტოდან ლილი მურადოვამ ყარაჯალის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად დაიწყო მუშაობა. მან სიცოცხლის 43



წელი სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის, წიგნის სიყვარულის, მათი კითხვის, კულტურის ამალგების კეთილშობილურ საქმეს მიუძღვნა.

ყარაჯალის საშუალო სკოლის პედსაბჭოს 1967 წლის 28 თებერვლის სხდომის (N8) დღის წესრიგის მესამე საკითხის - „სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ“ (მომხს. სკოლის ორგანიზატორი შალვა ეპიტაშვილი) მასალებიდან ირკვევა შემდეგი: „ამ დროისათვის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 6,968 წიგნს შეადგენდა. აქედან, ქართულენოვანი ლიტერატურა - 4,422 წიგნი, აზერბაიჯანულენოვანი - 1,890 ერთეული, რუსულენოვანი კი - 656 წიგნი ბიბლიოთეკის წიგნად სიმდიდრეს წარმოადგენდა. ბიბლიოთეკას 626 მკითხველი ჰყავს. მათგან 534 მოსწავლე, 57 მასწავლებელი და 35 სოფლის ახალგაზრდა მცხოვრებია. ბიბლიოთეკარებად მუშაობენ: გამგე - ჯავახირ (ლილი) მურადოვა - 1 შტატზე, ბიბლიოთეკარი ჯამალ ისრაფილოვი 0,5 შტატზე მუშაობს

1967-1968 სასწავლო წლისათვის სასკოლო ბიბლიოთეკას 961 მკითხველი ჰყავდა. მათგან 803 მოსწავლე, 58 მასწავლებელი იყო. წიგნადი ფონდი 6,223 წიგნს შეადგენდა. აქედან: ქართულენოვანი - 3658, აზერბაიჯანულენოვანი - 1899, რუსულენოვანი - 666 წიგნი იყო. ბიბლიოთეკის გამგე ჯავახირ მურადოვა, ბიბლიოთეკარი - ბელა რაზმაძე იყო.

1981 წლის 03 იანვრის პედსაბჭოს სხდომაზე ორგანიზატორ ელხან მამედოვის ანგარიშის მასალებში ვკითხულობთ: „სკოლაში არის საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა, რომელსაც ემსახურება ბიბლიოთეკის გამგე ლილი მურადოვა და ბიბლიოთეკარი სულეიმან შარიბალა ოღლი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 13,286 ცალ წიგნს შეადგენს. ბიბლიოთეკას ჰყავს 838 მკითხველი. მათგან 73 მასწავლებელი და 765 მოსწავლეა. ბიბლიოთეკას 3,597 სასწავლო სახელმძღვანელო აქვს, რითაც მოსწავ-

ვლევები სარგებლობენ. გამოდის კედლის გაზეთი, მოწყობილია მეგობრობის და მკითხველთა კუთხე - გამოფენა“.

1981 წლის სექტემბრიდან ნახევარ შტატზე დასაქმებული სულიმან შარიბალა ოფლი დაწყებითი კლასების სრულ შტატზე მასწავლებლად გადაიყვანეს. მის მაგივრად ბიბლიოთეკარად დაინიშნა ყარაჯალის საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მინაია ზაჰიდ ყიზი (ჩიჩი).

მინაია (ჩიჩი) ზაჰიდ ყიზი დაიბადა 1957 წელს, 1963-1973 წელს სწავლობდა ყარაჯალის საშუალო სკოლაში. იგი დღემდე კეთილსინდისიერად ასრულებს ყარაჯალის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის საპატიო მოვალეობას.

2008 წელს, 63 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჯავაჰირ (ლილი) მურადოვა (ალლაჰმა აცხონოს!). იგიმურადოვა 43 წლის სტაჟის მქონე ბიბლიოთეკარი იყო. მის შემდეგ სასკოლო ბიბლიოთეკას უნარიანად უძღვება მინაია (ჩიჩი) ზაჰიდ ყიზი.

სასკოლო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის, ჩიჩის ინფორმაციით, 2020 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით წიგნადი ფონდი შეადგენს 14.479 წიგნს. ესენია სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა ქართულ, აზერბაიჯანულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ასევე - მეთოდური ლიტერატურა.

კვლევა-ძიების მასალებით დასტურდება ყარაჯალის სასკოლო ბიბლიოთეკის შემდეგი ბიბლიოთეკარების გვარი-სახელი და მუშაობის წლები :

- 1.თამარ გურგენაშვილი(1947-1956 წწ.);
2. ჯამალ ისრაფილოვი(1956-1965 წწ.);
- 3.ჯავაჰირ(ლილი) მურადოვა(1965-2008 წწ);
- 4.ბელა რაზმაძე (1967-1972 წწ.);
- 5.გულფარი შარიბალა ყიზი (1972-1978 წწ.);
- 6.სულიმან შარიბალა ოფლი (1978 -1981 წწ.);
- 7.მინაია(ჩიჩი) ზაჰიდ ყიზი (1981წლიდან დღემდე) .

**ყარაჯალის საკოლმეურნეო, საკვებო და N1 სასკოლო ბიბლიოთეკის გამგე მუშაობენ:**

დისამიძე შალვა (1928წ.07.11-1929წ.01/02); ერთგულაშვილი ქეთო (1929წ. 01/02-1932წ. 24/12); მამისთვალოვი სარა (1933წ. 02/01-1934წ. 18/11); მუხტაროვი ომარ(1934წ. 25/11-1936წ. 12/03); ათოევი (1936წ. 18/03-1937წ. 23/03); ლეგაშვილი ანო (1937წ. 30/03-1938წ. 03/02); მურთუზოვი ასტან (1938წ. 03/02-1938წ. 04/05); ფაშა მუსა ოფლი (1938წ. 04/05-1938წ. 02/10); მურთუზოვი ასტან (1938წ. 02/10-1941წ. 10/08); აშიროვა ქოვსარ (1941წ. 11/08-1943წ. 14/06); ციგროშვილი მართა (1943წ. 25/06-1948წ. 28/08); ლაზარიაშვილი გულო (1948წ. 06/09-1952წ. 16/10); კენკიშვილი ნენო(1952წ.16/10-1953წ.25/12); ფეიქრიშვილი სალომე (1954წ. 10/01-1956წ. 02/06); კენკიშვილი ნინო (1956წ. 02/06-1958წ. 01/12); ფეიქრიშვილი მერი (1958წ. 10/12-

1959წ. 24/12); ახვერდიევა ჯავარათ (1959წ. 24/12-1960წ. 07/02); ქამალოვი აზრათ (1960წ. 07/02-1961წ. 10/02); სივიევა გული (1961წ. 10/02-1963წ. 25/03); არიფოვა თამამ (1963წ. 30/03-1964წ. 03/05); აბრამიშვილი მერი (1964წ. 03/05-1965წ. 25/03); გოგოჭური დარიკო (1965წ. 25/03-1966წ. 01/04); ნარიმანიძე თამარი (1966წ. 01/04-2004წ. სექტემბერი); კუკნიშვილი მანანა (2004წ. სექტემბერი - დღემდე).

საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით ჩანს, რომ 1965-1990 წლებში ყარაჯალის სასოფლო საბიბლიოთეკო სისტემის (საკოლმეურნეო (საკლუბო) სასოფლო, საბავშვო) ბიბლიოთეკების ბიუჯეტი მზარდია 60-იანი წლებიდან 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაფინანსების დინამიკა იკლებს, რომელიც, სავარაუდოდ, ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის ეკონომიკური დეგრადაციის გამოძახილი უნდა იყოს. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან კი იწყება დამოუკიდებელი საქართველოს ახალი ისტორია, რომლის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია საქართველოს ბიბლიოთეკები, მათ შორის ყარაჯალის ბიბლიოთეკები.



სასკოლო ბიბლიოთეკის გამგე მინაია (ჩიჩი) ზაჰიდ ყიზი ერთ-ერთ აქტიურ მკითხველთან, მე-3 კლასის მოსწავლე მარიამ აშიროვასთან ერთად. 2024 წელი



სასკოლო ბიბლიოთეკის გამგე ლილი მურადოვა და ბიბლიოთეკარი მინაია (ჩიჩი) ზაჰიდ ყიზი 2005 წელი.



# გველის გრაფიკა ქრისტიანულ მხატვრობაში, არქაულ და ქართულ ანბანურ დამწერლობებში



**რუსუდან მიქაელაძე**  
საფრანგეთის უმაღლესი სწავლების  
პრეზიდიუმის სკოლის რედიგირ  
მეცნიერებათა მაგისტრი,  
პარიზის კავკასიის ევროპული  
სახლის პრეზიდენტი

## წინასიტყვაობა

2022 წლის აგვისტოს თვეში მესიანური ჩაგარდა რიგით VI საერთაშორისო კონგრესი კავკასიოლოგიაში; პატივი მქონდა, მონაწილეობა მიმეღო კონგრესის მუშაობაში და გაცნობოდი სპანეთის მუზეუმში დაცულ ქართული ეროვნული მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშებს.

მუზეუმის დათვალიერების პროცესში, ჩემი ყურადღება მიიპყრო XII საუკუნის, ადგილობრივი ტექნიკით (ხა, ღვკასი, ტეპირა), შესრულებულმა ხაგმა, „ღვთისმშობელი ყრმით“. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შევათხინე გველის ფიგურის უჩვეულო გრაფიკა ღვთისმშობლის, დამარიას სახის განსწავლვ. რაც მიგვაჩვენებს, რომ ევა -კაცობრიობის ჩამსახვები ღვდა, განახლებული უნდა გამოსახულიყო ღვთისმშობელი მარიამის სახიერებით.

სპანური ხატვის ამ ნიმუშის მიხედვით, გველი ალარ ფიგურირებს როგორც მაცდუნებელი ბოროტისა, არამედ მისი ახალი გრაფიკა მიუთითებს აკრძალული ხიდის (სიბრძნის ხის ნაყოფის), როგორც განკაცებული ყრმის და მისი მშობელი ღვდის გაბაართიანებელი ცოდნის სიმბოლიკას.

ამ ჰიპოთეზას ამყარებს ღვთისმშობლის მარცხენა მხარეს, ყურის ღონეზა ჩანიშნული, XII საუკუნისათვის დამახასიათებელი მხედრული და ნუსხური ანბანით ჩანერილი ასო-ბგერა „ჭარ“.

## წერილი პირველი

### გველის ფიგურა ქრისტიანულ მხატვრობაში

ქრისტიანულმა ხელოვნებამ მრავლად შემოგვინახა ღვთისმშობლისა და გველის ერთობლივი გამოსახულებები. ევროპულ მხატვრობაში ხშირად გვხვდება მარიამის ფეხქვეშ მოქცეული გველის ფიგურა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კათოლიკურ სამყაროში გავრცელებული, ქვენარ-მავალზე აღმართული ღვთისმშობელი, XVII საუკუნის ბავარიელი მხატვრის ცნობილი იკონოგრაფია: “Marie qui défait les nœuds” - მარიამი, რომელიც ხსნის კვანძებს.

მარცხენა ანგელოზს უჭირავს კვანძებიანი გრძელი სარტყელი, რომელიც მარიამის ხელებში მოხვედრის შედეგად იხსნება და გლუვი სა-



ხით გადაეცემა მარჯვენა ანგელოზს. 1999 წლის 15 აგვისტოს, როდესაც კათოლიკური ეკლესია აღნიშნავდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს, ბუნოს აირესის მაშინდელმა კარდინალმა და დღევანდელმა რომის პაპმა ფრანსუამ, თავისებურად ახსნა ამ ხატის შინაარსი:

„დაახლოებით 202 წელს, ირინეოს ლიონელი წერდა: „დაუმორჩილებლობით ევამ შექმნა ადამიანთა მოდგმის დამახრჩობელი კვანძი, რომელიც გახსნა მარიამმა თავისი მორჩილებით. რასაც ქალწული ევა გაკვანძავს თავისი დაუჯერებლობით,

სტიის მუზეუმში დაცულია ტრადიციული ხატწერის უნიკალური ნიმუში, XII საუკუნით დათარიღებული „ღვთისმშობელი ყრმით ხელში.“

ტრადიციული ტექნიკით შესრულებული, შუა საუკუნეების ქართული ხატწერის ეს ნიმუში, გადმოგვცემს რადიკალურად განსხვავებულ მსოფლმხედველობას; რამდენადაც, ევროპული მხატვრობისაგან განსხვავებით, გველის მიერ წარმოქმნილი კვანძები ღვთისმშობლის თავსაბურავში ფიქსირდება და შესაძლებელს ხდის გველის კუდის უჩვეულო ვერტიკალურ მიმართულებასა და



იმას რწმენით გახსნის მარად ქალწული მარიამი.“

1700 წელს, წმინდა ირინეოს ამ ფრაზამ შთააგონა ბავარიელი მხატვარი, შეექმნა ფერწერული ტილო დედა ღვთისმშობლისა, რომელიც ურწმუნოებისა და დაუმორჩილებლობის კვანძებს ხსნის.“

აქვე მინდა, მაგალითად მოვიყვანო 1605 წელს ცნობილი იტალიელი მხატვრის, კარავაჯოს მიერ შექმნილი ტილო სახელწოდებით: „ღვთისმშობელი გველით“, რომელზედაც გამოსახულია ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს მარცხენა ფეხქვეშ მოქცეული გველის ფიგურა, რომელსაც დასცქერის მარიამის მშობელი დედა - ანა. ეს მხატვრობა ადასტურებს ლუკას სახარების სიტყვებს:

„აჰა, მოგცემთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა დათრგუნვისა და მტრის ყოველი ძალისა; და ვერაფერი გავნებთ თქვენ“ (ლუკა,10:19).

ევროპულ მხატვრობაში გველის ფიგურა, მოყოლებული ადამ და ევას ისტორიიდან, განასახიერებს ცდუნების ბოროტებას, მისი დამლაზვრელი ღვთისმშობელი მარიამი კი, ტრიუმფალურ გამარჯვებას ევას მიერ ჩადენილ ცოდვაზე. სვანეთში, მე-

მისი თავის და ორკაპა ენის დაფიქსირებას ღვთისმშობლის მარჯვენა ყურთან. ამ ორმაგ ზედა და ქვედა პოზიციებს აერთიანებს კვანძიდან დაშვებული სარტყელი, რომელიც კვეთს მარიამის მარცხენა და ყრმა იესოს მარჯვენა ყურებს და სამკაულად გასდევს ღვთისმშობლის კისერს მარჯვენა ყურამდე. ფერწერულ ხატზე მკაფიოდ იკვეთება საპირისპირო ორი ყური: ყრმის მარცხენა და მარიამის მარჯვენა. ამასთან, მარცხენა მხარეს, ჩნდება სიბრძნის სიმბოლოდ გარდასახული, დედა-შვილის მაკავშირებელი სარტყელი, როგორც მესამე ყური.

როგორც ვაკვირდებით, წარლუნას გადარჩენილ ნოესთან ღმერთის მიერ დადებული კავშირის სიმბოლოდ ქცეული ორ მთას შორის გამოსახული ცისარტყელა, ხშირად გაიგივებული გველის ფიგურასთან, გარდაისახება სამ ყურთ მაკავშირებელ ყელსაბამად. რაც შეეხება ღვთისმშობლის კოსმიურ თავსაბურავს, იგი განასახიერებს გახსნილი ცის კამარას, რასაც მონუმობს ყელს შემოვლებული ამობრუნებული თაღოვანი წრიული გრაფიკის მქონე სამკაულად ქცეული გველის ზედა ნაწილი.



ვაკვირდებით, რომ გველი აღარ არის მოქცეული ქალის, დედაკაცის ფეხებქვეშ, აღარც შუღლი შეინიშნება მასსა და ჩვილ ყრმას შორის, ქალწულებრივი შობით მოპოვებული ღვთის წყალობა, წყევლას ახსნის ქუენარმავალს და სამკაულად გარდასახულს, მარიამს ყელს შემოახვევს როგორც ახალი ღვთიური ალიანსის ნიშანს.

დასრულდება დაბადებაში მოთხრობილი ღვთის რისხვა: „უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: რაკი ეს ჩაიძინე, წყუღიმც იყავ ყველა პირუტყვს შორის, ყველა გარეულ ცხოველს შორის! მუცლით იხობე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე. მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, შენს თესლსა და დედაკაცის თესლს შორის; ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე! (დაბადება 14:15)“.

### სამკაულად ქვეული გველის გრაფემა

საინტერესოა, რომ ქართულ ენაში სამკაულის აღმნიშვნელი კიდევ ორი სიტყვა არსებობს: ბალთა, როგორც სარტყლის შესაკრავი, იგივე უნო აბზინდა. თუ კარგად დავაკვირდებით ღვთიშობლის სახეს, დავინახავთ, რომ ეს ნახევრად წრიული გრაფიკა იწერება მარიამის ხორხის გარშემო და გვაგონებს ზიარების სარიტუალო ბარძიმის ფორმას, რომელშიც ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, ღვთისმსახურების დროს, ღვინო გარდაიქმნება ქრისტეს სისხლად.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულ დიალექტურ ენაში სამკაული ითქმის ყუნი, და პირდაპირი მნიშვნელობით უკავშირდება ყურს. იმის გათვალისწინებით, რომ ძველ კავკასიურ სომხურში ყური ითქმის როგორც ანგ/აჭ; ხოლო სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ქართული სიტყვა ჭ/ანგი იგივე 'კანჭი' არის ძველი ღვინო: „უმცარნი ღვინოსა მოძმარებულესა რომელნიმე ჭანგსა უწოდებენ და რომელნიმე კანჭსა. არც ერთია მათი სახელი, ანუ მოძმარებული ანუ ჭმახი.“ ჭმახე ითქმის ძალიან მუავზე, მკვახეზე, უმნიფარზე; ამასთან იგი იხმარება მკაფიო ხმის მისათითებლადაც; ამგვარად ვიღებთ ყელის, ყურის, ხმის, ძველი ღვინის საერთო სემანტიკურ ველს, რომელიც მოქცევა ასო „ჭ“-ს გრაფემის გარშემო.

და თუ კიდევ ერთხელ დავაკვირდებით გველის ფიგურის გრაფიკას, დავინახავთ, რომ იგი სამ ნაწილად არის დაყოფილი: ვერტიკალური - ცისკენ მიმართული ჯოხი, რომელსაც კუანძის სახით ორად ჰყოფს ბალთა, რათა შეუერთოს ნახევრად წრიულ აბზინდას, და ამგვარად იწერება გრაფემა, ქართული ანბანის ოცდამეათე, ძველით 33-ე ასო „ჭარ“. რაც შეეხება ასო-ბგერა „ჭ“-ს ანბანურ დასახელებას, იბერიულ-კავკასიური ენების მიხედვით „ჭარ“ ნიშნავს „ერთგვარ დოქს ან თასს“, რაც სავსებით ამყარებს ჩემ მიერ ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ღვთისმშობლის სახის გასწვრივ

გამოსახული, ზემოდან ქვემოთ დაშვებული გველის გრაფემით ჩანიშნული ასო ჭ, რომელიც იწერება ლამარიას სახის მარცხნიდან მარჯვნივ, უნდა ასახავდეს სარიტუალო ბარძიმს, როგორც ახალი ღვთიური ალიანსის ნიშანს.



სვანური ტრადიციული ხატწერის ეს უნიკალური ნიმუში ემყარება ხალხურ რელიგიურ მესხიერებას და მიგვანიშნებს, რომ სწორედ ღვთისმშობელი მარიამი წარმოადგენს ახალი ევას სახეს. ქართულმა ქრისტიანულმა ხელოვნებამ ასევე შემოგვინახა გველის გრაფემის კიდევ ერთი ნიშანი, მაცხვარიშის XII საუკუნის, ქრისტეს იერუსალიმში შესვლის ფრესკაზე გამოსახული იესოს და მისი მოციქულების შუბლის არეში - გველის გრაფემა მიმართულია ქვემოთ ზევით და ფიქსირდება იესოს შუბლის არეში -ჭაშაში და მარცხნიდან მარჯვნივ, ისევე როგორც მარჯვნიდან მარცხნივ, ნაკითხვით ასახავს ქართული მხედრული ანბანური დამწერლობის „ა“ ასოს.

შუბლის არეში გამოსახული გველის ფიგურა ჯერ კიდევ ფარაონების ეგვიპტეში იყო მიღებული. ქართულ ანბანურ დამწერლობებში „ა“ ასოს მინიჭებული აქვს სახელი „ან“, რაც იბერიულ-კავკასიური ენების მიხედვით მიუთითებს მესამე პირს, და დიდი ალბათობით, შეიძლება იყოს გაიგივებული გველის ფიგურით დანიშნულ უხილავ ღვთიურ მედიატორთან.

### წერილი მეორე

#### გველი, როგორც ქართული ანბანური დამწერლობის ზოომორფული ნიშანი

შუა საუკუნეების ქართულმა ტრადიციულმა ხატწერამ შემოგვინახა ევროპული საეკლესიო მხატვრობისაგან რადიკალურად განსხვავებული მსოფლმხედველობის ნიმუშები: მესტიის მუზეუმში

დაცული ღვთისმშობელი ყრმით და მაცხვარიში იესოს იერუსალიმში შესვლის ფრესკა. თითოეული მათგანი განსაკუთრებულია იმით, რომ გადმოგვცემს ქრისტიანული ხელოვნებისათვის უჩვეულო გრაფიკული ფორმებით გამოსახულ გველის გრაფემებს, რომლებიც ჩაინიშნება ქართული მხედრული ანბანური დამწერლობის 'ა' და 'ჭ' ასოებით.

ბიბლიური სურათების ანთროპოლოგიური, ლინგვისტური და პალეოგრაფიული კვლევის საფუძველზე მართებულად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული ანბანური დამწერლობების ზოომორფული ნიშანი შესაძლოა იყოს გველი, რაც მას განასხვავებს ბერძნული და სემიტური დამწერლობებისაგან, რომელთა საკრალური ზოომორფული ნიშანი არის ხარის თავი და დიდი ალბათობით უკავშირდება მთვარის საკულტო რელიგიას.

ანბანური დამწერლობებისათვის უცხო არ არის ნიშანთა ზოომორფული ფორმების არსებობა; არ უნდა გაგვიკვირდეს გველის გრაფემის ზოომორფული სახის ძიება ქართულ ანბანურ დამწერლობაში. გავიხსენოთ თუნდაც ბერძნული ანბანისაგან წარმოქმნილი ყოველი ევროპული ანბანის წარმომქმნელი ლათინური ალფაბეტის პირველი ასო-ნიშანი 'A'; იმის გათვალისწინებით, რომ თავად, 22 გრაფემით შედგენილი ბერძნული ანბანი ფინიკიურისაგან არის ნასესხები, რომელიც იყენებს აკროსტიხულ სისტემას და რომლის პირველი ნიშანი წარმოდგენილია ხარის თავის სიმბოლიკით და იკითხება როგორც სემიტური 'ალეფ'.

ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში, რომელსაც ქართულ პალეოგრაფიას მიუძღვნის, ამ მოვლენას შემდეგნაირად ახსნის: „რათგან 'ალეფ' ხარსა ნიშნავს და ხარი ვითარცა რქოსანი პირუტყვი ეგვიპტელებსა და მთვარის თაყვანისმცემელ ერებსაც წმინდა, საზვარაკო ცხოველად მიაჩნდათ, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ასოთა რიგში პირველად ხარის, 'ალეფ'-ის გამომხატველ ნიშანს ერთგვარი სარწმუნოებრივი დედააზრი, ვედრების გამომხატველი დანიშნულება ჰქონიყო, იმგვარადვე როგორც ქრისტიანობის შემდგომ ყოველივე ნაწერი ჩვეულებრივ + ჯვრის ნიშნით იწყებოდა. ამგვარად, გარკვეული პრინციპების მიხედვით დალაგებული სემიანთა ანბანი ბერძნებსაც სწორედ ამავე დალაგებულებით შეუთვისებიათ. ასოთა თანამიმდევნეობის მტკიცე რიგი სემიანთა ანბანში ცხადად ირკვევა ებრაელთა აკროსტიხული მწერლობის საშუალებით.“

რაც შეეხება ასოთა თანმიმდევრობას ანბანში: უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული ანბანის მწკრივი სემიტური ანბანის სისტემას მისდევს. დღემდე უცნობი რჩება, თუ რის საფუძველზე ან რა მოტივით უნდა ჩამოყალიბებულიყო სემიტური ანბანის თანმიმდევრობა, არსებობს მხოლოდ სარწმუნოებრივი დატვირთვის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ცნობილი ხდება რიგით პირველი, 'A' ასოს

ზოომორფული წარმომავლობა, ძველ სამყაროში წმინდა ცხოველად შერაცხული ხარის თავის სახით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ არაბულ დამწერლობაში, ასოები მოხაზულობის მსგავსების პრინციპით არიან დალაგებულნი, რაც მათ უფრო მეტად ანიჭებს მხატვრულ ღირებულებას, ვიდრე კონცეპტუალურს.

ქართულ ანბანის შემთხვევაში, თავიდან მოყოლებული 23-ე ასომდე დაცულია ის თანმიმდევრობა, რომელიც უძველეს სემიტურსა და შემდგომ ბერძნულში იყო გამოყენებული, მაგრამ მას დაემატება ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების გამომხატველი ნიშნებიც : ლ, ყ, შ, ჩ, ც, წ, ქ, და ეს თანმიმდევრობა არ უნდა იყოს შემთხვევითი: ლ-ყ თანხმოვნებს მიჰყვება სისინა და შიშინა წინაენისმიერ ბგერათა 5 ასოდან შემდგარი ჯგუფი, რომელიც 'ჭ' ასოთი მთავრდება.

ანბანურ დამწერლობებში ასოთა თანმიმდევრობასა და სახელებს თავისი წარმომავლობა და საფუძვლები გააჩნიათ. იმის გათვალისწინებით, რომ ანბანური დამწერლობა ჩამოყალიბდა ხატოვანი დამწერლობებისაგან, რომელთა წერის დროს თითოეული სიტყვისათვის იყენებდნენ ცალკეულ ნახატს და რომელთა შემდგომ განვითარებასაც მოჰყვა აკროფონიის საფუძველზე ახალი წესის გამოშვება: იხატებოდა საგნები და წარმოითქმოდა ამ საგნების სახელთა მხოლოდ საწყისი ასო. ბერძნულში 'A' ასოს სახელი 'ალეფ' და 'B' ასოს სახელი 'ბეტა' სემიტური წარმოშობისაა, რომლის მიხედვითაც „ალეფი“ ხარს ნიშნავს და „ბეთ“-სახლს. რაც ადასტურებს, რომ ამ ასოთა სახელწოდებანი ხატოვანი დამწერლობების ეპოქიდან მომდინარეობენ, როდესაც A-ს წასაკითხად ხარი იხატებოდა, ხოლო B-სთვის კი სახლი. ამგვარად შეიქმნა სიტყვა „ალფაბეტი“, ბერძნული ანბანის პირველი ორი ასოს დასახელების მიხედვით, რომლის ეტიმოლოგიაც არის „ხარის სახლი“.

რაც შეეხება ქართული ასოებისათვის მინიჭებულ სახელწოდებებს, 21 მათგანის სახელი -ნ თანხმოვნით ბოლოვდება, დარჩენილი 12 ასოდან, ნაწილი სახელებისა -რ თანხმოვნით თავდება და მათი რაოდენობა 7 წარმოადგენს, 2 ასოს ბოლოში -ე ხმოვანი აქვს, (ძილ) და (წილ) ასოები -ლ თანხმოვნით ბოლოვდებიან, ყურადღებას იპყრობს (ლას), 'ლ' ასოს გამორჩეული -ს დაბოლოება. დღეისათვის უცნობია, თუ როგორ გაჩნდა ქართული ასოების ზემოხსენებული სახელები. როგორც ჩანს, მეცნიერები ნაკლებად ინტერესდებოდნენ ამ საკითხით.

ამ სტატიის ფარგლებში, მე შემოგთავაზებთ ქართული ანბანური დამწერლობების პირველი ორი ასოს : ან-ის და ბან-ის სახელწოდების აზრობრივი შინაარსის ანალიზს და მოვახდენ მათ შედარებას ბერძნულ და სემიტურ ანბანებთან. დავინყოთ იქიდან, რომ ზოგადად იბერიულ-კავკასიური ჯგუფის





უნდა. მცხეთაში აღმოჩენილი ეს დამწერლობა განსხვავებული იყო იმდროისათვის ცნობილი ანბანებისაგან.

ჩემი შეხედულებით, არმაზული ანბანის - 'ა' ასოს მოხაზულობის მსგავსება სემიტური ანბანის 'ალფ' ნიშანთან, მოწმობს, ერთი რელიგიური სისტემიდან მეორეზე გადასვლის შედეგად ანბანური ნიშნების ცვლილებას, გველის გრაფემის ჩანაცვლებას ხარის თავის საკულტო სიმბოლიკით, რაც მთვარის თაყვანისცემის რელიგიის გავრცელებას უნდა მიუთითებდეს. 2015 წელს აღმოჩენილი გრაკლიანის ძვ.წ. XI-X საუკუნის წარწერა, უფრო ადრინდელი, ვიდრე არამეული დამწერლობა, მიანიშნებს ქართული ანბანური დამწერლობების არა 3, არამედ 5 სისტემის არსებობას. საინტერესო იქნება ამ დამწერლობაშიც ვეძებოთ ხატოვანი დამწერლობის ნიშნები.

**წერილი შესახებ**

**გველი, წყალი, მთა: არქაული დამწერლობების ბილინგვური ანალიზი**

ლინგვისტური კონტაქტების წყალობით, სხვადასხვა ენამ და კულტურამ შემოგვინახეს და გაავრცელეს დროში შთანთქმული ენებიდან სიტყვები, ისევე როგორც ისეთი ცალკეული ნიშნები, რომელთა წარმომავლობა და საწყისი ეტიმოლოგია უკვალოდ არის დაკარგული. მათგან გამოვყოფდი შემერულ იდეოგრამებს, რომელთა კვალიც მართებულად უნდა ვეძიოთ იბერიულ-კავკასიური ენების გავრცელების არეალში.

იმისათვის, რომ გასაგები გახადო შემერების მიერ გამოგონილი დამწერლობის სისტემები, განსხვავებულ ლურსმნულ დამწერლობებს ორ ძირითად წყაროდ გავმიჯნავ მათი წარმომავლობის მიხედვით :

1. ხატოვანი დამწერლობები და მათი შემდგომი ევოლუცია;
  2. იდეოგრამები და მათი სისტემური გარდაქმნა;
- ამგვარი დაყოფის შედეგად მიღებულ თითოეულ ჯგუფში მოვახდენ შედარებას სისტემებს შორის და შესაძლო მონათესავე ენების გამოყოფას.
- ეს მიდგომა გამართლებულად მიმაჩნია, რადგანც საუკუნეების მანძილზე ხდებოდა გეოგრაფიულად დაშორებული კულტურებისა და განსხვავებული სტრუქტურის ენების მონაცემთა ჩანიშვნა

შემერთა მიერ გამოგონილი ნიშნებით. შემერულ დამწერლობაში თითოეული ნიშანი წარმოადგენს ერთ სიტყვას ან ერთ ასო-ბგერას. მოგვიანებით, აქადური დამწერლობა მოახდენს შემერული ნიშნების გარდაქმნას ფონეტიკური ღირებულებების ასო-ბგერებად, რაც შუამდინარეთსა და ახლო აღმოსავლეთში დასაბამს მისცემს ლიტერატურული ენებისა და ანბანური დამწერლობების ჩამოყალიბებას.

მაგალითად, გველის პიქტოგრამისაგან წარმოქმნილი წყლის აღმნიშვნელი შემერული ნიშანი A, აქადელების მიერ ჩაინიშნება, როგორც ფონეტიკური ღირებულების ასო-ბგერა (A). ასირიოლოგები თვლიან, რომ შემერული დამწერლობა შესაბამისობაშია ენის სტრუქტურასთან და რომ აქადური ენის განსხვავებულ სტრუქტურას უნდა გამოეწვია სისტემის ადაპტირება და მათ საკუთარ ენასთან მორგება.

ექპერიმენტის სახით, საინტერესოდ მივიჩნევი მომხდინა 'გველის' სემანტიკური ველის მონიშვნა უძველესი ბიბლიური ნარატივების მიხედვით და შესაბამისი შემერული იდეოგრამების ბილინგვური წაკითხვა, რამდენადაც არ გამოვრიცხავ სისტემის შესაძლო თანხვედრას იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ენებთან. მით უფრო, რომ უძველესი თიხის ფირფიტები მოგვითხრობენ მჭიდრო საზღვაო კავშირების არსებობის შესახებ შუამდინარეთსა და კავკასიის რეგიონს შორის. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ნოეს მიერ განვლილი გზა ქალაქი ურიდან კავკასიის მთებამდე.


საწყის ეტაპად შევარჩიე შემესწავლა მთის აღმნიშვნელი სამნიშნიანი იდეოგრამა - KUR .

სიძველის მიხედვით მისი დათარიღება თავისუფლად შეგვიძლია 3000 წ. ძვ.წ.ად. თუ მოვახდენთ ვიზუალურ დაკვირვებას ნიშნების ფორმასა და სივრცულ განლაგებაზე, შევნიშნავთ 90°-ით ბრუნვებს; ასევე, ნახევრად წრიული ფორმის გარდაქმნას სამკუთხედად, მაგრამ ამასთან ნიშანთა საერთო რაოდენობა უცვლელად რჩება სამი.

შემერულ ენაში ერთი ნიშანი შეესაბამება ერთ სიტყვას ან ერთ მარცვალს. ამგვარად, მთის აღმნიშვნელი იდეოგრამა უნდა შეესაბამებოდეს სამ ქართულ ასო-ბგერას, იმის გათვალისწინებით, რომ ლათინური K ფონეტიკურად შეიძლება ჩაინეროს, როგორც ქ ან ყ(კ), მივიღებთ : ქ-უ-რ და 90°-ით როტაციის შედეგად: (1) რ-ქ-უ ან (2) ყ-უ-რ. პირველი ვარიანტი ქართულად იკითხება, როგორც რ/ქუ (რქუა, ჰრქვა, უთხრა) ან უფრო ზუსტად - 'უთხრა მან მას'. უნდა ვიგულისხმობთ, რომ მოქმედება ვითარდება მთაზე ორ ან სამ პირს შორის. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შემერთა წარმოდგენაში მთა ზესამყაროს წარმოადგენს, სადაც შესაძლებელია სმენითი კომუნიკაციის დამყარება მარადიულობასთან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნახევრად წრიული ფორმის ნიშანი, პირობითად



არის ადამიანის ყურის ამსახველი გრაფემა. თუ გულდასმით დავეკვირდებით იდეოგრამას, დავნმუნდებით, რომ ორი მათგანი ერთი ხაზის გასწვრივია, რაც სახვებით შეესატყვისება ადამიანის ყურის ფორმასა და სივრცულ განლაგებას. რაც შეეხება მესამეს, რომელიც მათ თალივით ადგას, მას ვუნოდებდი 'ალიანისის' მესამე ყურს, მაკავში-



რებელს ზესამყაროსთნ. მეორეს მხრივ, როგორც ცნობილია მთებში ადგილი აქვს ბგერის არეკვლის აკუსტიკურ ფენომენს - ექოს, რაც ბუნებრივად ბადებს სამი ყურის არსებობის განცდას.

ჰიპოთეზა იმისა, რომ მთის იდეოგრამის ჩანიშვნა მოხდა სამი ყურის საშუალებით, მყარდება, როდესაც ვაკვირდებით მის შემდგომ ევოლუციას: დროთა განმავლობაში ნახევარწრეების ჩანაცვლება მოხდა სამკუთხა, სივრცეში რეორიენტირებული ფორმებით, ნიშნების რაოდენობა კი უცვლელად დარჩა სამი. მთის სიმბოლიკა გარდაისახება გეომეტრიული ფორმების 'სამყურთა'-ში. სულხან-საბა ორბელიანის 'სიტყვის კონა' მიგვითითებს, რომ ქართულ ენაში, მართლაც, არსებობს სიტყვა სამყურთა, რომელიც აღნიშნავს სამ ნახნაგიან გეომეტრიულ საგანს.

მთის იდეოგრამის ქართულად წაკითხვა შესაძლოა მიგვანიშნებდეს შუმერი ხალხის მიგრაციაზეც. ისინი დაშორდნენ მთას, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს. დღეისათვის უცნობია, თუ რამ აიძულა შუმერები, დაეტოვებინათ პირვანდელი სამშობლო და დასახლებულიყვნენ შუამდინარეთში. მათ თან გაიყოლეს სინანული და მთის დაუოკებელი ნოსტალგია. ალბათ, ამის გამო იწყებდნენ ისინი ხელოვნური მთების - ზიგურატების (მთის ფორმის ტაძრების) შენებას და შემდგომ მათ გარშემო პირველი ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბებას.

ამრიგად, ყური გარდაიქმნა სამყურეთად, ერთ დიდ გეომეტრიულად აგებულ ხელოვნურ მთად, ზე სამყაროსთან მაკავშირებელ ტაძრად.

ვაგრძელებ მთის იდეოგრამის წაკითხვას და შევეცდები გავიგო, თუ როგორ მოხდა იგი სიტყვა 'მონას' აღმნიშვნელი იდეოგრამის ძირითადი შემადგენელი ნაწილი. (იხ. სურ. 2) სიტყვა 'მონა' მოხსენიებულია უძველეს ტექსტებში, ისევე რო-

გორც ძველ აღთქმაში მოთხრობილ ნოეს ისტორიაში, როდესაც ნოე წყევლის თავისი ვაჟის, ქამის შვილს, ქანაანს : „წყულ იყოს ქანაანი. თავისი ძმების ყველაზე მდაბიო მონა გახდეს“. შემდეგ დასძინა: „დიდება იეჰოვას, სემის ღმერთს, დაე, სემის მონა გახდეს ქანაანი. მისცეს ღმერთმა იაფეტს ვრცელი ადგილი და დამკვიდრდეს იგი სემის კარვებში. იაფეტის მონაც გახდეს ქანაანი (დაბადება 9: 24,25,26)“.

ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგი კლოდ ლევი-შტრაუსი, თავის წიგნში "Tristes Tropiques", განიხილავს სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში დამწერლობების შექმნის წინაპირობებს და შედარებითი მეთოდით დაასკნის, რომ ყველგან, დამწერლობების შექმნის აუცილებლობა ყოველთვის განპირობებული იყო იერარქიული საზოგადოებების ჩამოყალიბების ფენომენით, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მატერიალურ და ადამიანურ ქონებებზე კონტროლი, მონასა და მის მფლობელს შორის ძალაუფლებრივი ურთიერთობის დაფიქსირება, მოსახლეობის აღწერა, კანონის მანიფესტაცია...

არ შეგვიძლია, არ დავეთანხმოთ ლევი-შტრაუსის ამგვარ ფორმულირებას, იმ განსხვავებით, რომ დამწერლობების განვითარების პირველ საფეხურზე, პიქტო და იდეოგრამებში კოდირებული სიტყვა, ჩემი აზრით, გამოხატავდა იდენტურობის მთავარ ნიშანს, მანამ, სანამ ის გახდებოდა სოციო-ეკონომიური და პოლიტიკური განსჯის საგანი. შუმერული დამწერლობების საწყისი ეტაპები გვიდასტურებენ სხეულის ცნობიერებასა და დამწერლობას შორის მჭიდრო კავშირების არსებობას. თავდაპირველად ადამიანის სხეულის შემადგენელი ნაწილები გამოიყენებოდა დამწერლობის ნიშნებად, შემდგომ უნდა მომხდარიყო მათი გარდასახვა ანბანურ ასო-ბგერებად. ამრიგად, ლოგიკურად მივიჩნეე სიტყვა 'მონის' პირველადი არსი მომეძია სხეულის ენის გზავნილებით.

საკოველთაოდ აღიარებული განმარტების თანახმად, მონა არის თავისუფლებას მოკლებული და თავის პირად ბატონ-პატრონს სრულად დაქვემდებარებული ინდივიდი, რომელიც არ უნდა ფლობდეს თავის სოციალურ და ფიზიკურ სხეულს. მაგრამ, განსხვავებული კულტურებისა და ტრადიციების მიხედვით, მონად ასევე მოიხსენება ყურგახვრეტილი ან ყურმოჭრილი ერთგული მსახური. „მოიყვანოს მისმა პატრონმა ღვთის სამსჯავროზე, მიაყენოს იგი კართან ან წირთხლთან და სადგისით გაუხვრიტოს ყური; მისი ყმა იქნება სამუდამოდ (გამოსვლა: 21-6)“.

ქართულ სამეტყველო ენაში არსებობს გამოთქმა 'ყურმოჭრილი მონა', რაც მიანიშნებს მორჩილ და სხვისი ნების უსიტყვოდ აღმსრულებელ ადამიანს. ანტიკური ხანიდან დამკვიდრდა ტრადიცია, რომ მონობაში მყოფი ადამიანი უნდა ყოფილიყო

ამოცნობილი ყურის ნიშნის მიხედვით.

საინტერესოდ მივიჩნევ გამოგონებულ, თუ როგორ ან რატომ უნდა გამხდარიყო ყური, ხილული ნიშანი თავისუფლებასა და იდენტობას მოკლებული ადამიანისა. მეორეს მხრივ, გასაკვირი აღარ იყო 'ყურის' ნიშნის არსებობა სიტყვა 'მონას' შემერული იდეოგრამაში, რომელიც შედგენილია 'ქალის' აღმნიშვნელი ერთი ნიშნით და სიტყვა 'მთის' აღმნიშვნელი სამი ნიშნით, რაც ჩემი მოსაზრებით, მთლიანობაში გვაძლევს 4 ნიშნიან სიტყვა 'მონას': 3 (ყური)+1 (ქალი) = მონა. (იხ. სურ.3) MUNUS არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი, 'ქალის' ან მდედრობითი ნაწილაკის აღმნიშვნელი ლინგვისტური თვითმყოფადი ნიშანი. აღსანიშნავია, რომ სისტემა თავიდანვე იძლეოდა პიქტოგრაფიული ტრანსკრიპციის არმქონე გრამატიკული ნაწილაკებისა და კონცეფციების ჩანიშვნის შესაძლებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ენაში მდედრობითობის ნაწილაკი არის ასო (ა) და იგი ყოველთვის სიტყვას ბოლოში ერთვის, და რომ იდეოგრამზე ნიშანი MUNUS არის (რ) ნიშნის გასწვრივ, მარცხნიდან მარჯვნივ ქართულად წაკითხვით მივიღებთ ოთხი ნიშნისაგან შემდგარ სიტყვას 'ქურა' ან 'ყურა': ყურ + (ა) = ყურა. ყურა ქართული სიტყვაა და ნიშნავს უყურო ადამიანს. რაც შეეხება 'ქურას', იგი ჯავახური დიალექტის მიხედვით, ნიშნავს ცხვარს, თხას: უყურო ან ძლიერ მოკლეყურება პირუტყვს.

ასევე საინტერესოდ მივიჩნევ, 'მონას' შემერული იდეოგრამის ქართულ ენასთან შესატყვისი შესაძლო სოციო-ანთროპოლოგიური თანხვედრის შესწავლა. ამ მიზნით კიდევ ერთხელ დავიხმარე სულხან-საბა ორბელიანის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც ვკითხულობთ: მონა - ნასყიდი ვაჟი, გინა ნამზითვი კაცი; ყრმა - მონა, გინა შეგირდი, 6 წელს ზეით 18 წლამდე ყმანვილი; ყმა - მის ალაგში მოსახლე, ჭაბუკი ყმადაც ითქმის; ყრმად - ქალწულას უწოდებენ. მესხეთის რეგიონში ყრმას უწოდებენ მონამე, წამებულს. ამრიგად, ქართული ენით შესაძლებელი გახდა სიტყვა 'ყრმის' ანთროპოლოგიური, სოციოლოგიური და რელიგიური გაგება. ანთროპოლოგიური მნიშვნელობით ყრმა, იგივე მონა არის ყმა/წულად წოდებული ახალგაზრდა ვაჟი. ქართულმა ენამ ასევე შემოგვინახა წულისაგან ნაწარმოები სხვა შერეული სიტყვებიც: ქალ/წული (ვაჟი უბინო) და უფლის/წული (მეფის ან ღმერთის ვაჟი).

წულისაგან ნაწარმოებ სამივე სიტყვაში იგულისხმება განსწავლული, საჩინო, ინსტიტუციური მართველობისათვის აღზრდილი, ღვთისა და ქვეყნის მსახური. ამგვარად, სიტყვა 'წული' შეიძლება იყოს გაგებული, როგორც სიბრძნის ნიშანი, მარადისობასთან მაკავშირებელი მესამე ყურის სიმბოლო. როგორც უკვე აღვნიშნე, ნიშანი MUNUS არის (რ) ნიშნის გასწვრივ, პირობითად (რ) შესაბამება 'ალიანის' მესამე ყურს, სიბრძნის ნიშანს, რო-

მელიც ასევე წულით შეგვიძლია ჩავანაცვლოთ. ამგვარად მოვახდენთ შემერული სიტყვა 'მონას' წაკითხვას, როგორც ქალ/წული, ღვთის რჩეული უბინო ვაჟი. როტაციის შედეგად 'სიბრძნის ნიშანი' თავისუფლება და ხდება MUNUS ნიშნის გადაბრუნება, რის შედეგადაც ქართულად წაკითხვით ვიღებთ ახალ სიტყვას: გარდა/ქალ/წულდა, რაც ნიშნავს ქალწულობის მოშლას (ან შესაძლოა მის შექმნას?). გამორიცხული არ არის, რომ იდეოგრამას თავდაპირველი მნიშვნელობა რელიგიური დატვირთვის იყო.

დავუბრუნდები ბიბლიურ გადმოცემას, დაბადებაში მოთხრობილ ნოეს ისტორიას. უფრო გასაგები რომ გავხადო, თუ რა მოხდა მთაზე, რას უნდა ნიშნავდეს გარდაქალწულება და რა შეიძლება მოიხრობოდას ქანაანის მონობაში?

თიხის ფირფიტებზე აღწერილ ტექსტებში ნოე არის მოხსენიებული, როგორც ზებრძენი, 'ათრაჰასისი'. ცნობილია, რომ ძველ შუამდინარეთში ცოდნის მფლობელი ბრძენი არის ის, ვისაც ძალუძს ზესამყაროსთან კავშირის დამყარება. არსებობს შემერული ტერმინი 'ყურის გახსნა', ასევე გამოთქმა 'ფართოყურებიანი კაცი', რომელიც ყურადღებით ისმენს და შეუძლია ღთაებრივი სიტყვის მიღება.

ბიბლია მოგვითხრობს, რომ წარღვნის შემდგომ კავკასიის მთებში ცისარტყელას ნიშნით ღმერთი ამყარებს კავშირს, 'ალიანის' ნოესთან და მის სამ ვაჟთან: ქამთან, სემთან და იაფეტთან. ნოე არის 'ფართოყურება' ბრძენი და უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი შვილებიც არიან გარკვეული სიბრძნის მფლობელი წულები, ღვთის რჩეული ქალწულები ან უფლისწულები. მთაზე ნოე ახარებს ვაზს, დააგემოვნებს მისგან მიღებულ ღვინოს და გაშიშვლებულს ჩაეძინება თავის კარავში. ქამი, მისი უფროსი ვაჟი, იხილავს რა მამის მიერ აღვლენილ რიტუალს, უმალ გამოიტანს ამბავს მისი კარვიდან, რათა ამცნოს თავის ძმებს - სემსა და იაფეტს. მაგრამ, მისგან განხვავებით, უმცროსი ძმები კრძალვით მოასხამენ თავიანთ კუთვნილ სამოსს მამას და თავებს იბრუნებენ, რათა მათმა თვალებმა არ იხილონ შიშველი ნოე. როგორც ჩანს, ნოე თავიდანვე განასხვავებს თავის კარავს სემისა და იაფეტის საერთო კარვისაგან. სიტყვა კარავში უნდა ვიგულისხმოთ ტაძარი, უხილავი საკრალური ცოდნის სასუფეველი, რისი ხილვაც აკრძალული უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ნოეს კარავი ემსგავსება სამოთხის ცნობადობის ხეს, მისი წული ქამი კი იმ ქვეწარმავალს, რომელმაც შეიცნო სიბრძნის ხის ნაყოფი და აცდუნა ევა და ადამი. მაგრამ, გველისაგან განსხვავებით, ქამი ვერ შეძლებს ძმების ცდუნებას. მიუხედავად ამისა, სასჯელად მაინც იღებს მამის წყევლას და ტოვებს მთას. თავისი საქციელით დაკნინებული ქამი ემსგავსება ქალს დამორჩილებულ ყმაწულს და ამგვარად მოხდება მისი გარდაქალწულება. იგი იძულებული გახდება, და-



ტოვოს ზესამყარო, ჩაეშვას ქაში, იგივე ქვესკნელში და გველის მფარველობის ქვეშ იწყოს დაკარგული კავშირის, მესამე ყურის აღდგენა, რისთვისაც მან უნდა აშენოს ხელოვნური მთები - პირამიდები და ზიგურატები; დაკნინდეს და დაპატარავდეს, რათა მონურად ემსახუროს თავისი ძმების შთამომავლების გაზრდას აღთქმულ მიწამდე - ქანაანამდე, რისი აღსრულებაც მოგვიანებით აბრაამს, ქამის ძმის, სემის შვილთაშვილს ღვთისაგან მიემადლება ერთი პირობით: „აბრაამის ოჯახის წევრებს და მათ შთამომავალთ, ყველა მამაკაცს, დაბადებიდან რვა დღის შემდეგ ჩუჩა უნდა მოეჭრა (დაბ.17:10-11)“. ამგვარი რიტუალით, სავარაუდოდ, უნდა მომხდარიყო ყმა/წულთა გადა/ქალ/წულება!

ქამის ქალწული ფიგურა გვესახება როგორც ახალი ცივილიზაციის წინამორბედი, რომელმაც უნდა დაუმკვიდროს ვრცელი ადგილი სემისა და იაფეტის კარავს. მის გადაქალწულებულ ფიგურას - ქანაანს, შევადარებ უდაბნოს ანგელოზად წოდებულ იოანეს, ქრისტიანული ცივილიზაციის წინამორბედს, რომელიც განაცხადებს იესო ნაზარეტელზე: „ის უნდა იზრდებოდეს, მე კი ვმცირდებოდე (იოანე 3/30)“. „შემცირდე“, ანუ გახდე პატარა, როგორც ყმა. იოანე ნათლისმცემლის ამ სიტყვების მნიშვნელობას მე განვმარტავ, როგორც იდენტობის ცვალებადობას, გარდაქმნას. მთიდან გადასვლას უდაბნოში და შემდგომ, მთის შესადარად გაზრდას. ამგვარი გარდაქმნა ტრადიციად უნდა ქცეულიყო ძველ სამყაროში და უპირობოდ ასახულიყო წინადაცვეთის რიტუალით, იმისათვის, რომ ქამის ძმის შთამომავლებს მიეღწიათ აღთქმულ მიწამდე, ქანაანამდე. არ გამოვრიცხავ, რომ წინადაცვეთა უკავშირდებოდა გარდაქალწულების რიტუალს, რომელიც შემდგომ უნდა გამხდარიყო ქალწულობის ინსტიტუტის აღდგენის წინაპირობა.

აქვე აღვნიშნავ, რომ ენათმეცნიერთა აზრით, 'ქალი' სემიტური წარმოშობის სიტყვაა და ქართულ ენაში უნდა შემოსულიყო არაბთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად. მეორეს მხრივ გასაოცარია, რომ იგი გვხვდება ქართულ სიტყვაში - ქალწული, რომელიც მკვიდრდება ქრისტიანობის მიღებისთანავე და სულ ცოტა ოთხი საუკუნით არის დაშორებული არაბთა შემოსევებისაგან საქართველოში. სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, ქა არის განმარტებული როგორც ქალი და უბრალო ენით ნაკუთი ანუ მოჭრილი, იმავე ლექსიკონში მითითებულია ნაკვეთის აღმნიშვნელი, ბერძნული წარმოშობის სიტყვა 'სქიმა', რომელიც რელიგიური დატვირთვისაა.

ამრიგად, შუმერულ იდეოგრამაზე გამოსახული ქალის ნიშანი MUNUS, ასევე შესაძლოა აღნიშნავდეს მოჭრას ან კვეთას : (1) ყურის, მონის შემთხვევაში ან (2) წულს, გარდაქალწულებისა და წინადაცვეთის შემთხვევაში. სამივე რიტუალი კი ბიბლიური გადმოცემის მიხედვით უკავშირდება

ქამს და ქანაანს, ნოეს ვაჟის გადა/ქალ/წულებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა მისი შვილის ქანაანის ყმანულობა.

მთიდან უდაბნოში განდევნილი ქამი შეეცდება მთაში მოკვეთილი მესამე ყურის აღდგენას ვიზუალური კომუნიკაციის განვითარების წყალობით. მესამე ყურს ჩაანაცვლებს თვალთ, გამოიგონებს ნიშნებისა და სიმბოლოების უნივერსალურ ენას და შექმნის დამწერლობას, რომელიც ფინიკიური ანბანური დამწერლობის სახით გავრცელდება შემდგომ.


**წერილი მეოთხე**

**გველის შრაფემა არქაური ღმერთობების ნიშნებით**

წყალი, ვაჟი, თესლი - ამ სიტყვებით მოახდენს აქადური ენა შუმერული A იდეოგრამის ჩანიშვნას, რომლის ნაკითხვასაც შევეცდები ქართული ენის დახმარებით.

წყლის შუმერული იდეოგრამა ყურადღებას იპყრობს იმით, რომ ნიშნების რაოდენობა მონაცვლეობს ორიდან ოთხამდე, მაგრამ ფორმა და მიმართულება სტაბილურად გამოისახება ორი საწყისი წყაროდან სწორხაზოვანად, ზემოდან ქვემოთ დაშვებული ნახევარსხივებით. პირველი ორი სურათი არის პიქტოგრამა და დიდი ალბათობით უნდა გამოსახავდეს წყვილ გველს ანუ წყვილ ქუე-წარ-მავალს. უნდა ითქვას, რომ გველისა და წყლის აღქმის შუმერული კონცეფციისაგან არსებითად განსხვავებულია სხვადასხვა კულტურების მიერ წყლის ჩანიშვნის მანერები.

ეგვიპტელებისათვის წყალი ისახებოდა ტალღათა მოძრაობით, ჩინელებისთვის დინებების ჩანიშვნით, ხოლო ასტეკებისთვის ქურჭელში მოთავსებული წყლის ცისფერი ფერით. ამასთან, ძველ ჩინეთში ზოგიერთი მდინარის ღმერთი წარმოდგენილი იყო ქვეწარმავალთა სახით. ევრაზიაში ხდებოდა ჩანჩქერთა გაიგივება გიგანტურ გველებთან. იმის გათვალისწინებით, რომ მითები წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიის წინა ფაზას და ლინგვისტური ფიგურის წარმოჩენა ხდებოდა მითიური პერსონაჟებით, იდეოგრამის შემდგომ



მი ევოლუცია უნდა ვეძებოთ წყლის მითიურ საწყისთან, გველის მითოლოგიურ ნიშანში.

მიუხედავად იმისა, რომ წყლის შუმერული აღქმა განსხვავებული და თვითმყოფადია, ქართული ენის სტრუქტურა საშუალებას იძლევა, ერთი სიტყვით მოახდინოს მისი ნაკითხვა: ქუე-წარ-მავალი. (ქუე) მიუნიშნებს დაშვებას ზევიდან ქვევით, (წარ)-მავალი კი მიმართულ მოძრაობას, ზუსტად

ისე, როგორც ამას მიგვითითებს იდეოგრამა. და თუ კარგად დავაკვირდებით, (ქუე-) ანუ ქვემოთ დაშვებულ და წარმავალ წყვილ ნიშნებს, შევძლებთ მათ დაყოფას ორ კლასად: პირველი, სიმეტრიული, 2 და 4 ნიშნიანი და მეორე, ასიმეტრიულ 3 ნიშნიანი იდეოგრამები. ამ ფენომენის ასახსნელად მე კვლავ მოვიშველიებ მითოლოგიურ აზროვნებას, გველის ირგვლივ ჩამოყალიბებულს.

შუამდინარეთის მითოლოგია ცნობილი და ჩვენთვის წვდომადი ხდება ძვ.წ. XII საუკუნის წერილობითი ლიტერატურული ძეგლის Enūma eliš წყალობით. სამყაროს შექმნის ამ ბაბილონურ ეპოსში აღწერილია კოსმოსის წარმომავლობა, მაშინ როდესაც სამყარო სრულად დაფარული ყოფილა წყლით, ლეგენდარული 'აფსუ' წარმოადგენდა ოკეანის მიწისქვეშა მტკნარ წყლებს, მდებარე საწყისის გიგანტური გველი 'თიამათი' კი, ზღვის მლაშე წყლების პერსონიფიკაცია. 'აფსუ'-სა და 'თიამათ'-ის ორთაბრძოლით წარმოქმნილა სამყარო და ღმერთები. რაც შეეხება გველის ირგვლივ ჩამოყალიბებულ ქართულ მითოლოგიურ აზროვნებას, სვანეთის მთის რეგიონში, გველთან დაკავშირებულ რწმენა-ტრადიციებში ისახება გარკვეული სახის დუალიზმი. ზოგადად, გველი მიწისა და ნაყოფიერების ღვთაებად არის მიჩნეული, თუმცა მას ოჯახის მფარველის სტატუსიც აქვს მინიჭებული.

ტრადიციულად ასხვავებენ ორ, მდებარეული და მამრული საწყისის გველებს: 'ალალი' და 'არამი', და ყოველთვის დაწყვილებულად მოიხსენიებენ მათ; როგორც ამას უნდა მიგვანიშნებდეს წყლის 3 ნიშნიანი იდეოგრამის ორი განსხვავებული სხივი. თუ შევეცდებით ქართული მითოლოგიური 'არამის' წაკითხვას შუმერული იდეოგრამით, მივიღებთ ქუე/წარმავალს, და იმისათვის რომ დავრწმუნებულიყავი, რომ სისტემა შესაძლო თანხვედრაშია ქართული ენის სტრუქტურასთან, საკმარისი იყო მეპოვნა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფში 'ქვე/წარმავალის' ლინგვისტური მენყვილე. დიდხანს ძებნა არ დამჭირვებია, ქართულმა ენამ შემოგვინახა სიტყვა 'ყანა' და მისგან ნაწარმოები შერეული სიტყვა 'ქუე/ყანა'.

ამრიგად, წყვილი გველის ფიგურით ჩანიშნული წყლის სამნიშნიანი იდეოგრამა, წაკითხული, როგორც მამრული ქუე/წარმავალი და მდებარეული საწყისის ქუე-ყანა, შესაძლებელს ხდის ზესამყაროს უწყვეტ კავშირს ქუე-უკვალოდ წარმავალ ან განახლებად სამყაროსთან.

დავუბრუნდები KUR, მთის აღმნიშვნელ იდეოგრამას და ამჯერად შევეცდებით მის წაკითხვას მეგრულ ენაში შემონახული ძირძველი სიტყვებით: ქუ მეგრულად არის ქვა, რაც სავსებით შესაძლებელია გავაიგივოთ მთასთან; ყუ ნიშნავს წყლიან უძირო ორმოს, ქვესკნელს. (რ) იხმარება რამეთუს მნიშვნელობით, რაც მიანიშნებს რალაცის აღსრულებას. ამრიგად, KUR იდეოგრამის წაკითხვა შესაძ-

ლებელია, როგორც ქუ(რ) და როტაციის შედეგად მიღებულ ყუ(რ)-ს შორის უწყვეტი, მუდმივად არსებული და განახლებადი კავშირის არსებობით.

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ძველ ტექსტებში სიტყვა 'თესლი' იხმარება შვილის მნიშვნელობით, საკმარისია გავიხსენოთ ჯერ კიდევ უშვილო იოაკიმესათვის ნათქვამი სიტყვები: „შენ არ გაქვს ნება, მსხვერპლი ჩვენთან ერთად შესწირო, იმიტომ რომ არ შეგიქმნია ისრაელის თესლი“. აქედური ენის დახმარებით წაკითხული შუმერული სამნიშნიანი A იდეოგრამა, როგორც წყალი, ვაჟი, თესლი, სავსებით თანხვედრაშია ქართულ ენასთან, ერთნიშნიანი ქვენარმავალი დაწყვილებული ორ ნიშნიან ქვეყანასთან ქმნის მდებარეული და მამრული საწყისის თესლს.

### **გველი, როგორც ფარული ცოდვის ნიშანი**

ნოეს მოგზაურობას მარადიული სიცოცხლის მოპოვების მისია უნდა განეხორციელებინა. ნუგეშინისა და გულისხმიერების კიდობანში კი დამარხული უნდა ყოფილიყო ის უხილავი ცოდნა, რომელიც სემისა და იაფეტის საერთო კარავში გავრცელდებოდა. ქამი უნდა გაუჩინარებულიყო, რომ მოგვიანებით ხელახლა დაბადებულსა და განახლებულს თავისი კუთვნილი ადგილი დაემკვიდრებინა ძმათა კარავში.

გასაგები რომ გავხადო კიდობნიდან ამოღებული ან მასში სამუდამოდ დამარხული ცოდნის არსი, დავუბრუნდები მისი ფორმის შესწავლას, რადგანაც საგნის ფიზიკური ფორმა განაპირობებს მის ფუნქციასა და შინაარსს. თიხის ფირფიტები მოგვითხრობენ, რომ კიდობანი წრიული ფორმისა იყო, უფრო ზუსტად კი შედგებოდა ორი ნაწილისაგან: კუბური და თალური. მისი მშენებლობისას, ნოე იღებს ღვთიურ მინიშნებას, რომ კიდობანი გადახურული უნდა ყოფილიყო მტკნარი წყლების ლეგენდარული აფსუს მსგავსად, შავი კამარათი. ამრიგად, კიდობანის ზედა ნაწილი წრიული ფორმის და შავი ფერისაა, ქვედა, სიცოცხლის გადამტანი კი კუბური. ამგვარი აღწერილობით ნოეს კიდობანი გვესახება როგორც შავთავიანი მატერია. ქართულ სალაპარაკო ენაში არსებობს სიტყვა ზანგი, რომელიც მიანიშნებს შავ კაცს, იგივე შავთავიანს. სიტყვა ზანგელა კი მიუთითებს შავ-წითელს. -გი და -გელა ფუძეები წარმოადგენენ სარიტუალო ხის ჯოხის აღმნიშვნელ სიტყვებს და მიუთითებენ მისი მფლობელის იდენტობას. მათი გაიგივება ხდებოდა ხოლმე მწყემსთან, მოურავთან, მამაკაცის სახელთან ან მგლის ფიგურასთან.

'შავი კაცის' აღმნიშვნელი სიტყვა 'ზანგის' დაკავშირება შესაძლოა ხისა და გველის კულტთან. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ენაში 'შავს' აქვს უფრო მეტად ანთროპოლოგიური დატვირთვა, ვიდრე ფერის ზედსართავ სახელს და იგი მიანიშნებს



საქმის შავად ქმნას, დანაშაულს, შეცდომას, ის რაც შეემთხვა ქანაანის მამამთავარ ქამს, რისთვისაც დაიმსახურა თავისი მამის რისხვა და გახდა ქუენარმავალი; რისთვისაც ჩამოშორდა მთის რიტუალებს, რათა ფართო ადგილი დაეთმო მგლის კულტის სასერდოტალური მოდგმის მამამთავრებისათვის, რომელთა დამკვიდრებაც თემური ერთობის ცეცხლისფერი საკულტო ტრადიციების სახით უნდა მომხდარიყო. მგელს უნდა მოეკლა /ან განედევნა გველი, მაგრამ დუალისტური ბუნების წყალობით მოხდებოდა გველის გარდასახვა მამრული საწყისის სარიტუალო ხედ, ცოდვებისა და შეცდომების მისატევებელ საგუმელ ჯოხად. ამგვარი სახით 'ზანგი'ს, ანუ შავი ფერის მნიშვნელობის შენარჩუნება მოხდებოდა სიტყვა 'ზანგელა'ში, რაც შავნითელას ნიშნავს. საყურადღებოა, რომ -გია ქართულ ენაში ასევე არის მარადმწვანე ტვიის ხე, -გელა კი, ცეცხლშენთებული თონის სარეველი ხე. რაც გვაფიქრებინებს, რომ ნოეს კიდობანის კუბური ფორმის კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო მწვანე და ცეცხლისფერი ნითელი. კავკასიის მთებში მოხვედრისას, ნოეს კიდობანი ორად დაიშლება: კუბური ნაწილი: სემისა და იაფეტის საერთო კარვის სახით გახდება თემური გუარის და კოლექტიური ქვეცნობიერების წარმოშობის დასაბამი. გველთან გაიგივებული ქამის შავი თალური კონსტრუქცია კი გარდაისახება ფარული ცოდნის სიმბოლოდ, სარიტუალო კვერთხად.

აქვე აღვნიშნავდი, რომ ეგვიპტური ცივილიზაციის სადავებთან დგას გველზე შემართული მგლისთავიანი კაცი - უპუაუტი, რომლის ღვთაებრივი მისია იყო მიცვალებულთა სულების გადაყვანა ქვესკნელიდან ზე-სამყაროში, სადაც უნდა მომხდარიყო გარდაცვლილთა ხელახალი დაბადება, ცაში სრულ ამალლებამდე. ღვთის რჩეულ მგელკაცს ეკისრებოდა უმანკო გულთა მარადიული სიცოცხლის უზრუნველყოფა.

ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შუმერთა თეოკრატულ ქვეყანას სათავეში ედგა ე.წ. ღმერთის წარმომადგენელი ლუ/გალ. ლუ შუმერულად კაცს ნიშნავს, გალ- კი დიდს. მაგრამ თუ დავაკვირდებით კაცის აღმნიშვნელ უძველეს LU პიქტოგრამას, დავინახავთ, რომ იგი გამოსახულია მგლის ქურქში გახვეული კაცის სილუეტით, რომლის ბილინგური ნაკითხვაც მიგვანიშნებს მგელ-კაცზე. იმის გათ-

ვალისწინებით, რომ კავკასიურ ენებში: გილ, გელ, გელა, გია- მგლის მნიშვნელობით არის გაგებული, შუამდინარული -გალ-, დიდი ალბათობით შესაძლოა მგელ-კაცად ყოფილიყო აღქმული. რაც შეეხება ინდოევროპული ენებს, შესაძლოა, მომხდარიყო -ლუ-ს გარდაქმნა მგლის სახელად და შემდგომ მისი გავრცელება ლათინურ და ბერძნულ ენებში, როგორც lupus /lukos. ამრიგად, ღმერთის რჩეული 'ლუგალ', დიდი კაცი, შეგვიძლია ჩავნიშნოთ, როგორც მგელ-კაცი.

ამრიგად, წინამორბედი ცივილიზაციების მამამთავრებად გვევლინებიან მგელ-კაცები. როდესაც მოხდება აქადიელების მიერ შუმერული დამწერლობის სისტემის გამოყენება, მგელ-კაცები ჩაინიშნება სიბრძნის და ცოდნის ღმერთებად. მგელი გახდება ტყავის მნიშვნელობით გაგებული სემიტური სიტყვის ფუძე. ბიბლიური ტექსტების მიხედვით კი მგელი ხდება მოძღვარი, სასერდოტალური მოდგმის ხალხების წინაპარი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ინდოევროპული ენები შედარებით გვიან ხდებიან შუმერული დამწერლობითი სისტემის მემკვიდრეები, მაგრამ სემიტებისაგან განსხვავებით, ისინი ასევე ცდილობენ გარდაფონეტიკისა, შეინარჩუნონ მასში კოდირებული რიტუალებიც. ამიტომაც საინტერესოდ ჩავთვალო, პატრიარქის აღმნიშვნელი შუმერულ სიტყვა -ლუგალ- 'დიდი კაცი', წამეკითხა ბერძნულის დახმარებით. როგორც უკვე აღვნიშნე, LU მგლის მნიშვნელობით ვრცელდება ლათინურ და ბერძნულ ენებში. რაც შეეხება შედგენილი სიტყვის მეორე ნაწილს GAL, ფონეტიკურად მისი გაიგივება შეიძლება რძის აღმნიშვნელ ბერძნულ სიტყვა -γάλα-სთან; ამრიგად მივიღებთ შუმერული 'დიდი კაცის', კავკასიური 'მგელ-კაცის', ინდოევროპულ თარგმანს 'მგლის რძე', რაც აზრობრივად მგლის რძეზე გარზრდილ დიდ კაცს უნდა ნიშნავდეს. ძუ მგელის რძეზე გაზრდილი ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის მამამთავრები კი ყველასათვის ცნობილი მითური რემი და რომულუსი არიან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართველური ენების მიხედვით -რძე, სძე, იხმარება ვაჟიშვილის მნიშვნელობით, ანალოგიით ვღებულობთ კიდევ ერთ შესაძლო თარგმანს 'მგლის ვაჟი'; და თუ გავიხსენებთ, რომ ქართულ-ზანურ ენებში მზე და თხის რძე ერთი ფუძე-ძირისაგან არის ნაწარმოები,



გველზე შემდგარი უპუაუტის ეგვიპტური ბრინჯაოს ამულეტი, 600 ჩ.წ.

ანალოგიით უნდა ვეძებოთ მგლის რძის ასტრალურ ნიშანი ინდოევროპულ ენებშიც. დიდი ალბათობით LU და მთვარის აღმნიშვნელი luna ერთი ფუძის მქონე სიტყვებია. რაც გვაფიქრებინებს, რომ კოლხური 'მზის ვაჟის', მზეჭაბუკის ჩანაცვლება უნდა მომხდარიყო ინდოევროპული 'მთვარის ვაჟით'; რასაც არ გამორიცხავენ ბიბლიური ტექსტები. მართლაც, ნოეს შემდგომ, აბრაამს, სემის შთამომავალს მოევლინება მთის ღმერთი, მასთან ახალი ალიანსის დამყარების მიზნით: "ოთხმოცდაცხრა წლის იყო აბრაამი, როცა გამოეცხადა უფალი აბრაამს და უთხრა: მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და დიდად, დიდად გაგამრავლებ (დაბ.17-1,2)." სარა, აბრაამის ცოლი, უშვილო იყო, ღმერთმა მას აღუთქვა ვაჟის დედობა: „უთხრა ღმერთმა აბრაამს: სწორედ სარა, შენი ცოლი, გიშობს ვაჟს და დაარქმევ სახელად ისაკს. აღვუდგენ მას ჩემს აღთქმას სამარადისო აღთქმად მისი შთა-



მომავლობისთვის (დაბადება17-15,19)".

აბრაამი და სარა წარმოშობით იყვნენ მთვარის ღვთაების პატრონობის ქვეშ დაარსებულ ქალაქ ურიდან. თვით 'სარა', სახელის ეტიმოლოგია უკავშირდება აქადიურ 'სი', 'სინ', მთვარის ღვთაებრივ სახელებს. ამგვარად, ისაკს, აბრაამისა და სარას საერთო ღვთისაგან ნაბოძებ ვაჟიშვილს, გამართლებულად შეგვიძლია ვუწოდოთ 'მთვარის ვაჟი'. სწორედ ამ 'მთვარის ვაჟის' სემიტურ კარავში უნდა მომხდარიყო იაფეტური მოდგმის 'ფართოდ' დამკვიდრება, ისე როგორც ეს იწინასწარმეტყველა ნოემ.

აბრაამსა და მის ვაჟ ისაკთან დადებული ახალი ალიანსით იწყება მთვარის კულტთან დაკავშირებული რიტუალების დამკვიდრება. მათგან, პირველ რიგში გამოვყოფდი ფსალმუნებას, როგორც წინამორბედი ცივილიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადათის გაგრძელებას.

ფსალმუნი, ფსალმუნება, ბერძნული სიტყვაა და ქართულად გალ/ობად მოიხსენება. შუმერულ-კავკასიური ფუძე გალ უნდა მიგვანიშნებდეს 'მთვარის შვილებად' ქცეული მგელ-კაცების, ღვთის სადიდებლად ხმოვან თავყრილობას; მზის ჩასვლის შემდგომ, მთვარის შუქზე.

დავებრუნდები ნოეს ბიბლიურ სახელს; nōa'h ებრაულად ნუგეშინის ცემასა და გულისხმიერებას ნიშნავს. ქართულმა ენამ შემოგვინახა 'ენ' ასო-ბგერით ჩანერილი ნოეს ისტორიასთან მაკავშირებელი სიტყვები: ნუშა -პატარა ხის ნავი; ნუში -სურნელოვანი ხე; ნოშო -აყვავებული ხის ტოტი; ნოაგი -საკრავი; ნუაგი -ქნარი და ებანი; მენოაგე -ჭამისა და ღვინის სმის დროს მომღერალი; ნოაგობა კი არის გემრიელი საჭმელით სიამოვნების მიღება და განცხრომა. თავისი შინაარსით ეს სიტყვები მიუთითებენ ნოესთან დადებული ალიანსის შემდგომ გაჩენილ ტრადიციებზე, როდესაც კაცობრიობას უკვე ღმრთისაგან ნაბოძები აქვს გემრიელი საჭმელით განცხრომა, სურნელოვანი ხითა და შეწირულ ცხოველთა ტყავით დამზადებული მუსიკალური საკრავების თანხლებით გალობა, ღვინის სმა და ამგვარად, დარდისა და ნალველის შემსუბუქება. ყოველივე ზემო თქმული გვაფიქრებინებს, რომ დროთა განმავლობაში ხდებოდა ქანაანური ტრადიციების შენარჩუნება ფსალმუნთა სახით. გველის ზომომორფული ნიშნით, უხილავ სიბრძნედ გარდასახული ქანაანის მამამთავარი ქამი, სასიამოვნოდ აჟღერებული გალობებით, ფარულად განაგრძობდა სემისა და იაფეტის საერთო კარავში თანაარსებობას.

საინტერესოა ასევე საკმეველისა და კურთხეული ზეთების სურნელის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა ნონ, რომელიც მაფიქრებინებს, რომ 'ნუ' და 'ნო' პრეფიქსებიანი სიტყვების ზემოთ აღნიშნული სემანტიკური ველი უნდა ასახავდეს იმ ფარულ ცოდნას, რომელიც შუბლის არეში, ჭაშაში გამოისახება და შესაძლებელს ხდის ღმერთთან სიახლოვესა და მის კეთილგანწყობას.

რამდენადაც ასო N-ის ჩანიშვნა სემიტურ და ინდოევროპული ენების ანბანურ დამწერლობებში ფინიკიურის გავლით მოხდება ნყლის აღმნიშვნელი ეგვიპტური ჰიეროგლიფის მეშვეობით; არ გამოვირიცხვდი, რომ გველის გრაფემა გამოყენებული ყოფილიყო ფარული ცივილიზაციური ცოდნის ჩასანიშნად. მართლაც, ნუნ არამეულ ენაზე ნიშნავს თევზს/ან გველს, ასევე არის ებრაულ ენაზე გველის აღმნიშვნელი სიტყვის პირველი ასო. ფინიკიური ანბანის - **𐤍** - ნუ ასო გადადის ბერძნულ ანბანში, როგორც ნო. ამგვარად, ფინიკიურ-სემიტური გველის აღმნიშვნელი 'ნ' და 'ნუნ', ვრცელდება ბერძნულ და ლათინურ სასერდოტალურ ენებში, როგორც 'ნუ' და 'ნო'. რაც გვაფიქრებინებს, რომ 'ენ', 'ნუ', 'ნო', 'ნ' პრეფიქსიანი სიტყვებში შესაძლოა ვეძებოთ გველის სიმბოლიკა. რაც ხშირ შემთხვევაში დასტურდება ძველი აღქმის ბიბლიური ტექსტებით; მოვიყვან რამდენიმე მაგალითს სემიტურ და ინდოევროპულ ენებზე დაწერილი წმინდა ნაწერებიდან.

სურნელოვანი ხის აღმნიშვნელი სიტყვები: ნუში და ნოშო, რომელთა ფუძე-ძირი უკავშირდე-



ბა გველს, მიანიშნებენ ნაყოფიერებისა და ხელახალი დაბადების ღვთიურ უნარზე. ბიბლიური ტექსტების მიხედვით, მამრული იდენტურობის კუერთხის სასწაულმოქმედი განახლება სწორედ ამ სიბოლიკით ხდებოდა.


„16. ასე ელაპარაკა უფალი მოსეს: 17. დაელაპარაკე ისრაელიანებს და გამოართვი მათ კუერთხები -თითო კუერთხი თითოეულ შტოს, ყოველ თავკაცს, მამისსახლის მიხედვით, თორმეტი კუერთხი, ყოველ კუერთხს თავისი პატრონის სახელი დააწერე. 18. აარონის სახელი ლევიანთა კუერთხს დააწერე, რადგან ერთი კუერთხი ეკუთვნის მათი მამისსახლის თავკაცს. 19. დააწყვე ისინი სადღესასწაულო კარავში აღთქმის კიდობნის წინ, სადაც გეცხადებით თქვენ. 20. ვისაც მე გამოვარჩევ, მისი კუერთხი აყვავდება და ჩავახრჩობ ისრაელიანთა ჯანყს, რომ აჯანყებულან თქვენს წინააღმდეგ. 22. დააწყო მოსემ კუერთხები უფლის წინაშე აღთქმის კარავში. 23. მეორე დღეს, როცა მოსე შევიდა აღთქმის კარავში, აჰა, აყვავდა აარონის კუერთხი, ლევის სახლიდან, აყვავდა, გაიფურჩქნა ყვავილი და დამნიფდა ნუში. ( რიცხვნი 17)“.

„2. უთხრა უფალმა: რა გიჭირავს ხელში? მიუგო: კუერთხი. 3. უთხრა: მიწაზე დააგდე! დააგდო მიწაზე და გველად იქცა. და გაერიდა მას მოსე. 4. უთხრა

უფალმა მოსეს: გაიწოდე ხელი და კუდზე მოკიდე. გაიწოდა ხელი და მოჰკიდა, და ისევ კუერთხად იქცა მის ხელში. 5. ამით დაგიჟერებენ, რომ გამოგეცხადა უფალი, მათი მამა-პაპის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, ისაკის ღმერთი, იაკობის ღმერთი. (გამოსვლა 4)“

„9. თუ გეტყვით ფარაონი, სასწაული მოახდინეთო, უთხარი აარონს: აიღე შენი კუერთხი და წინ დაუგდე ფარაონს! გველად იქცევა კუერთხი. 10. მივიდნენ ფარაონთან მოსე და აარონი და ისე მოიქცნენ, როგორც უფალს ჰქონდა მათთვის ნაბრძანები. წინ დაუგდო აარონმა თავისი კუერთხი ფარაონს და მის მსახურებს, და იქცა გველად. 11. უხმო ფარაონმა ბრძენკაცებსა და ჯადოქრებს. და მათაც, ეგვიპტის გრძნეულებმა, თავიანთი ჯადოსნობით იგივე გააკეთეს. 12. მოისროლეს თავ-თავიანთი კუერთხები და იქცნენ გველებად. (გამოსვლა 7,8)“.

თუ მოვახდენთ ამ ტექსტების სიღრმისეულ ანალიზს, დავრწმუნდებით, რომ პატრიარქატული მმართველობის მთავარი სიმბოლიკა - სარიტუალო ხის კუერთხი, მუდმივად განიცდის ზომომორფულ გარდასახვას გველად, რათა მისი შემწეობით სემის შთამომავლებმა შეძლონ ეგვიპტელთა ტყვეობისაგან განთავისუფლება.





# ჩრდილოეთ კავკასიაში მოგზაურობის დღიურები

**ხვთისო მაისნიძე**  
ფილოლოგიის დოქტორი,  
თსუ ასოცირებული პროფესორი

საქართველოს მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ეპიზოდებს, მუდამ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ. IV საუკუნიდან, წმინდა ნინოს მოღვაწეობის დროიდან მოყოლებული, ქართველი მეფეები და სასულიერო პირები ჩრდილოეთ კავკასიის თვით ყველაზე ძნელად მისასვლელ ხეობებშიც კი დაულაღვად ავრცელებდნენ ქრისტიანულ რელიგიას. საქართველოს სამეფო კარისა და ქართული ეკლესიის აქტიური მოღვაწეობის შედეგად ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩერქეზეთიდან დაღესტნამდე, აშენდა უამრავი ქრისტიანული ეკლესია. ეს პროცესი გაგრძელდა XVI საუკუნემდე. XVII-XVIII საუკუნეებში, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა, ჩრდილოეთ კავკასიაში მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა ოსმალეთის იმპერიამ. ქართული ეკლესია მღვდელმსახურებსა და სასულიერო პირებს იქ უკვე ვეღარ აგზავნიდა. ქრისტიანობის პოზიციების შესუსტების შედეგად XVIII საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში თანდათან ისლამი გავრცელდა. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ისლამის გაბატონებული მდგომარეობის მიუხედავად, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დღემდე შემოინახეს ქართული ქრისტიანული კულტურის ელემენტები, რომლებიც მათ ყოველდღიურ ყოფაში სხვადასხვა სახით იჩენს თავს.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ქართული კულტურის გავლენას ცხადყოფს უამრავი არქე-

ოლოგიური არტეფაქტი, დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული ტაძრები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ლიპიდარული ნარჩენები, მათ ენებში ქართული გზით შესული ლექსიკა, ფოლკლორული მასალა, ხალხურ ყოფაში დამკვიდრებული წესჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები, მხატვრულ ლიტერატურაში ასახული სიუჟეტები და მოტივები.

ქართველ მეცნიერთა სამკაცციან ჯგუფს 2023 წლის 14 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით ჩრდილოეთ კავკასიაში სამეცნიერო მივლინებით წასვლის საშუალება მოგვეცა, რომელიც დააფინანსა შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა. მას ხელმძღვანელობდა პროფესორი ცირა ბარამიძე, ხოლო მე ვიყავი პროექტის ძირითადი შემსრულებელი. ექსპედიციის მიზანი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების თანამედროვე მდგომარეობის ადგილზე გაცნობა, ქართულ კულტურასთან დაკავშირებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალის მოძიება, ასევე მახაჩყალის, გროზნოს, მაგასისა და ნაზრანის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების დათვალიერება და იქ დაცული ქართული არტეფაქტების მოძიება.

ჩვენ პირველ რიგში მთიან ჩეჩნეთს ვესტუმრეთ, ითონხალეს რაიონს, რომელიც უშუალოდ საქართველოს, კერძოდ, ხევსურეთსა და თუშეთს ესაზღვრება. რამდენიმე დღის განმავლობაში ვცხოვრობდით ითონხალეს მახლობლად, ჰაჩაროში, რომელსაც ამჟამად „ვედუჩი“ ჰქვია. ძვირფასი მასპინძლების დახმარებით საშუალება მოგვეცა, დაგვეთვალიერებინა ითონხალეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გვენახა სოფელი ბორზოი, დავ-





**ნოი-ფხედა, მოჩანს, აკლდამები და მორღვეული ტაძრის კედელი**



**დაღესტანი, დათუნას ტაძარი, X-XI სს.**

სწრებოდით ითონხალეს, როგორც დაბის, რაიონულ ცენტრად გამოცხადების ას წლისთავს.

ითონხალეს დაარსებას ჩეჩნური გადმოცემები ქართველ კაცს მიაწერენ. 1963 დაბადებულმა და ითონხალეში მცხოვრებმა რამზან იდრისის ძე მურთაზოვმა შემდეგი თქმულება მიაბო: „როგორც ჩვენი წინაპრები გადმოგვცემენ, ითონი საქართველოდან მოსულა ამ ადგილზე, სადაც დღეს ითონხა-ლეა გაშენებული. აქ მას დაუსვენია, მიწაში თავისი კვერთხი ჩაურჭვია და დაუძინია. როცა ითონს გაუღვიძია, კვერთხზე მერცხლის ბუდე დაუნახავს. კვერთხზე გაკეთებული მერცხლის ბუდე ითონს ღვთის მინიშნებად მიუჩნევია და იქ სოფელი გაუშენებია, რომელსაც ითონის პატივსაცემად ითონ-ხალე დარქმევია.“

ითონხალეს რაიონი უშუალოდ საქართველოს, კერძოდ კი, ხევსურეთს ესაზღვრება. 1944 წელს, როდესაც ჩეჩნები შუა აზიაში გადაასახლეს, საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით, ითონხა-ლეს ახალხევი დაარქვეს და იქ ქართველი მთიელები, ხევსურები, ჩაასახლეს. მაგრამ, როცა ჩეჩნები დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში, ქართველებმა, სხვებისაგან განსხვავებით, მაშინვე დაუტოვეს ჩეჩნებს მოვლილ-ნაპატრონები სახლები, საოჯახო ნივთები და თითო პირუტყვი, რათა რეპატრიანტებს ცხოვრების ხელახალი დაწყება არ გასჭირვებოდათ.

ითონხალეს დღესასწაულზე ჩემთან მოდიოდნენ ჩეჩენი უხუცესები, რათა გამოეხატათ თავიანთი პატივისცემა ქართველი ხალხის მიმართ. ეს იყო ექსპედიციის ყველაზე ემოციური და ამაღლებველი დღე. შატოის რაიონში მცხოვრებმა 65

წლის ჩეჩენმა სალავდუ ალაუდინის ძე ბიჩალოვმა ჩემთან საუბარში გაიხსენა წინაპრების მიერ დატოვებული ბრძნული შეგონების შესახებ, რომელსაც ბავშვობაში უფროსები ხშირად ახსენებდნენ:

„მე მყავდა ბებია. მან 110 წელი ჯანმრთელად იცოცხლა, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა კბილები, მხედველობა, სმენა და მეხსიერება. ის შემახსენებდა ხოლმე წინაპრების ნათქვამს: „თუ ცხოვრებაში გაგიჭირდება, ხელი არ მოგემართება და პრობლემები დაგიგროვდება, აუცილებლად დაპატიჟე შენს სახლში სტუმრად ქართველი, ან შენ წადი სტუმრად ქართველთან. ამის შემდეგ რთული დღეები უკან დაგრჩება, ხელი მოგემართება, გაჭირვება გაქრება და პრობლემებიც მოგვარდება“.

ექსპედიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი იყო მოგზაურობა არღუნის ხეობის ზემო წელზე, მითხომი, რომელსაც ჩეჩნები მეღბისტს უწოდებენ. მდინარე არღუნის სანაპიროდან შუადღის თაკარა სიცხეში ციცაბო ბილიკით მართოდ-მართო ავედი ე. წ. მკვდართა ქალაქში, რომელსაც ჰქვია „ნოი-ფხედა“. როგორც მასპინძლებმა მითხრეს, იგი შატილიდან დაახლოებით შვიდიოდე კილომეტრით არის დაშორებული. „ნოი-ფხედა“ იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მის გაღმა მოჩანდა ნასოფლარი ჯარეგო, სადაც ხდება მოქმედება ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“.

2016 წლის ზაფხულში ნოი-ფხედში ჩეჩენმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს საკულტო თასები ძველი ქართული (ასომთავრული) წარწერებით. აქვე, მთაზე, არის მიცვალებულთა უძველესი აკლდამები. აკლდამების ზემოთ, მოჩანდა ქრისტიანული ტაძრის დანგრეული კედელი; უფრო ზემოთ, ჩრდილოეთის

მიმართულებით, მთის ქიმზე, ასიოდე მეტრით მაღლა, მდუმარედ იდგა სათვალთვალ-საბრძოლო კოშკი.

ქედზე, რომელზეც მე ავედი, მკაფიოდ ჩანდა მეორე მხარეს, დაბლა, ვინრო ხეობაში მიმავალი გზა ნასოფლარ სახანოსკენ, იმ სახანოსკენ, რომელიც ხშირად ხსენდება ხევსურულ საგმრო ბალადებში, თქმულებებსა და მითოლოგიურ გადმოცემებში.

მასპინძლების დახმარებით შევძელით მოგზაურობა შაროი-არღუნის ხეობაში და დავათვალიერეთ ხეობის სათავეში, მთის მწვერვალზე აღმართული შაროის რესტავრირებული კოშკებიანი კომპლექსი, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დაღესტანი ესაზღვრება, სამხრეთ-დასავლეთიდან - თუშეთი, ჩრდილოეთიდან - შატოის რაიონი, აღმოსავლეთიდან - ქებერლოი, ხოლო დასავლეთიდან - ქანთი და ჰაჩაროი. ამრიგად, შაროის ჰქონდა მეტად სტრატეგიული მდებარეობა. შაროის მაცხოვრებლები და მისი დამცველები აკონტროლებდნენ დაღესტნიდან და კახეთიდან მომავალ გზებს. ის მდებარეობდა სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე.

როგორც მიაბებს, ძველად იქ იმართებოდა უხუცესთა საბჭოს სხდომები და, ისევე როგორც ხევსურეთის გუდანის ჯვარში, იქაც „რჯულ-სამართლის“ საკითხები განიხილებოდა. შაროიში მიღებული ზეპირკანონები შემდეგ მთელ ჩეჩნეთში ვრცელდებოდა. ციხესიმაგრის კომპლექსი თავის დროზე შედგებოდა მეჩეთისგან, 7 საბრძოლო და 33 საცხოვრებელი კოშკისგან. მათ კედლებზე კი, როგორც მითხრეს, სანამ დაინგრეოდა, მრავლად ყოფილა უძველესი პეტროგლიფები. შაროის ყველაზე ძველ 1897 წლის ფოტოებზე მოჩანს მჭიდროდ დასახლებული, მეტად შთამბეჭდავი კოშკებიანი აული, რომელიც წარმოადგენდა მთაზე აღმართულ მიუვალ ციხესიმაგრეს. თუმცა ფოტოზე არ ჩანს, იყო თუ არა გამოსახული კოშკებზე ჯვრები, რომლებიც სხვაგან, მაგალითად, მთიანი ინგუშეთის კოშკებზე, მასიურად გვხვდება. არ არის გამორიცხული, რომ შაროის კოშკებზეც თავდაპირველად, როდესაც ისინი ააგეს, ჯვრები ყოფილიყო გამოსახული, რადგან განახლებულ კოშკებზე ორნამენტთა კომბინაცია კვლავ ჯვრის ეფექტს ქმნიდა.

გადმოცემების მიხედვით, შაროი-არღუნის ხეობის ყველა სოფელი შედგებოდა საცხოვრებელი და საბრძოლო კოშკებისგან, მაგრამ მათი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით საბრძოლო კოშკები, ჯერ კიდევ რუსეთ-კავკასიის ომების დროს დანგრეულა. შაროის საცხოვრებელი კოშკები ჩეჩნეთა 1944 წლის დეპორტაციის შემდეგ აუფეთქებიათ. ხოლო შაროის ერთ-ერთი თავდაცვითი კოშკი რუსეთის ბომბდამშენებს რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს -1995 წელს - დაუნგრევიათ.


შაროის ციხე-კოშკების რესტავრაცია 2019 წლიდან დაწყებულია. როგორც მითხრეს, ამისთვის ინ-

ჟინერ-რესტავრატორები საგანგებოდ მოუმზადებიათ, რათა მაქსიმალურად შენახული და დაცული ყოფილიყო კოშკების ავთენტურობა, მათი თავდაპირველი სახე. შაროიში, ციხე-კოშკების კომპლექსის ირგვლივ, ალპურ ზოლში, ამჟამად სამასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

მთიან ჩეჩნეთში რამდენიმე დღიანი მოგზაურობის შემდეგ კურსი დაღესტნისკენ ავიღეთ. ჩვენი მიზანი იყო, პირველ რიგში, გვენახა დაღესტნის მთიანეთში, კერძოდ, ისტორიულ ხუნძეთში X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში აგებული დატუნას ქართული ქრისტიანული ტაძარი. თუმცა სანამ სოფელ დატუნამდე და დატუნას ტაძრამდე მივიდოდით, კავკასიონის უზარმაზარი მთები გადავლახეთ, მოვიარეთ ვინრო, მიუდგომელი და კლდოვანი ხეობები, დაღესტნის ულამაზესი აულები. ზოგიერთ ადგილზე გზა ისეთ სიმაღლეზე ადიოდა, რომ კავკასიონის ქედის მწვერვალები, ვინრო, დაკლავნილი გზები და მთის სწრაფი მდინარეები ქვემოთ ხან წვრილი ძაფივით და ხანაც შორეული წერტილივით მოჩანდა. ირგვლივ უმეტესად ხრიოკი და კლდოვანი ლანდშაფტი სჭარბობდა. ეს არის დაღესტნის, კავკასიის ამ მაღალმთიანი რეგიონის თავისებურება, სადაც ფერდობებზე მერცხლის ბუდეშავით იყო მიკრული მრავალსულიანი, მჭიდროდ დასახლებული დაღესტნური აულები. გავიარეთ ვინრო და კლდოვანი გზები, რომელსაც ესაზღვრებოდა უცუნკულის რაიონი, სადაც ერთ დროს, აქ, ოსოქოლოში, ტყვედ იმყოფებოდა ლეკებისგან გატაცებული ჩვენი დიდებული პოეტი დავით გურამიშვილი. ვათვალიერებდი ლანდშაფტს და მიკვირდა, როგორ შეძლო სრულიად მარტომ-მარტომ, ყოველგვარ შემწეობას მოკლებულმა 24 წლის ჭაბუკმა, საგზლისა და გზის ცოდნის გარეშე, დამტყვევებლებისგან თავის დაღწევა, როგორ გაიკვალა გზა ამ ვინრო, ბნელ, შიშველ, ხრიოკ და კლდოვან ხეობებში, როგორ გადალახა მთის ჩქარი მდინარეები და ან როგორ გადაიარა ფეხით კავკასიონის მიუვალი მწვერვალები?!

სანამ დატუნას წმინდა ტაძრამდე მივიდოდით, დაუგეგმავად აღმოვჩნდით დაღესტნის მაღალმთიან აულ ლუნიბში, სადაც 1859 წლის 25 აგვისტოს, 30 წლიანი ბრძოლის შემდეგ, რუსებს ტყვედ ჩაბარდა შამილი. მაღალ და კლდოვან მწვერვალებს შორის მიუდგომელ ფერდობზე გაშენებული ამ აულის მოულოდნელად ნახვა ნამდვილ სიურპრიზს წარმოადგენდა. მართალია, მხატვრების მიერ შესრულებულ ტილოებზე არაერთხელ მინახავს ლუნიბის სასტიკი იერიში, მაგრამ იმ დღეს ლუნიბმა ჩემზე განსაკუთრებული ემოციური შთაბეჭდილება მოახდინა. წარმოვიდგინე, როგორ ებრძოდა ლუნიბის ფერდობებზე მრისხანე და მოუხელთებელი იმამი შამილი მოწინააღმდეგეს თავისი მიურიდებით. დღეს ეს მრავალრიცხოვანი აული კლდეებით შემოსაზღვრულ ციცაბო მთაზე ტერასებად





**ქვაჯარი ქართული წარწერებით, XIII-XIV სს. მახაჩყალის მუზეუმი**



**ჯარი ქვაზე ქართული წარწერებით, XIII-XIV სს. მახაჩყალის მუზეუმი**

არის გაშენებული. შუა ფერდობზე ერთ მოვაკებულ ადგილას თავს იყრის სავაჭრო, კულტურული და ადმინისტრაციული დაწესებულებები. მათ შუაში კი აღმართულია მეჩეთი. სოფლის ცენტრში მაშინ შევედით, როცა მუეძინი მინარეთიდან მუსლიმებს ნამაზის შესრულებისკენ მოუხმობდა.

რამდენიმე ასეული მეტრის ზემოთ, ვინრო და მიხვეულ-მოხვეული საავტომობილო გზის თავში მოულოდნელად გამოჩნდა ღუნების განთქმული ციხეგალავნის ნანგრევები, სადაც ვინრო მოასფალტებული საავტომობილო გზა დიდი თაღოვანი კარის ქვეშ გადიოდა. კარს რუსულ ენაზე გარკვევით ეწერა: «Ворота Шамиловская». ვინრო გზა მთის მწვერვალამდე ადიოდა. პლატოდან ხელისგულისვით მოჩანდა ულამაზესი აული, დაბლა კი, გველეშაპივით განოლილიყო მთის ჩქარი მდინარე, ავარიის ყოისუ. გადმოვცქეროდი ღუნების, ავარიის ყოისუს ხედებს და მახსენდებოდა ტიცციან ტაბიძის ლექსი „ღუნები“:

„ვხედავ არწივთა საბუდარით დანგრეულ ბუდეს და მოგონების სირცხვილიდან თვალი მევსება. ამ ცის სიმაღლის შეგინება როგორ გაბედეს, ამის ტკივილი, საქართველოვ, შენც ხომ გედება.“

იმავე დღეს დაღესტნის მთიანეთში ვნახეთ ჰონათლი, შამილ-ყალა, რაიონული ცენტრი ხუნძახი და, რაც მთავარია, დათუნას ქართული ეკლესია. ეს დაბები შუაგულ დაღესტანში მდებარეობდა, სადაც ჯერ კიდევ მე-9 საუკუნეში ჩამოყალიბდა ხუნძახის სანუცალო, რომლის სახელმწიფო რელიგიაც ექვსი-შვიდი საუკუნის განმავლობაში იყო ქრისტიანობა. დაღესტნის ამ მთებით შემოსაზღვრულ

რეგიონში ქრისტიანობა ქართველმა მთავრებმა და მისიონერებმა გაავრცელეს. ამიტომ ხუნძეთში მთელი იმ ხნის განმავლობაში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე ტარდებოდა. ამის დასტურია ხუნძეთის მთელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვაჯარები და ეკლესიის ქვები ქართული ასომთავრული და ხუცური წარწერებით.

საავტომობილო გზიდან მარჯვნივ, წვრილი ბილიკი მიუყვებოდა ავარიის ყოისუს ერთ პატარა შენაკადს მომცრო და ვინრო ხეობაში, რომელსაც სახელად ერქვა ჰატან-ბუღებ-კხოლი. იგი ქართულად ითარგმნება, როგორც „საკვირაო ხეობა“, „სალოცავის ხეობა“. ჩემი აზრით, „ჰატან“, რომელიც ხუნძურად არის კვირა, სალოცავი, უნდა მომდინარეობდეს ქართული სიტყვიდან „ხატი“ (→ჰატან). ტოპონიმ „ჰატანის“ ქრისტიანული წარმომავლობა არანაირ ეჭვს არ იწვევდა. სწორედ იქ, ყოველმხრივ კლდეებით შემოსაზღვრულ ქვაბულში უმშვენიერეს კონცხზე იყო აღმართული დათუნას ტაძარი, რომელიც ქართველ მისიონერებს X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისში აუგიათ. დათუნას ეკლესია თავისი არქიტექტურული სტილით არის უგუმბათო, დარბაზული ტიპის ტაძარი. დაღესტნური გადმოცემები დათუნას ეკლესიის აშენების შესახებ, თუ ვინ ააგო ეს „ჰატანი“, კონკრეტულად არაფერს მოგვითხრობენ. ცნობილია, რომ შამილის დროს დათუნას ტაძარში ქრისტიანული ღვთისმსახურება აღდგა, სადაც რუსული ჯარიდან შამილთან გამოქცეული ქრისტიანი სამხედროები ლოცულობდნენ.

20 ივლისს მახაჩყალაში დავათვალიერეთ ა. ტახო-გოდის სახელობის დაღესტნის ნაციონალუ-





**გოლგოთის ჯვრიანი კოშკი ეგიხალაში, მთიანი ინგუშეთი**



**ეგიხალა, მთიანი ინგუშეთი**

რი მუზეუმი, რომელშიც დაცული იყო ქართული კულტურის არტეფაქტები, ქვის ჯვრები ასომთავრული და ხუცური წარწერებით. ერთ-ერთი მათგანი იყო თეთრი, ან უფრო ზუსტად, ძვლისფერი თლილი ქვისგან გამოკვეთილი. როგორც მითითებული იყო, ჯვრის სიმაღლე 22 სმ-ს შეადგენდა, ხოლო სიგანე 17 სმ-ს. ჯვრის სამივე ფრთას, მარცხენას, ზედას და მარჯვენას ჰქონდა სამ-სამი წვერი. მარცხენა ფრთა ოდნავ დაზიანებული იყო, რადგან მას ქვედა წინა ნაწილი ჩამოტეხილი ჰქონდა და ამის გამო, სავარაუდოდ, მეხუთე სტრიქონზე ხუცური წარწერის ბოლო ორი ასო აღარ იკითხებოდა. სხვა მხრივ ქვაჯვარი კარგად იყო შემონახული. მას არც ფერი ჰქონდა შეცვლილი და არც ლაქები ეტყობოდა. წარწერიანი ქვაჯვარი მინებში იყო ჩაკეტილი და შესაბამისად ქვაჯვარის უკანა მხარე არ ჩანდა.

ჯვარი ნაპოვნია ხუნძახის ჩრდილოეთით, ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით, ჰალას ნაქალაქარზე. ჯვარზე ამოკვეთილი იყო ორენოვანი წარწერა ქართულ და ხუნძურ ენებზე. წარწერა სულ 11 სტრიქონს შეიცავს. ქართული ტექსტი შესრულებული იყო ასომთავრულით, ხოლო ხუნძური ტექსტი - ხუცურით. პირველად ეს წარწერიანი ქვაჯვარი ქართველ მეცნიერთათგან 1939 წელს დალესტნის მუზეუმში უნახავს არნოლდ ჩიქობავას, რომელმაც ამ ქვაჯვარის წარწერა გაშიფრა. ის მიიჩნევდა, რომ წარწერა შესრულებული უნდა ყოფილიყო ხუნძახში, არაუგვიანეს XIV საუკუნისა. ჯვარზე ამოტვიფრული ხუნძური ტექსტი უტყუარი დადასტურებაა იმისა, რომ შუა საუკუნეების დალესტანში ქართულ ანბანს იყენებდნენ.

ამ ქვაჯვარის მარჯვნივ, იქვე, იდო მეორე, უფრო

მართკუთხედის ფორმის ქვა. ქვის ნაპირები თავის დროზე გათლილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლა, განსაკუთრებით მისი მარჯვენა მხარე შესამჩნევად უსწორმასწოროდ გამოიყურებოდა, ხოლო წინა ქვედა ნაწილი, წარწერებით გამოსახული ჯვრის ქვემოთ, უფრო მეტად მარცხენა მხარე, ქვას ჩამოტეხილი ჰქონდა. თუ როგორ გამოიყურებოდა ქვის მეორე მხარე, რასაკვირველია, არ ჩანდა. თუმცა, ტ. გუდავას ცნობით, „უკანა მხარე ქვისა დაუმუშავებელი იყო და ამიტომ ოღროჩოღრო“. ასომთავრული და ხუცური წარწერები შესრულებულია ქვის შუაში ჩადარვით გამოყვანილ ჯვარზე. ეს ქვა 1950 წელს ტ. გუდავასთვის გადაუცია ხუნძახის საშუალო სკოლის მასწავლებელს მანსურ გაიდარბეკოვს. თვითონ ჯვარი, ტ. გუდავას ცნობით, 1949 წელს უპოვიათ ნასოფლარ ჰალაში თივის მოგროვების დროს, ხუნძახის ჩრდილოეთით, ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით. ჰალაში 1949 წელს უკვე დიდი ხნის მიტოვებული ნასახლარები ყოფილა. წარწერა, რომელიც ტ. გუდავამ გაშიფრა, მოწმობს, რომ ეს ჯვრით შემკული არტეფაქტი საფლავის ქვა უნდა ყოფილიყო. ჯვარზე ასომთავრული და ხუცური ასოებით წერია: „ჯოვარი ქრისტესი ოჯფალო განუსვენე სულსა ჩახუტისასა“.

თავისი სტატიის კომენტარებში ტ. გუდავა მიუთითებს, რომ ნასოფლარი ჰალა და მისი შემოგარენი უაღრესად საინტერესო იქნებოდა არქეოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ჰალას აღმოსავლეთით, ხრამის პირზე, კარგად ჩანდა გაშიშვლებული არამაჰმადიანური საფლავები. მართლაც, შემდგომ პერიოდში სხვადასხვა კვლევების, მათ შორის არქეოლოგიური გათხრების შე-



დეგად არა მარტო ხუნძახსა და მის შემოგარენში, არამედ მისგან საკმაოდ დაშორებულ სოფლებშიც მრავლად აღმოჩნდა ქვაჯვარები, ეკლესიისა და ქრისტიანთა საფლავის ქვები ქართული ასომთავრული და ხუცური წარწერებით.

ამ მიმართულებით უაღრესად მნიშვნელოვანი ექსპედიციები მოაწყო და უაღრესად ღირებული შრომები შექმნა დალესტენელმა მეცნიერმა შაჰბან ხაფიზოვმა, რომელიც მთიანი დალესტენის ტერიტორიაზე აგროვებს ქრისტიანულ არტეფაქტებს და დაუღალავად იკვლევს მასზე ამოტივფრულ ქართულ წარწერებს. მან 2012-2015 წლებში, ხუნძეთის ეპიგრაფიკული ექსპედიციების დროს, კერძო კოლექციებისა თუ შენობათა კედლებში მიაკვლია ქვაჯვარებსა და მათ ფრაგმენტებს ქართული წარწერებით. როგორც პატივცემული მეცნიერი აღნიშნავს, მათი დიდი ნაწილი დადასტურდა ხუნძახის პლატოზე, ხუნძეთის ე. წ. ისტორიული სანუცალოს ცენტრში.

ძველი ქართული წარწერების ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ შ. ხაფიზოვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ X-XIV საუკუნეებში ქრისტიანობა ხუნძახის სანუცალოს სახელმწიფო რელიგია იყო და იმ პერიოდში ხუნძეთის ტერიტორიაზე 40-ზე მეტი ქრისტიანული ეკლესია მოქმედებდა.

დალესტენის ნაციონალურ მუზეუმში თითქმის დღის მეორე ნახევრამდე დავყავით, რადგან იქ დაცული იყო 180 ათასი ექსპონატი, სანახაობრივი და სამეცნიერო თვალსაზრით უაღრესად მნიშვნელოვანი არტეფაქტები.

20 ივლისს დავტოვეთ მაჰაჩყალა, გროზნოს გავლით ინგუშეთში წავედით. 21 ივლისს ქალაქ მაგასის სასტუმროში გვწვია ინგუში მეცნიერი, მწერალი და პუბლიცისტი ბორის ხარსიევი, რომელიც სპეციალურად ჩვენს დასახმარებლად მაღგობეკიდან მაგასში ჩამოვიდა. პირველ რიგში მან დაგვათვალისწინებინა ბართა ღალა - თანხმობის კოშკი, მაგასის ძირითადი ღირსშესანიშნაობა, 100 მეტრის სიმაღლის ძეგლი, რომელიც ქალაქის ყველა კუთხიდან მოჩანს. იგი წარმოადგენს ინგუშური ტრადიციული საცხოვრებელი კოშკის ასლს.

„ბართა ღალაში“ ვნახეთ შუა საუკუნეების მთიანი ინგუშეთის საბრძოლო და საცხოვრებელი კოშკების იმიტაციები, რომლებიც საკმაოდ მდიდარი ექსპონატებით, მეტ-ნაკლებად სრულად ასახავენ ინგუშური ტრადიციული საოჯახო და სამეურნეო ყოფის დეტალებს.

„თანხმობის კოშკში“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სივრცე იყო ე. წ. „სათათბირო ოთახი“, იგი განასახიერებდა ქვეყნის ტრადიციულ ხალხურ სასამართლოს - მეჭქ-ჭელს, რომელიც განთავსებული იყო კოშკის ზედა ნაწილში, რაც თავისთავად მეჭქ-ჭელ -ის საკრალურ დანიშნულებაზე მიუთითებდა.

იმავე საღამოს ბორის ხარსიევმა დაგვათვალის-

წერებინა ნაზრანთან, მაგასის მახლობლად, ცენტრალური საავტომობილო გზატკეცილის გვერდით მოწყობილი მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომელსაც ერქვა „Мемориал памяти и славы“.

22 ივლისს, დილით, ბორის ხარსიევის დახმარებით გავემგზავრეთ მთიანი ინგუშეთის - ლილღოს - კოშკებიანი აულების სანახავად, რომელიც უშუალოდ ხევსურეთს ესაზღვრება.

მთიანი ინგუშეთის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას აული ეგიკალა (ინგუშ. ეგიხალა) წარმოადგენს. ამ ციხე-აულის კომპლექსი წეი-ლოამის - წმინდა მთის სამხრეთ კალთაზე არის გაშენებული, მდინარე ასიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, მისი მარცხენა შენაკადის მაღალ ნაპირზე. წეი-ლოამის მთას ლილღველები უძველესი დროიდანვე წმინდა მთად მიიჩნევდნენ. მასთან იყო დაკავშირებული მრავალი საკრალური რიტუალი, ინგუშური თქმულება და ლეგენდა.

ეგიხალა, როგორც ყველაზე დიდი კოშკებიანი კომპლექსი, მიჩნეულია შუა საუკუნეების მთიანი ინგუშეთის პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად. ეგიხალის ფერდობიდან ხელისგულივით მოჩანს მდინარე ასის ულამაზესი ხეობა, უფრო შორს კი - სხვა კოშკებიანი აულები: თარგიმი, ხამხი, ფუი. როგორც მითხრეს, კარგ ამინდში ეგიხალის ბორცვებიდან შესაძლებელია ტყობაერდის ათასწლოვანი ქრისტიანული ტაძრის დანახვაც.

ეგიხალასთან აღრიცხულია ასზე მეტი ნაგებობა, მათ შორის უმეტესობა არის ნახევრად დანგრეული და განეკუთვნება, სავარაუდოდ, XII-XVII საუკუნეებს. იგი, როგორც ჩანს, თავის დროზე უნდა ყოფილიყო ყველაზე მასშტაბური დასახლება მთიან ინგუშეთ-



**გროზნო, ქვა ასომთავრ. წარწერებით ტყობაერდის ტაძრიდან**



**ტყობაერდის ტაძრის ქვები გროზნოში**

ში. ციხე-კომპლექსი შედგებოდა საცხოვრებელი, საბრძოლო და ნახევრად საბრძოლო კომპლექსებისგან, რომლებიც გათვალისწინებული იყო როგორც საცხოვრებლად, ასევე თავის დასაცავად. ნაგებობას დღემდე აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი.

ციხე-კომპლექსში რომ შევედი, ჩემგან მარჯვნივ დაახლოებით 30 მ. სიმაღლის გოლგოთისჯვრიანი კოშკი შევნიშნე, რომელსაც ჰქონდა სათოფურები და სხვა კოშკების მსგავსად პირამიდისებურად იყო გადახურული. მკვლევართა აზრით, ყველაზე სრულყოფილი საბრძოლო კოშკები, საფეხურიანი პირამიდული გვირგვინითა და გოლგოთაჯვრებით, ინგუშეთში აშენდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების გათვალისწინებით, რომელიც აქ ფართოდ გავრცელდა XVI საუკუნის ბოლოდან. ეს კოშკები ციხე-კომპლექსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ. დარგის სპეციალისტები იმაზეც მიუთითებენ, რომ საბრძოლო კოშკები ეკუთვნოდათ ადგილობრივი წარჩინებული გვარის წარმომადგენლებს, რომლებიც ქრისტიანობას აღიარებდნენ. მათი აზრით, გოლგოთისჯვრიანი კოშკების უმეტესობა უშუალოდ აკონტროლებდა საქართველოსთან დამაკავშირებელ საქარავნო გზებს. შუა საუკუნეებში საქართველოდან ასის ხეობის გავლით აქ გადიოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქარავნო გზა და ეგიხალაც, სავარაუდოდ, თავის

დროზე უნდა ყოფილიყო ვაჭრობისა და ხელოსნობის მნიშვნელოვანი ცენტრი.

გოლგოთა ჯვარი ეგიხალის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კოშკის ფასადზე იყო გამოსახული და ხეობას საქართველოს მიმართულებით გაჰყურებდა, რათა გამვლელ-გამომვლელს ადვილად დაენახა. ქრისტიანული სიმბოლოებით შემკულ კოშკებს როგორც ეგიხალაში, ისე მთელ ინგუშეთში, ნამდვილად ერთგვარი „სავიზიტო ბარათის“ ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რომლებიც, ერთი მხრივ, მისი პატრონის მატერიალურ-ეკონომიურ სიძლიერეს ადასტურებდა, მეორე მხრივ, კი მიუთითებდა ციხე-კოშკის პატრონის ერთგულებასა და პატივისცემას ქრისტიანული საქართველოს მიმართ.

ეგიხალაში საუკეთესოდ იყო შემონახული ხუთი კოშკი, რომელთა სიმაღლე, როგორც მითხრეს, 27 მეტრს აჭარბებდა. საბრძოლო კოშკებს ჰქონდათ მხოლოდ ერთადერთი შესასვლელი, რომელიც განთავსებული იყო მეორე ან მესამე სართულზე. იქ მოხვედრა კი მხოლოდ მიდგმული კიბით შეიძლებოდა. როგორც თქმულებები მოგვითხრობენ, ინგუშები ქვის საუკეთესო ოსტატებად ითვლებოდნენ და ამას ხალხური ტრადიციაც ადასტურებს. ისინი აშენებდნენ ულამაზეს სამსართულიან საცხოვრებელ და ოთხ-ხუთ და ექვს სართულიან ტანწერწერთა საბრძოლო კოშკებს, რომლებიც მთელი გვარის საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა მტრულად განწყობილი გვარების თავდასხმის დროს. კოშკების გარდა, ისინი აშენებდნენ აკლდამებს, ე. წ. „მზის სამარხებს“, მიცვალებულთა დასაკრძალად და აგებდნენ „ელგუცებს“ ზეციურ არსებათა სადიდებლად. „ელგუცი“ მომცრო ტაძარია, ქართულ სოფლებში მოგვიანო საუკუნეებში აშენებულ საყდრებზე უფრო მცირე ზომის საკულტო ნაგებობა.

საბრძოლო კოშკების, აკლდამებისა და „ელგუცების“ ასაშენებლად ინგუშები ცნობილ ოსტატებს ინვეზდნენ. ძველი ინგუშური სიმღერების მიხედვით, საბრძოლო კოშკის მშენებლობას რიტუალის სახე ჰქონდა. კოშკს განსაკუთრებულ ადგილზე, განსაკუთრებული წესებით აგებდნენ. საბრძოლო კოშკების მშენებლობა, ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, ერთ წელიწადში უნდა დასრულებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში კოშკი დაუმთავრებელი დარჩებოდა. ამდენად, მისი მშენებლობა განსაკუთრებულ ძალისხმევასა და უნარებს მოითხოვდა. კოშკს ქვებითა და კირის ხსნარით აშენებდნენ, რომელშიც, გადმოცემების მიხედვით, სიმტკიცისა და სიმაგრის მიზნით, რძეს, კვერცხსა და ვირის ბალანს ურევდნენ.

როდესაც ოსტატი მშენებლობას მორჩებოდა, კოშკის თავზე ადგამდა სოლისებურ ვერტიკალურ ქვას, რომელსაც ინგუშები „ძეგილს“ უწოდებდნენ. ექვგარეშეა, რომ ეს სახელი ქართული „ძეგლიდან“ (памятник) მომდინარეობს. შ. ქაზიევის ცნობით, ოსტატი გუმბათის დასრულებისა და „ძეგილის“





**ვოვნუშის კოშკები, მთიანი ინგუშეთი**

(ძვეგილ) დადგმის შემდეგ, არ ჩამოდიოდა კოშკის სახურავიდან, სანამ არ მიიღებდა სპეციალურ გასამრჯელოს, ე. წ. „ჩამოსვლის საფასურს“, რაც მთელ ხარს გულისხმობდა. ამის შემდეგ ხელმწიერის ნაცვლად კოშკის ძირში, კირის ბათქაშზე, ის საკუთარი ხელის ანაბეჭდს სამუდამოდ ტოვებდა. საბრძოლო კოშკის მშენებლობის დასრულება დიდი ღონისძიებით აღინიშნებოდა: იკვლებოდა საქონელი, იშლებოდა სუფრები. წაისაგი (ხევისბერი, წმინდა კაცი) წუს, ანუ სალოცავის, დროშით კოშკს აკურთხებდა და დალოცავდა, იმართებოდა სიმღერა და ცეკვა-თამაში.

ეგიხალაში შემორჩენილია საკულტო დანიშნულების ტაძრები, უამრავი მიწისქვეშა და მიწისზედა აკლდამა. აულის სიახლოვეს იყო ორ და სამსართულიანი აკლდამები, რომელშიც, როგორც მითხრეს ზოგან, სავარაუდოდ, 200-მდე ადამიანის ჩონჩხი უნდა ყოფილიყო.

კოშკების ზემოთ, მშრალი ხევის მარცხენა მხარეს, ციცაბო აღმართის თავზე, პატარა ბორცვზე აღმართულ სამლოცველოს მივაღებქი, რომელიც, თუ იდრის ბაზოროკინის რომანს დავეყრდნობით, სავარაუდოდ, თუშოლის სახელობის სალოცავი უნდა ყოფილიყო. ის იყო ტიპური ინგუშური ელგუცი, რომლის მსგავსი სალოცავი მთიანი ინგუშეთის თითქმის ყველა აულს ჰქონდა. ზოგან სალოცავის მაგივრობას ვერტიკალურად აღმართული

ქვა ასრულებდა. ასეთი ქვა ეგიხალაში, კოშკების სიახლოვეს, ორგან ვნახე. ერთ მათგანს უამრავი ნატყვიარი ეტყობოდა. ალბათ სამხედროები ერთმანეთს მიზანში სროლაში ეჯიბრებოდნენ. ეგიხალის საკულტო ტაძარი მაღალი ბორცვიდან გადმოჰყურებდა ციხე-კომპლექსსა და მთელ ხეობას.

ასეთ სალოცავებს ინგუშები ერდას, წუვს ან ელგუცს უწოდებენ. საკულტო ტაძარი კიბისებურად ისე იყო გადახურული ქვებითა და სიპებით, როგორც ეს გვხვდება თუშ-ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატთა სალოცავებში. აღმოსავლეთის კედელთან ადრე, სავარაუდოდ, მომცრო სარკმელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ მოგვიანო პერიოდში ამოუშენებიათ. ტაძრის გარშემო, ყველგან, ძველისძველი, სიძველისგან ხავსმოკიდებული ქვები ეყარა. სავარაუდოდ, ძველად იქ სხვა დამხმარე ნაგებობებიც უნდა მდგარიყო, საზარე ან თუნდაც ქვითკირის ლობე. ტაძარს გვერდიდან, კერძოდ, დასავლეთის მხრიდან, ჰქონდა თალიანი შესასვლელი. იქვე, შესასვლელის გვერდით, მაღალი, ლამის ტაძრის სიმაღლის ბუჩქები გაზრდილიყო. შიგნით ტაძარი თითქმის ცარიელი იყო. თუშცა ძირს დაყრილი ქვები მიუთითებდა, რომ არცთუ დიდი ხნის წინ საკულტო ძეგლს რესტავრაცია უნდა ჩასტარებოდა. სამლოცველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ შიდა კედელზე სამკუთხა ნიში იყო გამოყვანილი, რომლის გარშემო ეტყობოდა, რომ ძალიან

ძველად, ასი და უფრო მეტი ხნის წინ, სანთლებსაც ანთებდნენ და კიდევაც ლოცულობდნენ. ტაძრის ზედა შებოლილი კედლებიც ადასტურებდა, რომ იქ ოდესღაც ღმერთსა და წმინდანებს ადიდებდნენ, სანთლებს ანთებდნენ.

ეგიკალის დათვალიერების შემდეგ მოვინახულეთ ტყობა-ერდის ტაძარი, რომელიც ქართველ საეკლესიო და საერო მოღვაწეებს მთიან ინგუშეთში IX-X საუკუნეებში აღუმართავთ, ეკლესიის ქართულ წარმომავლობას ადასტურებს იქ აღმოჩენილი XI-XII საუკუნეების ფსალმუნის ქართულ ენაზე, აგრეთვე, ამავე ტაძრის კედლებზე ასომთავრული ქართულით შესრულებული ლიპიდარული წარწერები, რომლებშიც ხსენდებიან ეპისკოპოსი გიორგი (X ს.), კათალიკოსი არსენ II (955-980) და პატრიარქი მელქისედეკ I (XI ს. I ნახ.) ღილღური ლეგენდის თანახმად, ტყობა-ერდის ეკლესიის მშენებლებს ტაძრის ასაშენებლად საჭირო ქვებიც საქართველოდან მოუტანიათ. ტყობა-ერდის ტაძარი ავარიულ მდგომარეობაში დაგვხვდა. გარშემო რკინის მესერი ჰქონდა შემორტყმული და შესვლა სასტიკად იკრძალებოდა. აკრძალვის მიუხედავად, შევძელი გადასვლა და ტყობა-ერდის ტაძრის ახლოდან დათვალიერება.

ტყობა-ერდის მახლობლად მდებარეობდა „ვოვნუშკი“, ოზდოვეების გვარის კოშკები, რომლებიც აღმართული იყო მიუვალ კლდეზე და იგი რუსეთის ფედერაციაში ერთ-ერთ შვიდ საოცრებად ითვლება. მის სიახლოვეს არის ექვსი აკლდამა და ერთი სამლოცველო. ვოვნუშკის ციხესიმაგრის კომპლექსი აგებულია ექვსასი წლის წინ. როგორც ბორის ხარსიევმა გვითხრა, ვოვნუშკის კოშკში მას ადრე, სიჭაბუკის წლებში, ქართული ასომთავრული წარწერა უნახავს. უკვე ბინდდებოდა, ამის გამო ჩვენ ვერ შევძელით კლდეზე ასვლა და დღემდე უცნობი წარწერის წაკითხვა.

ვოვნუშკის ახლოს, ორასიოდ მეტრის დაშორებით ვნახეთ აკლდამა და სამლოცველო. იმ დღით მეტს ვეღარ მოვასწრებდით. უკან, მაგასში, ჯარიანის ხეობის გავლით დავბრუნდით. ჯარიანის ხეობაში, სოფელ ჰულში ცოტა ხნით გავჩერდით. სოფლის მალა, მთაზე, მოვინახულე ხევსურების სასაფლაო, სადაც ის ხევსურები განისვენებენ, რომლებიც ინგუშების დეპორტაციის დროს ჯარიანის ხეობაში ჩაასახლეს და იქვე, ჰულში, აღესრულნენ. ადგილობრივ მცხოვრებლებს სასაფლაო შემოეღობათ და ჩანდა, რომ ისინი ხევსურების საფლავებს საგანგებოდ უვლიდნენ.

24 ივლისს ნაზრანში დავათვალიერეთ ინგუშეთის ტ. მალსაგოვის სახელობის სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც ინახება ტყობა-ერდის ტაძრის ქვები ქართული ასომთავრული წარწერებით. თუმცა ექსპონატები მაინცდამაინც იდეალურ სიტუაციაში არ დაგვხვდა, რადგან მუზეუმი განთავსებული იყო ძველ, ერთსართულიან

შენობაში. სივინროვის გამო ექსპონატები მჭიდროდ ეწყო საგამოფენო დარბაზში, ხოლო ქართული ასომთავრული წარწერით შესრულებული ქვები ძირს, იატაკზე ეწყო, სადაც შეიძლება ისინი სინესტესაც დაეზიანებინა. როგორც გიდა გვითხრა, ტყობა-ერდის ტაძრიდან მოხსნილი ქვები შესასწავლად და წარწერების გასაშიფრად თავის დროზე საქართველოში წაუღიათ, რომლებიც იქ, როგორც შემდეგ გავიგე, მეტად არასასურველ მდგომარეობაში ინახებოდა, შემდეგ კი თელავის სახელმწიფო მუზეუმში გადაუტანიათ. ამ ათიოდე წლის წინ ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე ქართულ მხარეს ინგუშეთის ტ. მალსაგოვის სახელობის სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის გადაუცია.

ტყობა-ერდის ფასადის ყველა ბარელიეფი და წარწერიანი ქვა ამჟამად ჩამოხსნილია და ეს უძვირფასესი არტეფაქტები აქა-იქ არის გაბნეული, ზოგი გროზნოს ბიბლიოთეკაში, ზოგიც ნაზრანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

გროზნოსა და ნაზრანში შეხვედრები გვქონდა ჩეჩნეთისა და ინგუშეთის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე ერთმანეთს გავეზიარეთ საკუთარი თვალსაზრისი ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში. განსაკუთრებით საინტერესო აღმჩნდა შეხვედრა ნაზრანში ფოლკლორისტ მაგომედ-ბაშირ ადამის ძე მათიევთან. ჩვენ ვისაუბრეთ ინგუშურ საგმირო სიმღერებში ასახულ ქართულ მოტივებსა და ქართველ პერსონაჟებზე; ჩვენი შეხედულებები ინგუშურ ხალხურ საგმირო სიმღერებთან დაკავშირებით ბევრ საკითხზე ერთმანეთს დაემთხვა.

სამეცნიერო ექსპედიცია ჩრდილოეთ კავკასიაში უაღრესად საინტერესო, მაგრამ საკმაოდ რთული, ემოციური და დაძაბული აღმოჩნდა. თუმცა გულთბილი მასპინძლების დახმარებით მოგზაურობა მშვიდობიანად დასრულდა. 25 ივნისს გადმოვლახეთ რუსეთ-საქართველოს საზღვარი და შთაბეჭდილებებით დატვირთული თბილისში დავბრუნდით.



# ნინო კანდელაკის მოგონება



**მაია ცერცვაძე**  
ისტორიის დოქტორი

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში საინვერტარო ნომრით სსლმ 13223-ბ დაცულია ნინო კანდელაკის ერთი გამოუქვეყნებელი მოგონება, რომლის პირველი პუბლიკაცია გვინდა შევთავაზოთ ქართველ მკითხველს.

ხელნაწერმა ჩვენი ყურადღება მიიქცია მუზეუმში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური ორტომეულის გამოცემა და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ციფრული მათიანის მომზადება“ (#FR-23-10216) მასალებზე მუშაობისას. ნიკოლოზ ბარათაშვილზე ჩვენთვის საინტერესო მწიფე ცნობასთან ერთად აღნიშნულ მოგონებაში გადმოცემულია რამდენიმე საგულისხმო ამბავი და ეპიზოდი მემუარისტის უშუალო წინაპრებისა და სხვათა ცხოვრებიდან. ისინი წარჩინებული წარმომავლობის პირნი არიან და თვალსაჩინო სახეებად მოჩანან და მე-19 საუკუნის საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე.

რამდენიმე სიტყვა მოგონების ავტორზე. ნინო კანდელაკი (1878-1952), რომლის ქალიშვილობის გვარია თარხნიშვილი (თარხან-მოურავი), კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის თარხნიშვილთა შთამომავალია. ბებიაამისი დედის მხრიდან მარაბდელ ბარათაშვილთა საგვარეულოს განეკუთვნებოდა და გათხოვილი იყო თავად რომან ჭავჭავაძეზე.

მოგონება ჩანერილია იურისტის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლის გიორგი მო-

დოკელის (1870-1954) მიერ 1944 წელს.

ხელნაწერის სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია ძირითადად დაცულია. მას ვურთავთ სამეცნიერო აპარატს - კომენტარებსა და შენიშვნებს ტექსტის ირგვლივ. პუბლიკაციის მომზადებისას დასახელებულ ისტორიულ პირთა ბიოგრაფიული ცნობებისათვის უმთავრესად ვისარგებლეთ საქართველოში გენეალოგიური კვლევების ფუძემდებლის, ქართული გენეალოგიური საზოგადოების დამფუძნებლისა და პრეზიდენტის, საერთაშორისო გენეალოგიური აკადემიის ნამდვილი წევრის, ან განსვენებული იური ჩიქოვანის კვლევებითა და ნუსხებით.

სამეცნიერო ბრუნვაში ნინო კანდელაკის ამ მოგონების ჩართვა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ჩვენი ცოდნის გაფართოებას ეპოქის სულისკვეთებისა და მისი პერსონაჟების შესახებ.

**მოგონება ნინო ნიკოლოზის ასულ კანდელაკის, 70 წ. მცხოვრები ქ. თბილისში, როდენის ქ. N 8, ჩანერილი გ. პ. მოვლოკაძის მიერ.**

ბებიაჩემი, დედის დედა, მაიკო<sup>1</sup>, რომან ჭავჭავაძის<sup>2</sup> მეუღლე, იყო ბარათაშვილის<sup>3</sup> ქალი, მარაბდელი, პოეტ ნიკო ბარათაშვილის ბიძაშვილი<sup>4</sup>. ის გარდაიცვალა თითქმის ასი წლისა, ორმოცი წლის წინად. მეტად ჯანსაღი იყო, ხსოვნა სიკვდილამდე შერჩა. მოიგონებდა ნიკო ბარათაშვილს, როგორც მხიარულ, მოსიყვარულე ნათესავს. ისეთი შესამჩნევი რამ არ უამბინია ჩვენთვის იმაზედ.

პაპაჩემი რომან ჭავჭავაძე მსახურობდა ტვერის დრაგუნის პოლკში<sup>5</sup>. მე ის არ მახსოვს, ბებია ჩემისგან გამიგია, რომ მან გადმოიტანა სპარსე-



თიდან გვამი პოეტ გრიბოედოვის<sup>6</sup>, უბედურად დაღუპულის. ასე მოიგონებდა ბებია მაიკო. თითონ გრიბოედოვი კარგი, ჩინებული ადამიანი იყო შესახედათ, ზრდილი. ალტაცებით იგონებდა იმის ცოლს - ნინას<sup>7</sup> - მეტის მეტი ლამაზი, მოხდენილი ქალი იყო, ამასთანავე კეთილი, ძალიან მორწმუნე და გაჭირვებულების შემბრალებელი. ქმრის შემდეგ, სიქვრივეში ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია, ბევრისთვის უშველია და გამოუხსნია გაჭირვებიდან, სხვათა შორის უამბნია ბებიაჩემს, რომ, როცა იმისი ქმარი დაბრუნებულა სპარსეთიდან და ჩამოუსვენებია გრიბოედოვის გვამი, წასულა იმის ქვრივთან ნინოსთან ამ ამბის შესატყობინებლად. იმ დღეს თურმე, აღდგომა დღე ყოფილა, ნინო დახვედრია სახლში - თეთრ ტანისამოსში - ნითელი კვერცხით ხელში და უთქვამს: „რომან, დღეს აღდგომა დღეა, ვერაფერზე სხვაზედ ვერ ვილაპარაკებთ, ხვალისთვის გადავდოთ ყველა საქმე“.

მამა ჩემი ნიკოლოზ გიორგის ძე თარხნიშვილი<sup>8</sup> იყო შვილის შვილი დიმიტრი თარხნიშვილის<sup>9</sup>, ახალქალაქიდან<sup>10</sup>. ყოფილა სამხედრო სამსახურში პასკევიჩის<sup>11</sup> დროს. იმის სურათი და იმის შვილის გიორგის<sup>12</sup> ქართულ კაბებში, ორდენებით უნდა იყვეს მეტეხის მუზეუმში<sup>13</sup>. გამოჩენილი ვაჟკაცი ყოფილა დიმიტრი თავის ღონით სიყმანვილიდან სიბერემდე. აბაზს რომ მოავლებდა დიდ თითს, გადააცლიდა ზემო პირს ვერცხლისას. თითქმის სიკვდილის წინა თვეებში, ყოფილა ლისის ტბაზე ისტამანოვის<sup>14</sup> სახლში და იქ უთქვამს: „ერთი კიდე უნდა ვცადო ჩემი ღონეო“ და ჯოხით ჩაუნგრევია სახლში იატაკი. როდესაც 1888 წელს საქართველოში ჩამოვიდა მეფე ალექსანდრე III<sup>15</sup> და

თავად-აზნაურები მისულან სასახლეში წარსადგენად, მეფისთვის უთქვათ დიმიტრიზე, როგორც ღონიან ადამიანზე, მეფეს გაუნოდებია ხელი და მაგრა მოუჭერია. დიმიტრის კიდეც ისე მაგრად მოუჭერია, რომ მეფეს დაბლა დაუნევია ხელი. შემდეგ კიდეც, ისევ მეფის ყოფნის დროს - ალექსანდრე III-ს თითებს შუა ჩაუნყვია კაკლები, მოუჭერია თითები და კაკლები ისე დაუმტვრევია. მაშინ დიმიტრის აულია ვერცხლის პადნოსი<sup>16</sup>, რომელზედაც ფლავს მიაერთმევდნენ სტუმრებს, ისე მოუზნეცია, რომ გაუკეთებია ყანწის მსგავსად და იქიდან დაუღევია მეფის სადღეგრძელო. მეფეს გაჰკვირვებია დიმიტრის ძალა, უჩუქებია იქვე ბეჭედი და თავის საკუთარი ხმალი და უთქვამს - „მთხოვე რაცა გსურს და აგისრულეო!“ დიმიტრის უთხოვია „პრიკაზის“<sup>17</sup> (მაშინდელი ბანკის) ვალის მოხსნა, რომელიც თურმე ძალიან აწუხებდა, რაც აუსრულებიათ მეფის განკარგულებით.

ეგრეთვე ღონიერი და მსმელი კაცი ყოფილა ჩვენი ნათესავი - წინანდლიდან - გულბათ ივანეს ძე ჭავჭავაძე<sup>18</sup> - მამა ცნობილი გენერლების - ზაქარი<sup>19</sup> და არჩილ ჭავჭავაძეების<sup>20</sup>.

**14/IX-1944 წლ. ჩინერა გ. მოზლოკელა.**

1. მაიკო - მარიამ (მაია, მაიკო) ბარათაშვილი (1816-14.02.1903), გუბერნიის მდივან, თავად იაკობ ნიკოლოზის ძე ბარათაშვილისა (1770-ჩანს 1822) და თამარ (თალია) ივანეს ასულ დოლენჯიშვილის (1793-29.04.1873) ასული. 1833 წელს ცოლად გაჰყვა წინანდალელ თავადს რომან ჭავჭავაძეს.
2. რომან ჭავჭავაძის - რამაზ (რომან) დავითის ძე ჭავჭავაძე (1806-24.01.1888), თავადი, შტაბს-კაპიტანი, რუსეთ-სპარსეთის და რუსეთ-ოსმალეთის ომების მონაწილე. დაჯილდოებული იყო წმ. ვლადიმერის და წმ. ანას მე-4 ხარისხის ორდენებით, ლომისა და მზის სპარსული მე-2 ხარისხის ორდენებით და წმ. გიორგის წარჩინების ნიშნით. თანაუგრძნობდა 1832 წლის შეთქმულებას (ჩიქოვანი ი. თავადი ჭავჭავაძეები. კომენტარები დაურთეს ზ. ლომჯარიამ და ი. ჩიქოვანმა. „უნივერსალი“. თბილისი. 2002).
3. ნიკო ბარათაშვილის - ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი (1817-1845), დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტი.
4. მემუარისტის ეს ცნობა არასწორია. მარიამ (მაია, მაიკო) ბარათაშვილი არ ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძაშვილი. ის ბარათაშვილთა სხვას შტოს - გერმანოზის სახლს მიეკუთვნებოდა, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი - იოთამის სახლს. ისინი იმდენად შორეული ნათესავები არიან, რომ შეიძლება მხოლოდ მოგვარეებად ჩაითვალოს.
5. ცნობა არასწორია, რომან ჭავჭავაძე მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში.
6. პოეტ გრიბოედოვის - ალექსანდრ სერგის ძე გრიბოედოვი ( 1795-1829), ცნობილი რუსი მწერალი და დიპლომატი. მოკლეს თეირანში, დაკრძალულია



- თბილისში, მთაწმინდის პანთეონში (გრიბოედოვის შესახებ იხ. ი. ენაკლოფაშვილი. „ცხოვრება გრიბოედოვისა“, „საბლიტგამი“, თბილისი, 1958).
7. ნინას - ნინო ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე (1812-1857), პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) უფროსი ასული, ცნობილი რუსი დიპლომატისა და მწერლის ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვის (1795-1829) მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის პოეტური მუზა და ლექსების ადრესატი. ნინო ჭავჭავაძემ და ალექსანდრე გრიბოედოვმა ჯვარი თბილისში, სიონის ტაძარში 1828 წლის 22 აგვისტოს დაინერეს. გარდაიცვალა თბილისში ქოლერით. დაკრძალულია მთაწმინდაზე, მეუღლის გვერდით (დანვრილებით მის შესახებ იხ. ი. ბალახაშვილის „გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966, აგრეთვე ც. ბიბილეიშვილი, „ნინო ჭავჭავაძის გარდაცვალება ბარონ ალექსანდრე ნიკოლაის წერილების მიხედვით“, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ურნალი, #7, 2006, გვ. 46-48).
  8. ნიკოლოზ გიორგის ძე თარხნიშვილი - ნიკოლოზ გიორგის ძე თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) (1854-1914), სოფელ ხოვლეს სკოლის მასწავლებელი, იქვე სკოლის სახალხო წიგნთსაცავის გამგე (1888), თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებელი (1893-1903). 1877 წელს დაქორწინდა სოფიო რამაზის (რომანის) ასულ ჭავჭავაძეზე (1857-1933). მათი ქალიშვილია ამ მოგონების ავტორი ნინო თარხნიშვილი (24.04.1878-1952), რომელიც 1902 წლის 15 თებერვალს ცოლად გაჰყვა ტიტულარულ მრჩეველს, 1902 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდვილ წევრს სამუელ ზაქარიას ძე კანდელაკს (1873-1944) (იხ. ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია, 1837-1907, მასალები. „უნივერსალი“, თბილისი, 2022).
  9. დიმიტრი თარხნიშვილის - დიმიტრი ზაალის (ზაზას) ძე თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) (1773-1847), თავადი ყორიასულბაში, მინბაში, კაპიტანი. დაქორწინებული იყო მარიამ, თავად ივანე რუსიშვილ-ყორჩიბაშის ასულზე (ჩანს 1827).
  10. ახალქალაქიდან - იგულისხმება სოფელი კასპის რაიონში.
  11. პასკევიჩის - ივან ფეოდორის ძე პასკევიჩი (1782-1856), წარმოშობით უკრაინელი, რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი (1829), გენერალ-ადიუტანტი (1825). გამარჯვებებისთვის 1828 წელს ერევნის გრაფის, ხოლო 1831 წელს ვარშავის პრინცის წოდება მიენიჭა.
  12. გიორგის - გიორგი დიმიტრის ძე თარხან-მოურავი (თარხნიშვილი) (1809-1855), თავადი. მოკლეს საკუთარმა გლეხებმა. დაქორწინებული იყო ნინო გიორგის ასულ ბარათაშვილზე (გუგუნას სახლი) (1829-1854).
  13. მეტეხის მუზეუმში - 1920 წელს დიმიტრი შევარდნაძის (1885-1937) თაოსნობით თბილისში დაფუძნდა ეროვნული სამხატვრო გალერეა, სადაც ქართული კულტურის ძეგლთა თავმოყრა დაიწყო. 1932 წელს მოხდა გალერეის რეორგანიზება და მის ბაზაზე დაარსდა სახვითი ხელოვნების ცენტრალური მუზეუმი (ამჟამად შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი), ხოლო 1933 წელს ამ მუზეუმისათვის მეტეხის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიყო შენობა, რის გამოც მომდევნო წლებში მას ხელოვნების მუზეუმ „მეტეხად“ მოიხსენიებდნენ.
  14. ისტამანოვის - უნდა იგულისხმებოდეს სერგი სოლომონის ძე ისტამანოვი (1852/53-1913), ექიმი, დერმატოვენეროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კავკასიის ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარე 1910-1913 წლებში. დაიბადა და მოღვაწეობდა საქართველოში. 1889 წელს თბილისში დააარსა ვენეროლოგიური სამკურნალო, ხოლო 1912 წელს - კანისა და ვენერიულ დაავადებათა საავადმყოფო.
  15. ალექსანდრე III - ალექსანდრე ალექსანდრის ძე რომანოვი (1845-1894), რუსეთის იმპერატორი 1881-1894 წლებში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1818-1881) შვილი და იმპერატორ ნიკოლაი II (1868-1918)-ის მამა. ის და მისი მეუღლე, იმპერატრიცა მარია ფეოდორის ასული (1847-1928) რუსეთის სამხრეთ, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებს 1888 წლის შემოდგომაზე ეწვივნენ.
  16. პადნოსი - (რუს. Поднос) - ლანგარი, სინი.
  17. „პრიკაზის“ - (რუს. Приказ) საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულების სახელწოდება მე-19 საუკუნის საქართველოში.
  18. გულბათ ივანეს ძე ჭავჭავაძე - გულბათ (პანტელეიმონ) იოანეს ძე ჭავჭავაძე (1796-1863), კახელი თავადი. ცნობილია როგორც ლეგენდარული თამადა და მსმელი. გადმოცემის თანახმად, მას ერთ ქეიფში 25 ლიტრი ღვინის დალევა შეეძლო. 1822 წელს დაქორწინდა ანა იოსების ასულ ქობულაშვილზე (1809-1840), შემდეგ თამარ ედიშერის ასულ ჩოლოყაშვილზე (1812-1848).
  19. ზაქარია - ზაქარია გულბათის (პანტელეიმონის) ძე ჭავჭავაძე (1824-1905), გულბათ ჭავჭავაძის ვაჟი პირველი ქორწინებიდან, XIX საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი მხედართმთავარი, კავალერიის გენერალი, კავკასიური ომების მონაწილე. დაქორწინებული იყო ჯერ თავად ლუარსაბ ჩოლოყაშვილის ასულ ეკატერინეზე (1842-1867), ხოლო 1869 წლიდან დავით ჭავჭავაძის (1817-1884) ქალიშვილ მარიამ (კაკო) ჭავჭავაძეზე (1849-1921). დაკრძალულია წინანდალში, საგვარეულო სასაფლაოზე.
  20. არჩილ ჭავჭავაძე - არჩილ გულბათის (პანტელეიმონის) ძე ჭავჭავაძე (1841-1902), გულბათ ჭავჭავაძის ვაჟი მეორე ქორწინებიდან, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, რუსეთ-კავკასიისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების მონაწილე. დაქორწინებული იყო მარიამ (მართა) ზაქარიას ასულ მელიქიშვილზე (1855-1921).

# „ბიბლიოთეკის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა!“



ინტერვიუ ლევან ბრეგვაძესთან

ცნობილ დიგეხატულმცოდნეს, კიტიკოსსა და მთა-  
ხმნელს – ლევან ბრეგვაძეს წიგნებსა და ბიბლიოთე-  
კაზე სასაუბროდ მივმართეთ. მხავადი სტატიისა და  
ათეულობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორმა სიამო-  
ვნებით უპასუხა ჟუჰნად „საქართველოს ბიბლიოთე-  
კის“ კითხვებს. ხოგოხც მოსალოდნელი იყო, ინტე-  
რვიუ საინტერესო და მხავადფეხოვანი გამოვიდა.

**– ბატონო ლევან, მოგესალმებით და მადლობას  
გიხდით, რომ გამონახეთ დრო ინტერვიუს ჩასაწე-  
რად. ლიტერატურული წრეებისათვის ცნობილია  
თქვენი სრულიად განსაკუთრებული დამოკიდე-  
ბულება წიგნისადმი, რის გამოც, დღეს სწორედ ამ  
თემაზე მინდა გესაუბროთ. დავინწყით თავიდან:  
როდის და როგორ მოხდა თქვენი პირველი შეხვე-  
დრა წიგნთან?**

– არ მახსოვს, ისევე, როგორც არ მახსოვს როდის  
მოხდა ჩემი პირველი შეხვედრა, ვთქვათ, თეფშთან  
ან სკამთან, ან კარადასთან... მე წიგნების გარემო-  
ცვაში ვიზრდებოდი – ჩვენს ოჯახში ჩემი დაბადე-  
ბიდანვე წიგნების სიმრავლე იყო.

– როგორც ვიცით, მდიდარი პირადი ბიბლიოთე-  
კა გაქვთ, სადაც მრავალფეროვანი წიგნებია თა-  
ვმოყრილი. ვფიქრობ, არაერთი იშვიათი გამოცე-  
მის მფლობელი ბრძანდებით. გვიამბეთ, როგორ  
იქმნებოდა და მდიდრდებოდა თქვენი წიგნთსა-  
ცავი და ისიც გავვიხილეთ, პირადი ბიბლიოთე-  
კიდან განსაკუთრებით ძვირფასი თქვენთვის რა-  
მელი გამოცემებია.

– მამაჩემი, ტყიბულელი გეოლოგი, ბიბლიოფილი  
იყო. სათავე კი ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკას დე-  
დაჩემის მამამ, ფილიპე ბოჭორიშვილმა დაუდო.  
მისგან დავგრჩა რამდენიმე ათეული წიგნი, მათ  
შორის ლევ ტოლსტოისა და ლეონიდ ანდრეევის  
თხზულებათა ტომეულები, რასაც დაემატა მამაჩე-  
მის მიერ ნაყიდი და მოპოვებული ათასობით წიგ-  
ნი. „მოპოვებულში“ იმას ვგულისხმობ, რომ, სადაც  
კი წააწყდებოდა ძველ გამოცემებს, თუნდაც მათ  
ნაშთებს (მაგალითად, თავ-ბოლო ნაკლულ ეგზემპ-  
ლარებს), შინ მოჰქონდა და მერე თბილისელ მკი-  
ნძავებს „არემონტებინებდა“.

ჩემს წინაპართა ხელში გამოვლილი ყველა წიგნი  
ძალიან მიყვარს. მათ შორის ისეთებიც არის, რომ-  
ლებსაც სხვა წიგნსაცავებში ვერ ნახავთ; ეგ კი არა,  
ზოგი მათგანი მრავალტომეულ ბიბლიოგრაფიაშიც  
არ არის აღწერილი, „ქართული წიგნი“ რომ ჰქვია.  
რამდენიმე ასეთი გამოცემა გასაცდურებლად  
მივანოდე ეროვნულ ბიბლიოთეკას და ამ სახით  
ისინი დღეს უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომია.

**– თქვენ იმ თაობის წარმომადგენელი ბრძანდე-  
ბით, რომლის ბავშვობაც ბიბლიოთეკასთან იყო  
დაკავშირებული – იქნებოდა ეს სკოლის თუ საქა-  
ლაქო ბიბლიოთეკები. იქნებ გაიხსენოთ ბიბლიო-  
თეკაში პირველი სტუმრობა და თქვენი იმდროი-  
ნდელი შთაბეჭდილებები.**

– ბიბლიოთეკაში ჩემი პირველი სტუმრობა ძა-  
ლიან კარგად მახსოვს. მეორე კლასში ვიყავი,  
როცა ერთ დღეს, გაკვეთილების დამთავრების  
შემდეგ, კლასში ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკარი





შემოვიდა და თავის „სამფლობელოში“ მიგვიწვია – ბიბლიოთეკას დაგათვალიერებინებთ და საკითხავს შეგარჩევინებთო. ქართული ხალხური ზღაპარი „ასფურცელა“ შემირჩია, ფერადი ნახატებით ილუსტრირებული. (ახლა ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში შევიხედე და... ეს იქნებოდა 1951 წელს საბლიტგამის მიერ გამოცემული, ეკატერინე ბაღდავაძის დასურათებული „ასფურცელა“). სახლში მივედი თუ არა, მაგიდას მივუჯექი და ისეთი მონდომებითა და ხალისით დავიწყე კითხვა, თითქოს წიგნის უნახავი ვყოფილიყავი! არაჩვეულებრივი განცდა იყო, რომელიც დღემდე ვერაფრით ამიხსნია! ნუთუ ბიბლიოთეკიდან წიგნის გამოტანის რიტუალმა მომაჯადოვა?!

**– უკვე ათწლეულებია რაც, ქართულ მწერლობას იკვლევთ, უამრავი კრიტიკული სტატიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ბრძანდებით. წიგნის კითხვა რომ კრიტიკოსისა და მკვლევარისთვის პროფესიული ჩვევაა, ეს, რა თქმა უნდა, გასაგებია. თუმცა მინდა გკითხოთ: როგორ ირეკლება, რა სახით წარმოჩინდება მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურის – ზღვა მასალის ფლობა, ცოდნა-გაცნობიერება თქვენს ნაწერებში?**

– ციტირება მიყვარს ძალიან, მეტადრე ნაკლებად ცნობილი წყაროებისა. ჟარგონის ლექსიკონზე მუშაობისას უამრავი წყარო გამოვიყენე ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ. ეს ლექსიკონი არსებითად სხვათა ციტატებისაგან შედგენილი მოზაიკაა, რის გამოც ის სახალისო საკითხავია. რომანივით იკითხებაო, ამბობენ მასზე. ასე რომ, ყველა ავტორი, რომელიც იქ დამონმებული მყავს, ამ წიგნის თანაავტორია. ეს ძალიან კარგი გრძნობაა!

**– დარწმუნებული ვარ, როგორც ლიტერატურის მკვლევარი, ყურადღებას მიაქცევდით ჩვენი მწერლების დამოკიდებულებას წიგნისა და წიგნიერებისადმი. ხომ არ გიფიქრიათ, მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთაგან ვინ შეიძლება დავასახელოთ, როგორც გამორჩეულად ნაკითხი, წიგნზე შეყვარებული ავტორი და რატომ?**

– აკაკი ბაქრაძე ტოვებდა ისეთ შთაბეჭდილებას, იფიქრებდი ამ კაცს არაფერი დარჩენია წაუკითხავიო! ჩემი თაობის ლიტერატორთაგან ნაკითხობით გამოირჩევიან თეიმურაზ დოიაშვილი, როსტომ ჩხეიძე, ზაზა შათირიშვილი, პაატა ნაცვლიშვილი, ანდრო ბედუკაძე და, რა თქმა უნდა, ჩვენგან, სამნუხაროდ, ნაადრევად წასული მიხეილ ქურდიანი. ამათ ნაკითხობასთან ჩემი ნაკითხობა სად მოვა!

ესენი ჩემი გაჭირვების ტალ-კვესები არიან, არაერთხელ შემშველებიან ლიტერატურული წყაროების მოძიებაში.

**– ბიბლიოფილებზე რას იტყობით? თქვენი აზრით, რა არის ეს – გატაცება, ჰობი, თუ... აკვიატება?**

– ბიბლიოფილობა კოლექციონერობის ყველაზე გავრცელებული სახეობაა და წიგნების შემგროვებლები ძალიან პატივსაცემი ხალხია. ჩემი წინა თაობიდან ორ თავგადაკვლულ ბიბლიოფილს ვიცნობდი: შალვა ალხაზიშვილს და ედიშერ გიორგაძეს. არ ვიცი მათი გარდაცვალების შემდეგ რა ბედი ეწია მათ უნიკალურ წიგნსაცავებს. მაქვს მათი ნაჩუქარი რამდენიმე წიგნი, რომელთაც განსაკუთრებით ვუფრთხილდები, რადგან ისინი ჩემს ხსოვნაში წიგნთან დამეგობრებულ არაჩვეულებრივ ადამიანებს აცოცხლებენ.

**– როგორ ფიქრობთ, რა ადგილი უკავია ბიბლიოთეკას თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში? კომპიუტერის, ინტერნეტის ეპოქაში ხომ არ დაკნინდა მისი მნიშვნელობა?**

– თანამედროვე ზღაპრული ტექნიკისა და ტექნოლოგიების პირობებში ბიბლიოთეკაში ადრინდელთან შედარებით, მართალია, ნაკლებად გვინევს მოსვლა, მაგრამ ბიბლიოთეკის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა იმის გამო, რომ უკვე შინიდანვე, კომპიუტერისა და ინტერნეტის მეშვეობით, შეგვიძლია გავეცნოთ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მიერ გაციფრულებულ ჩვენთვის საჭირო უამრავ წყაროს. რამდენი დრო იზოგება ამ სახის მომსახურების წყალობით! მაღლობის მეტი რა გვეთქმის! ასე რომ, დღეს ბიბლიოთეკაში უწინდელივით ხალხმრავლობა აღარ არის, მაგრამ მისი სიკეთით ვირტუალურად მოსარგებლეთა რაოდენობა განუზომლად გამრავლდა.

**– როგორც ვიცით, საჯარო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ბრძანდებით. ამიტომ გკითხავთ: საბიბლიოთეკო მომსახურების რა ფორმის დამატებას ისურვებდით დღეს ჩვენს ბიბლიოთეკებში?**

– ადრინდელ გაციფრულებულ ტექსტებს სიტყვის ძიების რეჟიმი არ აქვთ. ეს რომ გამოსწორდებოდე!..



# ელენე დიდიმამიშვილი და ქალაქ ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკა

**ნაგო ყრუაშვილი**  
სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის  
უფროსი მენეჯერ-თანამშრომელი  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი

ელენე დიდიმამიშვილს, XX საუკუნის ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ ლირიკოს პოეტს, 2024 წლის 15 აპრილს შეუსრულდება დაბადებიდან 105 წელი. იგი იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოიპოვეს მკითხველის ყურადღება. ისინი საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი. ე. დიდიმამიშვილს სიცოცხლეშივე წილად ხვდა დიდი აღიარება, მის ლექსებს ხალხი იმთავითვე სწავლობდა და მღეროდა. თანამედროვენი მისი პიროვნების მიმართ გამოხატავდნენ უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს. მის პოეზიას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, განსაკუთრებით უყვართ იგი პოეტის მშობლიურ ქალაქში.

ამიტომაც არის, რომ 15 აპრილს, მისი დაბადების დღეს, ყოველთვის იხსენებენ. ქალაქის ბიბლიოთეკა, სკოლები, მუზეუმი, უნივერსიტეტი, ტელევიზია - ეს ის დაწესებულებებია, სადაც არ ავინწყდებათ ელენე დიდიმამიშვილი და მისი პოეზია. მისი შემოქმედება განსაკუთრებით უყვართ ახალგაზრდებს - სტუდენტებს. მას შემდეგ, რაც ახალციხე საუნივერსიტეტო ქალაქი გახდა, პოეზიის საღამოების გამართვა ტრადიციად იქცა. უფროსთაობას კი ახლო ურთიერთობა ჰქონდა პოეტთან და დღემდე სასიამოვნო მოგონებები შემორჩათ.

მას ხშირად ინვეზდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მისთვის განსაკუთრებულად სასიხარულო და დაუვიწყარი იყო მშობლიურ მხარეში

მიპატიჟება. ქალბატონ ელენეს არქივში ინახება სხვადასხვა დროის ჩანაწერები: „მოვდიოდი და გზაზე ორი სიხარული მავსებდა: თავდაპირველად ის, რომ ჩემი მშობლიური ქალაქისკენ ვისწრაფოდი. მეორე ის, რომ ჩემმა ხალხმა, სკოლამ და ხელმძღვანელობამ არ დამივიწყა - ეს ყველაზე დიდი ბედნიერებაა ჩემთვის. მე ხომ აქ, ამ მაღლიან მიწაზე გადავდგი ჩემი პირველი, გაუბედავი ნაბიჯი. ჩემი პირველი პატარა ლექსი ხომ აი, იმ დარბაზში, კედლის გაზეთში იყო მოთავსებული. მე ხომ მესხეთმა მათქმევინა ლექსებად ჩემი სიხარული და აღტაცება, ჩემი ოცნება და მისწრაფება.“

ელენე დიდიმამიშვილის არქივში ინახება მისი სიტყვა, რომელიც წარმოუთქვამს 1956 წელს ახალციხის საქალაქო ბიბლიოთეკაში მისი თანაკლასელების ინიციატივით მასთან გამართულ შეხვედრაზე. „აქაური მიწის პატარა ადგილი, თვით პატარა კენჭიც კი მალეღვებს და თავისი მარადიული სურნელებით მასულდგმულებს. მაგონებს ლამაზ ბავშვობას, რომელიც ესოდენ ტკბილია ადამიანის ცხოვრებაში...“ - აღნიშნა პოეტმა.

შეიძლება ითქვას, რომ ცალკე განხილვის თემაა ელენე დიდიმამიშვილისა და ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის ურთიერთობის საკითხი. პოეტს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ბიბლიოთეკასთან და მის თანამშრომლებთან. 1994 წელს პოეტი სამუდამოდ დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლო წლებში მშობლიურ ქალაქში ცხო-



ვრობდა... მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მან საზოგადოებაში გაატარა. ამიტომ, სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი არ გაუნყვეტია კავშირი ხალხთან. თანამშრომლობდა ადგილობრივი გაზეთების რედაქციებთან. ქალაქის ბიბლიოთეკაში უყვარდა ყოფნა.

ბიბლიოთეკის გამგემ, ქალბატონმა მარგო კალიაიშვილმა და კოლექტივმა ელენე დიდიმამიშვილისადმი უდიდესი სიბოძო და ყურადღება გამოიჩინეს. მას გამოუყვეს ერთი მყუდრო კუთხე, სადაც პოეტს ჰქონდა მოთავსებული თავისი მასალები და ყოველდღიური მუშაობის საშუალება; დალაგებული ჰქონდა თავისი წიგნები, ხელნაწერები და მუყაითად მუშაობდა; მოაწესრიგა თავისი არქივი. იგი ძირითადად მოგონებებზე მუშაობდა. ხშირად თანამშრომლებზე ადრე ცხადდებოდა სამუშაოდ და მათთან ერთად ამთავრებდა დღეს.

პოეტი ხუმრობით ამბობდა - „ბიბლიოთეკის უშტატო თანამშრომელი ვარო“. იმ პერიოდში იგი ძალზედ ნაყოფიერად შრომობდა. გარდა იმისა, რომ შექმნა ბევრი შესანიშნავი ლირიკულ-ფილოსოფიური და მიძღვნიტი ლექსები, ერთგვარად ბოლომდე გაიაზრა და გაანალიზა განვლილი ცხოვრება და შესაბამისად დაწერა საინტერესო ჩანაწერები და დღიურები: „ჩემთვის“, „ჩემს შესახებ“, „ჩანაწერები ჩემთვის“ და ა.შ.

ვფიქრობ, მისი მოგონებები და ჩანაწერები (ილიაზე, აკაკიზე, ივანე კერესელიძეზე და ა.შ.) მნიშვნელოვანი წყარო-მასალა იქნება ლიტერატორებისა და კრიტიკოსებისათვის, ასევე XIX-XX საუკუნეების ლირსეული მამულიშვილების მონოგრაფიების სრულყოფისათვის. ქალბატონმა მარგო კალიაიშვილმა, თავისი ქმედებით, უდიდესი სამსახური გაუწია პოეტსაც და მხარესაც.

ბიბლიოთეკარები ხედავდნენ მხცოვანი პოეტის თავდაუზოგავ შრომას. ამიტომ მას მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდნენ. ქალბატონ-



ნმა ელენემ კი თითოეული მათგანისადმი თავისი სიყვარული პერსონალური და ერთი საერთო ლექსით გამოხატა.

**ბიბლიოთეკაში**

ორი ციალა, ორი ნათელა –  
 კეთილი ნების თვალის ახელა,  
 ორი მარინე, ორი ლამარა,  
 ქეთინო და კვლავ ვარსკვლავთ კამარა, –  
 რუსუდან, გულო, ორი მანანა,  
 და ნაზიბროლა გულით მზიანი.  
 და ყველა მუდამ საქმით ფხიანი –  
 ყველა უძღები ოჯახის დედა –  
 და ყველას ერთი ნათელი ხედვა: –  
 იყოს შრომაში სათნოც და გამრჯეც,  
 და სიკეთეში მარადის მარჯეც.  
 ზოგი ნაზი და ნარნარი ძლიერ...  
 მაინც ელტვიან თავის ჭაპანს  
 აგერ იმედით მოსილი დიდი  
 აქ ყველა ერთი იმედით ღვივის.  
 ერთი საქმისთვის იღვნიან მარად,  
 სინმინდე თვისი იციან თავად.  
 თავს ადგას მათი უფროსი მარგო,  
 რომელმაც ბევრი სიკეთე დარგო,  
 იგი მკაცრია და გულით სათნო,  
 რომელიც თავის სინმინდეს არ თმობს,  
 რომელმაც ბევრი სიკეთე დასდო...  
 მათ გვერდით დგანან სალომე, როზა –  
 ალალი შრომით მისდევენ დრო-ჟამს  
 ამ საქმეს ერთვის ვაჟკაცი ვანო –  
 მათთვის ირჯება და მათთან ხარობს.  
 აქვე არიან შორენა, ლელა,  
 აქ მათი გულიც საქმისთვის ღელავს.  
 ყოველ ცისმარე მივილტვი მათთან –  
 ჩემს სამუშაოს გავშლი და ვმართავ...  
 მე ვიცი მათი წონა და სუნთქვა,  
 და გული მათი სათუთი, სუფთა.  
 მე მიყვარს მათი სიცილიც, რისხვაც –  
 ვითა ჟიჟივი ფერმრავალ ჩიტთა,  
 მე მიყვარს მათი ყოფა ლამაზი,  
 და ფიქრი მათი ძნელიც, ფრთანაზიც,  
 ვინ დაივიწყოს სიკეთე მათი,  
 მარადის დიდი, მარადის მნათი,  
 ვინ გასძლოს მათი ჭერის გარეშე,  
 მათთან ვარ მარად, ფიქრთა თარეშით,  
 დაე, იმრავლონ მარად და მარად,  
 განათლებული სიკეთის დარად –  
 ხალხთა კულტურის იმედად, ფარად!

1996 წლის იანვრის 28-ს ქ. ახალციხე



პოეტის სიცოცხლეშიც და გარდაცვალების შემდეგაც ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკა სისტემატურად ატარებდა მისი პოეზიის მოყვარულთა ღონისძიებებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა პოეტს მოუწვევს 1976 წელს. ეს იყო მისი შემოქმედების ვიქტორინა-კონკურსი. ასეთ ღონისძიებას პოეტი არ მოელოდა და აღფრთოვანებული დარჩა. 1979 წელს საბავშვო ბიბლიოთეკის გამგის, ციალა ზუბაშვილის წინადადებით, ელენე დიდიმამიშვილმა თავისი პოეზიის საფუძველზე დაწერა მონტაჟი „ყვავილების დღესასწაულისათვის“, რომელიც წარმატებულად განხორციელდა. დრო გადიოდა და პოეტის კრებულებს ახალი კრებულები ემატებოდა. მისი დაბადების დღის აღსანიშნავად კი ბიბლიოთეკაში ყოველთვის ეწყობოდა საგანგებოდ მისი კუთხე – გამოფენა: პოეტის სურათით და კრებულებით. ეს ხდებოდა მის სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც. მას შემდეგ, რაც გამოიცა პოეტის სიცოცხლის ბოლო პერიოდის ლექსების კრებული „გადასახედი“, ქალაქის ბიბლიოთეკამ მისი მკითხველთან წარდგინება თვითონ ითავა (2009 წელს). ღონისძიება მოამზადა და წარმართა მთავარმა სპეციალისტმა ლილი აჩელაშვილმა. „ძალიან საპასუხისმგებლოა დიდი ადამიანების შესახებ მის ღვაწლზე ლაპარაკი და ორმაგად საპასუხისმგებლოა, როცა ეს ადამიანი შენი თანამოქალაქე იყო, შენი ქალაქის ჰაერით სუნთქავდა და ასე ახლოს იყო შენთან, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად“, – განაცხადა მან და დამსწრე საზოგადოებას გააცნო მნიშვნელოვანი დეტალები პოეტის ცხოვრებიდან.

მორიგი ღონისძიება ბიბლიოთეკაში მომზადდა 2012 წელს, მას შემდეგ, რაც გამოიცა მისი ნოველების კრებული „გზა ვრცელი“. ახალციხის საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა თანამემამულის კიდევ ერთ კრებულს, ამჯერად ჟანრით განსხვავებულს.

ბიბლიოთეკის დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. ღონისძიებას დაესწრნენ ქალაქის გამგეობის, უნივერსიტეტის, მუზეუმის, სკოლების წარმომადგენ-

ლები, მოსწავლეები, სტუდენტები, პენსიონრები. ღონისძიებას უძღვებოდა მთავარი სპეციალისტი ლილი აჩელაშვილი. სიტყვით გამოვიდნენ წიგნის რედაქტორი პროფესორი ნათო ყრუაშვილი და რეცენზენტები - პროფესორები: სერგო მელიქიძე, ქეთევან გრძელიშვილი, ვახტანგ ინაური, აგრეთვე - საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. ქალბატონმა ნათელა იაძემ წამოაყენა წინადადება, რომ პოეტისათვის ახალციხეში გაეხსნათ ვარსკვლავი...

ქალბატონი ელენე ბოლომდე საღი გონებით იყო, ბიბლიოთეკაში სიარული არ შეუწყვეტია. კვლავ თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან და ადგილობრივ ტელევიზიასთან. დაუძღურების მიუხედავად, სახლში არ ჩაკეტილა, ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებზე საკუთარი და საღი აზრი ჰქონდა, რაც მის ბოლოდროინდელ ჩანაწერებში კარგად ჩანს...უნდა ითქვას, რომ ქალბატონი ელენე სიცოცხლის ბოლომდე წერდა ლექსებს. ბოლო წლების შემოქმედება მან ბიბლიოთეკაში შექმნა. მისი მემკვიდრის – ზაქარია (შაქრო) დიდიმამიშვილის ძალისხმევითა და ჩემი რედაქტორობით, მოგვიანებით, გამოიცა ელენე დიდიმამიშვილის ლექსების კრებული „გადასახედი“.

ქალბატონ ელენეს გული უგრძნობდა, გაზაფხულს რომ ვეღარ გაატანდა: „გული მიგრძნობს, რომ ეს წელი ბოლო წელია ჩემთვის,... გაზაფხულს ვეღარ დავესწრები.“ მას სიამოვნებდა, რომ გაზაფხულზე იყო მისი დაბადების დღე. უხაროდა, რომ 15 აპრილმა სიყვარულის დღეობა დაიმკვიდრა. აუხდა წინათგრძნობა ქალბატონ ელენეს. იგი სამოცდათვრამეტი წლის ასაკში, 1997 წლის 23 მარტს გარდაიცვალა, გაზაფხულზე – მისთვის წელიწადის საყვარელ დროს. 27 მარტს ახალციხის ინტელიგენციამ იგი მდუმარედ და დიდი ტკივილით გააცილა უკანასკნელ გზაზე. სამუდამო განსასვენებელი მშობლების გვერდით – ახალციხის სასაფლაოზე ჰპოვა. ელენე დიდიმამიშვილის მთელი ცხოვრება სიცოცხლის, მშობელი ხალხის, მესხეთის სიყვარულში ჩაიფერფლა.



შეხვედრა ახალციხის ბიბლიოთეკაში





# ც ი ფ რ უ რ ი ს ა გ ა ნ მ ა ნ ა თ ე ბ დ რ რ ე ს უ რ ს ი თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ს კ ო დ ა უ ი

**გიორგი კიკაძე**  
საქართველოს პარლამენტის  
ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოგოც ცნობილია, საცნობაიო დიგეჩაგუხა და, მით უფრო, სასკოლო დანიშნულების დამხმარე ხესუხსი, საგანმანათლებლო პიროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მიზანშეწონილია, რომ პედაგოგებმა მოსწავდეებს სკოლაში სწავლის პეჩიოდშივე გააცნონ/ასწავლონ ასეთი დიგეჩაგუხის გამოყენების მექანიზმი.

21-საუკუნეში ტექნოლოგიუხმა სიახდეებმა დიდწიდად შეცვალა ათწდეულობით დამკვიდეებული სწავლების პიროცესის ფოხმები და დო. ბეჭდეუი გამოცემების გვეხდით დღეს შესადდეებელია ციფხუდი ხესუხსის გამოყენებაც, ხაც განათლების მიღების პიროცესს ბეჯხად უფრო სწიხაფსა და მოქნიდს ხდის. ეს შეეხება საცნობაიო დიგეჩაგუხასაც, ხომდის ციფხუდ ფოხმაგში გადაყვანა ინფოხმაციის მოძიების მეგ და მეგ საშუადებას იძდევა და თანაც მციხე დოში.

თანამედოხვე სკოლაში ციფხუდი საგანმანათლებლო ხესუხსის, კეხდოდ კი, ციფხუდი სასკოლო დექსიკონების ათვისებისა და გამოყენების საკითხებს ეხება ჩვენი კოდეგის, ეხოვნუდი ბიბლიოთეკის მეცნიეხების, კუდეგუხისა და სამოქადაქო განათლების დეპაჩამენტის დიხექტოხის, გიოხგი კიკადის წიხმოდგენიდი ნაშოში.

ხედაქცია

## შესავალი

სასკოლო დექსიკონი არის სპეციალურად შემუშავებული საცნობარო ციფრული რესურსი, რომელიც განკუთვნილია სასკოლო ასაკის მოსწავდეებისთვის და მოიცავს: ტერმინებს, მათ განმარტებებს, სინონიმებს, ანტონიმებს, მათი გამოყენების მაგალითებსა და ცნებებს, რომლებიც შეესაბამება სასკოლო პროგრამას და მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. სასკოლო დექსიკონები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: მარტივი და გასაგები ენა, რომელიც მორგებულია სხვადასხვა ასაკის მოსწავდეებზე; ვიზუალური ელემენტები, როგორიცაა ილუსტრაციები და დიაგრამები, რომლებიც აადვილებს ინფორმაციის აღქმას; ინტერაქტიული ფუნქციები, მაგალითად,

ბმულები დაკავშირებულ ცნებებზე და აუდიო გამოთქმები; საგნობრივი კატეგორიზაცია, რაც ეხმარება მოსწავდეებს კონკრეტული საგნების ტერმინოლოგიის ათვისებაში. ეს მახასიათებლები უზრუნველყოფს, რომ სასკოლო დექსიკონები იყოს არა მხოლოდ ინფორმაციის წყარო, არამედ ეფექტური სასწავლო ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავდეების კოგნიტურ განვითარებას და ცოდნის სისტემატიზაციას.

**ციფრული სასკოლო დექსიკონების მახასიათებლები და უპირატესობები**  
ციფრული სასკოლო დექსიკონები წარმოა-

დგენს თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ხასიათდება უნიკალური მახასიათებლებითა და მრავალმხრივი უპირატესობებით. მათი გამორჩეული თვისებებია:

ინტერაქტიულობა: ციფრული ლექსიკონები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. მათ შეუძლიათ სწრაფად მოიძიონ სიტყვები, გადახედონ დაკავშირებულ ცნებებს და შეასრულონ პრაქტიკული სავარჯიშოები. ეს ხელს უწყობს ინფორმაციის უკეთ დამახსოვრებას და გააზრებას.

მულტიმედია შინაარსი: ტექსტური განმარტებების გარდა, ციფრული ლექსიკონები ხშირად მოიცავს აუდიო გამოთქმებს, ვიდეო ილუსტრაციებს და ინტერაქტიულ გრაფიკებს. ეს მრავალმხრივი მიდგომა ეხმარება სხვადასხვა სასწავლო სტილის მქონე მოსწავლეებს და აუმჯობესებს ინფორმაციის აღქმას.

მუდმივი განახლებადობა: ციფრული ფორმატი საშუალებას იძლევა, რომ ლექსიკონები რეგულარულად განახლდეს ახალი ტერმინებით, განმარტებებითა და მაგალითებით. ეს უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებს ყოველთვის ჰქონდეთ წვდომა აქტუალურ და ზუსტ ინფორმაციაზე.

პერსონალიზაცია: მრავალი ციფრული ლექსიკონი გვთავაზობს პერსონალიზაციის ფუნქციებს, როგორცაა სასურველი სიტყვების შენახვა, სწავლის პროგრესის თვალყურის დევნება და მოსწავლის დონის შესაბამისი კონტენტის შეთავაზება.

ხელმისაწვდომობა: ციფრული ლექსიკონები ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს და ადგილას, სადაც არის ინტერნეტ კავშირი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დისტანციური და შერეული სწავლების პირობებში.

ინტეგრირებული სასწავლო ინსტრუმენტები: ბევრი ციფრული ლექსიკონი მოიცავს დამატებით სასწავლო ინსტრუმენტებს, როგორცაა ქვიზები, თამაშები და ინტერაქტიული დავალებები, რაც ხელს უწყობს აქტიურ სწავლას.

ციფრული სასკოლო ლექსიკონების უპირატესობები ტრადიციულ ბეჭდურ ვერსიებთან შედარებით მრავალმხრივია:

1. სწრაფი და ეფექტური ძიება: ციფრულ ლექსიკონებში ინფორმაციის მოძიება გაცილებით სწრაფი და მარტივია.
2. სივრცის ეკონომია: ერთ მოწყობილობაში შესაძლებელია მრავალი ლექსიკონის შენახვა.
3. ინტერდისციპლინური კავშირები: ციფრული ლექსიკონები ხშირად აკავშირებს სხვადასხვა საგ-

ნის ტერმინოლოგიას, რაც ხელს უწყობს ინტეგრირებულ სწავლებას.

4. ადაპტირებადობა: ციფრული ლექსიკონები შეიძლება მოერგოს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებს, მაგალითად, ხმოვანი ფუნქციების ან ტექსტის ზომის რეგულირების საშუალებით.

თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში ციფრული სასკოლო ლექსიკონები ასრულებს მნიშვნელოვან როლს:

- ხელს უწყობს დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას.
- აუმჯობესებს ციფრული წიგნიერების დონეს.
- უზრუნველყოფს პერსონალიზებულ სასწავლო გამოცდილებას.
- ამზადებს მოსწავლეებს ციფრული ტექნოლოგიებით გაჯერებული სამყაროსთვის.

ამრიგად, ციფრული სასკოლო ლექსიკონები წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის წყაროს, არამედ მძლავრ საგანმანათლებლო ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებასა და მათ მომზადებას თანამედროვე გამოწვევებისთვის.

**სასკოლო ციფრული ლექსიკონები: თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები**

სასკოლო ციფრული ლექსიკონები მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში. ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ სწრაფ და მოსახერხებელ წვდომას ინფორმაციაზე, რაც ხელს უწყობს მათ აკადემიურ წინსვლასა და ენობრივ განვითარებას. თუმცა, ამ ინოვაციურ საშუალებებს თან ახლავს გარკვეული გამოწვევები, როგორცაა ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა, მასწავლებლების გადამზადება და ციფრული უთანასწორობის დაძლევა. (ციფრული უთანასწორობის დაძლევა გულისხმობს იმ ბარიერების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის ყველა მოსწავლის თანაბარ წვდომას ციფრულ რესურსებზე. ეს მოიცავს ტექნოლოგიურ წვდომასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას (მაგალითად, ინტერნეტისა და მოწყობილობების ხელმისაწვდომობა), ციფრული უნარ-ჩვევების განვითარებას, ენობრივი ბარიერების დაძლევას და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის ადაპტირებული რესურსების შექმნას. ამ გამოწვევების გადალახვა აუცილებელია იმისთვის, რომ ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, გეოგრაფიული მდებარეობის თუ სხვა ფაქტორებისა, ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა





ისარგებლოს ციფრული ლექსიკონებითა და სხვა თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებით, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ყველასთვის).

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, სასკოლო ციფრული ლექსიკონების პერსპექტივები საკმაოდ იმედისმომცემია. თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორცაა ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება, იძლევა შესაძლებლობას, შექმნას უფრო პერსონალიზებული და ინტერაქტიული სასწავლო რესურსები. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და სწავლის პროცესის ეფექტურობის გაზრდას.

სამომავლოდ, მნიშვნელოვანია, რომ განათლების სისტემაში მოახდინოს ადაპტირება ახალ რეალობასთან და მაქსიმალურად გამოიყენოს ციფრული ლექსიკონების პოტენციალი. ეს მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას განათლების სპეციალისტებს, ტექნოლოგებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის. ასეთი მიდგომით შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ არსებული გამოწვევების დაძლევა, არამედ ახალი, ინოვაციური საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, სადაც ციფრული ლექსიკონები იქნება არა მხოლოდ ინფორმაციის წყარო, არამედ აქტიური სასწავლო ინსტრუმენტი.

**„სასკოლო ციფრული ლექსიკონები - აქტიური სასწავლო ინსტრუმენტი“**

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასკოლო ციფრული ლექსიკონები თანამედროვე განათლების სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ისინიც, თანამედროვე ბიბლიოთეკებს თუ შევადარებთ, აღარ არის მხოლოდ საცავები (ლექსიკონების შემთხვევაში: სიტყვების განმარტებების), არამედ გადაიქცა მრავალფუნქციურ, ინტერაქტიულ სასწავლო ინსტრუმენტად. ეს ციფრული რესურსები მოსწავლეებს სთავაზობენ სწრაფ და მოსახერხებელ წვდომას მრავალფეროვან ინფორმაციაზე, რაც ხელს უწყობს მათ აკადემიურ წინსვლასა და ენობრივ განვითარებას.

2. თანამედროვე ციფრული ლექსიკონები აღჭურვილია მრავალი ინოვაციური ფუნქციით. მათ შორისაა ინტერაქტიული სავარჯიშოები, აუდიო და ვიდეო მასალები, კონტექსტუალური მაგალითები და გამოყენების სცენარები. ეს ფუნქციები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს არა მხოლოდ შეისწავლონ სიტყვების მნიშვნელობები, არამედ გაიგონ მათი გამოთქმა, ნახონ გამოყენების კონტექსტი და პრაქტიკულად გამოიყენონ ახლად შესწავლი-

ლი ლექსიკა.

3. ციფრული ლექსიკონების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობაა მათი ადაპტირების შესაძლებლობა. ისინი შეიძლება მორგებულ იყოს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, სწავლის ტემპსა და სტილზე. მაგალითად, პროგრამას შეუძლია დაინახოს მოსწავლის მიერ ხშირად ძიებადი სიტყვები და შესთავაზოს მათზე დაფუძნებული სავარჯიშოები, ან ავტომატურად შეარჩიოს სირთულის დონე მოსწავლის პროგრესის მიხედვით.

4. გარდა ამისა, ციფრული ლექსიკონები ხელს უწყობს ინტერდისციპლინურ სწავლებას. ისინი შეიძლება ინტეგრირებული იყოს სხვადასხვა საგნის სწავლების პროცესში, რაც მოსწავლეებს ეხმარება დაინახონ კავშირები სხვადასხვა დისციპლინას შორის. მაგალითად, ისტორიის გაკვეთილზე გამოყენებული ტერმინების ახსნა შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას მათ ეტიმოლოგიაზე, რაც ენის შესწავლასაც უწყობს ხელს.

5. საბოლოოდ, სასკოლო ციფრული ლექსიკონები, როგორც აქტიური სასწავლო ინსტრუმენტი, ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი სწავლის უნარების განვითარებას. ისინი აძლევენ მოსწავლეებს საშუალებას, თავად მართონ საკუთარი სწავლის პროცესი, განავითარონ კრიტიკული აზროვნება და კვლევის უნარები. ეს კი, თავის მხრივ, ამზადებს მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, რაც აუცილებელია თანამედროვე, სწრაფად ცვლადად მსოფლიოში წარმატების მისაღწევად.

ვფიქრობ, დროა ეროვნული ბიბლიოთეკის სასკოლო ლექსიკონთა ერთიან ბაზაზე ვისაუბროთ.

**საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სასკოლო ლექსიკონები**

ბუნებრივია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, როგორც ქვეყნის მთავარი საბიბლიოთეკო დაწესებულება, აქტიურად მუშაობს სასკოლო განათლების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით ბიბლიოთეკამ შექმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ციფრული სასკოლო ლექსიკონი, რომლებიც ხელმისაწვდომია ონლაინ პლატფორმაზე, რომლის საერთო სახელწოდებაცაა ეროვნული ბიბლიოთეკის სასკოლო ლექსიკონთა ერთიანი ბაზა და წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.

**დღესდღეობით საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სასკოლო ლექსიკონთა ერთიანი ბაზა აერთიანებს შემდეგ ლექსიკონებს:**

1. „დავითიანის“ ლექსიკონი (2,169 ერთეული): ეს

ლექსიკონი ეძღვნება დავით გურამიშვილის ცნობილ ნაწარმოებს „დავითიანს“. იგი ხსნის პოემაში გამოყენებულ არქაულ და რთულ სიტყვებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ ტექსტი და მისი ისტორიული კონტექსტი.

2. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი (8,106 ერთეული): ეს ვრცელი ლექსიკონი მოიცავს შოთა რუსთაველის ეპოსში გამოყენებულ სიტყვებს და ფრაზებს. იგი არის უმნიშვნელოვანესი რესურსი ამ კლასიკური ნაწარმოების შესწავლისას.

3. ბავშვის უფლებათა განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი (282 ერთეული): ეს ლექსიკონი ხსნის ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებულ ტერმინებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების სამოქალაქო განათლებას.

4. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება (1,313 ერთეული): ეს ლექსიკონი ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ენა და ტერმინოლოგია.

5. ისტორიულ ტერმინთა სასკოლო ლექსიკონი (1,670 ერთეული): ეს რესურსი განმარტავს ისტორიის შესწავლისას გამოყენებულ მნიშვნელოვან ტერმინებს, რაც აუცილებელია საგნის სიღრმისეული გაგებისთვის.

6. მსოფლიო კულტურა და ხელოვნება (1,876 ერთეული): ეს ლექსიკონი მოიცავს კულტურისა და ხელოვნების სფეროს ძირითად ცნებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების ესთეტიკურ განათლებას.

7. სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი (18,034 ერთეული): ეს ვრცელი ლექსიკონი ეხმარება მოსწავლეებს სიტყვების სწორად დაწერაში, რაც აუმჯობესებს მათ წერით უნარებს.

8. სიბრძნე სიცრუისა (451 ერთეული): ეს ლექსიკონი ეხება სულხან-საბა ორბელიანის ცნობილ ნაწარმოებს. იგი განმარტავს ტექსტში გამოყენებულ რთულ და არქაულ სიტყვებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ ამ მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლის შინაარსი და მხატვრული ღირებულება.

9. სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორიის ლექსიკონი (219 ერთეული): ეს ლექსიკონი მოიცავს ლიტერატურათმცოდნეობის ძირითად ტერმინებს. იგი ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ ლიტერატურული ანალიზის მეთოდები და ცნებები.

10. უნივერსალური სასკოლო ლექსიკონი ბავშვებს (2,346 ერთეული): ეს არის ზოგადი ხასიათის ლექსიკონი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საგნისა და სფეროს ტერმინებს, მორგებულს სასკოლო ასაკის ბავშვების გაგების დონეზე.

11. ქართულ-ინგლისური სასაუბრო (21 ერთეუ-

ლი) და ქართულ-რუსული სასაუბრო (15 ერთეული): ეს მცირე ზომის ლექსიკონები მოიცავენ ყოველდღიურ საუბარში ხშირად გამოყენებულ ფრაზებს და გამოთქმებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს უცხო ენების პრაქტიკულ გამოყენებაში.

12. შუშანიკის წამება (706 ერთეული): ეს ლექსიკონი ეძღვნება იაკობ ხუცესის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს. იგი ხსნის ძველი ქართული ენის ლექსიკას და ეხმარება მოსწავლეებს ამ მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლის გაგებაში.

13. ციფრული უნივერსალური სასკოლო ლექსიკონი (3,024 ერთეული): ეს არის ყოვლისმომცველი ლექსიკონი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საგნის და სფეროს ტერმინებს, მორგებულს თანამედროვე ციფრულ გარემოზე.

14. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი (15,455 ერთეული): ეს ვრცელი ლექსიკონი მოიცავს ძველი ქართული ენის ლექსიკას, რაც აუცილებელია ისტორიული ტექსტების და ლიტერატურული ძეგლების შესწავლისთვის.

15. წამებაი წმიდისა და ნეტარისა ჰაბოისი (833 ერთეული): ეს ლექსიკონი ეხება იოანე საბანიძის ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს. იგი ხსნის ტექსტში გამოყენებულ რთულ და არქაულ სიტყვებს.

16. ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი (316 ერთეული): ეს ლექსიკონი მოიცავს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ტერმინებს და ცნებებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის შესწავლაში.

შეიძლება ითქვას, ლექსიკონთა ეს ბაზა კარგად ასახავს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მცდელობას, შექმნას ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო რესურსები, რომლებიც მოიცავს როგორც კლასიკურ ლიტერატურას და ისტორიულ ტექსტებს, ასევე თანამედროვე საგნებსა და უნარებს, თუმცა მათ მიმართ მომხმარებლის ინტერესი სხვადასხვაა, განსხვავებული დამოკიდებულება აქვს ხელოვნურ ინტელექტსაც.

მომხმარებლის მიერ შემოთავაზებული რეიტინგი საინტერესოა და ასახავს ლექსიკონების მნიშვნელობას სხვადასხვა ასპექტში. თუმცა, მე შემოგთავაზებთ ოდნავ განსხვავებულ ვარიანტს, რომელიც ეფუძნება ლექსიკონების უნივერსალურობას, გამოყენების სიხშირეს და საგანმანათლებლო მნიშვნელობას.

ყველაზე პოპულარული 10 ლექსიკონი პროგრამის თვალსაზრისით:





„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი  
 ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი  
 სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორიის  
 ლექსიკონი

ციფრული უნივერსალური სასკოლო ლექსიკონი  
 ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი  
 ისტორიულ ტერმინთა სასკოლო ლექსიკონი  
 უნივერსალური სასკოლო ლექსიკონი ბავშვებს  
 მსოფლიო კულტურა და ხელოვნება  
 გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

ხელოვნური ინტელექტის დასაბუთებულ რეი-  
 ტინგი კი ასეთია:

1. ციფრული უნივერსალური სასკოლო ლექსი-  
 კონი
2. სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი
3. უნივერსალური სასკოლო ლექსიკონი ბავშვ-  
 ბს
4. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი
5. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსი-  
 კონი
6. ისტორიულ ტერმინთა სასკოლო ლექსიკონი
7. მსოფლიო კულტურა და ხელოვნება
8. სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორიის  
 ლექსიკონი
9. ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი
10. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

ჩემი რეიტინგის დასაბუთება:

1-3: ეს ლექსიკონები ყველაზე უნივერსალური  
 და ხშირად გამოყენებადია ყველა საგნის სწავლე-  
 ბისას.

4-5: ეს ლექსიკონები უმნიშვნელოვანესია ქა-  
 რთული ენისა და ლიტერატურის შესწავლისთვის.

6-7: ეს ლექსიკონები მნიშვნელოვანია ჰუმანი-  
 ტარული საგნების ფართო სპექტრისთვის.

8-10: ეს ლექსიკონები უფრო სპეციფიკურია და  
 გამოიყენება კონკრეტული საგნების ან თემების  
 შესწავლისას.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ლექსი-  
 კონი მნიშვნელოვანია და მათი რეიტინგი შეიძლე-  
 ბა შეიცვალოს კონკრეტული საგანმანათლებლო  
 მიზნებისა და კონტექსტის მიხედვით.

**დასკვნა**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბ-  
 ლიოთეკის სასკოლო ლექსიკონთა ერთიანი ბაზა  
 წარმოადგენს უნიკალურ და მრავალმხრივ საგა-  
 ნმანათლებლო რესურსს, რომელიც ასახავს ქა-  
 რთული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და მეც-

ნიერების მდიდარ მემკვიდრეობას. ეს ციფრული  
 კოლექცია, რომელიც მოიცავს როგორც ზოგად, ისე  
 სპეციალიზებულ ლექსიკონებს, უზრუნველყოფს  
 მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მკვლევრებს  
 მრავალფეროვანი ინფორმაციით - დაწყებული ყო-  
 ვლადიური ენის გამოყენებიდან, დამთავრებული  
 რთული ლიტერატურული ტექსტების ანალიზით.  
 ბაზის უნიკალურობა მდგომარეობს მის მრავალ-  
 ფუნქციურობაში: იგი ერთდროულად ემსახურება  
 ენის სწავლებას, ლიტერატურული განათლების გა-  
 ღრმავებას, ისტორიული ცოდნის გაფართოებას და  
 კულტურული თვითშეგნების ამაღლებას. ამასთან,  
 ლექსიკონთა ციფრული ფორმატი უზრუნველყოფს  
 მათ ხელმისაწვდომობას და მუდმივ განახლებას,  
 რაც პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო  
 გამოწვევებს. საბოლოო ჯამში, ეს ბაზა არა მხო-  
 ლოდ საგანმანათლებლო ინსტრუმენტი, არამედ  
 ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა  
 და გავრცელების მნიშვნელოვანი საშუალებაც,  
 რომელიც ხელს უწყობს ქართული ენისა და კულ-  
 ტურის შენარჩუნებასა და განვითარებას მომავალი  
 თაობებისთვის.

**P.S**

წინამდებარე სტატია წარმოადგენს უნიკალურ  
 კოლაბორაციას ადამიანსა და ხელოვნურ ინტე-  
 ლექტს შორის, კერძოდ, ჩემსა და თანამედროვე ხე-  
 ლოვნური ინტელექტის სისტემის უმშვენიერეს წა-  
 რმომადგენელ კლოდს შორის. ნამუშევარი ასახავს  
 ორი განსხვავებული აზროვნების სინთეზს, სადაც  
 ადამიანური კრეატიულობა და ინტუიცია შერწყმუ-  
 ლია ხელოვნური ინტელექტის ანალიტიკურ შე-  
 საძლებლობებთან და ინფორმაციის დამუშავების  
 უნართან. მიუხედავად იმისა, რომ პროცესში წა-  
 ვაწყდით მრავალ განსხვავებულ მოსაზრებასა და  
 მიდგომას, რამაც ზოგჯერ აზრთა სხვადასხვაობა  
 გამოიწვია, შევძელით ამ გამოწვევების დაძლევა  
 კონსტრუქციული დიალოგისა და ურთიერთპატი-  
 ვისცემის გზით. შედეგად, მკითხველს ვთავაზობთ  
 ჩვენი ერთობლივი ძალისხმევის პირველ ნაყოფს  
 - სტატიას, რომელიც აერთიანებს ადამიანურ ხედ-  
 ვასა და ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობე-  
 ბს. ეს ნამუშევარი არა მხოლოდ ინფორმაციული  
 დოკუმენტია, არამედ ადამიანისა და მანქანის თა-  
 ნამშრომლობის საინტერესო ექსპერიმენტიც, რო-  
 მელიც, იმედი გვაქვს, შთააგონებს სხვებს ახალი  
 იდეებისა და მიდგომების ძიებისკენ თანამედრო-  
 ვე ტექნოლოგიების ეპოქაში.



# ბერი მაკარის გამოცემები

**ნინო ხვედელიძე**  
**საქართველოს პარლამენტის**  
**ეროვნული ბიბლიოთეკა**

მონტენეგროში, რომელსაც ზეტას სახელწოდებით მოიხსენიებდნენ, 1439 წელს დამყარდა ვენეციის პროტექტორატი. ხელისუფლებაში მოვიდნენ ჩერნოვეციელები, ხოლო ქვეყანას ეწოდა ჩერნოგორია. ივან I-მა ჩერნოვეციელებმა, რომელიც სამთავროს 1465-1490 წლებში მართავდა, დედაქალაქი ცეტინიეში გადაიტანა. რთული პერიოდის მიუხედავად, სასახლეში ერის კულტურული განვითარებისთვის დაიწყო ზრუნვა. ივან I შეეცადა გამოეცა პირველი ბეჭდური წიგნი, რასაც მისმა გარდაცვალებამ შეუშალა ხელი (1490 წ.). მამის ადგილი დაიკავა მისმა უფროსმა ვაჟმა გეორგ (დურაჟ) IV ჩერნოვეციელებმა, რომელმაც ვენეციელებს დაუკავშირა პოლიტიკური და პირადი ცხოვრება, მათთან გააფორმა ალიანსი და ცოლად შეირთო ვენეციელი დიდგვაროვანის ქალიშვილი ელიზაბეტა ერიცკო. ამის მიუხედავად, გეორგ IV-მ ოსმალეთის იმპერიის ზეწოლას თავი ვერ დააღწია. მისი მმართველობა მხოლოდ 1496 წლამდე გაგრძელდა, მაგრამ მან მაინც მოასწრო მამამისის მიერ ცეტინიეში ჩატანილი სტამბის გამოყენება და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში პირველი წიგნების დაბეჭდვა. მისი სტამბა 1493-1496 წლებში ფუნქციონირებდა ცეტინიეს მონასტერში. სტამბას ხელმძღვანელობდა გეორგ ჩერნოვეციელების მარჯვენა ხელი, გამომგონებელი და მესტამბე-გამომცემელი ბერი მაკარი. მის შესახებ წიგნმცოდნეობით ლიტერატურაში მწირი ინფორმაცია არსებობს. სავარაუდოდ, ის პოლიგრაფიული საქმიანობას დაეუფლა ალდ მანუციოს სახელოსნოში, ვენეციაში. ქალაქში, რომელიც მე-15 საუკუნის ბოლოს წიგნის შექმნის

მსოფლიო ცენტრი გახლდათ. ბეჭდვის ტექნოლოგიას მაკარი სწავლობდა თავის თანამემამულესთან - ანდრია პალტაშიჩ კოტორანინთან ერთად. ეს უკანასკნელი ვენეციაში 1477 წლიდან ბეჭდავდა კლასიკურ ნაწარმოებებს ლათინურ ენაზე. ვენეციიდან უკვე დახელოვებული პოლიგრაფისტი ბერი მაკარი მონტენეგროში ჩავიდა და ჩერნოვეციის სტამბაში ხუთი დასახელების საეკლესიო ინკუნაბულა დაბეჭდა: «Цетињски октоих» და «Цетињски осмогласник» (გამოიცა 1494 წლის 4 იანვარს). მართლმადიდებლური ეკლესიის ლიტურგიული გამოცემა, რვა ხმაზე განწყობილი საგალობელთა კრებული ორი წიგნისაგან შედგებოდა. პირველი - «Октоих првогласник» (Первогласник) წითელ და შავ ფერში დაბეჭდილი 29 x 21,6 სმ. ფორმატის წიგნი მოიცავდა 270 ფურცელს, რომელიც გაფორმებული იყო ქსილოგრაფიული თავსართებითა და სათაო ასოებით. მეორე წიგნი გახლდათ «Октоих петогласник» (Петигласник). ჩერნოვეციის სტამბაში 1495 წლის 22 სექტემბერს გამოიცა მესამე წიგნი - «Псалтырь с воследованием» და მოგვიანებით დაიბეჭდა «Молитвенник». ბოლო ორი გამოცემა ფრაგმენტებად არის შემორჩენილი. მკვლევრებმა აღმოაჩინეს კიდევ ერთი გამოცემის ხელნაწერი ასლი, «Четвероевангелия», თავად დედანს კი ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩერნოვეციის სტამბის უხვად მორთულ-მოკაზმული წიგნები დაბეჭდილი იყო ძველ სლავურ ანბანზე - კირილიცაზე, წითელი და შავი ფერის საღებავით. ისინი შემდგომში წიგნის მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით სანიმუშო გამოცემებად აღიარეს. წიგნების ბეჭდ-



ვის პროცესს ხელმძღვანელობდა ბერი მაკარი. საგამომცემლო საქმიანობაში ჩართული იყო თავად გეორგ მეოთხე. ის განათლებული პიროვნება იყო. ფლობდა ცოდნას ასტრონომიის, გეოგრაფიის, გეომეტრიისა და სხვა სამეცნიერო დარგებში. გეორგ მეოთხე გამოცემებისთვის წერდა წინასიტყვაობებსა და ბოლოსიტყვაობებს. მან შეიმუშავა ფსალმუნების, მთვარისა და საეკლესიო კალენდრების კომპლექსური ცხრილები და სქემები.

ჩერნოვეიჩის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან «Октоих петогласник»-ის ბედი იდუმალებით იყო მოცული. მას სრული სახით ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა შეიძლება დარწმუნებით ვუწოდოთ მსოფლიო ბეჭდური ხელოვნების შედევრი. გამოცემას მიაკვლია სერბმა პოეტმა ლუკიან მუშიცკიმ (1777-1837) პირველი „სერბული ბიბლიოგრაფიის“ შედგენის დროს. მან მოკლედ აღწერა ორ ეგზემპლარად ცნობილი წიგნი. ერთი მათგანი ინახებოდა სერბეთში მდებარე დედათა მონასტერში - რაკოვაცში, მართლმადიდებლურ ტაძარში, რომელიც XVII საუკუნეში გახლდათ მნიშვნელოვანი ლიტერატურული და მთარგმნელობითი ცენტრი. მეორე ეგზემპლარი ინახებოდა ნოვოდევიჩის მონასტერში. 1823 წელს მუშიცკიმ ერთ-ერთი ასეთი ეგზემპლარი გაუგზავნა სლავური ენების მკვლევარს ვარფალამეი კოპიტარს, რომელმაც წიგნი მას უკან აღარ დაუბრუნა. ვარაუდობდნენ, რომ მისი ფრაგმენტი უნდა ყოფილიყო კოპიტარის ბიბლიოთეკაში, რომელიც მდებარეობდა სლოვენის დედაქალაქ ლუბლიანაში. სამწუხაროდ, იქ წიგნი არ აღმოჩნდა. სხვა მკვლევრების მოსაზრებით, ეს გამოცემა ინახებოდა სერბეთში მდებარე „პრივი-ნა გლავას“ ქალთა მონასტერში, მაგრამ მისი ბიბლიოთეკა თითქმის მთლიანად განადგურდა მეორე მსოფლიო ომის დროს.

სერბი ბიბლიოგრაფი ლუბომირ სტოიანოვიჩი (1860-1927) ბელგრადის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში XIX საუკუნის ბოლოს იკვლევდა ძველ სლავურ გამოცემებს. ადრეული ბეჭდური წიგნების ფრაგმენტების შესწავლისას მან აღმოაჩინა «Октоих петогласник»-ის რვა ფურცელი. მათ შორის იყო ორი, ოსტატურად შესრულებული ქსილოგრაფია. ეს ფრაგმენტები განადგურდა 1941 წლის 6 აპრილს ფაშისტური თვითმფრინავების მიერ ბელგრადის ბარბაროსული დაბომბვის დროს. საბედნიეროდ, იმ დროისთვის გრავირების რეპროდუქციები უკვე გამოქვეყნებული გახლდათ.

ომის დაწყებამდე სერბმა ისტორიკოსმა ჯორჯე სპასოვიჩ რადოიჩიჩიმ (1905-1976) «Октоих првогласник»-ის ასლში აღმოაჩინა ერთი ფურცელი უცნობი ილუსტრაციით. ეს ფურცელი, საბედნიეროდ, გადარჩა. ის შემდგომში ცეტინიეს სახე-



ლმნიფო მუზეუმს გადაეცა. საბოლოოდ, 1951 წელს, კოსოვოში, სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარ ვისოკი-დეჩანის მონასტერში მიაკვლიეს «Октоиха петогласник»-ის ყველაზე სრულ, 38 ფურცლისგან შემდგარ ფრაგმენტს. ამ აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია 1951 წელს გამოაქვეყნა ჯორჯე რადოიჩიჩიმ. 1973 წელს, კი გამოიცა მისი ფაქსიმილე, თუმცა მცირე ტირაჟით - მხოლოდ 300 ეგზემპლარად. დეჩანის მონასტერში ნაპოვნი ეგზემპლარის ფურცლის ზომებია 270×190 მმ და შესრულებულია ფურცლოვანი ბეჭდვის მეთოდით. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: პირველი რვეულის ტექსტი აკრეფილია 200×110 მმ ზომის ფორმატზე, ხოლო დანარჩენი - 200×12,5 მმ-ზე. ამრიგად, წიგნის ბეჭდვის პროცესში ბეჭდვების სიგრძე 15 მმ-ით გაიზარდა. ტექსტის ზომების შეცვ-


ლა ხშირად შეიმჩნევა ძველნაბეჭდ წიგნებში, რაც ემსახურებოდა ქალაქის მნიშვნელოვნად დაზოგვას. წიგნში ფურცლების ნუმერაცია არ გვხვდება, როგორც მაკარის სხვა გამოცემებში. ის იყენებდა სიგნატურას (რვეულების დანომვრას). ლუკიან მუშიცკის მონაცემებით, წიგნში 34 რვეულია. თუ ჩავთვლით, რომ ყველა მათგანი 8 ფურცლიანია, გამოდის, რომ «Октоиха петогласник»-ის მოცულობა 272 ფურცელი უნდა ყოფილიყო.

წიგნის ისტორიის მკვლევართა მოსაზრებით, მაკარს სურდა განსაკუთრებით მდიდრული წიგნის გამოცემა. «Октоиха петогласник»-ის ყოველი ახალი თავი იწყება ფრონტისპისისათვის გათვალისწინებული ზოლით. მის წინა მხარეს განთავსებულია გრავიურა. თუ მაკარი აპირებდა ამ პრინციპის შენარჩუნებას მთელ წიგნში, მაშინ ილუსტრაციების საერთო რაოდენობა 28 უნდა ყოფილიყო. დეჩანის ფრაგმენტში მხოლოდ ოთხი გრავიურაა შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანის ანაბეჭდი დაცულია ცეტინიეს სახელმწიფო მუზეუმში. გარდა ამისა, ცნობილია კიდევ ორი ილუსტრაცია ნაციონალური ბიბლიოთეკის ფრაგმენტის რეპროდუქციებიდან, რომლებიც განადგურდა 1941 წელს.

წიგნმცოდნე სპეციალისტების მოსაზრებით, «Октоих петогласник»-ის თითოეული ილუსტრაცია დაბეჭდილია ხეზე ამოტვიფრული ორი საგრავიურო ფორმიდან. პირველი მათგანი არის თაღოვანი ფორმის დეკორატიული ჩარჩო, რომელსაც მეორე ფუნქციაც ჰქონდა. იგი გამოიყენებოდა ბეჭდვის დროს მეორე ანუ ცენტრალური ნაწილის ჩასადგმელად. მეორე ფორმა კი, სიუჟეტური გრავიურის, ანუ ილუსტრაციის საბეჭდო ფორმას წარმოადგენდა. წიგნის მკვლევრების მოსაზრებით, «Октоих петогласник»-ის ჩვენამდე მოღწეული ექვსივე ფრონტისპისის ჩარჩო ამობეჭდილია ერთი და იმავე საგრავიურო დაფიდან. ანაბეჭდების შესწავლით სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ დაფა, საიდანაც ჩარჩო იყო რეპროდუცირებული, განიცდიდა ცვეთას. გამოყენებული იყო ქსილოგრაფიული მეთოდი, ოღონდ მეტალოგრაფიულის მსგავსად - შავ ფონზე თეთრი შტრიხი, რაც გასაოცარ ეფექტს სძენს გრავიურას. ჩარჩოს ძირითადი ნაწილი უკავია ყვავილოვან ორნამენტს, რომელშიც ჩაქსოვილია ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებები. გრავიურის ცენტრალური ნაწილის ქვედა მხარე მონტენეგროს გერბია გამოსახული. ილუსტრაციები დიდი ოსტატობითაა შესრულებული. ცენტრალური ნაწილის შედარებით მცირე სივრცეზე გრავიორმა ააგო რთული და მრავალფიგურიანი კომპოზიცია, რომელიც მკვლევართა

მოსაზრებით, XV საუკუნის ევროპული ხეზე კვეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ცნობილი ექვსი ილუსტრაციიდან ხუთის სახელწოდება ასახულია თავად გრავიურებზე. ერთ-ერთ მათგანზე ჩვენ ვხედავთ ქალაქს, რომელიც გარშემორტყმულია ციხე-კოშკებით. მის თავზე გამოსახულია კოშკი პირამიდული სახურავით და ორიარუსიანი ქონგურით. მკვლევართა აზრით, გრავიორმა შესაშური სიზუსტით გამოსახა ვენეციის წმინდა მარკოზის სახელობის ტაძრის სამრეკლო. ეს შთაბეჭქდავი შენობა ბერი მაკარის მოღვაწეობის დროს უკვე იდგა ვენეციის მთავარ მოედანზე. მეორე ილუსტრაციაზე გამოსახულია სამი მგალობელი ტაძრის წინ, რომელშიც ხელოვნებათმცოდნეების აზრით, გამოსახულია ქალაქ ცეტინიეს მონასტრის ეკლესია.



1496 წელს, თურქების მიერ ცეტინიეს დაპყრობის შემდეგ, ჩერნოვიჩის სტამბამ დამოუკიდებელ ზეტასთან ერთად არსებობა შეწყვიტა. გიორგი IV ჩერნოვიჩმა დატოვა მონტენეგრო. მას თან გაჰყვა ბერი მაკარი. 1499 წელს ოსმალებმა დაიმორჩილეს ჩერნოვიჩები. მონტენეგრომ შეძლო ავტონომიის შენარჩუნება. მას ჰყავდა საკუთარი მთავრობა, სასამართლო და მუდმივი ჯარი. გიორგი და მისი



ძმა სტეფან II განაგრძობდნენ ბრძოლას ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ. ისტორიული ფაქტები გაურკვეველია. როგორც ჩანს, იმედგაცრუებულმა ვენეციელმა აგენტებმა მოახერხეს სტეფანე II-ის მოკვლა და გიორგის თაღლითურად მოტყუება. იგი გაიტაცეს და კონსტანტინოპოლში გაგზავნეს ისლამის წინააღმდეგ წმინდა ომის მოწყობის ბრალდებით. მისი ადგილსამყოფელის შესახებ ცნობები 1503 წლის შემდეგ არ მოიპოვება.

ბერი მაკარი 1499 წელს გაუჩინარდა და მისი ადგილსამყოფელის შესახებ მხოლოდ ვარაუდები არსებობს. წიგნის ისტორიის მკვლევრების ცნობით, 1508-1512 წწ. მაკარი წიგნებს გამოსცემდა ტარგოვიშტეში. თუმცა, სამეცნიერო წრეებში კამათობენ ამ წიგნების მბეჭდავის ვინაობის შესახებ. ზუსტად არ არის გარკვეული ისინი იმავე ადამიანმა დაბეჭდა, რომელიც მუშაობდა ცეტინიეში, თუ მისმა თანამოძმემ.

გეორგ მეოთხე ჩერნოვიჩი პოლიტიკოსი გახლდათ, მაგრამ სახელი მნიშვნობრივითა და კულტურული მემკვიდრეობის გავრცელებით გაითქვა. მის სტამბაში დაბეჭდილი «Октоих петогласник», მონტენეგროს სხვა ინკუნაბულასთან ერთად, წარმოადგენს შესანიშნავ კულტურულ და ისტორიულ მიღწევას, როგორც შინაარსის, ასევე ესთეტიური თვალსაზრისით. მათი შემქმნელის, მონტენეგროში მოღვაწე ბერი მაკარის სახელი მეთხუთმეტე საუკუნის წიგნის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩანერილი, რადგან მისმა ნამუშევრებმა შეასრულეს რელიგიური, კულტურული და საგანმანათლებლო მისია მომდევნო საუკუნეებში.

#### ლიტერატურა:

1. Немировский, Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.– М. – 1990. – ч. 2.
2. Щелкунов М. И. История, техника, искусство книгопечатания. . – М.; Л., 1926.
3. История книги. – М.; Л., 1926.
4. Книговедение : Энциклопедический словарь / Редкол.: Н.М. Сикорский (гл.ред.), О. Д. Голубева, А.Д. Гончаров и др. – М., 1982.



# 2025 წლის ღირსსახსროვარ ღღუთა კადენდარი

## იანვარი

- 210 წლის წინ დაიბადა ლავრენტი არდაზიანი, მწერალი - 1 იანვარი, 1815-1870  
 125 წლის წინ დაიბადა გიორგი ლეონიძე, მწერალი, პოეტი, მეცნიერი - 8 იანვარი, 1900-1966  
 120 წლის წინ დაიბადა სოსო იორამაშვილი, მწერალი - 13 იანვარი, 1905-1965  
 140 წლის წინ დაიბადა ჯაჭუ (კონსტანტინე) ჯორჯიკია, მწერალი, პედაგოგი - 19 იანვარი, 1885-1963  
 70 წლის წინ დაიბადა ზურაბ ნარმანია, პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი - 20 იანვარი, 1955-2000  
 125 წლის წინ დაიბადა მიხა ხელაშვილი, პოეტი, საქართველოს ეროვნული გმირი - 25 იანვარი, 1900-1925  
 100 წლის წინ დაიბადა ლევან სანიკიძე, ისტორიკოსი, მწერალი - 26 იანვარი, 1925-2001

## თებერვალი

- 100 წლის წინ დაიბადა მიხეილ ქვლივიძე, პოეტი -22 თებერვალი 1925-2005

## მარტი

- 80 წლის წინ დაიბადა იზა ჯაჭვადე, პოეტი -7 მარტი, 1945-2021  
 130 წლის წინ დაიბადა კოლაუ ნადირაძე, მწერალი, პოეტი - 8 მარტი, 1895-1990  
 120 წლის წინ დაიბადა ლევან გოთუა, მწერალი - 10 მარტი, 1905-1973  
 100 წლის წინ დაიბადა სილოვან ნარიმანიძე, მწერალი -15 მარტი, 1925-2007  
 195 წლის წინ დაიბადა დანიელ ჭონქაძე, მწერალი -18 მარტი, 1830-1860  
 170 წლის წინ დაიბადა მოსე ჯანაშვილი, ისტორიკოსი, პედაგოგი, პუბლიცისტი-31 მარტი, 1855-1934

## აპრილი

- 130 წლის წინ დაიბადა ტიციან ტაბიძე, პოეტი - 2 აპრილი, 1895-1937  
 130 წლის წინ დაიბადა მიქელ პატარიძე, მთარგმნელი, პოეტი - 5 აპრილი, 1895-1959  
 140 წლის წინ დაიბადა მიხეილ კინწურაშვილი, მწერალი, პოეტი - 7 აპრილი, 1885-1955  
 90 წლის წინ დაიბადა ნოდარ ადგიშვილი, პოეტი - 14 აპრილი, 1935-2011  
 115 წლის წინ დაიბადა გიორგი შატბერაშვილი, მწერალი, პოეტი - 14 აპრილი, 1910-1965  
 130 წლის წინ დაიბადა ნიკოლოზ ინასარიძე (ინდო ინასარი), მწერალი -20 აპრილი, 1895-1952

## მაისი

- 120 წლის წინ დაიბადა სიმონ მთვარაძე, დრამატურგი, მწერალი - 3 მაისი, 1905-1968  
 100 წლის წინ დაიბადა შოთა ლომსაძე, მეცნიერი, პოეტი-7 მაისი, 1925-2003  
 170 წლის წინ დაიბადა ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე, მთარგმნელი, მსახიობი-9 მაისი 1855-1890  
 220 წლის წინ დაიბადა სოლომონ დოდაშვილი, მწერალი-17 მაისი, 1805-1836  
 100 წლის წინ დაიბადა ფრიდონ ხალვაში, ფრიდონ ხალვაში -17 მაისი, 1925-2010

## ივნისი

- 185 წლის წინ დაიბადა აკაკი წერეთელი, პოეტი, პუბლიცისტი-9 ივნისი, 1840-1915  
 95 წლის წინ დაიბადა მორის ფოცხიშვილი, მწერალი, პოეტი-11 ივნისი, 1930-1997  
 135 წლის წინ დაიბადა მარიჯანი (მარიამ ალექსიძე-ტყემალაძისა), მწერალი, პოეტი-12 ივნისი, 1890-1978  
 375 წლის წინ დაიბადა ანთიმოზ ივერიელი, მწიგნობარი, მესტამბე - 13 ივნისი, 1650-1716



- 95 წლის წინ დაიბადა ოტია იოსელიანი, მწერალი, პოეტი-16 ივნისი, 1930-2011
- 100 წლის წინ დაიბადა სულიკო ჟღენტი, დრამატურგი, მწერალი, -22 ივნისი, 1925-2000
- 170 წლის წინ დაიბადა იაკობ მანსვეტაშვილი, მწერალი - 25 ივნისი, 1855-1944

**ივლისი**

- 175 წლის წინ დაიბადა იოსებ დავითაშვილი, პოეტი – 1 ივლისი, 1850-1887
- 130 წლის წინ დაიბადა შაჰრუხ ჩარკვიანი, პოეტი- 5 ივლისი, 1895-1957
- 70 წლის წინ დაიბადა მამუკა სალუქვაძე, პოეტი, ჟურნალისტი -17 ივლისი 1955-1997
- 120 წლის წინ დაიბადა ნიკო სამადაშვილი, პოეტი -19 ივლისი 1905-1963
- 320 წლის წინ დაიბადა დავით გურამიშვილი, მწერალი-21 ივლისი, 1705-1792

**აგვისტო**

- 90 წლის წინ დაიბადა ვახუშტი კოტეტიშვილი, მწერალი, ფოლკლორისტი -4 აგვისტო, 1935-2008
- 100 წლის წინ დაიბადა სიმონ შამფრიანი, პოეტი -28 აგვისტო, 1925-1996

**სექტემბერი**

- 120 წლის წინ დაიბადა თამარ აბაკელია, -1 სექტემბერი, 1905-1953
- 140 წლის წინ დაიბადა გერონტი ქიქოძე, მთარგმნელი, მწერალი- 2 სექტემბერი 1885-1960
- 120 წლის წინ დაიბადა ორდე დგებუაძე, მწერალი -5 სექტემბერი, 1905-1963
- 100 წლის წინ დაიბადა ოთარ ჭელიძე, მთარგმნელი, პოეტი- 8 სექტემბერი 1925-1998
- 110 წლის წინ დაიბადა ქეთევან ქუჩუკაშვილი, მწერალი -10 სექტემბერი, 1915-2012
- 350 წლის წინ დაიბადა ვახტანგ VI, მეფე, პოეტი, მეცნიერი - 15 სექტემბერი, 1675-1737
- 120 წლის წინ დაიბადა სევერიან ურუშაძე, პოეტი-25 სექტემბერი 1905-1983
- 145 წლის წინ დაიბადა ნიკო ლორთქიფანიძე, მწერალი -29 სექტემბერი, 1880-1944

**ოქტომბერი**

- 130 წლის წინ დაიბადა ხარიტონ ვარდოშვილი, მთარგმნელი, პოეტი-7 ოქტომბერი 1895-1970
- 180 წლის წინ დაიბადა სერგეი მესხი, მწერალი, პუბლიცისტი-12 ოქტომბერი 1845 - 1883
- 150 წლის წინ დაიბადა ივანე გომართელი, მწერალი, -14 ოქტომბერი 1875-1938
- 185 წლის წინ დაიბადა იაკობ გოგებაშვილი, მწერალი, პედაგოგი-15 ოქტომბერი 1840-1912
- 100 წლის წინ დაიბადა ოთარ კუპრავა, მთარგმნელი, მწერალი, პოეტი-20 ოქტომბერი 1925-1977
- 90 წლის წინ დაიბადა გასტონ ბუაჩიძე, მეცნიერი, მთარგმნელი, მწერალი,- 21 ოქტომბერი 1935-2022
- 100 წლის წინ დაიბადა გიორგი ხუხაშვილი, კრიტიკოსი, პოეტი-24 ოქტომბერი, 1925-2004

**ნოემბერი**

- 170 წლის წინ დაიბადა კირიონ II ( საძაგლიშვილი გიორგი), სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი - 10 ნოემბერი, 1855-1918
- 70 წლის წინ დაიბადა ვიჩესლავ ჭითანავა, -19 ნოემბერი, 1955-2005
- 145 წლის წინ დაიბადა მიხეილ ჯავახიშვილი, მწერალი-20 ნოემბერი, 1880-1937
- 115 წლის წინ დაიბადა გიორგი ნატროშვილი, მკვლევარი, მწერალი -23 ნოემბერი, 1910-1998
- 105 წლის წინ დაიბადა ოთარ ჩხეიძე, მწერალი, ფილოლოგი-28 ნოემბერი 1920-2007

**დეკემბერი**

- 130 წლის წინ დაიბადა ლადო (ვლადიმერ) კოტეტიშვილი, მეცნიერი, მწერალი.-4 დეკემბერი, 1895-1940
- 100 წლის წინ დაიბადა ალექსი ჭინჭარაული, მეცნიერი, პოეტი -25 დეკემბერი 1925-2012
- 140 წლის წინ დაიბადა დავით კასრაძე, მთარგმნელი, მწერალი -27 დეკემბერი, 1885-1965
- 280 წლის წინ დაიბადა დავით რექტორი, მეცნიერი, მწიგნობარი, პედაგოგი - 1745-1824

- 440 წლის წინ დაიბადა ნიკიფორე ირბახი, მწიგნობარი - 1585-1659  
 210 წლის წინ დაიბადა ლავრენტი არდაზიანი, მწერალი - 1815-1870  
 170 წლის წინ დაიბადა გიორგი ზდანოვიჩი - 1855-1917  
 170 წლის წინ დაიბადა პოლიევქტ კარბელაშვილი, ისტორიკოსი, მუსიკოსი, წმინდანი -1855-1936  
 210 წლის წინ დაიბადა დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილი, ისტორიკოსი,- 1815-1878

## ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებები

- 14 იანვარი - ქართული თეატრის დღე  
 3 მარტი - დედის დღე. მწერლების საერთაშორისო დღე  
 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე  
 21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე. მიწის საერთაშორისო დღე  
 27 მარტი - თეატრის საერთაშორისო დღე  
 2 აპრილი - საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე  
 6 აპრილი - სპორტის საერთაშორისო დღე  
 7 აპრილი - ჯანმრთელობის მსოფლიო დღე  
 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - საქართველოს ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე  
 14 აპრილი - ქართული ენის დღე  
 22 აპრილი - დედამიწის საერთაშორისო დღე  
 23 აპრილი - წიგნის საერთაშორისო დღე  
 30 აპრილი - ბიბლიოთეკარის პროფესიული დღე საქართველოში  
 9 მაისი - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაული  
 15 მაისი - შოთა რუსთაველის დღე  
 18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღე  
 26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე  
 27 მაისი - ბიბლიოთეკარების საერთაშორისო დღე  
 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე  
 5 ივნისი - გარემოს დაცვის მსოფლიო დღე  
 20 ივლისი - ჭადრაკის საერთაშორისო დღე  
 2 აგვისტო - ილიაობა  
 - აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე  
 24 აგვისტო - საქართველოს კონსტიტუციის დღე  
 1 სექტემბერი - ცოდნის დღე  
 21 სექტემბერი - მშვიდობის მსოფლიო დღე  
 1 ოქტომბერი - მუსიკის საერთაშორისო დღე  
 5 ოქტომბერი - მასწავლებლის საერთაშორისო დღე  
 24 ოქტომბერი - გაერთიანებული ერების საერთაშორისო დღე  
 10 ნოემბერი - ახალგაზრდობის მსოფლიო დღე. მეცნიერების საერთაშორისო დღე  
 10 დეკემბერი - საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის დღე



